საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ფილოსოფიის ინსტიტუტი

ვიტალი კაკაბაძე

სიღრმის ფსიქოლოგიის ფილოსოფიური საფუძვლები

გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი
1979

ნაშრომში არსებითადაა გადმოცემული კლასიკური სიღრმის ფსიქოლოგიის თეორიების — ზ. ფროიდის „ფსიქოანალიზის“, კ. გ. იუნგის „ანალიზური ფსიქოლოგიისა“ და ა. ადლერის „ინდივიდუალ-ფსიქოლოგიის“—რაობა, პრობლემატიკა და პრობლემების გადაჭრის ძიების გზები. ნაჩვენებია, რომ ამ კონცეფციებში პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება არაცნობიერი ფსიქიკისა და პიროვნების ცნებებს; ამ ცნებების შინაარსის დადგენასთან ერთად მითითებულია სიღრმის ფსიქოლოგიის ონტოლოგიურ და გნოსეოლოგიურ წანამძღვრებზე, რომლებიც განაპირობებენ ზემოაღნიშნული თეორიების შინაგან წყობასა და პრობლემებზე გარკვეული პასუხის გაცემას. ეს თეორიული წანამძღვრები და პრობლემების გადაჭრის ცდები არსებითად უპირისპირდებიან მარქსისტული ფსიქოლოგიის ამოსავალ თეორიულ პოზიციას, რომელიც საშუალებას იძლევა მეცნიერულად გადაწყდეს ფსიქიკის რაობის საკითხი.

Ж $\frac{10506}{М\ 607(06)-79}$ 191—78 / © გამომცემლობა „მეცნიერება“, 1979

თავი I

სიღრმის ფსიქოლოგიის პრობლემა

§ 1. სიღრმის ცნება ფსიქოლოგიაში და სიღრმის ფსიქოლოგია. ფსიქოლოგიაში მიუთითებენ სიღრმის განცდასა და განცდის სიღრმეზე, აგრეთვე ცნობიერების სიღრმეზეც. აღნიშნულ ტერმინებში განსხვავებული მნიშვნელობა იგულისხმება. სიღრმის განცდა აღქმის პროცესს უკავშირდება და წარმოადგენს სივრცის მესამე განზომილების განცდას, ასახვას ცნობიერებაში. განცდის სიღრმე ემოციური რომელობის ფორმალური ნიშანია, რომელიც ეხება გრძნობის შეღწევის დონეს პიროვნულ ფენებში[1]. ცნობიერების სიღრმე იგივე განცდის სიღრმეა, რომელიც მიუთითებს ცნობიერების რთული მოვლენის განცდილ ერთიანობას[2]. ყველა ზემოაღნიშნული შინაარსისათვის საერთოა ის, რომ ისინი ფსიქიკის ცნობიერ განზომილებაზე მიუთითებენ, ცნობიერი ფსიქიკის შინაარსის დახასიათებას წარმოადგენენ. ეს ტერმინები აღწერითია, ითვალისწინებენ ფსიქიკის ფენომენალურ თავისებურებას.

აღნიშნულისაგან განსხვავებით, განსაკუთრებით პერსონალისტური ორიენტაციის ფსიქოლოგიაში, სიღრმის ცნებას, როგორც თეორიულ ცნებას, პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება. მაგალითად, ფილიპ ლერში სიღრმის ცნებას სულიერი ცხოვრებისათვის არსებითი

---

[1] რ. რემპლაინი განცდის (გრძნობის) სიღრმეს უპირისპირებს მის ზედაპირულ გავრცელებას. ხოლო ფ. ლერში ემოციის სამ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ თვისებაზე მიუთითებს, ესენი: სიღრმე, სიძლიერე, ხანგრძლივობა. იხ. Heinz Remplein, Psychologie der Persönlichkeit, München-Basel, 1956, გვ. 121; Philipp Lersch, Aufbau der Person, München, 1956, გვ. 256—260.

[2] იხ. Anna Tumarkin, Die Methoden der psychologischen Forschung, Leipzig-Basel, 1929, გვ. 73—75, სადაც დახასიათებულია ცნებები: «Bewußtseinstiefe» და «Tiefe des Erlebens».

ღირებულების მქონედ წარმოგვიდგენს და მას უწოდებს „ფსიქოლოგიის ძირითად ცნებას". ავტორის მიხედვით, ფსიქოლოგიის დაფუძნება შესაძლებელია მხოლოდ როგორც სიღრმის ფსიქოლოგიისა. ეს უკანასკნელი სულიერი ცხოვრების ერთადერთი თეორიაა. ფ. ლერშის გაგებით, სიღრმე უკავშირდება პერსონის ფენებს: სიცოცხლის საფუძველი, ენდოთიმური საფუძველი და პერსონული ზედნაშენი. სულიერ ცხოვრებას აქვს როგორც ქვედა, ისე უკანა საფუძველი, რაც მოიცავს სფეროს ვიტალური-არაცნობიერიდან გაუცნობიერებელ-არაცნობიერამდე, რომელთა შორის თავსდება ურეფლექსო-არაცნობიერი[3]. სიღრმე ნიშნავს პიროვნულ სტრუქტურაში დაბალი ფენების ღირებულებას და მნიშვნელობას უმაღლესისათვის.

ვილიამ შტერნის პერსონალისტიკის ორი ძირითადი კატეგორიიდან ს ი ღ რ მ ე ერთ-ერთია[4]. პერსონული სიღრმე პერსონის ფენათა ერთიანობაა. არაცნობიერი ეწოდება ყველაფერ იმას, რასაც კავშირი აქვს ცნობიერების ფაქტებთან ან მისთვის მნიშვნელობის მქონეა და თვითონ ცნობიერების ფაქტი არაა. არაცნობიერი ორი სახისაა: ქვეცნობიერი და ზეცნობიერი. ქვეცნობიერია პერსონის მდგომარეობები, რომლებიც ჯერ კიდევ ცნობიერი არ არიან ანდა ცნობიერი უკვე აღარ არიან. ისინი წარმოადგენენ ან ცნობიერების მოვლენების მომამზადებელს ან მის შედეგებს. ზეცნობიერია პერსონის აქტივობა. ეს იგივე აქტები, მოქმედებებია (Taten), რაც აკეთებს (macht) ცნობიერებას, მოიხმარს მას და მას-

---

[3] იხ. ფ. ლერშის დასახელებული ნაშრომი, გვ. 569—570. ვიტალური-არაცნობიერი იგივე უცნობიერო-არაცნობიერია (Bewußtlos-Unbewußte) და წარმოადგენს „სიცოცხლის აქტუალობის საფეხურს", იგი არაა ფსიქიკა. გაუცნობიერებელი-არაცნობიერი (Ungewußt-Unbewußte) და ურეფლექსიო-არაცნობიერი (Unreflektiert-Unbewußte) ცნობიერი ფსიქიკის დაბალ საფეხურებია. ავტორისათვის არაცნობიერი ფსიქიკა, ე. ი. ცნობიერების გარეშე არსებული ფსიქიკა არ არსებობს. ი ქ ვ ე, გვ. 538—568.

[4] მეორეა მ თ ლ ი ა ნ ო ბ ი ს კატეგორია. იხ. «Zur Theorie der personalen Ganzheit und Tiefe», მოხსენება ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის XI ყრილობაზე ვენაში 1929 წ., Jena, 1930, გვ. 155. ვ. შტერნი სიღრმის ცნებას ფსიქოლოგიისათვის რევოლუციის მომასწავებლად მიიჩნევს. ფსიქოლოგიას ორი ახალი ამოცანა უჩნდება: ნათლად წარმოიდგინოს არაცნობიერი სიღრმის არსი და შეისწავლოს ცნობიერების ზედაპირისა და არაცნობიერის სიღრმის ურთიერთმიმართება. იხ. W. S t e r n, Allgemeine Psychologie auf personalistischer Grundlage, Haag, 1950, გვ. 52.

ში აისახება[5]. ვ. შტერნი განსაკუთრებით ხაზს უსვამს იმას, რომ არაცნობიერსა და სიღრმეზე მსჯელობამ არ უნდა გაგვიჩინოს მცდარი შეხედულება ფსიქიკის არაცნობიერად არსებობაზე. სიღრმე პერსონის ონტიური ნიშანია, პერსონული ყოფიერების განზომილებაა და იგი არ ეხება ფსიქიკის გარკვეულობას. „სიღრმე აქვს არა ფსიქიკას, არამედ პერსონს"[6]. პერსონი ფსიქო-ფიზიკურად ნეიტრალურია და მის კატეგორიასაც — სიღრმეს — არსებობის იგივე ფორმა აქვს. პერსონალისტურ პრინციპებზე დაფუძნებული ფსიქოლოგია ვალდებულია გამოიყენოს პერსონალისტიკის პრინციპები, პერსონის სტრუქტურაში მოათავსოს ფსიქიკა, როგორც მისი ორგანული ნაწილი, და მისით გახადოს ფსიქიკა გასაგები.

როგორც ვხედავთ, სიღრმის ცნება პერსონალისტურ ფსიქოლოგიაში მიუთითებს, ერთ შემთხვევაში, ფსიქო-ფიზიკურად ნეიტრალურ სინამდვილეზე (ვ. შტერნი), მეორე შემთხვევაში კი ისეთზე, რაც ან ცნობიერი ფსიქიკაა, ან არაფსიქიკური გარკვეულობა (ფ. ლერში).

ის, რაზედაცაა მსჯელობა კლასიკურ სიღრმის ფსიქოლოგიაში და რაც წარმოადგენს მისი, როგორც მეცნიერების, დაფუძნების შესაძლებლობას, პრინციპულად განსხვავდება სიღრმის ცნების ზემოაღნიშნული შინაარსებისაგან. სიღრმის ფსიქოლოგიის სიღრმე არაცნობიერი ფსიქიკაა, ეს ისეთი ფსიქიკაა, რომელიც არსებობს ცნობიერების გარეშე, ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად.

§ 2. ცნობიერების ფსიქოლოგია და სიღრმის ფსიქოლოგია. როცა ერთმანეთს უპირისპირებენ ცნობიერების ფსიქოლოგიასა და სიღრმის ფსიქოლოგიას, მასში (ფსიქოლოგიებში) გარკვეულ შინაარსს დებენ. ამ დაპირისპირებას ჩვეულებრივ სიღრმის ფსიქოლოგიის ორიენტაციის წარმომადგენლები მიმართავენ და მაკვალიფიცირებელი ტერმინებიც მათ ეკუთვნით. მეცნიერებაში, რასაც ცნობიერების ფსიქოლოგიას[7] უწოდებენ, იგულისხმება ფსიქოლოგია, რომელიც ამოსავალ ონტოლოგიურ დებულებად იღებს ფსიქიკის

---

[5] Person und Sache, II, Leipzig, 1923, გვ. 241—250, შეად. III, 1924, გვ. 199—201.

[6] «Nicht die Psyche hat Tiefe, sondern die Person», Zur Theorie der personalen Ganzheit und Tiefe, გვ. 161.

[7] მას უწოდეს აგრეთვე სასკოლო ფსიქოლოგია, ზოგადი ფსიქოლოგია, ზედაპირული ფსიქოლოგია, აკადემიური ფსიქოლოგია.

ცნობიერად არსებობის თეზისს და ამოცანად ისახავს მის შემეცნებას. სიღრმის ფსიქოლოგია ზოგადი სახელია იმ ფსიქოლოგიების აღსანიშნავად, რომლებიც იცავენ შეხედულებას ფსიქიკის ცნობიერებისაგან დამოუკიდებლობის შესახებ, ცდილობენ ამგვარი სახის ფსიქიკის რეალურად არსებობის დასაბუთებასა და მის შემეცნებას. თვითონ სიღრმის ფსიქოლოგიის ფარგლებში განარჩევენ თანამედროვე სიღრმის ფსიქოლოგიას კლასიკური სიღრმის ფსიქოლოგიისაგან. კლასიკურ სიღრმის ფსიქოლოგიაში აერთიანებენ ზიგმუნდ ფროიდის, ალფრედ ადლერისა და კარლ გუსტავ იუნგის ფსიქოლოგიურ კონცეფციებს: ფსიქოანალიზს, ინდივიდუალფსიქოლოგიასა და ანალიზურ ფსიქოლოგიას[8]. კლასიკურობა ამ თეორიებისა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი წარმოადგენენ იმ პრინციპული ხაზის დასაბუთებისა და გატარების ცდას, რაც ესოდენ განსხვავებული ჩანდა მანამდე არსებული ემპირიული ფსიქოლოგიისაგან, ამასთანავე, ისიცაა მიღებული მხედველობაში, რომ დღეს სიღრმის ფსიქოლოგიად ბურჟუაზიულ სამყაროში იწოდება მრავალი დიდი და პატარა სკოლა, რომლებიც ფსიქოანალიზის ნიადაგზე აღმოცენდნენ ან მისი გავლენა განიცადეს და ზ. ფროიდის, ა. ადლერისა და კ. გ. იუნგის თეორიები სწორედ მათგან უნდა განსხვავდეს[9].

კლასიკურ სიღრმის ფსიქოლოგიას, როგორც თანამედროვე სიღრმის ფსიქოლოგიას, უპირისპირებენ მე-20 საუკუნემდე არსებულ არაცნობიერის ფსიქოლოგიურ თეორიებს. ლაიბნიცის, ჰერბარტის, კარუსის და სხვათა ფილოსოფიურ და ფსიქოლოგიურ კონცეფციებში ცენტრალური ადგილი უჭირავს არაცნობიერი ფსიქიკის ცნებას. მაგალითად, ლაიბნიცის „მცირე აღქმა", ჰერბარტის „არაცნობიერი წარმოდგენა" ისეთი ფსიქიკური რომელობებია, რომლებსაც ცნობიერება ვერ ადასტურებს. ტერმინი თანამედროვე მარტო ისტორიული დროის აღმნიშვნელი არაა. იგი იმ მომენტსაც გულისხმობს, რომ არაცნობიერი ფსიქიკის შემეცნების მიზანი განსხვავებულია ძველისაგან. კერძოდ, იგი დაკავშირებულია ადამიანის, მისი ქცევისა და ნაქმობის გაგებასთან.

სიღრმის ფსიქოლოგიის ტერმინით გაერთიანებული ფსიქოლო-

---

[8] ფროიდს, ადლერსა და იუნგს უწოდეს „სიღრმის ფსიქოლოგიის ტრიუმვირატი".

[9] მაგალითად, დ. ვისი ასახელებს რამდენიმე ათეულ სიღრმისფსიქოლოგიურ სკოლას, D. W y s s, Die tiefenpsychologischen Schulen von den Anfängen bis zum Gegenwart, Göttingen, 1961. E. W i e s e n h ü t t e r, Grundbegriffe der Tiefenpsychologie, Darmstadt, 1969.

გიური თეორიები ბევრ რამეში ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. ზოგჯერ მათი მიკუთვნება სიღრმის ფსიქოლოგიური თეორიისადმი ფორმალური ნიშნით ამოიწურება. აღნიშნული ვითარება აქვთ მხედველობაში, როცა მიუთითებენ ისეთი ერთი სიღრმის ფსიქოლოგიური თეორიის, როგორც ამბობენ, „ზოგადი სიღრმის ფსიქოლოგიის" არარსებობის შესახებ, რომელიც მოხსნიდა ცალკეული სიღრმის ფსიქოლოგიების ცალმხრივობას და გააცნობიერებდა ამ მეცნიერების ფილოსოფიურ საფუძვლებს, პრობლემატიკისა და მეთოდოლოგიური პრინციპების ბუნებას, იქნებოდა სისტემატური მეცნიერული თეორია[10].

აღნიშნული ეხება სიღრმის ფსიქოლოგიის კლასიკურ თეორიებსაც. ეს ნათლად გამოჩნდება ფროიდის, ადლერისა და იუნგის კონცეფციების ანალიზიდან, მაგრამ თვითონ პრობლემა, რომელიც ითვლება კლასიკური სიღრმის ფსიქოლოგიის სასიცოცხლო პრობლემად, წარმოადგენს მათს გამაერთიანებელს და შემდეგნაირად ფორმულირდება: რა არის არაცნობიერი ფსიქიკა და რა ადგილი უკავია მას ადამიანის სტრუქტურაში. იგულისხმება, რომ არაცნობიერი ფსიქიკისათვის ადგილის მიჩენას ადამიანის სტრუქტურაში ლოგიკურად წინ უსწრებს ადამიანის რაობაზე სავსებით განსაზღვრული აზრი.

როგორც ითქვა, დაპირისპირება სიღრმის ფსიქოლოგიისა ცნობიერების ფსიქოლოგიასთან ემყარება ფსიქიკის არსებობის ფორმის შესახებ გარკვეულ შეხედულებას. როგორია ფსიქიკის ონტოლოგიური სახე? რა გზით შეიძლება მისი შემეცნება? რით უნდა დავკმაყოფილდეთ ფსიქიკის შემეცნებისას? — აი კითხვები, რომლებზედაც განსხვავებულად უპასუხებენ ფსიქოლოგიები.

ცნობიერების ფსიქოლოგია ფსიქიკურ სინამდვილეს წარმოადგენს ცნობიერების განზომილებით. ცნობიერება და ფსიქიკა აქ არსობრივ კავშირშია. ამიტომ ფსიქიკის არსებობა და ფსიქიკის განცდა სხვადასხვა რამ კი არაა, არამედ ერთი და იგივე საქმის ვითარების სხვადასხვა ტერმინებით აღნიშვნა. ცნობიერების ფსიქოლოგიის

---

[10] ბურჟუაზიულ მეცნიერებაში არის ამ ამოცანის გადაჭრის რამდენიმე ცდა, მაგალითად, იხ. P. R. Hofstätter, Einführung in die Tiefenpsychologie, Wien, 1948, Fr. Seifert, Tiefenpsychologie, die Entwicklung der Lehre vom Unbewußten, Zürich. 1955, R. Heiss, Allgemeine Tiefenpsychologie, Bern-Stuttgart, 1956, J. A. Caruso, Bios, Psyche, Person. Eine Einführung in die allgemeine Tiefenpsychologie, Freiburg-München, 1957.

შემეცნების ობიექტია ცნობიერი ფსიქიკა, რადგანაც სხვა სახის ფსიქიკა, თუ ცნობიერი არა, მისთვის არ არსებობს.

სიღრმის ფსიქოლოგიას არ აკმაყოფილებს ცნობიერების ფსიქოლოგიის ამოსავალი ონტოლოგიური დებულება და იძლევა ფსიქიკის განსხვავებულ გაგებას. ეს თეორია თვლის, რომ ცნობიერებაში დადასტურებული ფსიქიკა, განცდა ფსიქიკური რეალობის მხოლოდ ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს, რომელიც ფსიქიკის უფრო არსებითი ნაწილის — ა რ ა ც ნ ობ ი ე რ ი ფ ს ი ქ ი კ ი ს — გამოვლენაა. ცნობიერება თვისებაა, რომელიც ფსიქიკას მხოლოდ ზოგ მომენტში ახლავს თან. ფსიქიკა არსებობს ცნობიერების გარეშე და მისგან დამოუკიდებლად, ესაა არაცნობიერი ფსიქიკა. არაცნობიერი ფსიქიკა ფსიქიკის სიღრმეა. სიღრმის ფსიქოლოგიის შემეცნების ობიექტია არაცნობიერი ფსიქიკა, ფსიქიკის ერთ-ერთი სახე.

საგნობრივი თვალსაზრისის პრინციპული გატარება ამ ფსიქოლოგიების ურთიერთდამოკიდებულებას შემდეგნაირად წარმოგვიდგენს. ონტოლოგიური მრწამსი ცნობიერების ფსიქოლოგიას ავალებს სიღრმის ფსიქოლოგიისადმი უარყოფითი პოზიციის დაჭერას: სიღრმის ფსიქოლოგიას არსებობის უფლება არ უნდა ჰქონდეს, რადგანაც არ არსებობს სინამდვილის ის მონაკვეთი (არაცნობიერი ფსიქიკა), რაზედაც მან უნდა ააგოს მეცნიერება. სიღრმის ფსიქოლოგია ცნობიერების ფსიქოლოგიის გაუქმებას არ მოითხოვს და ვერც მოითხოვს. ვინაიდან ფსიქიკა, სიღრმის ფსიქოლოგიის მიხედვით, ცნობიერი და არაცნობიერი პროცესების ერთიანობაა, ფსიქიკის არაცნობიერი სფეროს შემეცნებამ ხელი უნდა შეუწყოს ფსიქიკის მთლიანი და ერთიანი ბუნების ცხადყოფის საქმეს. სიღრმის ფსიქოლოგიას ეკისრება იმ ხარვეზის შევსება, რაც გამოიხატება ცნობიერების ფსიქოლოგიის მიერ ფსიქიკის გაგების თავისებურებით. სიღრმის ფსიქოლოგიას არა აქვს პრეტენზია იყოს ერთადერთი ფსიქოლოგია. სამაგიეროდ ის იტოვებს უფლებას გადამწყვეტი სიტყვა თქვას არაცნობიერი ფსიქიკის შინაგანი ბუნების დადგენაში.

ამ ფსიქოლოგიების მიზანდასახულება ერთგვარად განაპირობა მათი აღმოცენების განსხვავებულმა საფუძველმა. ცნობიერების ფსიქოლოგია ფილოსოფიის წიაღიდან აღმოცენდა, მოიმარჯვა ბუნებისმეტყველურ-მექანისტური წესი აზროვნებისა და ცნობიერი ფსიქიკა განიხილა სტატიკური თვალსაზრისით. ამ ფსიქოლოგიამ ამოცანად დაისახა ცნობიერი სულიერი ცხოვრების კანონების აღმოჩენა, ფსიქიკური მოვლენებისა და ელემენტების დადგენა და დაჯგუფება. განსხვავებული პოზიცია უკავია სიღრმის ფსიქოლოგიას,

რომელიც ჩაისახა და აღმოცენდა მედიცინის ფარგლებში, პრაქტიკული ამოცანების გადაჭრის ძიების პროცესში. აქ მოხდა ბუნებისმეტყველურ-მექანისტური აზროვნების წესის თანდათანობითი დაძლევა ორგანული აზროვნების პოზიციაზე გადასელით, მასზე დგომით. სიღრმის ფსიქოლოგია, როგორც „ქმედითი და განმკურნავი ფსიქოლოგია"[11], მოითხოვს ფსიქიკაში მოძრაობისა და დინამიკის გათვალისწინებას. ამიტომ სიღრმის ფსიქოლოგიის დახასიათება დინამიკური ფსიქოლოგიის ტერმინით, როგორც ამბობენ, სავსებით გამართლებულია, რადგანაც აქ განხორციელდა ფსიქიკის ფარგლებში არსებული საქმის ვითარების ადეკვატური ასახვა. ფსიქიკაში ზოგადისა და უცვლელის მანამდე არსებული ძიებისაგან განსხვავებით, სიღრმის ფსიქოლოგია ცდილობს სულიერი ცხოვრების მიმდინარეობისა და ცვლილების გათვალისწინებას, ს უ ლ ი ე რ ი მ ო ძ რ ა ო ბ ი ს ცხადყოფას. ამაზეა დაფუძნებული ფსიქიკური პროცესების ერთგვარი წარმართვა, შეცვლა, არსებული მდგომარეობიდან სხვაში გადაყვანა ან მათი აღკვეთა. სწორედ აქ გამოჩნდა მკვეთრი დაპირისპირება ცნობიერების ფსიქოლოგიასა, როგორც თეორიულ ფსიქოლოგიასა, და სიღრმის ფსიქოლოგიას, როგორც პრაქტიკულ ფსიქოლოგიას შორის. არაცნობიერი ფსიქიკა დინამიკურ-ენერგეტიკული ბუნების მქონედაა გააზრებული. სიღრმის ფსიქოლოგია ამ სპეციფიკას ანგარიშს უწევს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მხრიდან.

ლაპარაკობენ მოპოვებული ფსიქოლოგიური ცოდნის გამოყენების შესახებ, მაგრამ გამოყენებითი ფსიქოლოგიის შინაარსი ამ ფსიქოლოგიებში სხვადასხვა რაიმეს გულისხმობს. ფსიქოტექნიკა, როგორც გამოყენებითი ფსიქოლოგია, ფსიქიკაში ტესტის მეთოდით მოპოვებულ მასალას იყენებს პრაქტიკული მოსაზრებისათვის. ფსიქოლოგიური ცოდნა ასევე შეიძლება გამოყენებული იქნეს სხვადასხვა სფეროში, მაგალითად, პედაგოგიკაში აღზრდა-სწავლების პროცესებთან დაკავშირებით, წარმოების ხაზით და ა. შ. მაგრამ გამოყენების აღნიშნული შინაარსი განსხვავდება იმ გამოყენებითი ფსიქოლოგიისაგან, რომელსაც სიღრმის ფსიქოლოგია ახორციელებს. აქ ცოდნის დადგენა ფსიქიკის ფარგლებში და ამ ცოდნის გამოყენება გარკვეული მოვლენების მიმდინარეობაზე ზემოქმედების მიზნით ერთი მთლიანი პროცესია და ხორციელდება ერთი პიროვნე-

---

[11] ტერმინი «handelnde un behandelnde Psychologie» სიღრმის ფსიქოლოგიის დასახასიათებლად ეკუთვნის რ. ჰაისს.

ბის მიერ[12]. ამ სპეციფიკურ ვითარებას ასახავს ტერმინი „მკურნალი ფსიქოლოგია". აქედან გამომდინარე, ცხადი უნდა იყოს, რომ ქმედითი ფსიქოლოგია და ქმედითი ფსიქოლოგი საჭიროებს სხვაგვარ აზროვნებას და ფსიქოლოგიასაც სხვაგვარად აგებს, ვიდრე თეორიული მიზნებით გამსჭვალული.

სიღრმის ფსიქოლოგიური აზროვნება, როგორც აზროვნების ისეთი წესი, რომელიც ითვალისწინებს ფსიქიკის დინამიკურ-გენეტური პროცესების თავისებურებას და ამასთან ერთად თერაპევტულ ამოცანას, იწოდება გაშუალებული გაგების სახით. გაშუალებული გაგების სიღრმისფსიქოლოგიური ცნება, უპირისპირდება ფსიქოლოგიაში გაგების ცნების გამოყენებულ შინაარსებს (ვ. დილთაი, კ. იასპერსი) იმ მხრივ, რომ ახსნა და გაგება აქ არ ქმნის ურთიერთგამომრიცხველ დაპირისპირებას. ცნობილია, რომ ვ. დილთაიმ ახსნა და გაგება დაუპირისპირა ერთმანეთს, როგორც მეთოდოლოგიური საშუალებები, რომლებიც გამოყენებული უნდა იქნან სინამდვილის სხვადასხვა სფეროში. ვ. დილთაის ცნობილი ფორმულა, „ბუნებას ვხსნით, სულიერ ცხოვრებას ვიგებთ", ამ ვითარების ლაპიდარული გამოთქმაა. გაგება ემყარება „განცდაში ფუნქციების კავშირის შინაგან მოცემულობას", ფსიქიკის ორიგინალურ შინაგან ბუნებას; აქ არ გამოიყენება ახსნა, როგორც უბრალო მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულების დადგენა. ახსნას გამოყენების სხვა სფერო აქვს, იგი მოიხმარება ბუნებისმეტყველებაში.

სიღრმის ფსიქოლოგიურ კონცეფციაში ახსნა და გაგება ერთმანეთის შემავსებელია და ეს ვითარება, როგორც გაშუალებული გაგება, უპირისპირდება უშუალო გაგების ზემოაღნიშნულ შინაარსს. სიღრმის ფსიქოლოგიაში აღრევა კი არაა კაუზალურ და გაგებით კავშირებს შორის, როგორც ამას ზოგი ფიქრობს[13], არამედ იმის გათვალისწინება, რომ გაგება ფსიქიკის ფარგლებში, რომელიც წარმოდგენილია ცნობიერი და არაცნობიერი მხარეების ერთიანობად,

---

[12] ფსიქიკის მკურნალობის ტექნიკური ხერხებია: ფსიქოანალიზური (ფროიდი), ინდივიდუალფსიქოლოგიური (ადლერი), ანალიზური (იუნგი), თანამედროვე სიღრმის ფსიქოლოგიაში კი — არსებობის ანალიტიკა (ბინსვანგერი), ექსისტენციალური ანალიტიკა (ფრანკლი) და სხვ. მოკლედ მათ შესახებ მიეუთითებთ ცალკეული თეორიის დახასიათების დროს.

[13] ფროიდის თეორიაში კაუზალური და გაგებითი კავშირების აღრევაზე მიუთითა კ. იასპერსმა. იხ. K. Jaspers, Allgemeine Psychopathologie, Berlin—Heidelberg, 1957, გვ. 452.

მოითხოვს ახსნას საშუალებად, მის პირველ აუცილებელ საფეხურად. აქ ახსნა გადადის გაგებაში[14].

სიღრმის ფსიქოლოგიას განასხვავებენ ცნობიერების ფსიქოლოგიისაგან დასაბუთების სპეციფიკითაც. ცნობიერების ფსიქოლოგია განცდის ახსნის შემთხვევაში მის საფუძვლად ისეთ რაიმეს ათავსებს, რაც განცდით არ დასტურდება. აქ აზრითი კონსტრუქციები მთავარ როლს თამაშობენ და დასაბუთება ემყარება წინაალმდეგობათა უკუგდებას. ხოლო სიღრმის ფსიქოლოგიაში განმსაზღვრელი ფაქტორები ცნობიერი ფსიქიკისა პრინციპულად განცდადია. განხილვის გენეტური წესი სიღრმის ფსიქოლოგიაში ეხება პროცესებს, რომლის ყველა წევრი შეიძლება ცნობიერებით დადასტურდეს[15].

ამგვარადაა წარმოდგენილი თანამედროვე სიღრმის ფსიქოლოგების მიერ კლასიკური სიღრმის ფსიქოლოგიის მეცნიერული სახე, მისი ბუნება, რაც უკავშირდება საგნობრივსა და მეთოდოლოგიურ მხარეებს. ცალკეული სიღრმის ფსიქოლოგიური თეორიების ანალიზის დროს შეეცდებით ვაჩვენოთ ამ თეორიების საერთო მომენტის გვერდით კერძოც, სპეციფიკურიც. ნაშრომის კრიტიკულ ნაწილში დაწვრილებით გაირჩევა და შეფასდება სიღრმის ფსიქოლოგიის ზემომთითებული თავისებურებანი და ნაჩვენები იქნება, თუ რამდენად შეიძლება ჩაითვალოს კლასიკური სიღრმის ფსიქოლოგია იმ პრეტენზიის მქონედ და პრობლემის დამაკმაყოფილებლად გადაჭრის მცდელად, რასაც ის დამსახურებად მიიწერს მეცნიერული ფსიქოლოგიის წინაშე.

§ 3. სიღრმის ფსიქოლოგიის პრობლემა. კლასიკური სიღრმის ფსიქოლოგიის წინაშე დგას ორი პრობლემა: რ ა ა რ ი ს ა რ ა ც ნ ო ბ ი ე რ ი ფ ს ი ქ ი კ ა დ ა რ ა ა რ ი ს პ ი რ ო ვ ნ ე ბ ა[16]. არაცნობიერი ფსიქიკისა და პიროვნების პრობლემები აქ ორგანულად დაკავშირებული ჩანს ერთმანეთთან. არაცნობიერი ფსიქიკის შინაარსი გადამწყვეტ როლს თამაშობს პიროვნების რაობის გარკვევაში. თავის მხრივ, პიროვნების სიღრმისფსიქოლოგიური კონცეპტი მოითხოვს არაცნობიერი ფსიქიკის პრობლემის პოზიტიურ გადაჭრას.

---

[14] იხ. რ. ჰ ა ი ს ი ს დასახელებული შრომა, გვ. 24—28.

[15] იხ. პ. რ. ჰოფშტეტერის დასახელებული შრომა, გვ. 9—10.

[16] რა თქმა უნდა, ლაპარაკია თეორიულ ასპექტზე. სიღრმის ფსიქოლოგიის საბოლოო პრობლემა პრაქტიკულია—უნდა მოხერხდეს პიროვნების განთავისუფლება ფსიქიკური აშლილობისაგან.

ზ. ფროიდმა ფსიქოანალიზს უწოდა სიღრმის ფსიქოლოგია[17]. ფსიქოანალიზის წიაღიდან აღმოცენდა ა. ადლერის ინდივიდუალ-ფსიქოლოგია და კ. გ. იუნგის ანალიზური ფსიქოლოგია. ზემოაღ-ნიშნული პრობლემებიდან ინდივიდუალფსიქოლოგია განსაკუთრე-ბით დაინტერესდა პიროვნების პრობლემით, ხოლო ანალიზურმა ფსიქოლოგიამ არაცნობიერი ფსიქიკის მიმართულებით წარმართა კვლევა-ძიება, მაგრამ, თვითონ პრობლემის ბუნებიდან გამომდინა-რე, ორივე თეორიაში გარჩეულია საკითხები პიროვნებისა და არა-ცნობიერის შესახებ.

ამ შრომაში ჩვენ ფსიქოანალიზს, ინდივიდუალფსიქოლოგიასა და ანალიზურ ფსიქოლოგიას ზემოაღნიშნული ორი პრობლემის კუ-თხით განვიხილავთ. შევეცდებით, ვაჩვენოთ ის ფილოსოფიური წა-ნამძღვრები, რომლებმაც ერთგვარად განაპირობეს პრობლემებზე კონკრეტული პასუხის გაცემა.

---

[17] ტერმინი „სიღრმის ფსიქოლოგია" პირველად უხმარია ე. ბლოილერს კ. გ. იუნგის მოძღვრების აღსანიშნავად პირველი მსოფლიო ომის წინ. იხ. ე. ვიზენპუტე-რის დასახელებული ნაშრომი, გვ. 9.

თავი II

ფსიქოანალიზი (ზ. ფროიდი 1856—1939)

§ 1. ფსიქოანალიზის ზოგადი დახასიათება. ტერმინს „ფსიქოანალიზი“ ორი მნიშვნელობა აქვს. იგი აღნიშნავს ფსიქიკური აშლილობის მკურნალობის განსაკუთრებულ მეთოდს და მოძღვრებას არაცნობიერი სულიერი პროცესების შესახებ. ასე ჩამოაყალიბა ზ. ფროიდმა ფსიქოანალიზის შინაარსი სტატიაში, რომელიც დაიბეჭდა 1926 წელს „ბრიტანეთის ენციკლოპედიაში“[1]. ჩვენი მსჯელობის საგანი იქნება ფსიქოანალიზი, როგორც მეცნიერება სულიერი არაცნობიერის შესახებ[2].

ზ. ფროიდი ფსიქოანალიზის, როგორც ერთ-ერთი ემპირიული მეცნიერების, ბუნების ცხადყოფისათვის მიმართავს მის შედარებას სხვა მეცნიერებებთან და მიუთითებს მათ მსგავსსა და განმასხვავებელ ნიშნებს. ავტორის გაგებით, ფსიქოანალიზი არაა ფილოსოფიური სისტემის მსგავსი კონცეფცია. ეს უკანასკნელი ამოდის მკაცრად განსაზღვრული ძირითადი ცნებებიდან და მათი საშუალებით ცდილობს სინამდვილის წვდომას. მას, დასრულებული სახით წარმოდგენილს, ადგილი აღარ რჩება ახალი აღმოჩენებისათვის, მათ ვერ ითვისებს. ფსიქოანალიზი, პირიქით, მიმართულია ფაქტებზე და ცდილობს გადაჭრას დაკვირვების დროს აღმოცენებული პრობლემები. ფსიქოანალიზი არაა საბოლოოდ ჩამოყალიბებული, იგი მზადაა გამოცდილების მიხედვით შეცვალოს თავისი მოძღვრება. ის ემს-

---

[1] Psycho-Analysis, XIV, 300. გერმანულად ეს სტატია გამოიცა 1934 წელს ფროიდის „ნაწარმოებთა კრებულის“ XII ტომში, ფროიდის ნაწარმოებთა კრებული 1925—1934 წლებში გამოიცა ვენაში 12 ტომად. ფროიდის შრომებს ყველგან ვუთითებთ ლონდონში გამოცემული „თხზულებათა კრებულის“ თერმეტი ტომეულის მიხედვით (1940—1952). რომაული ციფრი აღნიშნავს ტომს, არაბული — გვერდს.

[2] «Die Psychoanalyse... die Wiessenschaft von seelisch Unbewußten». Die Frage der Laienanalyse, XIV ; 263.

გავსება ფიზიკასა და ქიმიას იმით, რომ მისი ძირითადი ცნებები არაცხადნი არიან, მისი დაშვებები წინასწარი, პროვიზორული ბუნებისაა და მოელის მომავალი მეცნიერული შრომისაგან მკაცრ განსაზღვრას[3]. ფროიდი იზიარებს საყვედურს, რომელიც გამოთქმულია ფსიქოანალიზის მისამართით და ეხება ძირითად ცნებათა უზუსტობას. მას ნორმალურადაც კი მიაჩნია ასეთი ვითარება, რადგანაც ეს გამართლებულად ეჩვენება: რამდენადაც ფსიქოანალიზი ემყარება სულიერი ცხოვრების ფაქტებზე დაკვირვებას, ცვლილებაში მყოფი ემპირიული სიახლის მოპოვების გამო მისი თეორიული ზედნაშენი ჯერ კიდევ იქნება არასრული[4]. გონისმეცნიერებათა წინაალმდეგ, სადაც მკვეთრად გამოკვეთილი განსაზღვრებებია, რამდენადაც იქ ემპირიული სფერო ინტელექტუალური სისტემის ჩარჩოებშია მოქცეული, ფროიდის აზრით, ფსიქოლოგიაში, როგორც ბუნებისმეტყველურ დისციპლინაში, ძირითადი მნიშვნელობის ცნებების შინაარსის სიცხადე, გარკვეული აზრით, შეუძლებელიცაა. ზოოლოგიასა და ბოტანიკას თავიანთი საქმე არ დაუწყიათ ცხოველისა და მცენარის ცნებების განმარტებით, ასევე, ბიოლოგიამ დღემდე არ იცის ცნება-„ცოცხალის" ზუსტი მნიშვნელობა. ბუნებისმეტყველურ დისციპლინების ძირითადი ცნებები დასაწყისში განსაზღვრებების გარეშე რჩებიან, ისინი ჩვეულებრივ წინასწარ განიმარტებიან მითითების გზით. მხოლოდ დაკვირვების, ანალიზის მეშვეობით შეუძლიათ მათ გახდნენ ცხადნი, შინაარსით მდიდარნი და წინააღმდეგობისაგან თავისუფალნი[5].

ფსიქოანალიზი, ფროიდის რწმენით, არა მარტო თერაპიული სიახლეა, არამედ ამავე დროს იგი „ახალი ფსიქოლოგიაცაა"[6]. ფსიქოანალიზი ახალი ფსიქოლოგიაა იმ აზრით, რომ მისი კვლევა-ძიების სფერო გახდა მანამდე ხელმიუწვდომელი სინამდვილე, რომელსაც ეწოდება „არაცნობიერი ფსიქიკა"[7]. ფსიქოანალიზი, როგორც

---

[3] «Psychoanalyse» und «Libidotheorie», XIII, 229, შეად. Kurzer Abriß der Psychoanalyse, XIII, 420, იხ. აგრეთვე, Das Ich und das Es, XIII, 264.

[4] Psycho-aAnalysis, XIV, 303, შეად. Zur Einführung des Narzismus, X, 142.

[5] Selbstdarstellung, XIV, 84—85, შეად. Abriß der Psychoanalyse, XVII, 81. ფროიდის ეს დაუმთავრებელი ნაშრომი დაიწერა 1938 წელს, პირველად გამოქვეყნდა 1940 წელს.

[6] Kurzer Abriß der Psychoanalyse, XIII, 416.

[7] «...mit der Annahme unbewußter Seelenvorgänge eine entscheidende Neuorientierung in Welt und Wissenschaft angebahnt ist». Vorlesungen zur Einführung in die Psychoanalyse, XI, 15.

ახალი ფსიქოლოგია, სიღრმის ფსიქოლოგიაა, რადგანაც იგი არის მოძღვრება ცნობიერებისათვის პირდაპირი გზით მიუწვდომელი, ღრმად მდებარე სულიერი პროცესების შესახებ[8]. აქედან ფროიდის ფორმულა — „სიღრმის ფსიქოლოგია, ანუ არაცნობიერის ფსიქოლოგია"[9]. ფსიქოანალიზი პრეტენზიას აცხადებს იმაზე, რომ მან სულიერი ცხოვრების გაგება საერთოდ ახალ ნიადაგზე დააყენა. აღნიშნული რადიკალური ცვლილება მნიშვნელობის მქონეა ცოდნის ყველა სფეროსათვის, რამდენადაც ეს უკანასკნელნი ფსიქოლოგიაზე უნდა იქნან დაფუძნებულნი[10]. ფსიქოანალიზი არ უპირისპირდება „აკადემიურ ფსიქოლოგიას" — მოძღვრებას ცნობიერების ფენომენების შესახებ. ფსიქოანალიზი ცნობიერების ფსიქოლოგიის შესავალია. საერთოდ, თუკი ლაპარაკობენ არაცნობიერისა და ცნობიერების ფსიქოლოგიებს შორის არსებულ წინააღმდეგობაზე, ეს არაა საქმის ვითარების ობიექტური ასახვა. იგი უფრო მათ წარმომადგენელთა სუბიექტურ-პიროვნული მომენტების გამოვლენის ნაყოფია[11]. ფსიქოანალიზი, ფროიდის განცხადებით, არ აყენებს პრეტენზიას, რომ მან მოგვცეს ადამიანის სულიერი ცხოვრების ამომწურავი თეორია. მისი მოთხოვნა მხოლოდ ისაა, რომ მის მიერ მოპოვებული ცოდნა, რაც სპეციფიკური გზითაა მიღებული, გამოყენებული იქნეს ამ საკითხზე უკვე არსებულის შევსებისა და კორექტურისათვის[12].

ფსიქოანალიზი არაა მედიცინის სპეციალური დისციპლინა, თუმცა მან ბიძგი ამ სფეროდან მიიღო. იგი არც ე. წ. სამედიცინო ფსიქოლოგიაა, ე. ი. ავადმყოფური პროცესების ფსიქოლოგია. ფსიქოანალიზი ფსიქოლოგიაა, მაგრამ არა მთელი მოცულობით, არამედ მისი ფუნდამენტი[13].

ფროიდის რწმენით, ის, რასაც ფსიქოანალიზური წვდომა ეწოდება, არაა სპეკულატური სისტემით ნაკარნახევი. პირიქით, იგი გა-

---

[8] Kurzer Abriß der Psychoanalyse, XIV, 422.

[9] Die Frage der Laienanalyse, XIV, 234.

[10] Die Widerstände gegen die Psychoanalyse, XIV. 101.

ფროიდი წერს: »Streng genommen gibt es ja nur zwei Wissenschaften, Psychologie, reine und angewandte, und Naturkunde». Neue Folge der Vorlesungen... XV, 194.

[11] იხ. ფროიდის წერილი ი. ლ. მაგნესს 1933 წელს. S. F r e u d, Briefe, 1873—1939, Stuttgart, 1960, გვ. 411.

[12] Zur Geschichte der psychoanalytischen Bewegung, X, 93—94.

[13] Die Frage der Laienanalyse, XIV, 289.

მოცდილების, დაკვირვების გზით პირდაპირ მიღებული მასალის გადმოცემაა. მაგრამ ცნებები: „გამოცდილება“ და „დაკვირვების გზით მიღებული მასალა“ ჩვენი ავტორისათვის უფრო ფართო შინაარსისაა, ვიდრე ეს ჩვეულებრივ ამ ტერმინებში იგულისხმება. ფროიდთან ისინი აღნიშნავენ საქმის ვითარების იმგვარ წარმოდგენას, სადაც შემმეცნებელი სუბიექტის ჩარევა აუცილებელი ჩანს და ეს ჩარევა ხდის გამოცდილებას „ნამდვილ გამოცდილებად“. ამგვარი გამოცდილება მეცნიერებისათვის აუცილებელია. ფროიდი ხშირად ლაპარაკობს „მასალის დაძლევაზე“, რომელიც გადამუშავების გზით შეიძლება გახდეს გამოყენების ობიექტი, და ეს ხდება არა მარტო ფსიქოანალიზის ფარგლებში, არამედ იგი ბუნებისმეტყველების საერთო ხვედრია. ბუნებისმეტყველური დისციპლინები ეფუძნებიან აღქმის სამყაროს ფაქტების ძნელ და მოთმინებით დამუშავებას[14]. თეორია, რომელიც გამოცდილების პირდაპირი გამოხატვაა, ჰიპოთეზურ მომენტებს შეიცავს[15]. ამდენად ცნებები „გამოცდილებაში მოცემულობა“ და „ჰიპოთეზური დაშვება“ ფროიდთან თანაბარი გნოსეოლოგიური ღირებულებისა ჩანს[16].

საკითხი, რომელიც გახდა ფროიდის აზროვნების მამოძრავებელი, ეს იყო ფსიქიკური აშლილობის ერთ-ერთი სახის, ნევროზის მიზეზის ძიება. ჟან მარტენ შარკოს ფორმულა, რომ ნევროზის მიზეზი ე. წ. „დინამიკური ტრავმაა“, ფროიდის წინაშე დაისვა როგორც გადასაწყვეტი ამოცანა, რადგანაც „დინამიკური ტრავმის“ ცნების შინაარსი არ იყო ცნობილი, იგი გაშიფვრას საჭიროებდა. ნევროზის პრობლემის გადაწყვეტის ცდაში ერთმანეთს დაუპირისპირდა ფროიდი-ბუნებისმეტყველი და ფროიდი-ფილოსოფოსი. ეს დაპირისპირება იმაში გამოიხატა, რომ მოხდა ბუნების სფეროში წარმართული კვლევა-ძიების თეორიული წანამძღვრების გაცნობიე-

---

[14] Die Widerstände gegen die Psychoanalyse, XIV, 104.

[15] «...es legitim erschien, die Theorien, welche direkter Ausdruck der Erfahrung sind, durch Hypothesen zu ergänzen, welche zur Bewältigung des Stoffes zweckdienlich sind und sich auf Verhältnisse beziehen, die nicht Gegenstand unmittelbarer Beobachtung werden können». Selbstdarstellung, XIV, 85.

[16] ასევეა წერს ფროიდი — «Wir haben erfahren, das heißt annehmen müssen...» Das Ich und das Es, XIII, 240. ლ. ბინსვანგერი სამართლიანად შენიშნავს:

«...die Psychoanalyse sich nicht, wie andere empirische Wissenschaften, in erster Linie auf wahrgenommene Phänomene stützt, sondern auf angenommene Strebungen, Absichten und Tendenzen». Freud in der Gegenwart, Frankfurt a. Main, 1957, 211.

რება, დადგა მომენტი, როცა უნდა შემოწმდეს და შეფასდეს არსებული და ერთადერთი ღირებულების მქონედ გამოცხადებული წესი აზროვნებისა: ფსიქიკის თავისებურების გაგება ტვინის ფიზიოლოგიური კორელატით.

ფროიდს სწამს, რომ ფსიქიკა დაკავშირებულია ტვინის მოქმედებასთან. ის წერს: „კვლევა-ძიების შეურყეველი შედეგია ის, რომ სულიერი მოქმედება დაკავშირებულია ტვინის ფუნქციასთან ისე, როგორც არც ერთ სხვა ორგანოსთან"[17]. დაკავშირება არ ნიშნავს ტვინსა და სულიერ მოქმედებას შორის პარალელური ურთიერთობის არსებობას, იგი არის მატერიალურიდან ფსიქიკის წარმოშობა. ჩვენი ავტორი პირდაპირ აღნიშნავს, რომ არაცოცხალ მატერიაში გაიღვიძა სიცოცხლემ, რომ ცოცხალი მატერიის გარკვეულ ფენაში უფრო გვიან წარმოიშვა ცნობიერება[18].

მაგრამ თვით კავშირის ფაქტი ფსიქიკისა ტვინთან, ფროიდის აზრით, ჯერ კიდევ არაფერს ამბობს გადაჭრით ნერვული მოქმედებით ფსიქიკის ახსნის სასარგებლოდ. „ფსიქოანალიზის შესავალ ლექციებში" ფროიდმა ნათლად ჩამოაყალიბა თავისი პოზიცია ფსიქიკის ახსნის საკითხთან დაკავშირებით. მან სცადა, დაესაბუთებინა მეთოდოლოგიური დუალიზმი, ეჩვენებინა საჭიროება და აუცილებლობა ფსიქიკური სინამდვილისადმი სპეციფიკური ფსიქოლოგიური მიდგომისა. სამედიცინო მეცნიერებებმა გვასწავლეს ავადმყოფური მოვლენების ახსნა ფიზიკური და ქიმიური მიზეზებით. ამან უცხო გახადა ჩვენთვის „ფსიქოლოგიური აზროვნების წესი" და მიდგომა მოვლენებისადმი. არც სპეკულატური ფილოსოფია, არც აღწერითი ფსიქოლოგია, არც ექსპერიმენტული ფსიქოლოგია (შეგრძნების ორგანოთა ფსიქოლოგია) არაფერს გვაძლევს პრაქტიკულად საჭიროს სულისა და სხეულის ურთიერთობის საკითხში. ამიტომ ისინი არ გვაძლევენ გასაღებს სულიერი მოქმედების დარღვევის გაგებისათვის. ტვინს არ შეუძლია აგვიხსნას სიმპტომის წარმოშობა. ფსიქოანალიზი ცდილობს აღმოაჩინოს ავადმყოფობის საერთო საფუ-

---

[17] «Es ist ein unerschütterliches Resultat der Forschung, daß die seelische Tätigkeit an die Funktion des Gehirns gebunden ist wie an kein anderes Organ». Das Unbewußte, X, 273.

[18] «Irgend einmal wurden in unbelebter Materie durch eine noch ganz unvorstellbare Krafteinwirkung die Eigenschaften des Lebenden erweckt. Vielleicht war es ein Vorgang, vorbildlich ähnlich jenem anderen, der in einer gewissen Schicht der lebenden Materie später das Bewußtsein entstehen liess». Jenseits des Lustprinzips, XIII, 40.

ძველი, რომელზე დაყრდნობით შესაძლებელი იქნება ფსიქიკურ და სომატურ დარღვევათა შორის კორელაციის დადგენა. ამისათვის ფსიქოანალიზმმა, უპირველეს ყოვლისა, უნდა უკუაგდოს მისთვის უცხო ანატომიური, ქიმიური ან ფიზიოლოგიური თეორიები და ფსიქიკის ფარგლებში გამოიყენოს მხოლოდ და მხოლოდ წმინდა ფსიქოლოგიური ცნებები[19]. ფსიქოლოგიას არ უნდა ეთქვას უარი, რათა ახსნისათვის გამოიყენოს საკუთარი საშუალებები[20]. ამით აღდგენილი იქნება „ფსიქიკური ფაქტისადმი პატივისცემა". ფროიდი მტკიცედ დადგა მეთოდოლოგიური დუალიზმის ნიადაგზე. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში (1937 წ.) ის წერდა: „ჩემი მეცნიერული მუშაობა მიზნად ისახავდა სულიერი ცხოვრების უჩვეულო, არანორმალური, პათოლოგიური მოვლენების ახსნას, ე. ი. დაყვანას მათ უკან მოქმედ ფსიქიკურ ძალებზე"[21].

ფსიქოლოგია არ საჭიროებს თავის საქმისათვის ჰეტეროგენულ, არაფსიქიკურ საშუალებებს. ფიზიკა ფიზიკურს, თავის კვლევის ობიექტს, ფიზიკურით ხსნის. აქ კაუზალობა ფიზიკურის ფარგლებს არ შორდება. რატომ უნდა გადაუხვიოს ამ მეთოდოლოგიურ გზას ფსიქოლოგიამ ფსიქიკის ახსნის საკითხში? კაუზალური დამოკიდებულება ფსიქიკის ფარგლებს შიგნით გასაგები, აზრიანი ჩანს, ვიდრე ფსიქიკის ახსნა ფიზიოლოგიურით. სულის კვლევა საზრისიანი კავშირების დადგენა-დადასტურებაა. საზრისიანი ვერ გაიგება საზრისის ნიშანს მოკლებულისაგან, ფიზიოლოგიურისაგან. ფროიდი მიუთითებს: „შეცდომის დაშვების დროს აქამდე ვკითხულობდით — რა ვითარებაში წარმოიშვებიან ისინი. უნდა დავსვათ მეორე კითხვა — რატომ წარმოიშვა სახელდობრ ასეთი შეცდომა"[22].

რას ნიშნავს თქმა — ფსიქიკურ მოვლენას საზრისი აქვს? ეს ნიშნავს იმას, რომ ფსიქიკურ მოვლენას აქვს გარკვეული მიზანი, შინაარსი და მნიშვნელობა[23], მას აქვს ტენდენცია და განსაზღვრული ადგილი სხვა ფსიქიკურ მოვლენათა რიგში[24]. სხვაგვარადაც შეიძლება მისი დახასიათება, თუკი დავსვამთ კითხვებს: საიდან და სა-

---

[19] Vorlesungen, XI, 12—14.

[20] Einige Bemerkungen über den Begriff des Unbewußten in der Psychoanalyse, VIII, 341.

[21] წერილი რომენ როლანისადმი, XVI, 250.

[22] Vorlesungen, XI, 25.

[23] ი ქ ვ ე.

[24] ი ქ ვ ე, 35, 55.

ითკენ. პასუხი კითხვაზე „საიდან" ესაა მოელენის წარმოშობის ძიება, ხოლო პასუხი კითხვაზე „საითკენ" — მიზნის ძიება[25].

ფროიდმა პრინციპულად დასვა ფსიქიკური სინამდვილის ახსნის ბუნების საკითხი და მის მიერ გაცემული პასუხი ამ კითხვაზე კატეგორიულია: ფსიქიკური შეიძლება აიხსნას მხოლოდ ფსიქიკურით. აზროვნების ამგვარი წესი არაა ნაკარნახევი იძულებითი ვითარებით, იგი თვითონ ფსიქიკის ბუნებიდანაა გამომდინარე. სხვაგვარად, ფსიქიკურის ახსნა ფიზიოლოგიურით იმიტომ კი არ უარიყოფა, რომ ჯერჯერობით არ გაგვაჩნია სარწმუნო და ამომწურავი ცოდნა ტვინის ფიზიოლოგიური მოქმედების შესახებ და ამიტომ, სანამ აღნიშნული ხელთ არა გვაქვს, დროებით, პროვიზორულად უნდა გამოვიყენოთ ფსიქიკურის ახსნის საჭიროებისათვის ისევ ფსიქიკური. ხოლო როგორც კი ასეთი ცოდნა ჩვენს განკარგულებაში იქნება, მაშინვე უკუვაგდოთ აზრი ფსიქიკურის ამხსნელ პრინციპად ვარგისიანობის შესახებ და ფსიქიკური ავხსნათ ფიზიოლოგიურით. თითქოს ფსიქოლოგიას საკუთარი რესურსებით არსებობა არ შეეძლოს, მას ასულდგმულებს მისთვის ჰეტეროგენული მოელენა. ფსიქიკური უნდა აიხსნას და აიხსნება კიდევაც იმიტომ ფსიქიკურით, რომ საზრისიანის ახსნა ისევ მხოლოდ საზრისიანითაა შესაძლებელი[26].

საერთოდ, ფროიდი არ უარყოფს კვლევა-ძიებას ფსიქიკურისა და ფიზიოლოგიურის ურთიერთშესატყვისობის მხრივ, ფსიქიკის ფიზიოლოგიური კორელატის გარკვევის ცდას. იგი აღნიშნავს: მნიშვნელოვანია გაირკვეს, წარმოიშობიან თუ არა ცალკეული სულიერი გამოვლენანი უშუალოდ ფიზიკური, ორგანული, მატერიალური ზემოქმედებათაგან და ასეთ შემთხვევაში მათი შესწავლა ფსიქოლოგიის საქმე არაა ანდა მოვლენები წარმოიშობიან და დაკავშირებული არიან სხვა ფსიქიკურ პროცესებთან, რომელთა უკან, სადღაც უფრო შორს, იმალება ორგანული მიზეზების რიგი. ფსიქიკურ პროცესად ჩვენ ვთვლით მხოლოდ მეორე სახის პროცესებს[27].

ფროიდი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს დეტერმინაციის

---

[25] ი ქ ვ ე, 294.

[26] შემთხვევითი არაა, რომ კ. ბიულერმა აზროვნების ფსიქოლოგიის გვერდით დააყენა ფსიქოანალიზი, როგორც კლასიკური ასოციაციონისტური ფსიქოლოგიის დაძლევის ცდა, იხ. K. B ü h l e r, Die Krise der Psychologie, Jena, 1927, გვ. 12—13.

[27] Vorlesungen, XI, 55.

საკითხს. ავტორის მიხედვით, ფსიქოანალიზი, როგორც ბუნებისმეტყველური დისციპლინა, ეალდებულია საგანგებოდ იზრუნოს დეტერმინიზმზე, რადგანაც კაუზალობის კატეგორია მისი მუშაობის საფუძველია. აღნიშნულ მეთოდოლოგიურ პრინციპზე მდგომი ფროიდი პრინციპულად უარყოფს ბუნება-ფსიქიკაში შემთხვევითობის დაშვების აზრს. არ შეიძლება რაიმე მოხდეს ფსიქიკაში და იგი გამოწვეული არ იყოს სრულიად გარკვეული მიზეზით. უსაფუძვლოა „ფსიქიკური თავისუფლების ილუზია"[28]. ფროიდის მთელი ფსიქოანალიზური მოღვაწეობის შინაარსი ის იყო, რომ მოენახა ე. წ. უმიზეზო მოვლენის, ნევროზის საფუძველი, რაც, მისი რწმენით, მოიძებნა კიდევაც არაცნობიერის სახით. საზრისის მქონე არაცნობიერი ფსიქიკით ფსიქიკურის ახსნა უკვე აღარაა ჩვეულებრივი ახსნა, როგორც ეს, მაგალითად, ფიზიკაშია. ფსიქიკის ფსიქიკით ახსნა გაგების ფაქტად იქცევა. ფროიდი ხაზგასმით აღნიშნავს დეტერმინაციისა და საზრისიანობის პრინციპებს, როგორც მისი კონცეფციის ძირითად შემადგენელ ნაწილს, როცა ჩამოთვლის ფსიქოანალიზის არსებით მომენტებს[29].

§ 2. არაცნობიერი ფსიქიკის პრობლემა. ფროიდი მრავალგზის მიუთითებს, რომ ფსიქოანალიზის ამოსავალია არაცნობიერი ფსიქიკური პროცესების დაშვება, რომ არაცნობიერი ფსიქიკური პროცესებია მისი კვლევის ობიექტი, ამიტომაცაა ფსიქოანალიზი მის მიერ განმარტებული, როგორც მოძღვრება არაცნობიერი ფსიქიკურის შესახებ, ანუ სხვაგვარად „ფსიქოლოგია იგი-ს შესახებ".

ფსიქოანალიზური თეორიის ჩამოყალიბების პროცესში ზ. ფროიდმა მიზნად დაისახა შეხების წერტილები მოეძებნა საკუთარ კონცეფციასა, რომელსაც ის უწოდებს მეტაფსიქოლოგიას, და იმ დროს არსებულ (მე-19 საუკუნის უკანასკნელი ათეული) ფსიქოლოგიას შორის, როგორც თვითონ ამბობს, „ხიდი გაედო" მათ შორის[30]. ამ მიზნით ის გაეცნო თეოდორ ლიპსის ნაშრომს „სულიერი ცხოვრების ძირითადი ფაქტები"[31]. ფროიდს ამ ნაშრომში გადმოცემული

---

[28] ფროიდი წერს: «Ich brachte eine hohe Meinung von der Strenge der Determinierung seelischer Vorgänge». Über Psychoanalyse, VIII, 27—28.

[29] Kurzer Abriß der Psychoanalyse, XIII, 413.

[30] წერილი ე. ფლისისადმი 1897 წ., ob. Aus den Anfängen der Psychoanalyse, London, 1950, გვ. 278.

[31] Th. Lipps, Grundtatsachen des Seelenlebens, Bonn, 1883.

შეხედულება არაცნობიერი ფსიქიკის შესახებ მიაჩნია საკუთარი შეხედულების მონათესავედ[32].

რა თვალსაზრისზე დგას თ. ლიპსი არაცნობიერი ფსიქიკის საკითხთან დაკავშირებით აღნიშნულ ნაშრომში? თ. ლიპსისათვის უეჭველია ის, რომ არსებობენ საკმაო რაოდენობით ფსიქიკური ფაქტები, რომლებიც არ აღიქმებიან, მათი არსებობა და ცნობიერება ერთმანეთს არ ემთხვევა. ეს მსჯელობა არ ეხება წარმოდგენის (ცნობიერების) შინაარსს. შინაარსის ცნობიერების გვერდით არ არსებობს სხვა ცნობიერება, ერთი მხრით, და წარმოდგენის ყოველი შინაარსი ცნობიერია იმდენად, რამდენადაც იგი შინაარსია, მეორე მხრით. ცნობიერება და ფსიქიკური შინაარსის არსებობა არაა ერთმანეთისაგან განსხვავებული რამ; მაგრამ გარდა ცნობიერების ფსიქიკური შინაარსებისა კიდევ არსებობენ სულის „არაცნობიერი მდგომარეობები" და „მოქმედებები". სულის მოქმედებები წარმოშობენ როგორც ცნობიერების შინაარსებს, ისე არაცნობიერ მდგომარეობებს. არაცნობიერი მდგომარეობა არის არა მზა წარმოდგენა-პროდუქტი, არამედ საფეხური წარმოდგენის შინაარსის შექმნის პროცესში. რით ჰგავს არაცნობიერი მდგომარეობა ცნობიერი წარმოდგენის შინაარსს, თ. ლიპსის აზრით, არ ვიცით, მაგრამ, შესაძლებელია, მათი ეროიერთობა გააზრებულ იქნეს ურთიერთშიმართებად შესაძლებლობასა და სინამდვილეს შორის[33].

თ. ლიპსის გაგებით, არაცნობიერი პროცესის დაშვება ხდება ცნობიერი პროცესის საფუძველზე და არაცნობიერი პროცესის ბუნების შესახებაც ვასკვნით იმის მიხედვით, თუ როგორ ზეგავლენას ახდენს იგი ცნობიერზე. თ. ლიპსი დასძენს, რომ მას არ აწუხებს საკითხი არაცნობიერი პროცესის არსებობის ფორმისა, მისი მატერიალურობა — იმმატერიალურობის შესახებ. ფიზიოლოგიას აქვს არაცნობიერად წოდებული პროცესების მატერიალურ პროცესებთან გაიგივების საფუძველი. ფსიქოლოგიასა და ფილოსოფიას (შინაგანი გამოცდილების შესახებ მეცნიერებებს) მასთან საქმე არა აქვთ. აღნიშნულ პროცესებს, თ. ლიპსის აზრით, მაინც იმიტომ შეიძლება ეწოდოს სულიერი, რომ ისინი უშუალო კავშირში იმყოფებიან წარმოდგენებთან (ცნობიერების შინაარსებთან), პროცესის ერთი და

---

[32] «Bei Lipps habe ich die Grundzüge meiner Einsicht ganz klar wiedergefunden». წერილი ვ. ფლისისადმი 1898 წ., Aus den Anfängen der Psychoanalyse, გვ. 280.

[33] Grundtatsachen des Seelenlebens, გვ. 30—34.

ოგივე მიმდინარეობას ეკუთვნიან[34], სულიერი ცხოვრების ნაკადს მი-ეკუთვნებიან[35]. არაცნობიერი სულიერი პროცესები არა მარტო არ-სებობენ ცნობიერების გვერდით, არამედ ისინი ცნობიერ პროცე-სებს საფუძვლად ედებიან და მათ თან სდევენ. არაცნობიერიდან აღმოცენდება ცნობიერი და ეს უკანასკნელი ისევ არაცნობიერში ბრუნდება. არაცნობიერს ზემოქმედების ისეთივე უნარი შესწევს, როგორც ცნობიერ პროცესებს[36].

თ. ლიპსის აღნიშნული მსჯელობებიდან გამომდინარეობს: 1. ფსიქიკური შინაარსისა და ფსიქიკური პროცესის ერთმანეთისაგან გათიშვა, 2. ფსიქიკური შინაარსის არაცნობიერად არსებობის უარ-ყოფა და არაცნობიერად ფსიქიკური პროცესების ჩათვლა, 3. ფსიქი-კური პროცესის მიერ ფსიქიკური შინაარსის წარმოშობა და ამიტომ პროცესის ფსიქიკურად გამოცხადება, 4. ფსიქიკური პროცესის ჰი-პოთეზურობა, 5. ცნობიერი და არაცნობიერი პროცესებისადმი ზე-მოქმედების ერთნაირი უნარის მიწერა.

მოგვიანებით ზ. ფროიდი კვლავ შეეხო თ. ლიპსის არაცნობიე-რის ცნებასთან საკუთარი შეხედულების მსგავსების საკითხს შრო-მაში „ნაკვესი და მისი მიმართება არაცნობიერთან", რომელშიც იგი აღნიშნავს, რომ ცნებები: „ფსიქიკური ენერგია", „რეაგირება" და „ფსიქიკური ენერგიის რაოდენობრივი აღრიცხვა" შევიდა მის ყო-ველდღიურ სიტყვახმარებაში მას შემდეგ, რაც მან დაიწყო ფსიქო-პათოლოგიის ფაქტების ფილოსოფიურად გადაწყვეტა და უკვე „სი-ზმრის ინტერპრეტაციაში" შეეცადა თ. ლიპსთან თანხმობით ჩაე-თვალა „ფსიქიკური აზრით საკუთრივ მოქმედად" არა ის პროცესე-ბი, რაც ცნობიერების შინაარსს შეადგენენ, არამედ ის ფსიქიკური პროცესები, რომლებიც თავისთავად არაცნობიერია[37].

ზ. ფროიდს წიგნში „ნაკვესი და მისი მიმართება არაცნობიერ-თან" მოჰყავს თ. ლიპსის მსჯელობა შრომიდან „კომიზმი და იუმო-რი"[38] და მას იზიარებს, როგორც ზოგად დებულებას, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს ფსიქოლოგიის სფეროში წარმოებულ კვლევა-ძიებას. თ. ლიპსი აყალიბებს, როგორც თვითონ აღნიშნავს, ზოგად კანონს: ფ ს ი ქ ი კ უ რ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს ფ ა ქ ტ ო რ ე ბ ი ა

---

[34] ი ქ ვ ე, გვ. 127—128.
[35] ი ქ ვ ე, 149.
[36] ი ქ ვ ე, 149—150.
[37] Der Witz und seine Beziehung zum Unbewußten, VI, 165.
[38] Th. L i p p s, Komik und Humor, eine psychologisch-ästhetische Untersuchung, Hamburg und Leipzig, 1898.

არა ცნობიერების შინაარსები, არამედ თავისთავად არაცნობიერი ფსიქიკური პროცესები (ხაზგასმა ლიპსისაა). ფსიქოლოგიის ამოცანა, თუკი მას არ სურს მხოლოდ ცნობიერების შინაარსების აღწერა, იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ ცნობიერების შინაარსების თვისებიდან და მათი დროითი კავშირიდან გამოიტანოს დასკვნები არაცნობიერი პროცესების ბუნების შესახებ. ფსიქოლოგია უნდა იყოს აღნიშნული პროცესების თეორია, მაგრამ ასეთი ფსიქოლოგია მალე ნახავს, რომ არსებობენ ამ პროცესების ისეთი სავსებით განსხვავებული თავისებურებანი, რომლებიც ცნობიერების შესატყვის შინაარსებში არ არიან წარმოდგენილნი[39].

თ. ლიპსის შეხედულება არაცნობიერ ფსიქიკურზე „კომიზმში და იუმორში" ასეთია: იგი სვამს კითხვას — რას ნიშნავს თქმა, რომ შეგრძნებები და წარმოდგენები ცნობიერდებიან? — და მასზე შემდეგ პასუხს იძლევა: შეუძლებელია, აქ ნაგულისხმევი იყოს, რომ ერთი და იგივე ფსიქიკური შინაარსი ან პროცესი ხან არაცნობიერია, ხან ცნობიერების თვისებით შემკული არსებობს ჩვენში. ცნობიერი და არაცნობიერი შეგრძნებებისა და წარმოდგენების ქვეშ სხვა რამ უნდა ვიგულისხმოთ. ორი მნიშვნელობით იხმარებიან ტერმინები: შეგრძნება და წარმოდგენა. სახელდობრ, ერთ შემთხვევაში, ისინი ცნობიერების ფსიქიკური შინაარსებია, ხოლო, მეორე შემთხვევაში, ისინი პროცესებია. შეგრძნება-პროცესი და წარმოდგენა-პროცესი ეს ისეთი პროცესებია, რომელთა წყალობითაც არსებობენ შეგრძნება-შინაარსი და წარმოდგენა-შინაარსი, პროცესები შინაარსებს საფუძვლად ედებიან. შინაარსები ცნობიერებაში არსებობენ, პროცესები კი ცნობიერების ფილმა არიან. პროცესების არსებობა მხოლოდ დასკვნის გზითაა მიღებული და გამართლებული. მაშასადამე, როცა ვლაპარაკობთ ცნობიერი შეგრძნების შესახებ, ეს იმას გვეუბნება, რომ შეგრძნების პროცესი არა მარტო არსებობს და შეგრძნება-შინაარსის არსებობას უმიზნებს, არამედ მას ეს მიზანი უკვე მიღწეული აქვს. ამის საწინააღმდეგოდ, არაცნობიერი შეგრძნება ეწოდება ისეთ ვითარებას, როცა სახეზეა მხოლოდ შეგრძნება-პროცესი, ხოლო მისი ბუნებრივი მიზანი — შეგრძნების შინაარსის არსებობა — განხორციელებული არაა[40].

---

[39] იქვე, გვ. 123—124.

[40] იქვე, გვ. 118. არაცნობიერი პროცესის შესახებ აზრი თ. ლიპსს არ შეუცვლია არც შედარებით გვიანდელ ნაშრომში «Leitfaden der Psychologie», Leipzig, 1909.

თ. ლიპსი აღნიშნულ ნაშრომში არ ეხება არაცნობიერი პროცესის არსებობის ფორმის ანალიზის საკითხს. ამ საკითხთან დაკავშირებით ის მკითხველს მიუთითებს ადრინდელ შრომაზე „სულიერი ცხოვრების ძირითადი ფაქტები". მაშასადამე, თ. ლიპსი იმავე თვალსაზრისზე რჩება, რაც მან გამოთქვა ადრე. კერძოდ, რომ არაცნობიერი ფსიქიკური პროცესი ეს ჰიპოთეზია.

ზ. ფროიდი, როგორც აღნიშნული იყო, ეთანხმება თ. ლიპსს იმაში, რომ ფსიქოლოგია, როგორც ცოდნის გარკვეული სისტემა, უნდა იყოს არაცნობიერი სულიერი პროცესების თეორია. რომ არაცნობიერის საკითხი არის „არა ფსიქოლოგიური საკითხი, არამედ ფსიქოლოგიის საკითხი"[41].

როგორც ამას ფსიქოანალიზის კონცეფციის ანალიზი დაგვანახებს, ფროიდი თ. ლიპსის მოძღვრებაში არაცნობიერის შესახებ ნახულობს ისეთ მომენტებს, რომლებიც წარმოადგენენ საკუთარი თეორიის აუცილებელ შემადგენელ ნაწილს. ეს მომენტებია: 1. გათიშვა ფსიქიკური შინაარსისა ფსიქიკური პროცესისაგან, 2. ცნობიერი ფსიქიკის აღმოცენება არაცნობიერი პროცესიდან, 3. არაცნობიერის უნარი ზემოქმედება მოახდინოს ცნობიერ პროცესებზე და სხვ. ზ. ფროიდი არ ჩერდება მსგავსი დებულებების კონსტანტაციაზე და მიუთითებს იმ სიახლეზე, რომლითაც იგი შორდება თ. ლიპსის თვალსაზრისს. ეს ეხება არაცნობიერი სფეროს დახასიათებას. ზ. ფროიდთან არაცნობიერი ფსიქიკა განსხვავებული სისტემების ერთიანობაა. კერძოდ, „წინაცნობიერი" და „საკუთრივი არაცნობიერი" არაცნობიერი ფსიქიკური სინამდვილის ისეთი რომელობებია, რომლებიც პიროვნების სტრუქტურაში განსხვავებულ ფუნქციებს ახორციელებენ. ზ. ფროიდს სწორედ არაცნობიერი ფსიქიკის სფეროში მის მიერ დადგენილი სისტემები მიაჩნია წინ გადადგმულ ნაბიჯად არაცნობიერის შემეცნების საქმეში. სხვა მხრივაც რადიკალური განსხვავებაა თ. ლიპსსა და ზ. ფროიდს შორის. ეს ეხება თვითონ არაცნობიერის ონტოლოგიური სახის გააზრებას. თ. ლიპსთან, როგორც ვნახეთ, *არაცნობიერი პროცესის* კვალიფიკაცია *ფსიქიკურად* არაცნობიერი პროცესის საკუთარ ბუნებაზე არ მუთითებს. მასთან პროცესი ფსიქიკურადაა ჩათვლილი იმის გამო, რომ ცნობიერების ფსიქიკური შინაარსები უშუალოდ

---

[41] თ. ლიპსის ამ თეზისს, წამოყენებულს მიუნხენში 1896 წელს ფსიქოლოგთა მესამე ყრილობაზე წაკითხულ მოხსენებაში «Der Begriff des Unbewußten in der Psychologie», ფროიდი მიუთითებს შრომაში «Traumdeutung», II—III, 616.

მისგან წარმოშობილად გაიაზრებიან, ამ პროცესის მიმდინარეობის საბოლოო პროდუქტს წარმოადგენენ; ამიტომაა, რომ თ. ლიპსთან არაცნობიერ პროცესებს ე წ ო დ ე ბ ა ფსიქიკური, თავისთავად რას წარმოადგენენ ისინი, უცნობია. ზ. ფროიდისათვის კი არაცნობიერი პროცესები თავისთავად ფსიქიკურია. არაცნობიერის ფსიქიკურობა ის საფუძველია, რაზედაც აგებულია ფსიქოანალიზური თეორია.

რომ არაცნობიერი ფსიქიკის ცნება ამოსავალია ფსიქოანალიზისათვის და რომ პრაქტიკული საქმიანობა ამ ცნებას ემყარება, ეს საგანგებო მტკიცებას არ მოითხოვს, თუმცა სწორედ საგანგებო დასაბუთებას მოითხოვს არაცნობიერი ფსიქიკის რეალობის თეზისი. როგორაა წარმოდგენილი ფსიქოანალიზში არაცნობიერი ფსიქიკის დასაბუთება?

ფროიდი თვლის, რომ არაცნობიერი ფსიქიკის თეზისს მოეპოვება მრავალი არგუმენტი, რომლებიც უცილობლად ადასტურებენ მის რეალურ არსებობას. ფსიქოანალიზში წამოყენებული არგუმენტების დაყოფა თეორიულად და ემპირიულად, ანუ ფაქტობრივად, რა თქმა უნდა, პირობითია, რადგანაც ე. წ. ემპირიული არგუმენტი საბოლოოდ მაინც ისევ თეორიულ მოსაზრებას ემყარება, ამ უკანასკნელითაა განსაზღვრული.

ფროიდი მიუთითებს შემდეგი თეორიული ხასიათის არგუმენტებზე:

1) ფსიქიკა უწყვეტი რეალობაა. თუკი ფსიქიკა უწყვეტობის სუბსტანციალურ ნიშანს ფლობს, მაშინ ცნობიერებას აღარ რჩება უფლება, გადამწყვეტი სიტყვა თქვას ფსიქიკის არსებობის დადასტურების თაობაზე: იქ, სადაც ცნობიერება ხარვეზს ამჩნევს ფსიქიკის მიმდინარე პროცესებში, ნამდვილად ხარვეზი არაა. ფსიქიკა ცნობიერი და არაცნობიერი პროცესების უწყვეტი თანამიმდევრობა და მონაცვლეობაა. არაცნობიერი ფსიქიკა ცნობიერ ფსიქიკაში შემჩნეული ხარვეზისა და ცნობიერი ფსიქიკის წყვეტილი ბუნების შემავსებელია. ფსიქიკის წარმოდგენიდან უწყვეტი რეალობის საჭითაუცილებლობით გამომდინარეობს არაცნობიერი ფსიქიკის რომელობის აღიარება ცნობიერი ფსიქიკის გვერდით[42].

2) ფსიქიკა აიხსნება ფსიქიკით. ცნობიერებაში ხშირად ისეთი ფსიქიკური აქტები ხორციელდებიან, რომელთა ახსნისათვის საჭი-

---

[42] Das U n b e w u ß t e, X, 265.

რია დაშვებულ იქნეს ისეთი სხვა აქტების არსებობა, რის შესახებ ცნობიერებამ უშუალოდ არაფერი იცის. არაცნობიერი ფსიქიკური აქტები ცნობიერ ფსიქიკურ აქტებს გასაგებს ხდიან, რადგანაც ისინი ცნობიერი ფსიქიკური პროცესების ურთიერთკავშირს განაპირობებენ. ფსიქიკის სფეროში ამხსნელის როლი შეიძლება დაეკისროს ისევ ფსიქიკურს, რადგანაც არაფსიქიკური ფაქტორი მოკლებულია იმ ბუნებას, რითაც მიიღწევა საზრისიანი კავშირების ხილვა[43].

ე) ჰიპოთეზის პრაქტიკით დადასტურება. საზრისიანი კავშირების დადგენა ფსიქიკურ სინამდვილეში კანონიერი და აუცილებელი ძიებაა. თუკი აზრიანი კავშირების დროს არაცნობიერი ფსიქიკური პროცესის გამოყენებით, მასზე დაყრდნობით შევძლებთ მიზანშეწონილად ვიქონიოთ გავლენა ცნობიერი ფსიქიკური პროცესების მიმდინარეობაზე, მაშინ წარმატება-შედეგის სახით უდავო საბუთი გვაქვს არაცნობიერი ფსიქიკის არსებობის სასარგებლოდ[44].

4) ანალოგიით დასკვნა. ყოველი ჩვენგანის ცნობიერება ცოდნას გვაწვდის მხოლოდ საკუთარ სულიერ მდგომარეობაზე. ის, რომ სხვასაც აქვს ცნობიერება, ეს ანალოგიით დასკვნაა, გამომდინარე მოქმედებისა და ქცევების მოცემულობებიდან მათი გაგების მიზნით. ფსიქოლოგიურად უფრო სწორი იქნება, ფროიდის მიხედვით, თუ ვიტყვით, რომ ჩვენ მივაწერთ სხვას განსჯის გარეშე ჩვენ საკუთარ კონსტიტუციას და, მაშასადამე, ჩვენს ცნობიერებასაც. ეს გაიგივება განაპირობებს გაგებას. სხვისი ფსიქიკური (ცნობიერი) პროცესები ჩვენ უშუალოდ არ გვეძლევა, მაგრამ ქცევის საფუძველზე ვასკვნით მათს განმაპირობებელ ფსიქიკურ მდგომარეობებს. საკუთარი მე-ს მიმართაც უნდა დავდგეთ მსგავს პოზიციაზე. თუკი სხვის ქცევას ვხსნით ფსიქიკურით, რომლის ნამდვილ არსებობაში დარწმუნებული ვართ, მაგრამ რისი განცდა ჩვენს მიერ მიუღწეველია, ე. ი. იგი ჩვენთვის არაცნობიერი ფსიქიკაა, არაფერი არ უნდა გვიშლიდეს ხელს, ასეთსავე თვალსაზრისზე დავდგეთ თვითონ ჩვენი მე-ს მიმართაც და იქ, სადაც ხარვეზია ცნობიერი ფსიქიკის მიმდინარეობაში, უნდა დავუშვათ არაცნობიერი ფსიქიკის არსებობა, ანდა ყველა აქტი და გამოვლენა, რაც ჩვენში ხდება, მაგრამ არ ვიცი რა საფუძვლით, უნდა დაუკავშირდეს ისევ ჩემს არაცნობიერ ფსიქიკურ ცხოვრებას[45].

---

[43] ი ქ ვ ე, 266—267, Abriß der Psychoanalyse, XVII, 68.

[44] Das Unbewußte, X, 265.

[45] ი ქ ვ ე, 267—270, შეად. Selbstdarstellung, XIV, 57. ფროიდი წერს: «Wir

ასეთია თეორიული მოსაზრებები, რომლებიც ფროიდის მიერაა მოყვანილი არგუმენტებად ფსიქიკის რეალობის დასაბუთებისათვის. ამ არგუმენტებისა და არგუმენტაციის შესახებ, მათი ლოგიკური ძალის თაობაზე ჩვენ საგანგებო მსჯელობა გვექნება კრიტიკულ ნაწილში. ამჟამად მხოლოდ იმაზე მივუთითებთ, რომ ზემოჩამოთვლილი თეორიული მოსაზრებები არგუმენტაციის პროცესში გარკვეული აზრით ერთმანეთს მოითხოვენ და ეფუძნებიან კიდევაც.

ერთი მხრივ, ფროიდი აღიარებს, რომ არ არსებობს პირდაპირი შისასვლელი გზა არაცნობიერ ფსიქიკასთან, ე. ი. არაცნობიერი ფსიქიკა არ შეიძლება ცნობიერებას მიეცეს უშუალოდ თავისი ნამდვილი სახით და ამიტომ მისი არსებობის საკითხის შესახებ მსჯელობა გადატანილ უნდა იქნას თეორიული არგუმენტაციის სფეროში. მეორე მხრივ, პრაქტიკოსი, კლინიცისტი ფროიდი იყენებს არაცნობიერი ფსიქიკის პრობლემის გადაჭრის აღნიშნულ ერთადერთ კანონიერ გზას და უთითებს ემპირიულ, ფაქტობრივ მონაცემებზე, როგორც არაცნობიერი ფსიქიკის უცილობელ დამადასტურებელ საბუთზე. ასეთად ფროიდს მიაჩნია: პოსტჰიპნოზური მდგომარეობა და სიზმარი. კლინიცისტი ფროიდი იმასაც დასძენს, რომ არაცნობიერი ფსიქიკის შესახებ მსჯელობის უფლება ნაკლებად შეიძლება ჰქონდეს იმას, ვინც მას იცნობს მხოლოდ როგორც ცნებას, ვინც არასდროს არ დასაქმებულა პრაქტიკულად სიზმრის მოვლენის ანალიზითა და ინტერპრეტაციით[46]. პრაქტიკულმა მოღვაწეობამ, არაცნობიერი ფსიქიკის ცნების გამოყენებამ თერაპევტულ საქმიანობაში, ფროიდს ათქმევინა, რომ „არაცნობიერი სულიერი. ...გრძნობადად ხელშესახებია"[47]. ამიტომაა, რომ ფსიქოანალიტიკოსისათვის არაცნობიერი ფსიქიკა პოსტჰიპნოზური მდგომარეობის სახით ექსპერიმენტის ობიექტადაც კი ცხადდება[48].

---

nennen unbewußt einen psychischen Vorgang, dessen Existenz wir annehmen müssen, etwa weil wir ihn aus seinen Wirkungen erschliessen, von dem wir aber nichts wissen. Wir haben dann zu ihm dieselbe Beziehung wie zu einem psychischen Vorgang bei einem anderen Menschen, nur daß er eben einer unserer eigen ist. Wenn wir noch korrekter sein wollen, werden wir den Satz dahin modifizieren, dajs wir einen Vorgang unbenwust heissen, wenn wir annehmen müssem er sei derzeit aktiviert, obwohl wir derzeit nichts won ihm wissen». Neue Folge der Vorlesungen, XV, 77.

[46] Neue Folge der Vorlesungen, XV, 76.

[47] Vorlesungen, XI, 288.

[48] Die Frage der Laienanalyse, XIV, 224. Abriß der Psychoanalyse, XVII, 145—6.

რა ფაქტიურ ვითარებაზე მიუთითებს პოსტჰიპნოზური მდგომარეობა, რომელსაც ფროიდი უწოდებს „არაცნობიერი ფსიქიკის ახალ დასაბუთებას“? ჰიპნოზურ მდგომარეობაში მყოფ სუბიექტს შთააგონებენ, რომ აღნიშნული მდგომარეობიდან გამოსვლის შემდეგ განსაზღვრულ დროს უნდა შეასრულოს გარკვეული მოქმედება. ჰიპნოზურ მდგომარეობაში სუბიექტს აქვს იმის ცნობიერება, რაც მას მიაწოდეს დავალების სახით, ე. ი. მას აქვს მიზნის ცნობიერება, ხოლო ამ მდგომარეობიდან გამოსვლის შემდეგ ინდივიდი საკუთარ ცნობიერებაში ვერ აღასტურებს ვერავითარ განზრახვას, მიზანს, რომელიც მას განცდის სახით ჰქონდა მანამდე. განსაზღვრულ დროს ის, მართლაც, ზუსტად ასრულებს იმ მოქმედებას, რომელიც მას უნდა შეესრულებინა შთაგონების დროს მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით და თანაც ისე, რომ მას არა აქვს ცნობიერება ქცევის მიზანშეწონილების შესახებ. ყურადღება მახვილდება იმ მომენტზე, რომ ინდივიდი მიზანშეწონილ ქცევას არაცნობიერად ასრულებს, მიზანი, რომელიც ინდივიდს დაუსახეს ჰიპნოზურ მდგომარეობაში შთაგონებით, ცნობიერი იყო. ჰიპნოზური მდგომარეობის გავლის შემდეგ სუბიექტმა მის შესახებ არაფერი იცის. აქედან დასკვნა — მიზანი გადადის არაცნობიერ მდგომარეობაში და იქ ფსიქიკური სახით განაგრძნობს არსებობას განხორციელებამდე. მაშასადამე, არსებობს საფუძველი, ვიმსჯელოთ არაცნობიერ ფსიქიკურ განზრახვებზე, მიზნებზე, მისწრაფებებზე, აზრებზე და ა. შ.[49].

ფროიდის მითითებით, ის, რაც ცნობილია არსებითად არაცნობიერის შესახებ ფსიქოანალიზში, მიღებულია სიზმრის ინტერპრეტაციიდან. სიზმრის ფაქტს ფსიქოანალიზისათვის აქვს არა მარტო გადამწყვეტი მნიშვნელობა, როგორც არაცნობიერთან მისასვლელ საშუალებას, არამედ ის წარმოადგენს ამ თეორიის სასინჯ ქვასაც[50].

სიზმრის მოვლენაში უნდა გაირჩეს ორი მომენტი: „სიზმრის ტექსტი“, ანუ „მანიფესტური სიზმარი“ და „სიზმრის ლატენტური აზრი“. ფსიქოანალიზი მიზნად ისახავს აჩვენოს, როგორ გადადის

---

[49] ფროიდის პოზიცია არაცნობიერი ფსიქიკის ემპირიული დასაბუთების შესახებ სტატიაში—„რამდენიმე შენიშვნა არაცნობიერის ცნების შესახებ ფსიქოანალიზში“ — ასეთია: არაცნობიერი აზრების არსებობა სულში შეიძლება დასაბუთდეს არაპირდაპირი გზით, მაგრამ თითქმის ისე დამარწმუნებლად, ვითომც პირდაპირ მტკიცდებოდეს ჩვენი ცნობიერებითო. VIII, 433.

[50] Zur Geschichte der psychoanalytischen Bewegung, X, 101, Neue Folge der Vorlesungen, XV, 6.

სიზმრის ლატენტური აზრი მანიფესტურში, იგი-ს არაცნობიერი შინაარსი როგორ გარდაიქმნება წინაცნობიერად და მე-ს მეცადინეობით რა გეშტალტს ღებულობს ის. ამგვარ მოქმედებას საფუძვლად უდევს და ახორციელებს „სიზმრის მუშაობა". სიზმრის მუშაობის პროცესი ის აღმოჩენილი სიახლეა, რომელსაც შეუძლია, ფროიდის რწმენით, ღრმად ჩაგვახედოს იმ სინამდვილის ბუნებაში, რასაც არაცნობიერი ფსიქიკური სისტემა ჰქვია. ამ უკანასკნელში მოქმედებს სპეციფიკური კანონზომიერება (ფროიდი მას უწოდებს „პირველად პროცესს"), რისგანაც ესოდენ განსხვავდება ცნობიერი აზროვნება („მეორადი პროცესები"). ცნობიერი აზროვნების პოზიციიდან დანახული არაცნობიერი აზროვნების წესები საკვირველად და მცდარად მოჩანს. ფსიქოანალიზი არაცნობიერი ფსიქიკის კანონზომიერებას წვდება, აღმოაჩენს ინტერპრეტაციის საშუალებით, რაც გულისხმობს მანიფესტური შინაარსის ლატენტურში გადაყვანას. ფსიქოანალიზური ინტერპრეტაცია სიზმრის მუშაობის საპირისპირო მიმართულებაა.

სიზმარში ელინდება არაცნობიერის თავისებურებანი, რომლებსაც ფროიდმა უწოდა შემჭიდროება (Yerdichtung) და გადანაცვლება (Verschiebung). შემჭიდროება იმაში მდგომარეობს, რომ ხდება სიცხადის მდგომარეობის ცალკეული ელემენტების გაერთიანება ახალ წარმონაქმნად. ისეთი ვითარება იქმნება, რომ ერთ ელემენტს შეუძლია იკისროს მთელი ლატენტური შინაარსის (აზრების) წარმომადგენლობა. ამიტომაა, რომ მანიფესტური შინაარსის მოცულობა უმნიშვნელოა იმ უმდიდრეს მასალასთან შედარებით, რისგანაც იგი წარმოიშვა. სიზმარში თავს იჩენს მეორე სპეციფიკური ბუნება იმ სახით, რომ ხდება ფსიქიკურ ინტენსივობათა (ენერგიის მუხტის) გადაწევა, გადანაცვლება ერთი ელემენტიდან მეორეზე, რაც იწვევს სიზმარში განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ელემენტის ნაცვლად ასეთის არქონის წინ წამოწევას მანიფესტურ შინაარსში. ფროიდს არაცნობიერი ფსიქიკური სფეროს აღნიშნული ტენდენციებიდან, შემჭიდროებისა და გადანაცვლების ბუნების გათვალისწინებიდან გამოაქვს დასკვნა, რომ არაცნობიერ იგი-ში ფსიქიკური ენერგია თავისუფალი მოძრაობის მდგომარეობაშია. სიზმარი გვიჩვენებს სწორედ არაცნობიერში მოქმედი კანონზომიერების განსაკუთრებულობას, რომ ისაა „ალოგიკურის სამეფო". აქ ერთმანეთის

გვერდით თავსდებიან საწინააღმდეგო და ურთიერთგამომრიცხველი მისწრაფებები[51].

ასეა წარმოდგენილი ფსიქოანალიზში ფაქტობრივი მასალა, რაც უნდა დაადასტუროს ფსიქიკის არაცნობიერი არსებობა. ჩვენ არსებითად ე. წ. არაცნობიერი ფსიქიკის ორი ფაქტის: პოსტჰიპნოზური მდგომარეობისა და სიზმრის ფროიდისეულ გაგებაზე იმიტომ შევჩერდით და მით დაეკმაყოფილდით, რომ ამ მოვლენებში მთელი სიგრძე-სიგანითაა გამომჟღავნებული იმ ემპირიული არგუმენტაციის შინაგანი ბუნება, რამაც უნდა გაამართლოს, ფროიდის გაგებით, ფსიქიკის არაცნობიერი არსებობა.

მიეუთითეთ თეორიული და ემპირიული სახის არგუმენტებზე, რომლებიც ფსიქოანალიზში მიჩნეული არიან არაცნობიერი ფსიქიკის უდავო დადასტურებად; მაგრამ ჯერ არაფერი თქმულა არსებითი არაცნობიერის პრობლემის ლოგიკურ პირველ კითხვაზე — რა არის არაცნობიერი ფსიქიკა? ფსიქოანალიზი, როგორც ფსიქიკური არაცნობიერის თეორია, ვალდებულია პრინციპული და ზუსტი პასუხი მოგვცეს არაცნობიერი ფსიქიკის არსებობის ფორმის, შინაგანი გარკვეულობის, ონტოლოგიური სახის შესახებ.

ფროიდისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონეა არაცნობიერი ფსიქიკის შინაარსის დადგენის საქმეში ცნობიერებისა და ფსიქიკის ურთიერთმიმართების გარკვევა. რას წარმოადგენს არაცნობიერ ფსიქიკად წოდებული საქმის ვითარება — ცნობიერებასთან დაკავშირებულ მოვლენას თუ ცნობიერების გარეშე არსებულ რაობას? ფსიქოანალიზს ამ კითხვაზე არაორაზროვანი პასუხი აქვს: არაცნობიერი ფსიქიკა არის ფსიქიკა, რომელიც არსებობს ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად, ცნობიერების გარეშე[52].

ფროიდი ხშირად უთითებს იმ იდეასინკრეტულ შეხედულებას არაცნობიერი ფსიქიკის თაობაზე ფილოსოფოსთა ერთი ჯგუფის წარმომადგენლებთან, რომლებიც პრინციპულად უარყოფენ არაცნობიერი ფსიქიკის დაშვებას და ტერმინებს: „ცნობიერი" და „ფსიქიკური" იდენტური შინაარსის მქონედ თვლიან. აქ ცნობიერის სფერო ფარავს ფსიქიკურის მთელ მოცულობას, სულს არა აქვს არავითარი სხვა შინაარსი გარდა ცნობიერების მოვლენებისა, ფსიქოლო-

---

[51] Abriß der Psychoanalyse, XII, 88—91.

[52] „ცნობიერსა და არაცნობიერს შორის განსხვავება საბოლოოდ აღქმის საკითხია, რაზედაც პასუხი გაიცემა ან ჰოთი ან არათი". Das Ich und das Es, XIII, 242.

გიას, მეცნიერებას სულის შესახებ, არ გააჩნია სხვა ობიექტი კვლევისა თუ არა აღნიშნული ფენომენები. ფსიქიკის შესახებ ამგვარი შეხედულების დამცველს იმ კონცეფციის მიმართ, რომელსაც ფსიქოანალიზი იზიარებს, სახელდობრ, რომ სულიერი თავისთავად არაცნობიერია, ცნობიერება მხოლოდ თვისებაა, რომელიც ცალკეულ სულიერ პროცესებს მიეწერება და ამდენად სულიერი არ ემთხვევა გაცნობიერებულს, ამიტომაც არაა ერთი და იგივე, ხდება თუ არა სულში რაიმე და ვიცით თუ არა მის შესახებ, — გააჩნია ერთი უარყოფითი კვალიფიკაცია: ასეთი მტკიცება ფსიქიკაზე არის contradictio in adjecto, მსჯელობა არარსებულზე. ამგვარი შეფასება ფსიქოანალიზის ამოსავალი ვითარებისა, ფროიდის რწმენით, ემყარება ცნობიერებისა და ფსიქიკის იგივეობის თეზისს[53]. აღნიშნულის საპირისპიროდ ფროიდი თვლის, რომ თვითონ გაიგივება ცნობიერებისა ფსიქიკასთან არის petitio principii. ფსიქიკისა და ცნობიერების იდენტობა ესაა შეხედულება ცნობიერების გადაფასებული როლის შესახებ, ამიტომ იგი იძულებულს გვხდის ადრე დავტოვოთ წმინდა ფსიქოლოგიური კვლევა-ძიების სფერო[54].

ფროიდის მიხედვით, ზოგიერთი ცდილობს არაცნობიერი ფსიქიკის უარყოფას ცნობიერების ინტენსივობის, ანუ ნათელობის ფაქტზე მითითებით. თითქოს ფსიქოანალიზი არაცნობიერ ფსიქიკურში გულისხმობდეს ისეთ მდგომარეობას, რომელიც ოდნავ შესამჩნევად განიცდება, ცნობიერების დაბალ საფეხურს წარმოადგენს. ამგვარად გაგებულ არაცნობიერში ისინი წინააღმდეგობას ხედავენ — ეს მდგომარეობაც ხომ ცნობიერების ფაქტიაო და მას მიუღებლად თვლიან როგორც არაცნობიერი ფსიქიკის არსებობის უვარგის არგუმენტს და ამით არაცნობიერი ფსიქიკის საკითხს უარყოფითად გადაჭრილად მიიჩნევენ. ჩვენი ავტორის მიხედვით, აქ მოტანილ მსჯელობაზე შემდეგი შენიშვნის გაკეთება შეიძლება: არაცნობიერი ფსიქიკის უარყოფის საკითხში ცნობიერების საფეხურებზე მითითებას არ გააჩნია მტკიცების მეტი ძალა, ვიდრე ანალოგიურ მსჯელობას: არსებობს განათების მრავალი გრადაცია, დაწყებული ინტენსიურით და დამთავრებული სუსტი სინათლით, მაშასადამე, არ არსებობს სიბნელე[55].

როგორც დავინახეთ, ფროიდი უარყოფს აზრს ცნობიერებისა

---

[53] Widerstände gegen die Psychoanalyse, XIV, 193.
[54] Das Unbewußte, X, 266.
[55] Das Ich und das Es, XIII, 242.

და ფსიქიკის გაიგივებისა და აქედან გამომდინარე ცნობიერების (ცნობიერი ფსიქიკის) არაცნობიერად არსებობის შესახებ. ცნობიერება კი არაა არაცნობიერი, არამედ ფსიქიკაა არაცნობიერი. ცნობიერება და ფსიქიკა ერთმანეთისაგან განსხვავებული გარკვეულობებია. ცნობიერება ზოგჯერ უკავშირდება ფსიქიკას, ფსიქიკა ამ შემთხვევაში ცნობიერი ხდება, ცნობიერების ნიშანს იძენს. მაგრამ გასარკვევია მორიგი საკითხი: თუკი ფსიქიკა პრინციპულად არ უკავშირდება ცნობიერებას და მის გარეშე შესწევს არსებობის ძალა, რა სახით არსებობს ის ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად, რა ონტოლოგიური გარკვეულობა აქვს მას ამ შემთხვევაში? არაცნობიერი ფსიქიკის შესახებ თეორიამ აღნიშნულ კითხვაზე უნდა მოგვცეს გარკვეული პასუხი. წინააღმდეგ შემთხვევაში ის არ იქნება სწორედ თეორია არაცნობიერი ფსიქიკისა. საქმეს ვერ უშველის არაცნობიერის ფუნქციონალური დახასიათება, იმის აღნიშვნა, თუ რას აკეთებს არაცნობიერი. არაცნობიერი ფსიქიკის თეორიებში, ჩვეულებრივ, შეიმჩნევა ტენდენცია ა რ ა ც ნ ო ბ ი ე რ ი ფ ს ი ქ ი კ ი ს რ ა ო ბ ი ს საკითხი შეცვალონ ა რ ა ც ნ ო ბ ი ე რ ი ს ფ უ ნ ქ ც ი ო ბ ი ს საკითხით. ამ გზას ერთგვარად ვერც ფსიქოანალიზურმა თეორიამ დაალწია თავი. არაცნობიერი ფსიქიკის სისტემებს შორის არსებული ურთიერთმიმართების აღწერა, რომელსაც ფროიდი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს, ფუნქციონალური თვალსაზრისის მომარჯვების ნაყოფია. აღნიშნულის შესახებ დაწერილებით ქვემოთ ვიმსჯელებთ. ახლა კი უნდა გაირკვეს არაცნობიერი ფსიქიკის რაობის ფსიქოანალიზური კონცეპტი.

ფროიდის ნაშრომებში ხშირად შეხვდებით ტერმინებს: „არაცნობიერი წარმოდგენა", „არაცნობიერი სურვილი", „არაცნობიერი მისწრაფება", „არაცნობიერი შიში", „არაცნობიერი გრძნობა", „არაცნობიერი აფექტი", „არაცნობიერი აზრები" და სხვ. ავტორი ფსიქიკურს მრავალგზის ახასიათებს როგორც ისეთ პროცესს, რომელსაც მხოლოდ ზოგჯერ ახლავს თან ცნობიერების ნიშანი, თვისება, რომ ცნობიერების ქვალიტეტი ფსიქიკურისათვის ინკონსტანტურია; ფროიდი იმასაც ამბობს, რომ „ზოგიერთი ლატენტური მდგომარეობის შესახებ ჩვენ შეგვიძლია ვამტკიცოთ კიდევაც, ისინი განსხვავდებიან ცნობიერებისაგან მხოლოდ ცნობიერების უქონლობითო"[56].

აღნიშნულის შემდეგ მკითხველისათვის ბუნებრივი ჩანს, ამგვა-

[56] Das Unbewußte, X, 267, შეად. გვ. 271.

რი შეფასებიდან გამომდინარე, ფროიდი დაიცავდა აზრს: არაცნობიერი ფსიქიკა ესაა ისეთი ფსიქიკა, თავისი ბუნებითა და გარკვეულობით, როგორც ცნობიერებით განათებული ფსიქიკა, მაგრამ ამჟამად (არაცნობიერ არსებობაში) ცნობიერების ნიშანს მოკლებული; როგორც ამბობენ, არაცნობიერი ფსიქიკა ესაა ცნობიერი ფსიქიკა მინუს ცნობიერება.

მაგრამ ყურადღება სწორედ იმაზე უნდა გამახვილდეს, რომ როდესაც ფროიდის წინაშე საკითხი ისმის პრინციპული თვალსაზრისით იმის შესახებ, თუ რა არის არაცნობიერი ფსიქიკა თავისი რომელობისა და შინაგანი ბუნების მიხედვით, მაშინ ის გადაჭრით აცხადებს, რომ არაცნობიერი ფსიქიკა (არაცნობიერი წარმოდგენა) არაა ფსიქიკის არაცნობიერი შინაარსი, ისეთი შინაარსი, რომელსაც აკლია მხოლოდ ცნობიერების შუქი. ამ აზრს იცავდა ფროიდი მისი კონცეფციის ჩამოყალიბების არა ერთ რომელიმე მომენტში, არამედ ფსიქოანალიზის თეორიის ჩამოყალიბების დასაბამიდან (როცა 1900 წელს გამოქვეყნდა „სიზმრის ინტერპრეტაცია") მის ერთგვარად დასრულებული სახით წარმოდგენამდე (როცა 1938 წელს იწერებოდა „ფსიქოანალიზის ნარკვევი"). მოვიყვანოთ თვითონ ფროიდის მსჯელობები: 1900 წელი, „სიზმრის ინტერპრეტაცია": „არაცნობიერი ესაა საკუთრივ რეალური ფსიქიკური. იგი თავისი შინაგანი ბუნებით ისევე უცნობია, როგორც გარე სამყაროს რეალობა და ცნობიერების მოცემულობით ისევე არასრულად მოცემული, როგორადაც გარე სამყარო ჩვენი გრძნობის ორგანოების გზით მოცემული"[57]. 1913 წელი, „რამდენიმე შენიშვნა არაცნობიერის ცნების შესახებ ფსიქოანალიზში": „რომელი გეშტალტით შეუძლია მას (წარმოდგენას — ვ. კ.) არსებობა მაშინ, როცა ის სულიერ ცხოვრებაში ამჟამადაა, მაგრამ ცნობიერებაში ლატენტურია, ამის შესახებ არ შეგვიძლია ვარაუდი წამოვაყენოთ"[58]. 1923 წ., „მე და იგი": „ამჟამად ცნო-

---

[57] «Das Unbewubte ist das eigentlich reale Psychische, uns nach seiner inneren Natur so unbekannt wie das Reale der Aussenwelt, und uns durch die Daten des Bewußtseins ebenso unvollständig gegeben wie die Aussenwelt durch die Angaben unserer Sinnesorgane», II-III, 617—618.

[58] «In welcher Gestalt sie (Vorstellung—ვ. კ.) aber existiert haben kann,

ბიერი წარმოდგენა მომდევნო მომენტში ასეთი აღარაა, მხოლოდ მას შეუძლია გარკვეულ, ადვილად აღსადგენ პირობებში ისევ ცნობიერი გახდეს. რა იყო ის შუალედურ მდგომარეობაში, ჩვენ არ ვიცით. შეგვიძლია ვთქვათ, ის იყო ლატენტური და ამასთანავე ვიგულისხმოთ, რომ ის ყოველ დროს ცნობიერების უნარის მქონე იყო. როცა ვამბობთ აგრეთვე, რომ ის იყო არაცნობიერი ვიძლევით სწორ აღწერას. ეს არაცნობიერი მაშინ დაემთხვევა ლატენტურ-ცნობიერების უნარის მქონეს" [59]. 1932 წ., „ფსიქოანალიზის შესავალი ლექციების ახალი სერია": „ჩვენ არაცნობიერს ვუწოდებთ ფსიქიკურ პროცესს, რომლის არსებობა უნდა დავუშვათ, მის შესახებ არაფერი ვიცით, მაგრამ მასზე ვასკვნით მისი შედეგების მიხედვით"[60]. 1938 წ., „ფსიქოანალიზის ნარკვევი": „მაგალითად, როცა ვამბობთ, რომ აქ არაცნობიერი მოგონება ჩაერია საქმეში, მაშინ ეს სწორედ ნიშნავს — აქ ჩვენთვის რაღაც საესებით მიუწვდომელი მოხდა, რაც ცნობიერებაში რომ ამოსულიყო, შეიძლებოდა მისი მხოლოდ ასე და ასე აღწერა"[61].

ფროიდის აქ მოტანილი გამონათქვამების ძირითადი აზრი ისაა, რომ არაცნობიერ ფსიქიკაზე, როცა ის ცნობიერების მიღმა არსებულადაა ნაგულისხმევი, არაფრის თქმა არ შეგვიძლია არსებობის

---

während sie im Seelenleben gegenwärtig und im Bewußtsein latent war, darüber können wir keine Vermutung aufstellen», VIII, 340.

[59] «...die jetzt bewußte Vorstellung ist es im nächsten Moment nicht mehr, allein sie kann es unter gewissen leicht hergestellten Bedingungen wieder werden. Inzwischen war sie, wir wissen nicht was; wir können sagen, sie sei latent gewesen, und meinen dabei, daß sie jederzeit bewußtseinsfähig war. Auch wenn wir sagen, sie sei unbewußt gewesen, haben wir eine korrekte Beschreibung gegeben. Dieses Unbewußte fällt dann mit latent-bewußtseinsfähig zusammen», XIII, 240.

[60] «Wir nennen unbewußt einen psychischen Vorgang, dessen Existenz wir annehmen müssen, etwa weil wir ihn aus seinen Wirkungen erschliessen, von dem wir aber nichts wissen», XY, 77.

[61] «... wenn wir z. B. sagen, hier hat eine unbewußte Erinnerung eingegriffen, so heißt das eben: Hier ist etwas für uns ganz Unfassbares vorgefallen, was aber, wenn es uns zum Bewußtsein gekommen wäre, nur so und so hätte beschrieben werden können», XVII. 127. (ხაზგასმა ჩვენია). ფროიდი თავის მოღვაწეობას კანტის საქმის გაგრძელებად თვლის. კანტი გვაფრთხილებდა, ფენომენი არ ჩაგვეთვალა ნივთად თავისთავად. ფსიქოანალიზი ანალოგიურ გაფრთხილებას იძლევა ფსიქიკურის შემეცნების სფეროში. არ უნდა გაიგივდეს ცნობიერი ფსიქიკა, განცდა არაცნობიერ ფსიქიკასთან. ფსიქიკური არაა ისეთი, როგორადაც ჩვენ იგი გვეჩვენება. იხ. Das Unbewußte, X, 270.

ფორმის მხრივ, ონტოლოგიური სახის მიხედვით. ვიცით, რომ ცნობიერების გარეშე მიმდინარე არაცნობიერი პროცესი უნდა წარმოადგენდეს ფსიქიკას, მაგრამ თვითონ ამ ფსიქიკური პროცესის შინაგან ბუნებაზე, მის მდგომარეობაზე არაფერია ცნობილი. ფროიდი არაცნობიერ ფსიქიკას ზოგჯერ ახასიათებს როგორც: კვალს[62], დისპოზიციას[63], უნარსა და მიდრეკილებას[64], ინსტინქტის ანალოგიურ მოვლენას[65], ენერგიას[66]. აღნიშნული დახასიათებები, მართლაც, ვერ გვიჩვენებენ არაცნობიერი ფსიქიკის შინაგან გარკვეულობას. უფრო მეტიც, აღნიშნულ დახასიათებებს არ შეუძლიათ ონტოლოგიური კვალიფიკაცია მისცენ თვითონ არაცნობიერ პროცესს, გაარკვიონ არაცნობიერი პროცესის ბუნება, რა არის ეს პროცესი მატერიალური თუ ფსიქიკური, ვინაიდან ტერმინები — კვალი, დისპოზიცია, უნარი და ა. შ. მიუთითებენ სხვა განზომილებაზე, ფუნქციონალურ მომენტზე, ამიტომ ჯერ წინდაწინვე უნდა გაირკვეს, დადგინდეს კვალის, დისპოზიციის, მიდრეკილების და ა. შ. შინაგანი გარკვეულობა, რომ ისინი გამოდგნენ არაცნობიერი პროცესის ონტოლოგიურ მაკვალიფიცირებელ საშუალებად.

20-იან წლებში ფროიდი არც კი თვლიდა საჭიროდ არაცნობიერის ონტოლოგიური საკითხის დასმას და მასზე პასუხის გაცემას, მაშინ როცა ფსიქოანალიზის ამოსავალი არაცნობიერის ონტოლოგიური საკითხის გადაჭრაა, რომ არაცნობიერი სწორედ ფსიქიკა უნდა იყოს. ეს ვითარება, შეიძლება, განაპირობა მაინც იმან, რომ ჩვენი ავტორი განსაკუთრებით დაინტერესებული იყო არაცნობიერის ფუნქციობის გარკვევით[67].

---

[62] Das Unbewußte, X, 277, Jenseits des Lustprinzips, XIII, 24—25.

[63] Kurzer Abriß der Psychoanalyse, XIII, 412, Der Mann Mosses, XVI, 204.

[64] Der Mann Mosses, XVI, 205.

[65] Das Unbewußte, X, 294.

[66] Abriß der Psychoanalyse, XVII, 86.

[67] ფროიდი 1925 წელს წერდა: „ანალიტიკოსი უარყოფს თქვას, რა არის არაცნობიერი". Die Widerstände gegen die Psychoanalyse, XIV, 10.

«Was der seelische Apparat ist, wird bald klar werden. Aus welchem Material er gebaut ist, danach bitte ich nicht zu fragen. Es ist kein psychologisches Interesse, kann der Psychologie ebenso gleichgiltig sein wie der Optik die Frage, ob die Wände Fernrohrs aus Metall oder aus Pappendekel gemacht sind. Wir werden den stofflichen Gesichtpunkt überhaupt bei Seite lassen». Die Frage der Laienanalyse, XIV, 221.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ფროიდი ხშირად ხმარობს ისეთ გამოთქმებს, რითაც ცნობილ ცნობიერების შინაარსებს არაცნობიერის ნიშანს მიაწერს. მაგალითად, „არაცნობიერი წარმოდგენა", „არაცნობიერი სიყვარული", „არაცნობიერი აფექტი", „არაცნობიერი გრძნობა" და სხვ. არაცნობიერი ფსიქიკის ონტოლოგიური ბუნების გარკვევისათვის, გარდა უკვე მითითებული ფროიდის მიერ გამოთქმული მსჯელობებისა, რომლებიც არსებითად იძლევიან საკითხის უარყოფითად გადაწყვეტას, საყურადღებოა აგრეთვე ავტორის ის მსჯელობებიც, სადაც საკითხი ისმის იმ შინაარსის დაზუსტების შესახებ, რაც უნდა იგულისხმებოდეს დასახელებულ ზოგიერთ ტერმინში. ფროიდი აანალიზებს, მაგალითად, გრძნობის ფსიქიკურ ფენომენს და მიდის დასკვნამდე, რომ <u>გრძნობა</u> როგორც ცნობიერების შინაარსი, არ შეიძლება არსებობდეს იმავე გარკვეულობით ცნობიერების მიღმაც, არაცნობიერ მდგომარეობაში. „არაცნობიერი გრძნობა" ტერმინია, რომელიც, როგორც ფროიდი მიუთითებს, არაპირდაპირი მნიშვნელობითაა ნახმარი და ნიშნავს სახელდობრ ისეთ ჩანასახოვან მდგომარეობას, ანუ შესაძლებლობას, რომელიც თუკი განვითარდება პროცესის სახით, მაშინ მისი საბოლოო შედეგი მოგვევლინება ცნობიერების გარკვეული შინაარსის — გრძნობის სახით. ცნობიერებაში ამოსვლამდე ე. წ. არაცნობიერი გრძნობა არაა ჩვენთვის ცნობილი ფსიქიკური შინაარსი, იგი მხოლოდ ენერგიის გახარჯვის პროცესია. ფროიდი წერს: „არაცნობიერ აფექტს ამავე სისტემაში (არაცნობიერის სისტემაში —ვ. კ.) შეესატყვისება მხოლოდ აფექტის ჩანასახი, ვითარცა შესაძლებლობა, რომელსაც არ მიუღია შემდგომი განვითარება... აფექტები და გრძნობები შეესატყვისებიან ენერგიის გახარჯვის პროცესებს, რომელთა საბოლოო გამოვლენანი აღიქმება შეგრძნებების სახით"[68]. იმავე შრომაში გარკვევითაა მითითებული: „არაცნობიერობის შესაძლებლობა, ამგვარად, სავსებით მოხსნილია გრძნობებთან, შეგრძნებებთან და აფექტებთან"[69].

ზ. ფროიდს „არაცნობიერი წარმოდგენა" გაგებული აქვს რო-

---

[68] «...dem Unbewußten Affekt ebendort (im System Ubw—ვ. კ.) nur eine Ansatzmöglichkeit, die nicht zur Entfaltung kommen durfte, entspricht... Affekte und Gefühle Abfuhrvorgängen entsprechen, deren letzten Äusserungen als Empfindungen wahrgenommen werden». Das Unbewußte, X, 277.

[69] «Die Möglichkeiten einer Unbewußtheit würde also für Gefühle, Empfindungen, Affekte, völling entfallen», ი ქ ვ ე, 276.

გორც კვალი. იგი აღნიშნავს „წარმოდგენები (არაცნობიერი წარმოდგენები — ვ. კ.) არსებითად მოგონების კვლები არიან“[70]. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ „მოგონების კვლებს არავითარი საერთო არა აქვთ გაცნობიერებასთან“[71], მაშინ არ უნდა იყოს ძნელი დასანახი, რაოდენ შორს უნდა იდგეს ზ. ფროიდი არაცნობიერი ფსიქიკის იმ გაგებისაგან, რომლის მიხედვითაც, არაცნობიერი ფსიქიკა ეს მხოლოდ ცნობიერების ნიშანს მოკლებული ფსიქიკური შინაარსების ცნობიერების მიღმა არსებობაა. ზ. ფროიდი იმასაც აღნიშნავს, რომ აფექტებისა და წარმოდგენების არაცნობიერი არსებობა ერთგვაროვანი არაა. მას ამ შემთხვევაში მხედველობაში აქვს ის, რომ არაცნობიერი წარმოდგენა მოგონების კ ვ ა ლ ი ა, ხოლო არაცნობიერი აფექტი — ე ნ ე რ გ ი ი ს გ ა ხ ა რ ჯ ვ ი ს პ რ ო ც ე ს ი, არაცნობიერ წარმოდგენასა და არაცნობიერ აფექტს შორის განსხვავებას ეს ვითარება ქმნის[72]. ორივე აღნიშნული მოვლენა მსგავსებას ამჟღავნებს იმით, რომ ცნობიერებაში ფენომენების სახით არსებულნი არაცნობიერში შინაარსის ფორმით აღარ განაგრძობენ არსებობას.

ზ. ფროიდის აზრით, ყურადღება უნდა მიექცეს იმ ვითარებას, რომ ფსიქიკა შეიძლება განიხილოს ორი თვალსაზრისით: აღწერითი და სისტემატურით. აღწერითი თვალსაზრისით, გვაქვს ფსიქიკის სამი სფერო: ცნობიერი (Bw), წინაცნობიერი (Vbw) და არაცნობიერი (Ubw). ცნობიერი ფსიქიკის სფერო უპირისპირდება წინაცნობიერსა და არაცნობიერს განცდის თვისებით, წინაცნობიერი ეს ფარული (ლატენტური) არაცნობიერია, რომელსაც ჩვენი ავტორი პოტენციურ ცნობიერსაც უწოდებს. ეს უკანასკნელი ცნობიერ ფსიქიკასთან ახლო მდგომია. აღნიშნული ახლოდგომა ცნობიერ სფეროსთან იმაში გამოიხატება, რომ მას შეუძლია შეაღწიოს ცნობიერებაში ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე. წინაცნობიერისაგან, როგორც ცნობიერების უნარის მქონესაგან, განსხვავებულია განდევნილი არაცნობიერი ფსიქიკა. განდევნილი არაცნობიერი ფსიქიკა ნამდვილი არაცნობიერია. მას არ შესწევს უნარი, შემოვიდეს ცნობი-

---

[70] «Vorstellungen (unbewußte Vorstellungen— ვ. კ.) Besetzungen — im Grunde von Erinnerungsspuren sind». ი ქ ვ ე, 277.

[71] «Wir annehmen, daß alle Erregungsvorgänge in den anderen Systemen Dauerspuren als Grundlage des Gedächtnissen in diesen hinterlassen, Erinnerungsreste also, die nichts mit dem Bewußtwerden zu tun haben», Jenseits des Lustprinzips, XIII, 24.

[72] Das Unbewußte, X, 277.

ერებაში თავისი ბუნებრივი გარკვეულობით. ცნობიერებაში შეიძლება შემოაღწიოს მხოლოდ განდევნილი არაცნობიერი ფსიქიკის წარმომადგენელმა. როგორც ირკვევა, აღწერით თვალსაზრისზე დგომა არაცნობიერი ფსიქიკის ორ რომელობას გვაძლევს: წინაცნობიერსა და არაცნობიერს. დინამიკური (სისტემური) თვალსაზრისის გამოყენება აუქმებს არაცნობიერში რომელობების დამოუკიდებლობას და არაცნობიერ ფსიქიკას განიხილავს ერთ მთლიან სისტემად, რომელიც უპირისპირდება ახალი ასპექტით ცნობიერი ფსიქიკის სფეროს[73].

ფსიქოანალიზური თეორიის ჩამოყალიბების ბოლო პერიოდში ზ. ფროიდი ლაპარაკობს არაცნობიერი ფსიქიკის ოთხ ფუნქციონალურ რომელობაზე: წინაცნობიერი, განდევნილი, არქაული მემკვიდრეობა და საკუთრივ არაცნობიერი, რომელთაც ფსიქიკის სტრუქტურაში განსხვავებული ამოცანის შესრულება ეკისრებათ. ზ. ფროიდი არაცნობიერი ფსიქიკის აღნიშნული რომელობების ერთგვარ დახასიათებას იმითაც იძლევა, რომ ის ლაპარაკობს მათ გენეზისზე. წინაცნობიერი, განდევნილი და არაქაული მემკვიდრეობა იმ ბუნებისანი არიან, რომ ისინი წარმოიშვნენ ცნობიერებიდან — ისინი ერთ დროს ცნობიერების შინაარსები იყვნენ და მხოლოდ ამის შემდეგ. გარკვეული ვითარების გამო, იქცნენ არაცნობიერად. მათთვის არაცნობიერობა, ასე რომ ვთქვათ, მ ე ო რ ე უ ლ ი ბუნებაა. საკუთრივ არაცნობიერი ფსიქიკა ს ა წ ყ ი ს ი ს ე უ ლ ი ა, იგი, როგორც ასეთი, არაცნობიერია. ეს უკანასკნელი უშუალოდ ჩვენთვის მიუწვდომელია და მისი შემეცნების სიძნელეც აქედან წარმოსდგება.

ფსიქოანალიზური კვლევის დამაგვირგვინებლად ფროიდი თვლის „მეტაფსიქოლოგიას", რომელიც ფსიქიკური სინამდვილის ხედვის აპრიორს კი არ წარმოადგენდა, არამედ გამოცდილების დაგროვების ანალიზის შედეგს. ფსიქიკური სინამდვილის მეტაფსიქოლოგიური ხედვა სისტემატური თვალსაზრისის ფარგლებში თავსდება და სამი ასპექტით წარიმართება: ტოპიკური, დინამიკური და ეკონომიკური[74].

---

[73] Das Ich und das Es, XIII, 241—242.

[74] «Ich nannte so («Metapsychologie»— ვ. კ.) eine Weise der Betrachtung, in der seeliche Vorgang nach der drei Koordinaten der Dynamik, Topik und Okonomie gewürdigt wird, und sah in ihr das äußerste Ziehl, das der Psychologie erreichbar ist», Selbstdarstellung, XIV, 85.

ნაშრომი, სადაც პირველად გატარდა აღნიშნული თვალსაზრისი, ესაა „ნარციზმის შესავალი" (1914), ხოლო საბოლოოდ შეივსო და დამკვიდრდა „ფსიქოანალიზის შესავალი ლექციების ახალ სერიაში" (1933).

ტოპიკური (სივრცობრივი) ასპექტის მიხედვით ფსიქიკა რთული ინსტრუმენტია, რომელიც შეიცავს სამ სფეროს, ინსტანციას: იგი, მ ე, ზ ე-მ ე. აქ მიზნადაა დასახული რთულ ინსტრუმენტში განსხვავებული სულიერი პროცესების ლოკალობის დადგენა. მითითებულია იმაზე, თუ რა ინსტანციებს შორის ხორციელდება ფსიქიკური აქტივობა. ტოპიკური ასპექტი, ფროიდის მიხედვით, იმავე დროს გენეტურიცაა, რადგანაც აქვე დგება წარმოშობის მხრივ ინსტანციების ურთიერთმიმართების საკითხი[75].

დინამიკური ასპექტის მიხედვით, ყველა ფსიქიკური პროცესი დაიყვანება ძალთა ურთიერთობაზე. ფსიქიკური ძალები ერთმანეთს ან ხელს უწყობენ, ან ანტაგონიზმის გამო აკავებენ. ფსიქიკური ძალები ლტოლვებს წარმოადგენენ. ეს ძალები-ლტოლვები ცნობიერებაში ვლინდებიან აფექტურად დამუხტული წარმოდგენების სახით. არსებობს ლტოლვების ორი ძირითადი ჯგუფი: სექსუალური ლტოლვები (ეროსი) და დესტრუქციის ლტოლვები (სიკვდილის ლტოლვა).

ეკონომიკური ასპექტის მიხედვით, ლტოლვის ფსიქიკური წარმომადგენელი (შემცვლელი) დახასიათებულია, როგორც ენერგიის გარკვეული რაოდენობით დამუხტული. ფსიქიკური აპარატი წარმოდგენილია იმ სახით, რომ მას აქვს ტენდენცია, თავიდან აიცილოს ენერგიის დაგუბება და დაბლა დასწიოს აგზნებათა საერთო ჯამი. ფსიქიკური პროცესების მიმდინარეობა ავტომატურად რეგულირდება სიამოვნების პრინციპით. ამ უკანასკნელის გარემოსთან შეხების გზით მე-ში აღმოცენდება რეალობის პრინციპი.

რას წარმოადგენენ ი გ ი, მ ე, ზ ე-მ ე? ი გ ი ფროიდისათვის წარმოადგენს საკუთრივ არაცნობიერს. მასში ყველა პროცესი არაცნობიერია. აქ თავს იყრის ლტოლვები[76]. ი გ ი არის ფსიქიკის უძველესი, თავდაპირველადი საფეხური, რისგანაც შემდეგ აღმოცენდა მ ე. თავის მხრივ, მოგვიანებით მ ე-შიაც გამოიყოფა განსაკუთრებული საფეხური, რომელსაც ეწოდება ზ ე-მ ე. მე არის გარესამყაროს (რეალობის) ზემოქმედების გზით მოდიფიცირებული ფენა ი გ ი-ში. ამიტომაა, რომ მ ე დახასიათებულია ფსიქიკის ზედაპირულ მომენ-

---

[75] Ner Mann Mosses, XVI, 202—204, ფსიქიკის ტოპიკა ეხება ფსიქიკურ აპარატს დამოუკიდებლად სხეულში მისი მდებარეობისა.

[76] »Im Es greifen unsere ursprünglichen Triebe an». Der Mann Mosses, XVI, 203.

ტად, წინააღმდეგ სულის ღრმა მდებარე ფენისა, რომელსაც ი გ ი ჰქვია. მ ე ადგილს იჭერს რეალობასა და ი გ ი-ს შორის.

ფსიქიკის უძველესი ფენა ი გ ი-სათვის არსებითად ითვლება ის, რომ მასში კონფლიქტი არაა. წინააღმდეგობები, დაპირისპირებულობები აქ ერთმანეთის გვერდით თავსდებიან და ისინი კომპრომისული წარმონაქმნების წყალობით წონასწორდებიან[77]. ი გ ი-ში ფსიქიკური პროცესები სხვა კანონზომიერებას ექვემდებარება, ვიდრე მ ე-ში. ეს აღმოჩენა, ფროიდის რწმენით, ითვლება ფსიქოანალიზური კონცეფციის გამართლებად. ფროიდი ი გ ი-ში მიმდინარე პროცესებს უწოდებს პირველად პროცესებს, რომლებსაც განასხვავებს მ ე-ში მიმდინარე მ ე ო რ ა დ ი პროცესებისაგან[78]. ამიტომაა, რომ ი გ ი-ს სფერო დახასიათებულია როგორც „ქაოსი"[79], „ალოგიკური სამეფო"[80]. იგი-ში არაა არავითარი შეფასება, მორალი, სიკეთე და ბოროტება[81]. ფროიდი წერს: „წინააღმდეგობათა არარსებობა, პირველადი პროცესი (აქტიური ძალის მოძრაობა), დროის გარეშე მიმდინარეობა და გარერეალობის ფსიქიკურით შეცვლა — ასეთია ნიშნები, რომლებიც შეგვიძლია ვნახოთ არაცნობიერი სისტემის პროცესებში"[82].

მ ე იმით განსხვავდება ი გ ი-საგან, რომ პირველისათვის ნიშანდობლივია მისი შინაარსების სინთეზისაკენ მისწრაფება, დაკავშირებისა და გაერთიანებისაკენ ტენდენცია. ასეთი რამ ი გ ი-ში არ ხდება[83]. მ ე-ს აქვს ორგანო, სისტემა, რომელიც პირდაპირაა მიმართუ-

---

[77] «Im Es gibt es keine Konflikte, Widersprüche, Gegensätze bestehen unbeirrt nebeneinander und gleichen sich oft durch Kompromissbildungen ab». Die Frage der Laienanalyse, XIV, 223.

«Für die psychische Vorgänge im Es gelten ganz andere Gesetze des Ablaufs und gegenseitigen Beeinflußung, als die im Ich», Der Mann Mosses, XVI, 203.

[78] Jenseits des Lustprinzips, XIII, 35—36.

[79] Neue Folge der Vorlesungen, XV, 80.

[80] Abriß der Psychoanalyse XVII, 71.

[81] Neue Folge der Vorlesungen, XV, 980.

[82] Das Unbewußte, X, 289. პირველადი პროცესისათვის ისაა დამახასიათებელი, რომ აქ არაცნობიერში ენერგიის ცალკეული მუხტი შეიძლება მთლიანად გადატანილი, გადაწეული, შემჭიდროებული იქნეს.

[83] «Was das Ich zum Unterschied vom Es aber ganz besonders auszeichnet, ist ein Zug zur Synthese seiner Inhalte, zur Zusammenfassung und Vereinheitlichung seiner seelischen Vorgänge, der dem Es völlig abgeht». Neue Folge der Vorlesungen, XV, 82.

ლი გარე სამყაროსაკენ. მას ცნობიერება ეწოდება. ცნობიერება ფსიქიკური რომელობის აღქმის ორგანოცაა[84]. სულიერ ცხოვრებაში, ფროიდის მიხედვით, მ ე გონია, ი გ ი — ვნება[85].

განვითარების მსვლელობაში გარე სამყაროს შემაკავებელი ძალების ერთი ნაწილი შინაგანად იქცევა და მ ე-ში ქმნის ინსტანციას ზ ე-მ ე ს. ფროიდი ამ უკანასკნელს უწოდებს მ ე-ი დ ე ა ლ ს ა ც და ს ი ნ დ ი ს ს ა ც. ჩვენთვის ზ ე-მ ე წარმომადგენელია მორალური შეზღუდვისა და სრულყოფისაკენ მისწრაფებისა. ისაა „ზედამხედველი", „კრიტიკოსი", „ამკრძალავი". ზე-მე პიროვნებაში აგრძელებს უცვლელად იმავე ფუნქციას, რასაც მშობელი და აღმზრდელი ასრულებდა ინდივიდის ცხოვრების პირველ პერიოდში[86].

ზემოთ მითითებული იყო, რომ არაცნობიერი ფსიქიკა ფსიქოანალიზში არაა ისე გაგებული, თითქოს ის იყოს ინტენსივობით სუსტი ცნობიერება, ფსიქიკაში ცნობიერების საფეხურის მინიმუმი. ფსიქიკა არაცნობიერია იმდენად, რამდენადაც გი ცნობიერების ვარეშე არსებულია. ფსიქიკის არაცნობიერობა არ ნიშნავს მის სისუსტეს. ისე არ უნდა წარმოვადგინოთ საქმის ვითარება, ვითომც ცნობიერებიდან არაცნობიერ ფსიქიკაზე გადასვლა მოასწავებდეს ინტენსიურიდან სვლას ინტენსივობას მოკლებულისაკენ. ამგვარად რომ ყოფილიყო საქმის ვითარება, მაშინ, საერთოდ, გამორიცხული იქნებოდა არაცნობიერი ფსიქიკის ცნობიერ ფსიქიკაზე ზემოქმედება და ამ უკანასკნელის წარმართვის შესაძლებლობა პირველით. ფსიქოანალიზის შეურყეველი დებულებაა — არაცნობიერ ფსიქიკას ისევე შეუძლია იმოქმედოს ცნობიერზე, როგორც ცნობიერ ფსიქიკას ცნობიერზე. ფსიქიკური პროცესის არაცნობიერობა არ გამორიცხავს მის მოქმედიანობას. ამის დამადასტურებლად ფროიდი თვლის პოსტჰიპ-

---

[84] «Welche Rolle verbleibt in unserer Darstellung dem... Bewußtsein? Keine andere als die eines Sinnesorgans zur Wahrnehmung psychischer Qualitäten». Die Traumdeutung, II—III, 620.

[85] «Das Ich representiert, was man Vernunft und Besonnenheit nennen kann, in Gegensatz zum Es, welches, die Leidenschaften enthält». Das Ich und das Es, XIII, 253.

[86] «Das Über-Ich ist für uns die Vertrettung aller moralischen Beschränkungen, der Anwalt des Strebens nach Vervollkommung, kurz das, was und dem sogenannt Höheren im Menschenleben psychologisch greifbar geworden ist». Neue Folge der Vorlesungen, XV, 73.

ნოზურ მდგომარეობას, სადაც, როგორც ამბობენ, არაცნობიერ ფსიქიკურ განზრახვას მოქმედებაში მოჰყავს პიროვნების მთელი მექანიზმი[87]. ფროიდისათვის ყოველად გაუმართლებელი ჩანს შეხედულება, თითქოს ლატენტური აზრი თავისი სისუსტის წყალობით იყოს ფარული (არაცნობიერი) და იგი მაშინვე ცნობიერდებოდეს, როგორც კი ინტენსივობას მიიღებს. ფროიდს უფრო სარწმუნოდ მიაჩნია მოსაზრება, რომ არსებობენ ისეთი ლატენტური აზრები, რომლებიც ცნობიერებაში ვერ შეიჭრებიან, ვერ შეაღწევენ, რა ძლიერიც—ინტენსიური და მოქმედი—არ უნდა იყვნენ ისინი[88]. ასეთია, მაგალითად, განდევნილი არაცნობიერი. ფროიდი უფრო მეტსაც ამბობს; არაცნობიერი ფსიქიკური პროცესი იმიტომ არის განსაკუთრებით ძლიერი, რომ იგი არაცნობიერია[89]. ცნობიერება, პირიქით, შეიძლება ჩაითვალოს სისუსტედ, ფსიქიკურის მიერ სიძლიერის დაკარგვად. ფსიქიკური სისტემის აღნიშნულ თავისებურებას ემყარება ფსიქოანალიზური მკურნალობის მეთოდი. კათარზისი არაცნობიერი ფსიქიკის პროცესების ენერგიის განმუხტვაა, არაცნობიერი ფსიქიკის გაცნობიერება, ცნობიერებაში ამოყვანა მისი ენერგიის დაცლას მოასწავებს, რაც ფსიქიკური აშლილობის განკურნების საწინდარია.

როგორც მიუთითებენ, ფროიდმა დატოვა ცნობიერების ფსიქოლოგიის ე. წ. სტატიკურ-დესკრიფციული განწყობა და დადგა ფსიქიკის გაგების დინამიკურ თვალსაზრისზე. დინამიკურ თვალსაზრისზე დგომა ფსიქიკის მიმართ ორ მომენტს გულისხმობს. ერთი მხრით, ის მოითხოვს, რომ სულიერი პროცესების მიმდინარეობის გაგებაში უკუვაგდოთ შეხედულება, რომლის მიხედვითაც. სულიერ პროცესები მხოლოდ ნებელობითი ბუნებისანი არიან, ექვემდებარებიან მხოლოდ ცნობიერების წარმმართველ ძალას; მეორე მხრით, ეს თვალსაზრისი იცავს პოზიციას, სულიერი გააზრებული იქნეს, როგორც ენერგეტიკულ-ინსტინქტური პროცესი. დინამიკური აზროვნების წინაპირობაა დაპირისპირებულთა ურთიერთმიმართების ვითარება. დინამიკური აზროვნება დაპირისპირებულთა აზროვნებაა[90].

დღეს დაპირისპირების სამ შინაარსზე მიუთითებენ: ლოგიკური

---

[87] Einige Bemerkungen über den Begriff des Unbewußten, VIII. 432.
[88] იქვე, 434.
[89] Kurzer Abriß der Psychoanalyse, XIII, 408.
[90] Fr. Seifert, Tiefenpsychologie, გვ. 66.

წინააღმდეგობა, პოლარული წინააღმდეგობა და მექანიკური წინააღმდეგობა.

ლოგიკური წინააღმდეგობა ფორმალური პრინციპია. აქ ლაპარაკია ისეთი მოვლენების ურთიერთობაზე, რომლებიც აზროვნების ფარგლებს არ შორდებიან. ლოგიკური წინააღმდეგობა კონტრადიქტორული მიმართებისაა. დაპირისპირების წევრები პრინციპულად შეუთავსებადია. არ არსებობს მათი დამაკავშირებელი მესამე.

პოლარული ანუ დიალექტიკური წინააღმდეგობა, განსხვავებით ფორმალურისაგან, ეხება რეალურ დაპირისპირებას, წინააღმდეგობას. აქ A-სა და non-A-ს ურთიერთობა კი არ არის, არამედ მიმართება — დადებითისა და უარყოფითისა. ეს კონტრალური ურთიერთობა „მოდავეთა მუდმივი თანაარსებობაა" (გოეთე). პოლარული წინააღმდეგობის წევრები ერთმანეთს გამორიცხავენ რომელობის მიხედვით, ქვალიტეტურად და მაინც ერთმანეთს ეკუთვნიან. პოლარულობა სიცოცხლის სამყაროს პირველადი ფენომენია.

მექანიკური წინააღმდეგობა ძალების ჭიდილია, ანტაგონიზმია. აქ ლაპარაკია ფიზიკურის მექანიკურ-კაუზალური სფეროს თავისებურებაზე. ამ სფეროში ძალების ურთიერთზემოქმედება რაოდენობრივი, ქვანტიტეტური ბუნებისაა[91].

ფროიდმა ფსიქოანალიზური კონცეფცია ააგო დინამიკური თვალსაზრისის გამოყენებით, რომელშიაც გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭა დაპირისპირებულთა მექანიკურ შინაარსს. ფსიქიკური ძალების, არაცნობიერი ლტოლვილების ბუნება ფსიქოანალიზში წარმოდგენილია მექანიკურ — კაუზალური დამოკიდებულებების სახით, აქედან გამომდინარეობს ერთმანეთისადმი ანტაგონისტური მექანიზმების დაშვება ფსიქიკის სტრუქტურაში: „განდევნა", „წინააღმდეგობის გაწევა", „ცენზურა".

ფსიქიკური ძალის ცნება არსებითადაა დაკავშირებული ფსიქიკური ენერგიის ცნებასთან. ფსიქიკური ძალისა და ენერგიის შინაარსების დადგენაზე განსაკუთრებით იზრუნა კ. გ. იუნგმა. დაწვრილებით ამის შესახებ ვიმსჯელებთ ანალიზური ფსიქილოგიის გარჩევის დროს. ამჟამად იმაზე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება, რომ ფსიქოანალიზში, მიუხედავად ფსიქიკური ძალისა და ენერგიის ცნებების პრინციპული მნიშვნელობის აღიარებისა, ისინი საგანგებო ანალიზის ობიექტი არ გამხდარან; ფსიქიკური ენერგიის ცნებასთან

---

[91] ი ქ ვ ე. 68.

დაკავშირებით ფროიდი შემდეგზე მითითებით კმაყოფილდება: „ჩვენ ვუშვებთ, როგორც სხვა ბუნებისმეტყველურმა მეცნიერებებმა მიგვაჩვიეს, რომ სულიერ ცხოვრებაში მოქმედებს გარკვეული სახის ენერგია. მაგრამ არ გაგვაჩნია არავითარი დასაყრდენი, ენერგიის სხვა ფორმებთან ანალოგიის გზით მივუახლოვდეთ მის შემეცნებას, ცოდნას"[92].

როგორც ვხედავთ, ფროიდმა უარი თქვა რაიმე პოზიტიური დახასიათება მოეცა ფსიქიკური ენერგიის გარკვეულობის შესახებ. უარყო საერთოდ მისი შემეცნების შესაძლებლობა და ამ ცნების გამოყენება ფსიქიკის სინამდვილის ფარგლებში მეცნიერების მეთოდოლოგიურ შედეგად ჩათვალა. ფსიქოლოგია, თუკი ის ბუნებისმეტყველურ ნიადაგზე დადგება, მხოლოდ მაშინ საჭიროებს ენერგიის ცნებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი მისთვის შეიძლება ყოველგვარ მნიშვნელობას მოკლებული აღმოჩნდეს.

ფსიქიკური ენერგიის ცნება, ამიტომ არ გამოდგება არც არაცნობიერი ფსიქიკის რეალობის თეზისის არგუმენტად და არც არაცნობიერი ფსიქიკის ონტოლოგიური სახის დამდგენ საშუალებად. ასეა ეს ფსიქოანალიზური თეორიის ავტორის შეხედულებიდან გამომდინარე.

§ 9. **პიროვნების პრობლემა.** პიროვნების რაობის გარკვევის ამოცანა ყოველთვის იდგა ფროიდის კონცეფციის ცენტრში. ფსიქოანალიზი დაუპირისპირდა არსებულ ემპირიულ ფსიქოლოგიას იმ მხრივ, რომ ფსიქიკის შემეცნების საკითხი არსებითად დაუკავშირდა ადამიანის ბუნების გაგების საქმეს. ფსიქოანალიზური თეორიისა და მეთოდის აღმოცენება კონკრეტული სამედიცინო სიტუაციიდან სწორედ რომ აღნიშნულზე მეტყველებს. ფსიქიკური აშლილობების — ნევროზისა და ფსიქოზის — აღკვეთა პიროვნებაში გულისხმობს ადამიანის შინაგანი სტრუქტურის შესახებ გარკვეულ აზრს, რასაც ემყარება თერაპევტული საქმიანობა. ფროიდის მიხედვით, ზემოაღნიშნული აშლილობები იმიტომაა ფსიქიკური, რომ ისინი ადამიანში მოქმედი არსობრივი პროცესების ურთიერთმიმართების ნაყოფია. ადამიანის არსობრივი პროცესები ფსიქიკის ფენებში მიმდინარეობს, ა დ ა მ ი ა ნ ი ს ა რ ს ი ფ ს ი ქ ი კ ა ა.

ფსიქიკის სფეროს დახასიათების დროს აღინიშნა, რომ ის შეიცავს სამ ინსტანციას: ი გ ი, მ ე, ზ ე-მ ე. ფროიდის რწმენით, ეს

---

[92] Abriß der Psychoanalyse, XVII, 86.

ინსტანციები იგივე პიროვნული ფენებია, ადამიანის სტრუქტურის მომენტებია. მთელი პიროვნული ქცევა და მოქმედება, მათი შედეგებითურთ, ფსიქოანალიზის რწმენით, ამომწურავად აიხსნება ამ ფენებს შორის არსებული ურთიერთმიმართების გათვალისწინებით.

ფსიქიკისა და პიროვნების თავდაპირველი ფენაა ი გ ი. ამ უკანასკნელის წიაღიდან აღმოცენდება მ ე. მ ე წარმოადგენს ობიექტური რეალობის ზემოქმედების გზით ი გ ი-ს მოდიფიცირებულ ფენას. თავის მხრივ მ ე-დანაც აღმოცენდება ზ ე-მ ე, რაც განასახიერებს აწმყოსა და წარსულის ზეგავლენას.

როგორც ვიცით, ი გ ი წარმოადგენს საკუთრივი არაცნობიერი ფსიქიკის რომელობას, სადაც თავს იყრიან ლტოლვები. ფროიდმ „ფსიქოანალიზის შესავალი ლექციების ახალ სერიაში" ლტოლვის თეორიას უწოდა მითოლოგია. ლტოლვის თეორია მითოლოგიაა იმ გაგებით, რომ ლტოლვა მოკლებულია განსაზღვრულობას[93]. ლტოლვების შემეცნება საბოლოოდ მიღწეული არაა და არც იმის რწმენა გვაქვს, რომ ისინი შემეცნებული იქნებიან ამომწურავად[94].

ფროიდის მითითებით, ფსიქოანალიზური თვალსაზრისი ლტოლვების საკითხში თავიდანვე დუალისტური იყო და ასეთად დარჩა ბოლომდე უფრო მკაცრად გატარებული. ჯერ ერთმანეთს დაუპირისპირდა ს ე ქ ს უ ა ლ უ რ ი ლ ტ ო ლ ვ ე ბ ი და მ ე-ლ ტ ო ლ ვ ე ბ ი, შემდეგ მოხდა ლტოლვათა ახალი დაჯგუფება: სექსუალური ლტოლვები და მე-ლტოლვები გაერთიანდნენ ს ე ქ ს უ ა ლ უ რ ი ლ ტ ო ლ ვ ე ბ ი ს ტერმინის ქვეშ, რომელსაც ფროიდი ე რ ო ტ უ ლ ი ს სახელწოდებითაც აღნიშნავს, და მას დაუპირისპირა ა გ რ ე ს ი უ ლ ი ლ ტ ო ლ ვ ე ბ ი. ამ უკანასკნელს ის დ ე ს ტ რ უ ქ ც ი ი ს ლ ტ ო ლ ვ ე ბ ს ა ც უწოდებს[95]. ეს დაპირისპირება ფროიდს მიაჩნია ს ი ც ო ც ხ ლ ი ს ა და ს ი კ ვ დ ი ლ ი ს ა დ მ ი ლტოლვების დაყოფის ეკვივალენტურად[96].

ფროიდი განსაკუთრებით ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ლტოლვათა ფსიქოლოგიაში ორიენტაციის მომცემი ბიოლოგიური თვალსაზრისი უნდა იყოს. ბიოლოგიური თვალსაზრისი გატარდა ფსიქოანალიზში იმ მხრივ, რომ თვითშენახვა და გვარის შენახვა

---

[93] Neue Folge der Vorlesungen, XV, 101.
[94] ი ქ ვ ე. შეად. Triebe und Triebschicksale, X, 211.
[95] Neue Folge der Vorlesungen, XV, 110.
[96] Jenseits des Lustprinzips, XIII, 57.

ფსიქიკურ ასპექტში წარმოადგინა მე-ლტოლვისა და სექსუალური ლტოლვის სახით.

ფსიქოანალიზის მიხედვით, ლტოლვაში უნდა განსხვავდეს შემდეგი მომენტები: დ რ ა ნ გ ი (Drang), მ ი ზ ა ნ ი, ო ბ ი ე ქ ტ ი და წ ყ ა რ ო. დრანგი არის ლტოლვის მამოძრავებელი გარკვეულობა, რაც გამოიხატება რაოდენობრივი ნიშნით. მიზანს წარმოადგენს დაკმაყოფილება, რომელიც მიიღწევა მხოლოდ იმ მდგომარეობის აღკვეთით, რაც ლტოლვის წყაროში იმყოფება გაღიზიანების სახით. ობიექტი არის ის, რისი საშუალებითაც ლტოლვა აღწევს თავის მიზანს. ის ცვალებადი ელემენტია, რომელიც თავიდანვე არაა დაკავშირებული ლტოლვასთან. ლტოლვის წყაროა ორგანიზმის სომატური პროცესი, რომლის გაღიზიანება სულიერ ცხოვრებაში აისახება და ხორციელდება ლტოლვის ფორმით. მართალია, ლტოლვის წყარო არ ეკუთვნის ფსიქიკურ სინამდვილეს, მაგრამ მას ლტოლვის გადამწყვეტ ნიშნად თვლიან[97].

ფსიქოანალიზის კვლევა-ძიების საგანს წარმოადგენს ძირითადად სექსუალური ლტოლვები. ფროიდს დასჭირდა განმარტება იმის შესახებ, რომ ფსიქოანალიზში სექსუალურ ლტოლვებზე უპირატესი ყურადღების შეჩერება არ უნდა იქნეს გაგებული ისე, თითქოს ამით უარიყოფოდეს სხვა ლტოლვების არსებობა. აქ საქმე გვაქვს, ჩვენი ავტორის მითითებით, შემეცნების ცალმხრივობასთან და არა ფაქტობრივი ვითარების უგულებელყოფასთან. ისევე, როგორც, მაგალითად, ქიმიის შესახებ, რომელიც იკვლევს ქიმიურ ელემენტებსა და სტრუქტურებს, არა აქვთ უფლება თქვან, რომ ის უარყოფს მიზიდულობის კანონებს, რადგანაც ქიმია მას არ ეხება, ასევე ფსიქოანალიზის მიმართაც უსაფუძვლოა ბრალდება პანსექსუალობის თაობაზე, რომ ფსიქოანალიზმა ყველაფერი სექსუალურ ლტოლვებზე დაიყვანა. ფსიქოანალიზი იკვლევს სექსუალურ ლტოლვებს, ის არ ეხება სხვა რომელობის ლტოლვებს, ამიტომ იგი პანსექსუალისტურ ნიადაგზე არ დგას. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ლტოლვათა სინამდვილე ფსიქოანალიზმა ორად დაყო—სექსუალურ და დესტრუქციის ლტოლვებად. ფროიდის განცხადებით, ლტოლვების საკითხში ფსიქოანალიზის კრიტიკა საგნობრივი თვალსაზრისით არაა გამართლებული, რადგან ეროსის გავრცელებისა და ფუნქციის დადგენა არ უკუაგდებს არასექსუალური ლტოლვების რაობის გარკვევის ამო-

---

[97] Triebe und Triebschicksale, X, 214—216.

ცანას. ფსიქოანალიზმა არასექსუალურ მომენტზედაც გაამახვილა ყურადღება იმით, რომ მან ამ სფეროს მიაწერა სექსუალურის შეკავების, განდევნისა და დათრგუნვის ფუნქცია. პიროვნების სტრუქტურაში მე-სა და ზ ე-მეს მნიშვნელობაზე მითითება საერთოდ აქარწყლებს ფსიქოანალიზის ამგვარ ტენდენციურ გაგებას[98].

როგორც ითქვა, ფსიქოანალიზმა ერთმანეთისაგან განასხვავა ეროტული, რაც იგივე შენარჩუნებისა და გაერთიანებისაკენ წარმმართველი მისწრაფებაა, და დესტრუქციის (დანგრევისა და განადგურების) ლტოლვები. ორივე ლტოლვა აუცილებელია, მათი ურთიერთმიმართების კვალობაზე აღმოცენდებიან სიცოცხლის მოვლენები. ზოგჯერ გვეჩვენება, რომ ერთი რომელიმე ამ ორთაგან დამოუკიდებლად მოქმედებს, მაგრამ ნამდვილად ეს ასე არასოდეს არაა. რომელიმე ლტოლვის უკან თუ საფუძველში ფარულად მისი ანტაგონისტური რომელობა აუცილებლად იგულისხმება[99]. ეს მიმართება ლტოლვებისა ანალოგიაა საერთოდ მიზიდულობა-განზიდულობისა, რომელიც ცნობილი იყო ადრე ემპედოკლესათვისაც[100].

ფსიქოანალიზში ლ ი ბ ი დ ო არის სექსუალური ლტოლვის ფსიქიკური ენერგიის გამომხატველი ტერმინი. ლიბიდოს აქვს სომატური წყარო. სხეულის იმ ნაწილს, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ლიბიდოს წარმოქმნაში, ფროიდი უწოდებს ეროგენულ ზონას.

ფსიქოანალიზური კვლევის ძირითად შედეგად ფროიდი შემდეგს ასახელებს:

---

[98] «Psychoanalyse» und «Libidotheorie», XIII, 227, იხ. აგრეთვე Die Widerstände gegen die Psychoanalyse, XIV, 105. ფროიდს ფსიქოანალიზის უარყოფა საერთოდ წარმოდგენილი აქვს სამი განსხვავებული პოზიციიდან. ჯერ ერთი, მტრობა სამედიცინო წრეების მხრიდან მოტივირებულია ფსიქიკური მომენტისათვის უპირატესობის მინიჭების გამო. შემდეგ, ფილოსოფიური მხარე მას უტევს არაცნობიერი სულიერი მოქმედების დაშვებისათვის. დასასრულ, ყველაზე ძლიერი შეტევა მან განიცადა საერთოდ ადამიანური თვალსაზრისის პოზიციიდან, სექსუალურ ცხოვრებას არ შეიძლება მიენიჭოს ის გადამწყვეტი მნიშვნელობა, რაც ფსიქოანალიზმა მას მიაწერა. იხ. Psycho-Analysis, XIV, 306.

[99] იხ. ფროიდის წერილი აინშტაინისადმი 1932 წ. Warum Krieg? XVO, 20, და შემდ. ფროიდისათვის სოციალური ლტოლვები, როგორც დამოუკიდებული რომელობა, არ არსებობს. ისინი სხვაზე დაიყვანებიან. «Die sozialen Triebe werden nicht als elementar und unableitbar annerkannt». Psycho-Analysis, XIV, 302, შეად. «Psychoanalyse» und «Libidotheorie»; XIII, 231.

[100] Abriß der Psychoanalyse, XVII, 71.

1) სექსუალური ცხოვრება იწყება არა სქესობრივი სიმწიფით, არამედ დაბადების მომენტიდანვე.

2) არაა ერთი და იგივე „სექსუალური" და „სქესობრივი". სექსუალური ფართო მოცულობის ცნებაა სქესობრივთან შედარებით და მოიცავს ისეთ მოქმედებას, რომელსაც არაფერი არ აკავშირებს სასქესო ორგანოებთან.

ფსიქოანალიზი მიუთითებს სექსუალური ლტოლვის განვითარების პერიოდებზე. განვითარების პირველი პერიოდი მოიცავს სამ ფაზას. პირველი ფაზაა ორალური, მეორე — სადისტურ-ანალური, მესამე — ფალური. განვითარების პირველი პერიოდი ინდივიდში სრულდება 5 წლის ასაკისათვის. მეორე პერიოდი მოიცავს მეოთხე-გენიტალურ ფაზას და ემთხვევა სქესობრივი სიმწიფის ხანას (13—14 წწ.)[101].

ფროიდი ლტოლვების ბუნების დახასიათებისას ეხება ა. შოპენჰაუერის შეხედულებას არაცნობიერი ნებისყოფის შესახებ და მასში ხედავს დიდ დამსახურებას მეცნიერებისა და ცხოვრებისათვის. ფსიქოანალიზი, ფროიდის განცხადებით, შოპენჰაუერის მიერ დასახული გზის შემდგომი გაგრძელებაა. თუკი შოპენჰაუერმა კაცობრიობას მოაგონა სექსუალური მისწრაფების სათანადოდ შეუფასებელი მნიშვნელობა, ფსიქოანალიზმა წინ გადადგა ნაბიჯი იმ მხრივ, რომ მან დაასაბუთა ფაქტიური ვითარებით პრინციპული მნიშვნელობის ორი დებულება: სექსუალობის ფსიქიკური მნიშვნელობა და არაცნობიერი სულიერი ცხოვრების არსებობა[102]. ფროიდს შესაძლებლად მიაჩნია შოპენჰაუერის არაცნობიერი ნებისყოფა წარმოიდგინოს არაცნობიერი ლტოლვების სახით, მაგრამ მიუთითებს იმ განმასხვავებელ მომენტებზე, რაც ფსიქოანალიზის სპეციფიკას ქმნის. ესაა შეხედულება, რომ ფსიქოანალიზისათვის სიცოცხლის მიზანი არაა სიკვდილი, სიცოცხლე დამოუკიდებელი რომელობაა. ფსიქოანალიზი აღიარებს ორ ავტონომიურ ლტოლვას საკუთარი მიზანდასახულებებით[103].

ასეა წარმოდგენილი ფროიდის მიერ პიროვნების უძველესი ფენა ი გ ი, რომლის შინაარსს ძირითადად ლტოლვები ქმნიან[104]. ფრო-

---

[101] ი ქ ვ ე, 75—77.

[102] Eine Schwierigkeit der Psychoanalyse, XII, 10.

[103] Neue Folge der Vorlesungen, XV, 115.

[104] «Sein Inhalt (იგი- ს. შინაარსი — ვ. კ.) ist alles, was ererbt, bei Geburt mitgebracht, konstitutionell festgelegt ist, vor allem also die aus der Kör-

იდი ფსიქოანალიზის დამსახურებად თვლის სწორედ მას, რომ მან კაცობრიობას გაუცნობიერა ადამიანში ლტოლვითი მხარის მნიშვნელობა, იყო რა მიჩქმალული გონით სფეროში წარმატებებით პიროვნების ეს „სულიერი ფუძე". „კაცობრიობამ იცის, რომ მას გონი აქვს. მე უნდა მეჩვენებინა, რომ არსებობენ აგრეთვე ლტოლვებიც"[105].

ადამიანში ლტოლვითი მხარის გაცნობიერება, ფროიდის მიხედვით, თავზარდამცემი აღმოჩნდა კაცობრიობის პატივმოყვარეობისათვის. მეცნიერულმა აზროვნებამ, ფროიდის გაგებით, კაცობრიობის თავმოყვარეობას სამჯერ დასცა თავზარი. თავდაპირველად ადამიანს სწამდა, რომ მისი სამყოფელი — დედამიწა — სამყაროს ცენტრში იდგა და მის გარშემო მოძრაობდნენ მზე, მთვარე და პლანეტები. ის გულუბრყვილოდ ენდობოდა გრძნობად შთაბეჭდილებას. საითაც არ უნდა მიეპყრო მზერა, ის ყოველთვის ნახულობდა საკუთარ თავს სამყაროს ცენტრში. დედამიწის ცენტრალური მდგომარეობა მისთვის არგუმენტს წარმოადგენდა სამყაროში დედამიწის გაბატონებული როლის სასარგებლოდ და საესებით ემთხვეოდა მის მიდრეკილებას, ეგრძნო თავისი თავი ამ სამყაროს მბრძანებლად. მაგრამ ეს ილუზია დაიმსხვრა, აღიარეს კ ო პ ე რ ნ ი კ ი ს აღმოჩენა, დედამიწა აღარ აღმოჩნდა ასეთ პრივილეგირებულ მდგომარეობაში. ადამიანურმა თავმოყვარეობამ ამით პირველი კ ო ს მ ო ლ ო გ ი უ რ ი დარტყმა განიცადა.

ადამიანი კულტურული განვითარების პროცესში გახდა ცხოველთა სამყაროს ბატონ-პატრონი, მაგრამ იგი არ დასჯერდა მათზე ბატონობას, არამედ კიდევ უფრო გაიღრმავა უფსკრული საკუთარ თავსა და ცხოველთა სამყაროს შორის. ადამიანმა უარყო ცხოველებში გონება, თვითონ კი მიისაკუთრა უკვდავი სული, დაემყარა რა საკუთარ ღვთიურ წარმოშობას, რომელიც უფლებას იძლეოდა საერთო კავშირი გაეწყვიტა ცხოველთა სამყაროსთან. დ ა რ ვ ი ნ ი ს გამოკვლევებმა ბოლო მოუღეს ადამიანის ამ ქედმაღლობას. თურმე ადამიანი არ ყოფილა ცხოველისაგან განსხვავებული რამ და მასზე

---

perorganisation stammenden Triebe, die hier einen ersten uns in seinen Formen unbekannten psychischen Ausdruck finden». «Dieser älteste Teil des psychischen Apparates bleibt durch ganze Leben der wichtigste. An Ihm hat auch die Forschungsarbeit der Psychoanalyse eingesetzt». Abriß der Psychoanalyse, XVII, 67—68.

[105] ფროიდს ეს განუცხადებია ბინსვანგერისათვის. იხ. L. B i n s w a n g e r, Erinnerungen an Sigmund Freud, Bern, 1956, გვ. 89.

უკეთესი. ადამიანი წარმოიშვა ცხოველთა სამყაროდან და ენათესავება მას. ადამიანის გვიანდელი მონაპოვარი ვერ აბათილებს მის თანატოლობას ცხოველთან, რაც ეხება სხეულის აგებულებასა და სულიერ ნასახს. ეს იყო მეორე, ბ ი ო ლ ო გ ი უ რ ი დარტყმა ადამიანურ ნარცისიზმზე.

მაგრამ ყველაზე მგრძნობიარე დარტყმა კაცობრიობამ ფსიქოლოგიის მხრიდან მიიღო. გარედან დამცირებულმა ადამიანმა თავისი თავი შეიგნო თვითმპყრობელად საკუთარ სულში. მ ე-ს გულში მან შექმნა დამკვირვებელი ორგანო, რომელიც თვალყურს ადევნებს მის სულიერ მოძრაობებსა და ქცევებს, რათა შეთანხმებულნი იყვნენ მათ მოთხოვნებთან. თუკი ასეთი რამ არ ხორციელდება, ისინი შეუწყნარებლად ითრგუნებიან; შინაგანი აღქმა, ცნობიერება ყველაფერს ატყობინებს მ ე-ს, რაც კი რაიმე მნიშვნელოვანი ხდება სულში. ნებისყოფა მ ე-ს ყველა ბრძანებას ასრულებს. სული ინსტანციათა იერარქიას წარმოადგენს. მ ე დარწმუნებულია, რომ ის, როგორც მაღალი ინსტანცია, ღებულობს სრულ და ზუსტ ცნობებს ქვედა ინსტანციებიდან და ასევე, რომ მისი ბრძანებები დანიშნულ ადგილს აღწევენ; მაგრამ ირკვევა, რომ ეს სრულიადაც არ ყოფილა ასე.

ფსიქოანალიზი, მიმართავს რა მ ე-ს, აცხადებს: შენ ძალზე მაღლა აფასებ შენ ძალას, თუკი ფიქრობ, რომ ყველაფერი შეგიძლია უყო სექსუალურ ლტოლვებს და ამიტომ არც კი უწევ ანგარიშს მათ მიზნებს. ამის გამო ეს ლტოლვები აღშფოთდნენ და საკუთარი ბნელი გზით წავიდნენ, რათა განთავისუფლებულიყვნენ დათრგუნვისაგან. შენთვის არაა ცნობილი არც მათი გზა და არც ის, თუ როგორ განხორციელდა ის. შენ მხოლოდ მათი პროდუქტი გეძლევა სიმპტომის სახით. შენ ვერ ცნობს სიმპტომში საკუთარ განდევნილ ლტოლვებს და არც კი იცი, რომ სიმპტომი წარმოადგენს ლტოლვის დაკმაყოფილების შემცველს. შენ გგონია ყველაფერი იცი, რაც სულში ხდება. შენ სულიერი იმავე ცნობიერად მიგაჩნია, მაგრამ იცოდე, რომ შენს სულიერ ცხოვრებაში უფრო მეტი ხდება, ვიდრე ეს შენმა ცნობიერებამ იცის. სულიერი არ ემთხვევა ცნობიერს. შენ თვითმპყრობელივით იქცევი, კმაყოფილდები რა შენი სამეფო კარის ინფორმაციით, არ ეშვები დაბლა ხალხთან, რომ მისი ხმა მოისმინო. ჩაიხედე საკუთარ თავში, საკუთარ სიღრმეში. პირველად საკუთარი თავი შეიმეცნე, მხოლოდ მაშინ გაიგებ, რატომ დაავადდი. ამით შეიძლება მიაღწიო კიდევაც იმას, რომ აღარ დაავადდე.

ყველაფერი ზემოაღნიშნული იმაზე მეტყველებს, რომ მე არაა ბატონ-პატრონი თავის საკუთარ სახლში. ასეთია ის ფსიქოლოგიური დარტყმა, რომელიც ფსიქოანალიზმა გამოიწვია[106].

კითხვაზე — რა არის ადამიანის არსებითი მხარე — ფროიდს გარკვეული პასუხი აქვს: „ჩვენი არსების გულს ბნელი იგი ქმნის[107]". ადამიანის აღნიშნულ მხარეს უპირისპირდებიან, ერთი მხრით, მე და, მეორე მხრით ზე-მე. ფსიქოანალიზური კონცეფცია ადამიანს წარმოადგენს კონფლიქტის ბუნების მქონედ. კონფლიქტის საფუძველია თვითონ პიროვნების ფენები. კონფლიქტი ადამიანისათვის შემთხვევითი მდგომარეობა კი არაა, არსობრივი ვითარებაა. ადამიანში ფენებს — იგი, მე, ზე-მე — ამოძრავებთ მხოლოდ საკუთარი ინტერესები. იმარჯვებს ის, ვისაც დანარჩენთან შედარებით მეტი ძალა და მოხერხებულობა აღმოაჩნდება. ასეთი რამ კი უმეტესად იგი-ს კუთვნილებაა[108]. ამიტომაა, რომ ადამიანის ძირითადი ქცევა და მოღვაწეობა ემორჩილება სწორედ იგი-ს მოთხოვნებს. მართალია, იგი-ს მიზნების ხორცშესხმა და განხორციელება არაცნობიერად მიმდინარეობს, მაგრამ ეს ფაქტიურად არაფერს ცვლის. იგი-ს მოთხოვნებს წინ ეღობება ზე-მე და გარესამყარო (სოციალური გარემო). მაგრამ თვითონ ეს ინსტანციები, ჯერ ერთი, საბოლოოდ იგი-ს ემყარებიან გენეტურად, და მეორეც, ყოველი ნაქმობა და მიღწევა მათ სფეროში ისევ იგი-ს დამსახურებაა;

---

[106] Eine Schwerigkeit der Psychoanalyse, XII, 10.

[107] «Den Kern unseres Wesens bildet also das dunkle Es, das nicht direkt mit den Aussenwelt verkehrt und auch Kenntnis nur durch die Vermittlung einen anderen Instanz zugänglich wird». Abriß der Psychoanalyse, XVII, 128.

[108] ფროიდი ზოგჯერ ხატოვნად აღწერს პიროვნული ფენების ურთიერთმიმართებას. მაგალითად, ის მე-სა და იგი-ს ურთიერთობას წარმოგვიდგენს მხედრისა და ცხენის ურთიერთდამოკიდებულების სახით. მე მხედარია, იგი — ცხენი. ცხენი მოძრაობის წყაროა, მხედარი — მიზნის განმსაზღვრელი. მხედარი, ჩვეულებრივ, მართავს ცხენს, მაგრამ ეს იდეალური დამოკიდებულება ხშირად არ ხორციელდება. ხდება, რომ მხედარი უნდა დაყვეს ცხენის ნებას და მოიქცეს მისი სურვილისამებრ. მე „სამი მრისხანე ბატონის მსახურია". გარესამყაროსი, ზე-მესი და იგი-სა. მე ცდილობს მათი პრეტენზიები და მოთხოვნები მოიყვანოს ერთმანეთთან შესატყვისობაში, ისინი ერთმანეთთან მოარიგოს. ეს მიზანი ძნელად მისაღწევია. მიზნის მიუღწევლობა პიროვნების დაავადების საფუძველია. ფსიქოანალიზის მიზანდასახულება მე-ზე ზრუნვაა, მისი განმტკიცებაა, რომ მან მასზე დაკისრებული ფუნქცია უნაკლოდ შეასრულოს. ამით ადამიანის ნორმალური არსებობა უზრუნველყოფილი იქნება.

ი გ ი-ს ენერგია ხმარდება ღირებულებათა შექმნას. კულტურული ღირებულებანი ენერგიის, ლიბიდოს სუბლიმაციაა[109].

ფსიქოანალიზის მიხედვით, ადამიანის ნამდვილი სახე ის არის, რომ ის ბუნებითი არსებაა, ლტოლვის მქონე არსებაა. გონითმა, რაციონალურმა და საზოგადოებრივმა, სოციალურმა მხარეებმა შერყევნეს ადამიანის ირაციონალური არაცნობიერი ფენა. არაცნობიერი იძულებული ხდება ანგარიში გაუწიოს შეზღუდვებს, ცენზურას და სახეშეცვლილი ფორმით მოევლინოს ცნობიერებას. ისევე, როგორც პიროვნება შიშველ სხეულს იმოსავს ტანსაცმლით, რომ სოციალური ურთიერთობის წევრი გახდეს, ასევე ადამიანის გული ი გ ი საბურავშემოხვეული და შეცვლილი კონტაქტს ამყარებს ცნობიერებას—თან. ძნელია ლტოლვის განთავისუფლება საფარისაგან და მისი ნამდვილი შინაარსის ხილვა, მაგრამ უმწეო მდგომარეობაში მაინც არა ვართ. საკუთარ თავში ჩახედვა და იქ დანახულის გამომზეურება მოსახერხებელია ზოგიერთი საშუალებით; მაგალითად, სიზმრის შინაარსის, თავისუფალი ასოციაციის, შეცდომითი მოქმედებების, სიმპტომის, გადატანის ფაქტების ინტერპრეტაციის გზით შესაძლებელია არაცნობიერის შინაარსის წვდომა. აქ ადამიანი თავის ნამდვილ სურვილებს, მისწრაფებებსა და აზრებს ეცნობა. ეს კი პიროვნების ლტოლვითი, ირაციონალური ბუნების ცხადყოფაა.

სწორედ აღნიშნული მომენტი წამოსწიეს წინ ბურჟუაზიულ სამყაროში ფროიდის თეორიის შეფასების დროს, როცა მას დადებითად ჩაუთვალეს ადამიანის მიმართ ხედვის გაფართოება, ადამიანი ფროიდის ხელში კოსმოსად იქცაო, ცნობიერების სიმაღლესა და სიგანეს დაემატა არაცნობიერის სიღრმის განზომილება, რითაც ადამიანი წარმოსდგა ჩვენს წინაშე თავის მთლიანობაში[110]. ამას მოჰყვა ის, რომ ადამიანი მოგვევლინება ორი სახით—მასშია ხილული არასაკუთრივი წინა პლანი და დაფარული საკუთრივობა. ამ გათიშვით ფსიქოანალიზი ეგზისტენციალურ ფილოსოფიას ეხმაურება[111].

როგორც აღინიშნა, ადამიანის შინაგანი ბუნება, ფსიქოანალიზის მიხედვით, დაკავშირებულია პიროვნული ფენების სტრუქტუ-

---

[109] «Kultur ist durch Verzicht auf Triebbefriedigung gewonnen worden und fordert von jedem neu Ankommenden, daß er denselben Triebverzicht leiste». Zeitgemässes über Krieg und Tod, X, 333.

[110] R. G u a r d i n i, Philosophische Anmerkungen zu S. Freuds Psychologie. Münchener Universitätsreden, Neue Folge, H. 19, 1957, გვ. 25—26.

[111] M. L a n d m a n n, Philosophische Anthropologie, Berlin, 1946, გვ.

რის ჩამოყალიბებაზე, რაც ერთნაირადაა წარმოდგენილი ფილოგენეზში და ონტოგენეზში. ფილოგენეზის კუთხით დანახული პირველყოფილი ადამიანის მდგომარეობა არსებითად არ განსხვავდება ცხოველური მდგომარეობისაგან. ამ საფეხურზე ადამიანს არ გააჩნია პიროვნული ფენები. ჯერ კიდევ არაა წარმოშობილი მ ე და ზ ე-მ ე. ესაა ადამიანის ე. წ. შინაგანი უკონფლიქტო და ჰარმონიული ყოფა. სამაგიეროდ კონფლიქტი არსებობს თვითონ პირველყოფილ ადამიანებს შორის, რადგანაც, ფროიდის გაგებით, წინაისტორიული ადამიანი ცხოვრობდა მკაცრი და ეჭვიანი მამის აბსოლუტური და ტირანული ძალაუფლების ქვეშ, რომელსაც ყველა ქალი თვითონ უნდოდა. ეს იყო „საზოგადოების" წინაგვაროვნული ფორმა ყოველგვარი ტაბუსა და ტოტემის გარეშე. აქ ორგანიზაციის ერთადერთი საწყისი მამის შიშის შთამაგონებელი ძალაუფლება იყო, მაგრამ კონფლიქტმა მამასა და ვაჟიშვილებს შორის მიაღწია კრიტიკულ მომენტს — ერთ მშვენიერ დღეს განდევნილი ძმები გაერთიანდნენ, მოკლეს და შეჭამეს მამა და ბოლო მოუღეს პატრიარქალურ ურდოს. ამ წინაისტორიული მოქმედებიდან აღმოცენდა ბრალის ცნობიერება[112].

ეს ვითარება გახდა, ფროიდის გაგებით, სწორედ საკუთრივ ადამიანური არსებობის დასაწყისი, რადგანაც ი გ ი-ში უკვე ჩაისახა და ჩამოყალიბება იწყო მ ე-მ და შემდეგ ზ ე-მ ე-მ. ბრალის ცნობიერებამ შექმნა ცენზურა ი გ ი-სა და მ ე-ს, მ ე-სა და ზ ე-მ ე-ს შორის და განდევნა იქცა ფსიქიკის მექანიზმში უდიდეს დინამიკურ ძალად.

ფსიქიკის ფილოგენეზის ევოლუციამ, ფროიდის მიხედვით, ორი ეტაპი განვლო. ერთია გვაროვნული ეტაპი, ხოლო მეორე — ცივილიზაცია. ევოლუციის გვაროვნულ ეტაპზე.სულ უფრო მატულობს ლტოლვითი იმპულსების შეკავება. ტაბუმ სისხლის აღრევაზე და ტოტემური ცხოველის მოკვლაზე გააფართოვა განდევნის სფერო. კაცობრიობის ისტორიის ყოველი ახალი ნაბიჯი ხორციელდება ლტოლვისაგან თავშეკავების რომელიმე აქტით. მატერიალური პროგრესის შინაპირობას წარმოადგენდა გარკვეული ეროტული ლტოლვის დათრგუნვა. ლტოლვების დათრგუნვისა და განდევნის აქტები ადამიანს ცივილიზაციის პერიოდთან აახლოებს.

ლტოლვების განდევნის პროცესი ფსიქიკაზე იმ გავლენას ახდენს, რომ ლტოლვის ყოველი დათრგუნვა არაცნობიერი ი გ ი-ს

---

[112] Totem und Tabu, IX, 98.

სფეროს აფართოებს იმპულსებით, არაცნობიერი ივსება ენერგიით. მეორე მხრივ, ამ დროს ი გ ი-ში ერთი ნაწილი იქცევა მ ე-დ, რომელიც ლტოლვას უპირისპირდება ვითარცა გონი. მ ე-დან აღმოცენებული ზ ე-მ ე, თავის მხრივ, წარმოდგენილი ტაბუს, ზნეობრივი ნორმებისა და რელიგიურ მცნებათა სფეროდ, იქცევა ტირანიად, რომელიც არსებითად ხდება სოციალური და ფსიქიკური შემდგომი განვითარების მამოძრავებელ ძალად.

გვაროვნული ფსიქიკის ხანგრძლივმა განვითარებამ განაპირობა ის, რომ ფსიქიკური გარკვეულობანი მემკვიდრეობითი გახდნენ, ფროიდი მას უწოდებს „არქაულ მემკვიდრეობას". არქაული მემკვიდრეობის დისპოზიცია გადმოეცემათ ი გ ი-სა და ზ ე-მ ე-ს. მაგალითად, სისხლის აღრევის ლტოლვითი იმპულსი მემკვიდრეობით გადმოეცემა ი გ ი-ს, ხოლო გვაროვნული ტაბუ სისხლის აღრევის აკრძალვისა — ზ ე-მ ე-ს. აღნიშნული ვითარება პიროვნებაში აფუძნებს ამბივალენტურ სიტუაციას — ერთი ფენა მიისწრაფვის გარკვეული შინაარსის დაკმაყოფილებისაკენ, მეორე კი მას კრძალავს.

ცივილიზებულმა ადამიანმა, ფროიდის აზრით, უნდა უკუაგდოს არა მხოლოდ თანშობილი ლტოლვები, არამედ ასევე უნდა დათრგუნოს და განდევნოს არქაული მემკვიდრეობის თანშობილი დანალექი, რომელიც მიღებულია გვაროვნული წყობის ადამიანისაგან. ამ ადამიანის ამოცანა ძნელი იყო, მით უფრო ამოცანა ცივილიზებული ადამიანისა მასზე გაცილებით გართულდა. ამ უკანასკნელს საქმე აქვს არა მარტო ლტოლვების თავდაპირველ შეკავებასთან, არამედ განდევნილის დაბრუნებასთან, გამოელენასთან: პირველყოფილი ადამიანი არ იყო მკაცრად შეზღუდული სქესობრივი ლტოლვების დაკმაყოფილების საქმეში. მაშინ არ არსებობდა მონოგამიის ინსტიტუტი და ამიტომ ლტოლვების ფსიქიკური ენერგია, რომელიც თავსდებოდა ტაბუს აკრძალვის სფეროში, ადვილად გადაიტანებოდა და გაიხარჯებოდა იმავე მიზნით სხვა შინაარსზე. პირველყოფილი ადამიანი იძულებული არ იყო ლიბიდო გადაეტანა არასექსუალურ მოქმედებაზე, ვინაიდან, როგორც აღინიშნა, აქ იყო სქესობრივი მოქმედების თავისუფლება.

მონოგამიის დამკვიდრებასთან ერთად, ზ ე-მ ე-ს განმტკიცებასთან დაკავშირებით, მდგომარეობა იცვლება. ცივილიზებული ადამიანი უმრავლეს შემთხვევაში ვერ ნახულობს სექსუალური ლტოლვის დაკმაყოფილებას და ამიტომ იძულებულია ლიბიდო სხვა მიმართულებით წარმართოს. ცივილიზებული ადამიანის კულტურული და წარმოებითი მოღვაწეობა ფსიქოანალიზისათვის წარმოადგენს დაუ-

კმაყოფილებელი სქესობრივი მოთხოვნილების ენერგიის სუბლიმაციას. „ლტოლვის სუბლიმაცია, — წერს ფროიდი, — წარმოადგენს კულტურის განვითარების განსაკუთრებულ შესანიშნავ თვისებას. ის შესაძლებელს ხდის იმას, რომ უმაღლესი ფსიქიკური მოქმედებები — მეცნიერული, ხელოვნებითი, იდეოლოგიური — ესოდენ მნიშვნელოვან როლს თამაშობენ კულტურულ ცხოვრებაში"[113].

ყოველი ახალი ნაბიჯი ცივილიზაციის პროგრესის გზაზე, როგორც ითქვა, მოითხოვს არქაული მემკვიდრეობის შინაარსისა და ლტოლვების დაკმაყოფილების მზარდ შეზღუდვასა და ლიბიდოს სუბლიმაციას. ამგვარი ვითარების კვალობაზე სულ უფრო ძნელდება ლტოლვების ენერგიის გადატანა სოციალურად მისაღებ მიზნებზე. ამის შედეგი ისაა, რომ ცივილიზებული ადამიანი სქესობრივი შეზღუდვებისა და ჭარბი ენერგიის არასწორი სუბლიმაციის გამო ხდება ნევროტული, ლიბიდო პიროვნებაში ნევროზის უშუალო წყაროდ გვევლინება, რადგანაც იგი ნევროზულ სიმპტომში პოულობს რეალიზებას. აქედან ფროიდის დასკვნა, რომ ცივილიზებულ საზოგადოებაში „ყველა დაავადებულნი, ე. ი. ნევროტიკები ვართ". ამიტომაცაა, რომ ფროიდი ლაპარაკობს ცალკეული ცივილიზაციის სისტემებისა და ეპოქების ნევროტულობის შესახებ, „კოლექტიური ნევროზების დიაგნოზისა" და „ცივილიზებული საზოგადოების პათოლოგების" საჭიროების შესახებ.

ცივილიზაციის პროგრესი განდევნის სექსუალურ ლტოლვებთან ერთად დესტრუქციის ლტოლვებსაც. მასიური ნგრევა და ომები ამ ლტოლვების (აგრესიული ლტოლვების) აჯანყებაა საზოგადოების შემაკავებელი ზეგავლენისა და ინდივიდუალური ზ ე-მ ე-ს წინააღმდეგ. დესტრუქციის ლტოლვები წარმოადგენენ, ფსიქოანალიზის გაგებით, ომებისა და ინკვიზიციის საფუძველს კულტურის ისტორიის მთელ მანძილზე. პირველყოფილი ადამიანი, დანახული დესტრუქციის ლტოლვის კუთხით, ფროიდთან დახასიათებულია როგორც გააფრთებული არსება, ცხოველზე უფრო სასტიკი და მძვინვარე. მკელელობა იყო მისი ბუნებრივი მდგომარეობა. სოციალური საწყისის შესუსტების მომენტში ცივილიზებული ადამიანი უბრუნდება პირველყოფილ მდგომარეობას და ეს ხდება იმ საფუძვლით, რომ „წინაისტორიული საუკუნეების ადამიანი ცხოვრებას აგრძელებს შეუცვლელად ჩვენს არაცნობიერში". ადამიანები, თუკი ისინი შე-

---

[113] Unbehagen in der Kultur, XIV, 457.

ფასებული იქნებიან მათი არაცნობიერი სურვილების მიხედვით, ფროიდის თქმით, მკვლელთა ბანდაა.

ასეა წარმოდგენილი ფსიქოანალიზში ადამიანისა და მისი ფსიქიკის ფილოგენეტური გზა. ესაა ისტორია ლტოლვების ფილოგენეტური განდევნისა და მათი აუცილებელი რევანშისა (ჰ. უელსი).

არსებითად მსგავს სურათს ხატავს ფსიქოანალიზი ადამიანის ონტოგენეზის შესახებ, ფროიდი მსჯელობს ფსიქიკის ინდივიდუალური განვითარების ფაზებზე. მისი გაგებით, აღნიშნული ფაზები პარალელურია ფსიქიკის ფილოგენეზური განვითარებისა, რადგანაც „ყოველი ინდივიდი ბავშვობაში ასე თუ ისე მოკლედ იმეორებს ადამიანური გვარის განვითარებას"[114]. ჩვილ ბავშვსაც არ გააჩნია თავდაპირველად მ ე და ზ ე-მ ე, აქ მოქმედებს მხოლოდ ი გ ი, რომელსაც ჯერ კიდევ არა აქვს განდევნის მექანიზმი. თავისებურება ონტოგენეზისა ისაა, რომ ბავშვის ფსიქიკა დაბადებიდანვე ფლობს თანშობილ კონსტიტუციას, რომელიც არაცნობიერში მოიცავს ფილოგენეზის ყველა არსებით მომენტს. ამ კონსტიტუციის ინდივიდუალური გამოვლენა შეპირობებულია ცხოვრებისეული გარემოთი.

ინდივიდის ფსიქიკის განვითარების საწყისი ფაზები — კანიბალური და სადისტური — წინაისტორიული ადამიანის გამოვლენის საფეხურებია. ფსიქოანალიზის მიხედვით, ბავშვმა უნდა უკუაგდოს (განდევნოს) ან სუბლიმაცია უყოს ლტოლვებსა და მათი გამოვლენის გაუკულმართებულ ფორმებს. თუკი ბავშვი აღნიშნულს ვერ მოახერხებს, მაშინ იგი აღმოჩნდება ფიქსირებული რომელიმე ფაზაზე ან მომდევნო წლებში მას დაუბრუნდება. ფროიდი ადამიანის ხასიათის მომავალ თვისებებს, ინდივიდის ნორმალურობასა და ფსიქიკურ ჯანმრთელობას უკავშირებს ინფანტილური წინაგენიტალური ფაზების განდევნისა და სუბლიმაციის ხერხებს. ადამიანის პიროვნული კონსტიტუციის ჩამოყალიბების კრიტიკულ პერიოდად ამიტომაც ჩათვლილია ინდივიდის ცხოვრების პირველი ოთხი წელი.

თანშობილი მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი შინაარსია ოიდიპოსის კომპლექსი. აღნიშნულის შემადგენელი ელემენტებია: პირველყოფილი ადამიანის ლტოლვა, რომელიც უკავშირდება სისხლის აღრევის სქესობრივ მოქმედებას, და თანშობილი არქაული მემკვიდრეობა, დაკავშირებული ტოტემის აკრძალვასთან (ტაბუსთან). ფსიქოანალიზის მიხედვით, პიროვნების განზომილებით ყველაფერი დამოკიდებულია ოიდიპოსის კომპლექსის ბედთან. მისი შედეგი გადამ-

---

[114] Vorlesungen, XI, 198.

წყვეტი მნიშვნელობისაა როგორც ინდივიდის, ისე საზოგადოებისათვის საერთოდ.

ოიდიპოსის კომპლექსის საწყისი ემთხვევა განვითარების კანიბალურ ფაზას. ის მდგომარეობს დედის ძუძუს სექსუალურ ობიექტად მიჩნევაში. შემდეგ ის გადადის ავტოეროტიზმში (სექსუალურ ობიექტად საკუთარი სხეულის ნაწილის ჩათვლა, მაგ., თითის წოვა). მომდევნო საფეხურზე ხდება გარე სექსუალური ობიექტის მონახვა. 2 წლამდე ბიჭისა და გოგოს ინდივიდუალური განვითარების ფორმა ერთნაირია. განვითარების განსხვავებული ფორმა იწყება გარე სექსუალური ობიექტის მონახვის მომენტიდან. ბიჭი მიილტვის დედისაკენ, გოგო კი მამისაკენ. ოიდიპოსის კომპლექსის შინაგანი განსხვავებული მოქმედება განაპირობებს მამაკაცურ და ქალურ ხასიათებს. მამაკაცისა და ქალის მომავალი დამოკიდებულია ოიდიპოსის კომპლექსის გადალახვის მოვლენასთან. საშუალებები, რომლითაც აღნიშნული ხორციელდება მამაკაცისა და ქალის მიერ, განპირობებულია მემკვიდრეობით — სქესის თანშობილი თვისებებითა და ინდივიდის შინაგანი კონსტიტუციონალური თავისებურებებით.

§ 4. ინტერპრეტაციები. ფროიდის არაცნობიერი ფსიქიკის ცნება თავიდანვე იყო კრიტიკის საგანი. ერთი მხრით, ძიება მიმართულია იქითკენ, რომ ცხადყოს მისი ნამდვილი შინაარსი, დადგინდეს არაცნობიერი ფსიქიკის ცნების ფროიდისეული გაგება. მეორე მხრით, გაირკვეს პოზიცია ცნების დადგენილი შინაარსის მიმართ, ის მიღებულ ან უარყოფილ იქნეს გარკვეული მოსაზრებების გამო.

წინამდებარე ნაშრომის მეორე პარაგრაფში შეეცადეთ დაწვრილებით გადმოგვეცა არაცნობიერი ფსიქიკის ცნების შინაარსი ფროიდთან. იქ ჩვენ მიერ მოყვანილი არგუმენტები საკმარის საფუძვლად მივიჩნიეთ, რომ გაგვემართლებინა თეზისი: ფროიდისათვის *არაცნობიერი ფსიქიკა ეს ისეთი ფსიქიკური პროცესია, რომელიც არსებობს ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად და მისი არსებობის ფორმის შესახებ არაფრის თქმა არ შეიძლება.* ფსიქოანალიზი, თეორიული მოსაზრებებიდან გამომდინარე, უშვებს არაცნობიერი პროცესების არსებობას. ამ თეორიის სპეციფიკა იმაში ვლინდება, რომ აღნიშნული *არაცნობიერი პროცესები* წარმოდგენილია *ფსიქიკური პროცესების* სახით. ზემოაღნიშნული ფსიქიკური პროცესების ონტოლოგიური ბუნების, გარკვეულობის შესახებ იმიტომ არ შეიძლება რაიმეს თქმა,

რომ ისინი საკუთარი შინაგანი სახით არასოდეს არ შემოდიან ცნობიერებაში.

ქვემოთ ჩვენ განვიხილავთ მოსაზრებებს, რომლებიც განსხვავდებიან ფროიდის არაცნობიერი ფსიქიკის ახლახან მითითებული შინაარსისაგან. მათი ანალიზი გამომდინარე შედეგებითურთ დამატებით საბუთად მიგვაჩნია არაცნობიერი ფსიქიკის იმ გაგების სასარგებლოდ, რომელიც ჩვენ დავახასიათეთ როგორც არაცნობიერი ფსიქიკის ფსიქოანალიზური კონცეპტი.

ფროიდის არაცნობიერი ფსიქიკის ცნება გაგებულია განსხვავებულად, ერთმანეთის გამომრიცხავ შინაარსებად. არაცნობიერი ფსიქიკის განსხვავებულ გაგებებს ზოგ შემთხვევაში აქვთ საბაბი თვითონ ფროიდის ნაწერების სახით, მაგრამ აღსანიშნავია ის ვითარება, რომ ფროიდის არაცნობიერის ცნების ინტერპრეტაციები არგუმენტირებული, დასაბუთებული არაა; უფრო მეტიც, ისინი ზოგჯერ უპირისპირდებიან და აუქმებენ ფსიქოანალიზური თეორიის შინაგან ბუნებასა და მიზანდასახულებას. იმ შემთხვევაში, როცა რომელიმე ინტერპრეტაცია არგუმენტირებული არაა, ჩვენ შეგვეძლო უბრალოდ თეორიის უარყოფით დავკმაყოფილებულიყავით. მაინც თუ ვკამათობთ ავტორთან დოგმატური დებულების წინააღმდეგ, მხოლოდ იმ მიზნით, რაც შეიძლება მეტი სინათლე შევიტანოთ არაცნობიერის ცნების ფროიდისეულ გაგებაში.

ფროიდის არაცნობიერის ინტერპრეტაციები შეიძლება დაჯგუფდეს ოთხად: 1) არაცნობიერი ნ ე ი ტ რ ა ლ უ რ ი ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე ა, 2) არაცნობიერი ფ ი ზ ი ო ლ ო გ ი უ რ ი პ რ ო ც ე ს ი ა, 3) არაცნობიერი ც ნ ო ბ ი ე რ ე ბ ი ს ფ ს ი ქ ი კ უ რ ი ს ა ფ ე ხ უ რ ი ა, 4) არაცნობიერი ც ნ ო ბ ი ე რ ი ფ ს ი ქ ი კ უ რ ი შ ი ნ ა ა რ ს ე ბ ი ს ც ნ ო ბ ი ე რ ე ბ ი ს ა გ ა ნ დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ ი ა რ ს ე ბ ო ბ ა ა.

განვიხილოთ ცალკეული ინტერპრეტაციები.

1) ა რ ა ც ნ ო ბ ი ე რ ი ნ ე ი ტ რ ა ლ უ რ ი ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე ა. ფსიქოანალიზში არაცნობიერის ამგვარ გაგებაზე მიუთითებს ვ. ვოლოშინოვი ნაშრომში: „ფროიდიზმი. კრიტიკული ნარკვევი“, სადაც ეკითხულობთ: „ზოგიერთი ფროიდისტი (რანკი, პფისტერი, გროდეკი) ამტკიცებს, რომ ფსიქოანალიზმმა შეძლო, ენახა ყოფიერების სრულიად განსაკუთრებული სფერო — არც ფიზიკური, მაგრამ არც ფსიქიკური, არამედ თითქოს ნ ე ი ტ რ ა ლ უ რ ი, რომლიდანაც შეიძლება შემდეგ აღმოცენდეს დიფერენციაციის გზით როგორც ფიზიკური, ისე ფსიქიკური ყოფიერებაც. აღნიშნულ ნეიტრა-

ლურ ყოფიერებას ეკუთვნიან არაცნობიერის სილრმეები. მხოლოდ მის უმაღლეს ფენებში, წინაცნობიერთან ახლოს, იწყება სულიერისა და სხეულებრივის დიფერენციაცია"[115].

ეს შეხედულება ფროიდის არაცნობიერის შესახებ უფრო გვიან გაიმეორა ნ. მანსუროვმა „თანამედროვე ბურჟუაზიულ ფსიქოლოგიაში"[116] და ის გამოითქვა მოსკოვის სიმპოზიუმზედაც, რომელიც მიეძღვნა ცნობიერების პრობლემას. ვ. ბაწშჩიკოვი და ო. ეფენდიევი სიმპოზიუმის მასალებში მოთავსებულ სტატიაში—„ცნობიერების პრობლემა და ფროიდიზმი" — წერენ: „თავის უკანასკნელ შრომებში ფროიდი უფრო შორს წავიდა მატერიალური სუბსტრატისაგან ფსიქიკური ცხოვრების მოწყვეტის გზით. ფროიდმა განიხილა არაცნობიერი როგორც ნეიტრალური, ამტკიცებდა რა, რომ სახელდობრ არაცნობიერი ესაა „პირველადი", „საწყისი", რისგანაც შემდეგ წარმოიშობიან მატერიალურიცა და ცნობიერიც"[117].

ზემომოყვანილი მსჯელობებიდან გამომდინარეობს შემდეგი დებულებები:

ა) ერთ შემთხვევაში არაცნობიერი ფსიქიკის ნეიტრალურ სინამდვილედ გამოცხადება ეხება არა არაცნობიერის მთელ მოცულობას, არამედ მის ერთ სფეროს მხოლოდ, კერძოდ, საკუთრივ არაცნობიერს, რომელიც, როგორც ცნობილია, მოიცავს ლტოლვებისა და არქაული მემკვიდრეობის რომელობებს.

ბ) მეორე შემთხვევაში არაცნობიერის ნეიტრალურ სინამდვილედ გამოცხადება ეხება არაცნობიერის მთელ მოცულობას. ამასთან, ეს თეზისი ფროიდს წამოუყენებია მხოლოდ უკანასკნელ ხანს. მაშასადამე, ის თავიდანვე არ ყოფილა ფსიქოანალიზის ამოსავალი პრინციპული დებულება.

საერთოდ ზემოაღნიშნული შეხედულების შესახებ უნდა ითქვას ის, რომ ფსიქოანალიზში არაცნობიერის ნეიტრალურ სინამდვილედ წარმოდგენა ფიზიკურისა და ფსიქიკურის მიმართ, ჯერ ერთი, ტექსტობრივად არ დასტურდება ფროიდთან, შემდეგ, არ გამომდინარეობს არც ფსიქოანალიზის თეორიული პრინციპებიდან. ამიტომაა,

---

[115] В. Н. Волошинов, Фрейдизм. Критический очерк. М., 1927, с. 109—110.

[116] Н. С. Мансуров, Современная буржуазная психология. М., 1962, с. 43.

[117] В. М. Банщиков, О. М. Эфендиев, Проблема сознания и фрейдизм; Проблемы сознания. Материалы симпозиума, М., 1966, с. 275.

რომ ამ შეხედულებების დამცველები კმაყოფილდებიან მხოლოდ დეკლარაციული განცხადებით; არაცნობიერის ნეიტრალობის თეზისს ვერ ამაგრებენ ვერც ტექსტობრივად და ვერც ფროიდის მოძღვრების თეორიული ანალიზით, ამ ანალიზიდან გამომდინარე შედეგებით.

შესაძლებელია, არაცნობიერის ნეიტრალური სინამდვილის საეხით წარმოდგენის საბაბი იყოს ის, რომ ფროიდი ფსიქიკური ენერგიის თაობაზე მსჯელობის დროს ზოგჯერ ხმარობს ტერმინს „ინდიფერენტული ენერგია“ ანდა ლტოლვის ის დახასიათება, როცა მითითებულია, რომ ლტოლვა სხეულსა და სულს შორის საზღვარზე მყოფია.

ცნობილია, რომ ფროიდი თავიდანვე ყურადღებით ეკიდებოდა ფსიქიკური ენერგიის (რაც მისთვის იგივე ლტოლვის ენერგიაა) რომელობით დახასიათებას. ფროიდმა პირველად, როგორც აღინიშნა, ლტოლვები დაყო ორ ჯგუფად: სექსუალურ ლტოლვებად და მე-ლტოლვებად. სექსუალური ლტოლვების ენერგიას უწოდა ლ ი ბ ი დ ო, ხოლო მე-ლტოლვების ენერგიას — ი ნ ტ ე რ ე ს ი. ფროიდმა შემდეგ ორივე ჯგუფის ლტოლვები გააერთიანა ერთ სფეროდ, რომელსაც დაუტოვა სექსუალური ლტოლვების სახელწოდება, რომლის ენერგიის აღსანიშნავად ლიბიდოს ტერმინი დარჩა. ამის გამო ლიბიდო უკვე მოიცავს როგორც სექსუალურ, ისე არასექსუალურ ფსიქიკურ ენერგიებს და, ამდენად, ლიბიდო გვევლინება გარკვეული აზრით, ფსიქიკური ენერგიის ეკვივალენტად[118]. ფროიდი შრომაში „მე და ი გ ი“ ლაპარაკობს ი ნ დ ი ფ ე რ ე ნ ტ უ ლ ი ე ნ ე რ გ ი ი ს შესახებ, მაგრამ ინდიფერენტობა ენერგიისა აქ ნიშნავს არა ნეიტრალობას ფსიქიკისა და ფიზიკურის (ფიზიოლოგიურის) მიმართ, არამედ თვითონ ფსიქიკური ენერგიის დაუნაწევრებლობას სექსუალურ და არასექსუალურ ფორმებად, რომელობებად. მაშასადამე, არსებობს ენერგია, რომელიც ფსიქიკურია, და ის შეიძლება მოხმარდეს როგორც სექსუალურ ისე არასექსუალურ, მაგალითად, დესტრუქციის ლტოლვების განხორციელებას. სანამ ჯერ კიდევ ეს ფსიქიკური ენერგია არ მოხმარებია ან სექსუალური, ან არასექსუალური ლტოლვის რომელობას, მანამდე იგი უნდა ჩაითვალოს ინდიფერენტულ ფსიქიკურ ენერგიად[119].

---

[118] ფროიდთან ლიბიდოს ცნების შინაარსის ამგვარი დახასიათებით მოხდა ფსიქიკური ენერგიის გაგების საკითხში გარკვეული აზრით კ. გ. იუნგის თვალსაზრისთან დაახლოება.

[119] იხ. „მე და იგი“, XIII, 272—273. ფროიდის ნაწერებში ზოგჯერ ტერმინო-

ფროიდი ლტოლვის ბუნების გარკვევისას მსჯელობს ლტოლვის წყაროზე, რომ ლტოლვა ენერგიას ღებულობს ორგანიზმის რომელიმე ნაწილიდან; ფიზიოლოგიური ენერგია გადადის, იქცევა ლტოლვის ენერგიად, ანუ ფსიქიკურ ენერგიად, და ხდება პირიქითაც, ფსიქიკური ენერგია გარდაიქმნება ფიზიკურ ენერგიად. ფროიდს შეიძლება ვუსაყვედუროთ არათანამიმდევრულობა, რაც მან ახლახან გადმოცემულ მსჯელობაში ფიზიკური და ფსიქიკური ენერგიების ურთიერთში გადასვლის აღიარებისას გამოამჟღავნა, რომელიც უპირისპირდება არაცნობიერი ფსიქიკის, ფსიქიკური ენერგიის დაშვებით წინდაწინვე მიღებული პარალელიზმის პრინციპს. მაგრამ აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს არაცნობიერის ნეიტრალური ბუნების მქონე სინამდვილედ გამოცხადება.

ფსიქოანალიზის ამოსავალი პრინციპების გაცნობიერებაც გვარწმუნებს იმაში, რომ არაცნობიერის ნეიტრალური სინამდვილის სახით წარმოდგენა ეწინააღმდეგება და უკუაგდებს ფსიქოანალიზური თეორიის შინაგან ბუნებას. მაგალითად, არაცნობიერი თუ ნეიტრალურ სინამდვილედ გამოცხადდება, რომელიც პრინციპულად ერთნაირად განსხვავდება ფიზიკურისა და ფსიქიკურისაგან, ვერ გამოგვადგებოდა ცნობიერი ფსიქიკის ამხსნელ საშუალებად, რადგანაც მას არ ექნებოდა საერთოდ ფსიქიკისათვის დამახასიათებელი არსებითი ნიშანი საზრისიანობისა, როგორადაც ამას ფსიქოანალიზი აღიარებს; ნეიტრალური არაცნობიერი, როგორც ფსიქიკის მიღმა მდებარე გარკვეულობა, დაარღვევდა ფსიქიკის უწყვეტობის პრინციპის იდეის აღიარებას და ა. შ.

ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის, რომ ფროიდის მიზანი თავიდანვე იყო (ვგულისხმობთ ფსიქოანალიზის თეორიას და არა ფსიქოანალიზის წინარე ფროიდის შეხედულებას) არაცნობიერის გააზრება ფსიქიკური სინამდვილის სახით, არაცნობიერი ფსიქიკის დასაბუთება. სწორედ აღნიშნულითაა განპირობებული ფსიქოანალიზში მეთოდოლოგიური დუალიზმის თვალსაზრისის გატარება. არ უნდა იქნეს დავიწყებული ფროიდის სიტყვები, რომელიც მთელი მისი მოღვა-

---

ლოგიური უზუსტობაა, მაგალითად, ის ნაშრომში „არაცნობიერი" იყენებს ტერმინს „ნერვული ენერგია" (X, 287), მაგრამ კონტექსტიდან ჩანს, რომ ეს იგივე სულერი ცხოვრების ენერგიაა. „ფსიქოანალიზის ნარკვევშიაც" იხსენიება ლტოლვასთან დაკავშირებით „ნერვული ენერგია" (XVII, 81), მაგრამ ირკვევა, რომ აქ იგულისხმება ფსიქიკური ენერგია, ვინაიდან მოცემულია ასეთი განმარტება: «nervöse oder psychische Energie».

წეობის კვალიფიკაციას იძლევიან და ნათლად გამოხატავენ ფსიქოანალიზის დედააზრს. ფროიდი 1937 წელს რომენ როლანისადმი მიწერილ ბარათში შემდეგს აღნიშნავს: „თქვენ იცით, რომ ჩემი მეცნიერული მუშაობა მიზნად ისახავდა სულიერი ცხოვრების არაჩვეულებრივი, არანორმალური, პათოლოგიური მოვლენების ახსნას, ე. ი. დაყვანას მათ უკან მოქმედ ფსიქიკურ ძალებზე და ამასთან მოქმედი მექანიზმების ჩვენებას"[120].

2) ა რ ა ც ნ ო ბ ი ე რ ი ფ ი ზ ი ო ლ ო გ ი უ რ ი ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე ა. გამოითქვა შეხედულება, რომ ფსიქოანალიზში ის, რაზედაცაა ლაპარაკი არაცნობიერის ფარგლებში ფსიქოლოგიური ტერმინების მოშველიებით, სინამდვილეში ფსიქიკური კი არა, ფიზიოლოგიური გარკვეულობაა, რომ ფროიდთან ფსიქოლოგიურ ტერმინებში უმაღლესი ნერვული მოქმედების პროცესები უნდა იგულისხმებოდეს.

ბ. ბიხოვსკი წიგნში „ფროიდის მეტაფსიქოლოგია"[121] იძლევა ფროიდის არაცნობიერის ინტერპრეტაციას ფიზიოლოგიური შინაარსით. ავტორი თეზისის გამართლებას ცდილობს ფროიდის მსჯელობით, რომელიც გამოთქმულია „სიამოვნების პრინციპის იქითა მხარეში". ფროიდი წერს: „ჩვენ იძულებული ვართ ვიმუშაოთ მეცნიერული ტერმინებით, ე. ი. ფსიქოლოგიის (უფრო სწორად „სილრმის ფსიქოლოგიის") სპეციფიკური ხატოვანი ენით. ჩვენ სხვაგვარად ვერ შევძლებდით, საერთოდ აგვეწერა შესატყვისი პროცესები, დიახ, ვერც კი აღვიქვამდით მათ. ნაკლოვანებები ჩვენი აღწერისა, ალბათ, გაქრებოდნენ, თუკი ნაცვლად ფსიქოლოგიური ტერმინებისა შევძლებდით ფიზიოლოგიური ან ქიმიური ტერმინების ჩასმას"[122]. ბიხოვსკის მტკიცებით, მოტანილი ადგილიდან ჩანს, რომ ფროიდს თვითონვე ჰქონდა შეგნებული ფსიქოანალიზური ტერმინოლოგიის უკმარობა. იგი ასკვნის: ფროიდის სუბიექტივისტური ცნებები კორელატურნი არიან მატერიალური, ფიზიოლოგიური პროცესებისა და მათ ენაცვლებიან. ბიხოვსკი ამოცანად სახავს ფროიდის ტერმინოლოგიური მისტიფიკაციის დაძლევას. როგორც ირკვევა, ბიხოვსკის გაგებით, ფსიქოანალიზში არაცნობიერის ონტოლოგიური პრობლემა მხოლოდ ტერმინოლოგიური საკითხის გადაჭრა ყოფილა. არაცნობიერი ფსიქოანალიზში იმთავითვე ფიზიოლოგიურ სინამ-

---

[120] XVI, 250.

[121] Б. Быховский, Метапсихология Фрейда, Минск, 1926, с. 7—8.

[122] XIII, 65.

დეილედ ყოფილა აღიარებული, რომლის თავისებურებათა აღსანიშნავად ფროიდს გამოუყენებია უხეირო ფსიქოლოგიური ტერმინები[123].

ამგვარი გაგება ფსიქოანალიზის არაცნობიერის ცნებისა საფუძველს მოკლებულად მიგვაჩნია[124]. ბიხოვსკის მიერ მოტანილი ადგილი ფროიდის მსჯელობიდან არ ამართლებს ფსიქოანალიზში არაცნობიერის ფიზიოლოგიური სინამდვილის სახით წარმოდგენის ცდას. ავტორს ფროიდის აზრი დასრულებული სახით არ მოჰყავს. ფროიდი მსჯელობას შემდეგნაირად აგრძელებს: „ისინი (ფიზიოლოგიური ან ქიმიური ტერმინები — ვ. კ.) თუმცა აგრეევე ეკუთვნიან მხოლოდ ხატოვან ენას, მაგრამ ისეთს, რომელსაც ჩვენ დიდი ხანია ვენდობით და რომელიც, ალბათ, აგრეთვე უფრო მარტივია"[125].

როგორც ირკვევა, ფროიდი ზემომოყვანილ მსჯელობაში არაცნობიერს ფიზიოლოგიურად კი არ თვლის, არამედ მოითხოვს არაცნობიერის აღწერისა და შემეცნებისათვის ადეკვატური საშუალებების მონახვას. ამას აკეთებს ფსიქოლოგიური ცნებები იმიტომ, რომ არაცნობიერი სინამდვილე ფსიქიკური ბუნებისაა. არაცნობიერი ფსიქიკური პროცესების მიმართ ფსიქოლოგიური ცნებების მომარჯვების გარეშე, როგორც ფროიდი ამბობს, „ვერც კი აღვიქვამ-

---

[123] ფსიქოანალიზის არაცნობიერის უმაღლეს ნერვულ მოქმედებასთან გაიგივების აზრი გამოთქვა, ა. მეტემ. ამ დებულების დასაბუთება ავტორს არ მოუცია. A. Mette, Sigmund Freud, Berlin, 1958, გვ. 34.

[124] გაუგებრობაზეა დამყარებული ჯ. უელსის მსჯელობა: «Фрейд всегда утверждал, что психология имеет право вести изучение человеческого мозга, поскольку последняя недостаточно развита». Г. Уэллс, Павлов и Фрейд, М., 1959, გვ. 302—303. ფროიდს არსად არ უმტკიცებია, რომ ფსიქოლოგიას უფლება აქვს თავისუფლებინის შესწავლისა და ამიტომაც სწავლობს მას. ფროიდი მიზნად ისახავდა ფსიქიკის შემეცნებას და ფსიქიკის შესწავლის საქმეში ის უარყოფდა ტვინის ფიზიოლოგიური პროცესის გამოყენებას, როგორც ფსიქიკის მიმართ არსობრივად ჰეტეროგენული მოვლენისა, რომელიც არაფერს ამბობს თვითონ ფსიქიკის შინაგანი გარკვეულობის შესახებ.

[125] ფროიდთან მითითებული ადგილი ასე იკითხება: «...wir genötigt sind, mit den wissenschaftlichen Terminis, das heißt mit der eigenen Bildersprache der Psychologie (richtig: der Tiefenpsychologie) zu arbeiten. Sonst könnten wir die entsprechenden Vorgänge überhaupt nicht beschreiben, ja, würden sie gar nicht wahrgenommen haben. Die Mängel unserer Beschreibung würden wahrscheinlich verschwinden, wenn wir anstatt der psychologichen Termini schon die physiologischen oder chemischen einsetzen könnten. Diese gehören zwar auch nur einer Bildersprache an, aber einer uns seit längerer Zeit vertrauten und vielleicht auch einfacherer». XIII, 65.

დით მათ". ფროიდი ლაპარაკობს არაცნობიერის შემეცნების ფსიქოლოგიურ სიძნელეზე. ფიზიოლოგიური ტერმინი მარტივი და ნაცნობია ჩვენთვის და ამიტომ შემმეცნებელში არის არაცნობიერის დაუფლების საქმეში მათი გამოყენების ტენდენცია, მაგრამ ობიექტური საქმის ვითარება ისეთია, რომ ფიზიოლოგიური ცნებით ვერ აღიწერება ორიგინალური გარკვეულობა — არაცნობიერი ფსიქიკა; ამდენად ამ ჭრილში უკანასკნელის წვდომის იმედიც არ უნდა გვქონდეს.

ბიხოვსკის არ გააჩნია სხვა არგუმენტი არაცნობიერის ფიზიოლოგიურად გამოცხადების სასარგებლოდ. ავტორი არაფერს ლაპარაკობს იმ მსჯელობების შესახებ, რომლებიც ფროიდის თითქმის ყველა ნაშრომშია და ეხება არაცნობიერის ფსიქიკურად გააზრებისა და დასაბუთების საკითხს. მას უნდა გახსენებოდა ფროიდის ცნობილი დებულება „ლექციებიდან": ფსიქოანალიზმა, უპირველეს ყოვლისა, უნდა უკუაგდოს ყველა მისთვის უცხო ანატომიური, ქიმიური ან ფიზიოლოგიური თეორიები და იმუშაოს განსაკუთრებით წმინდა ფსიქოლოგიური ცნებებით, რადგანაც „არაცნობიერი ესაა საკუთრივ რეალური ფსიქიკური" და ფსიქოანალიზის ამოცანაა „სულიერ ცხოვრებაში არაცნობიერის აღმოჩენა". შორს წასვლა არცაა საჭირო, თვითონ ფროიდის „სიამოვნების პრინციპის იქითა მხარეში" სავსებით ნათლადაა მითითებული არაცნობიერის ფსიქოანალიზური კონცეფცია, რომ არაცნობიერი პროცესები ეს იგივე „ღრმა სულიერი პროცესებია", ცნობიერება არაა აუცილებელი ნიშანი ფსიქიკური პროცესისათვის, ამიტომაც არსებობენ არაცნობიერი ფსიქიკური პროცესები; არაცნობიერი სულიერი პროცესების სპეციფიკა ისაა, რომ ისინი დროის გარეშე არიან და სხვა[126]. საკითხის ბუნების გარკვევას ხელს შეუწყობდა იმის ცხადყოფაც, თუ რა იყო იმის საფუძველი, რომ ფროიდმა ფსიქოანალიზის პოსტულატად მეთოდოლოგიური დუალიზმი გამოაცხადა. ამ უკანასკნელის გაცნობიერების ცდას ბიხოვსკის წიგნში ვერ ვნახულობთ. ფსიქოანალიზური კონცეფციის შინაგანი ბუნებისა და თეორიული წანამძღვრების გაცნობიერება თავიდან აგვაცილებდა ბევრ არასწორ შე-

---

[126] «Seelische Tiefenvorgänge», 10, «Das Bewußtsein nicht der allgemeinste Charakter der seelischen Vorgänge... sein könne», 23, «Die unbewußten Seelenvorgänge an sich «zeitlos sind», 28, «Es (System ubw—ვ. კ.) muß...die anderen psychischen Systeme umhüllen», 23, 31.

ხედულებას, რომელიც საერთოდაა დაკავშირებული ფსიქოანალიზის მოძღვრების გაგებასთან.

ერთგვარი გავრცელება ჰპოვა შეხედულებამაც, რომელიც ფროიდის ფსიქოანალიზურ კონცეფციას განიხილავს როგორც პროვიზორულ საქმის ვითარებას. ამ შეხედულების მიხედვით, ფროიდი ფსიქიკის შემეცნების — ახსნისა და გაგების — საქმეში ობიექტური ვითარების გამო იძულებული გახდა, გამოეყენებინა არაცნობიერი ფსიქიკის ცნება. ფროიდი ფიზიოლოგიური მეცნიერების განვითარების კვალობაზე, ტვინის უმაღლესი ნერვული მოქმედების შესწავლიდან მიღებული ცოდნის საფუძველზე, შეიცვლიდა პოზიციას ფსიქოლოგიის აგების პრინციპების თაობაზე, და მეთოდოლოგიური დუალიზმის უკუგდებას მოჰყვებოდა მონისტურ პოზიციაზე გადასვლა ფსიქიკის შესწავლის საქმეში: არაცნობიერი ფსიქიკის ადგილს დაიპერდა უმაღლესი ნერვული მოქმედების მექანიზმი. ეს იყო ფროიდის საბოლოო იდეალი, რომლის განუხორციელებლობა არსებითად განაპირობა თავის ტვინის ფიზიოლოგიური მოქმედების შესახებ მეცნიერების დაბალმა დონემ. ცნობილი იტალიელი ფსიქოანალიტიკოსი ჩ. მუზატი აღნიშნავს: „ფროიდს არა მარტო არ უნდოდა ფიზიოლოგიური ახსნის უკუგდება, არამედ მზად იყო მისთვის ადგილი დაეთმო, როგორც კი ეს შესაძლებელი გახდებოდა. ფროიდის (ისევე როგორც პავლოვის) უარყოფას აქვს მეთოდური და არა თეორიული აზრი და მის უკან არ იმალება არავითარი განსაკუთრებული მეტაფიზიკური კონცეფცია"[127].

აღინიშნა, რომ ფროიდი ფსიქოფიზიკური პრობლემის კითხვაზე მონისტურ პასუხს იძლევა: ფსიქიკა წარმოიშვება ტვინის ფიზიოლოგიური მოქმედებიდან. კარგადაა ცნობილი ისიც, რომ ის ფსიქიკის ახსნის საკითხში მეთოდოლოგიური დუალიზმის დამცველად გვევლინება: ფსიქიკის მოქმედებას ტვინი ვერ ახსნის, ფსიქიკა უნდა აიხსნას ისევ ფსიქიკით (resp. ცნობიერი ფსიქიკა უნდა აიხსნას არაცნობიერი ფსიქიკით). ამხსნელის როლში ვერ მოგვევლინება ფიზიოლოგიური (საერთოდ არაფსიქიკური სინამდვილე). იმიტომ, რომ ახსნის (შემეცნების) შინაარსი, ფსიქოანალიზის მიხედვით, გულის-

---

[127] Чезаре Л. Музатти, Основы психоанализа в критике Ф. В. Бассина, «Вопросы психологии», 1960, № 3, გვ. 144; მსგავს თვალსაზრისს იცავს Ernst Kris, იხ. «Aus den Anfängen der Psychoanalyse», გვ. 53; იხ. აგრეთვე Donald Brinkmann, Probleme des Unbewußten, Zürich und Leipzig, 1943, გვ. 50.

ხმობს გაგების ვითარებას, წარმოადგენს საზრისის წვდომას და არა მოვლენის ქვეშ ან საფუძველში მდებარის უბრალო დადასტურებას. ხოლო საზრისის წვდომა (გაგება) შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ფსიქიკის ფარგლებში.

საკითხი ფსიქიკის ორგანული (არაფსიქიკური) საფუძვლების შესახებ ფსიქოანალიზში, მეთოდოლოგიური პრინციპებიდან გამომდინარე, მნიშვნელობას ჰკარგავს. ფროიდის ონტოლოგიური მონიზმი ზემოაღნიშნული ვითარების გამო მოჩვენებითი ხდება და ფსიქოანალიზური კონცეფციისათვის არაფრის მთქმელია. ფსიქოანალიზის პრინციპები ეწინააღმდეგებიან ფსიქიკის საფუძვლების ძიებას არაფსიქიკურში და ამდენად ყოველი ასეთი ცდა გადახვევად უნდა მივიჩნიოთ ფსიქოანალიზიდან. ფროიდი, მართლაც, დაინტერესებული იყო ფსიქიკის ორგანული საფუძვლების გარკვევით. ის „ფსიქოანალიზის შესავალ ლექციებში" წერს: „ჩვენ მიერ შექმნილი ფსიქოანალიზის შენობა სინამდვილეში წარმოადგენს ზედნაშენს, რომელიც როდისმე დადგება თავის ორგანულ საფუძველზე, მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით ეს საფუძველი"[128]. ჩვენმა ავტორმა ფსიქოანალიზური თვალსაზრისი ფსიქიკის ორგანული საფუძვლის შესახებ ნათლად ჩამოაყალიბა „ფსიქოანალიზის ნარკვევში", სადაც აღნიშნულია შემდეგი „იმის შესახებ, რასაც ჩვენ ფსიქიკას (სულიერ ცხოვრებას) ვუწოდებთ, ჩვენთვის ორი რამაა ცნობილი: პირველი — სხეულებრივი ორგანო და მისი მოქმედების ადგილი, ტვინი (ნერვული სისტემა), მეორე მხრივ — ჩვენი ცნობიერების აქტები, რომლებიც უშუალოდ არიან მოცემულნი... ყველაფერი მათ შორის უცნობია, პირდაპირი მიმართება ჩვენი ცოდნის ორივე საბოლოო წერტილს შორის არაა მოცემული. ის რომც იყოს, სულ დიდი, ცნობიერების პროცესების ზუსტ ლოკალიზაციას მოგვაწვდიდა, მათი გაგებისათვის ვერაფერს გააკეთებდა"[129] (ხაზგასმა ჩვენია — ვ. კ.).

---

[128] XI, 403. იგივე აზრი გამოთქვა ფროიდმა უფრო ადრე, 1898 წ. ვ. ფლისისადმი მიწერილ ბარათში ის მიუთითებს: „მე სრულიადაც არ ვარ სხვა შეხედულებისა, ვიდრე თქვენ, სრულიადაც არ მაქვს მიდრეკილება მივიღო ფსიქოლოგიური ჰაერში მჭროლავად ორგანული საფუძვლის გარეშე. მხოლოდ რწმენის გარდა მე არაფერი ვიცი, არც თეორიულად, არც თერაპევტულად და უნდა მოვიქცე იმგვარად, თითქოს ჩემს წინ იდოს მხოლოდ ფსიქოლოგიური". Aus den Anfängen der Psychoanalyse, გვ. 282,

[129] XVII, 67.

„არც ერთ ფიზიოლოგიურ წარმოდგენას, არც ერთ ქიმიურ პროცესს არ შეუძლია ხელი შეუწყოს მათი (სულიერი ცხოვრების ლატენტურ მდგომარეობათა — ვ. კ.) არსის ცოდნას". მაშასადამე, ფსიქიკის ორგანული საფუძვლების გარკვევა ფსიქოანალიზურ დოქტრინას პრინციპულად არ ჭირდება. ამიტომ საფუძველს მოკლებულად მიგვაჩნია მტკიცება, თითქოს ფსიქოანალიზის შინაგანი ბუნება მოითხოვდეს არაცნობიერი ფსიქიკის ფიზიოლოგიურით შეცვლას. ფსიქოანალიზის ცნებათა სისტემა არ შეიძლება პროვიზორული იყოს, რადგანაც ფსიქოანალიზი ფსიქოლოგიური თეორია, რომლისთვისაც საკუთარი „ფსიქოლოგიური აზროვნების წესიდან" გადახვევა, მისი საბოლოო მიზანია „ფსიქოლოგიურ ნიადაგზე დარჩენა", უკუგდება არაფსიქოლოგიური თეორიებისა და „მოქმედება მარტოოდენ წმინდა ფსიქოლოგიური ცნებებით", რაც გამიზნულია „წმინდა ფსიქოლოგიური გამოკვლევისათვის საზრისისა, ე. ი. შეცდომითი მოქმედებების მნიშვნელობისა, განზრახვისა"[130].

3) ა რ ა ც ნ ო ბ ი ე რ ი ც ნ ო ბ ი ე რ ე ბ ი ს ფ ს ი ქ ი კ უ რ ი ს ა ფ ე ხ უ რ ი ა. ალ. ფიშერი ნარკვევში „ცნობიერების უკანა და ქვედა საფეხურები" არაცნობიერის სამ ჯგუფზე მიუთითებს, რომლებიც, თავის მხრივ, ეფუძნებიან ფსიქიკის შემეცნების სამ ძირითად მოტივს. არაცნობიერის ერთ ჯგუფს ფიშერი უწოდებს „ფენომენოლოგიურად არაცნობიერს" და ამ ჯგუფში ათავსებს ფროიდის განდევნილი ფსიქიკური არაცნობიერის რომელობას. ფენომენოლოგიურად არაცნობიერი, ფიშერის მიხედვით, იმით ხასიათდება, რომ ამ ჯგუფის შინაარსი „ჯერ კიდევ რეფლექსიით მიუწვდომელ, კრიტიკულად გაუთვალისწინებელ და ჩვენი პიროვნებისადმი მთლიანობის მიმართებაში ჯერ კიდევ შეუტანელ განცდას" წარმოადგენს[131].

---

[130] Vorlesungen, XI, 29.

[131] Al. F i s c h e r, Untergründe und Hintergründe des Bewußtseins, Z. f. päd. Psychologie, 1916. მოგეყავს დ. უზნაძის მიხედვით, იხ. ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საფუძვლები, II, თბ., 1960, გვ. 153. ამ შრომაში დაწერილებითაა გადმოცემული ფიშერის შეხედულება არაცნობიერი ფსიქიკის ცნებასთან დაკავშირებით.

ფიშერის საპირისპიროდ ფ. ლერში საყვედურობს ფროიდს, რომ მან განდევნილ არაცნობიერი მოათავსა ცნობიერების ფარგლებს გარეთ. თვითონ ლერშს წარმოუდგენლად მიაჩნია ფსიქიკის არსებობა ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად, ამიტომ, მისი აზრით, განდევნილი არაცნობიერი ფსიქიკა უნდა მოთავსდეს უბრალო განცდითი საფეხურის სფეროში, ე. ი. Verdrängt-Undewußte ეს იგივე Ungewußt-Unbewußte-ა. იხ. Aufbau der Person, 557—561.

ესაა ურეფლექსიოდ განცდილი ფსიქიკური შინაარსი, რომელსაც აქვს პირველადი ცნობიერება. ამ ფსიქიკურ შინაარსს, რადგანაც იგი ცნობიერების საფეხურია, ახლავს განცდის უბრალო პრეზენტიეობა, მის შესახებ სუბიექტს გააჩნია უშუალო, ურეფლექსიო ცოდნა. თვითონ ფიშერი ე. წ. ფენომენოლოგიურად არაცნობიერი ფაქტების ჯგუფს არ თვლის ნამდვილ არაცნობიერად. მაგრამ ჩვენთვის მთავარი ამ შემთხვევაში ისაა, რომ ფროიდის განდევნილი არაცნობიერი დახასიათდა, როგორც ცნობიერების ფსიქიკური შინაარსი, კერძოდ, ურეფლექსიო ცნობიერების ფსიქიკური საფეხური.

1916 წლისათვის ფროიდს უკვე გამოქვეყნებული ჰქონდა შრომები, რომლებშიაც გადმოცემულია არაცნობიერი ფსიქიკის შესახებ ფსიქოანალიზური თვალსაზრისი, როგორიცაა, „ძიზმრის ინტერპრეტაცია“ (1900), „რამდენიმე შენიშვნა არაცნობიერის ცნების შესახებ ფსიქოანალიზში“ (1913), „არაცნობიერი“ (1915) და სხვა. ამ ნაშრომებში არსად არაა გამოთქმული აზრი, რომ განდევნილი ეს ისევ ცნობიერების ფარგლებში დარჩენილი ფსიქიკური შინაარსია. პირიქით, ფროიდი ყოველთვის იმაზე მიგვაქცევინებს ყურადღებას, რომ განდევნილი, ანუ არაცნობიერი ფსიქიკა, რაც იგივე სულის ლატენტური შინაარსია, სწორედ რომ ცნობიერების ფარგლებს გარეთ არსებული გარკვეულობაა. განდევნილი არაცნობიერი იმიტომ ვერ მოთავსდება ცნობიერების ფარგლებში, რომ სუბიექტი არაფერს განიცდის მის შესახებ. „ჩვენ არა გვაქვს უფლება ისე გავაფართოვოთ ამ სიტყვის („ცნობიერი“ — ვ. კ.) აზრი, რომ იმით შეიძლებოდეს ცნობიერების აღნიშვნა, რომლის შესახებაც მისმა მფლობელმა არაფერი იცის“. „არაცნობიერი წარმოდგენა ისეთია, რომელსაც ჩვენ ვერ ვამჩნევთ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მზად ვართ ვაღიაროთ მისი არსებობა სხვა ნიშნებისა და არგუმენტების საფუძველზე“[132].

მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ ფროიდი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ტერმინოლოგიურ საკითხს. [ჩვენი ავტორი უარყოფს არაცნობიერი ფსიქიკის აღსანიშნავად გამოყენებული იქნეს ტერმინები: ქვეცნობიერი (unterbewußt), თანაცნობი- (nebenbewußt), შიგაცნობიერი (binnenbewußt), რომლებიც შეიძლება მოგვევლინონ არასწორი გაგების წყაროდ, ვერ გვიჩვე-

---

[132] VIII, 434, 431.

ნონ არაცნობიერი ფსიქიკის ფსიქოანალიზური შინაარსი[133]. არაცნობიერი ფსიქიკის ფსიქოანალიზური შინაარსი კი ისაა, რომ მასში იგულისხმება ისეთი ფსიქიკა, რომელიც არსებობს ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად, ვინაიდან ცნობიერება და ფსიქიკა ერთმანეთისაგან განსხვავებული ვითარებებია. აღნიშნულ შინაარსს, ფროიდის მიხედვით, პირდაპირ გადმოსცემს ტერმინი „არაცნობიერი" (unbewußt) და მას უნდა მიეცეს უპირატესობა ზემოაღნიშნულ ტერმინებთან შედარებით.

ზოგი მკვლევარი აღნიშნავს, რომ ფროიდის არაცნობიერი (წინაცნობიერი და განდევნილი არაცნობიერი) ენათესავება ლაიბნიცის „მცირე აღქმის" ცნებას, რომ ამ ცნებათა შინაარსების მსგავსებაზე უნდა ვილაპარაკოთ[134].

ლაიბნიცის „მცირე აღქმისა" და ფროიდის არაცნობიერის ცნებათა ანალიზი გვარწმუნებს იმაში, რომ მათ შორის დიდი სხვაობაა. ეს ითქმის, რა თქმა უნდა, რომელობითი კუთხიდან განხილვის დროს. თუმცა ისიც ცხადია, რომ არაცნობიერის აღნიშნულ ცნებებს თეორიული ასპექტით ფსიქიკის მიმართ სუბსტანციონალური თვალსაზრისის გატარება ევალებათ, ისინი ფსიქიკის უწყვეტი და თვითკმარი რეალობის სახით წარმოდგენას ემყარებიან.

ლაიბნიცი „მცირე აღქმას", ანუ პერცეფციას, როგორც ფსიქოლოგიურ ცნებას[135], უპირისპირებს აპერცეფციას, ცნებიერებას[136]. ეს დაპირისპირება გულისხმობს იმას, რომ ცნობიერი ფსიქიკა და

---

[133] Vorlesungen, XI, 306.

[134] D. Brinkmann, Probleme des Unbewußten, გვ. 50.

[135] ცნობილია, რომ პერცეფციას ლაიბნიცის მონადოლოგიურ სისტემაში ორი შინაარსი აქვს : მეტაფიზიკური და ფსიქოლოგიური. მაშინ, როცა პერცეფცია დახასიათებულია როგორც ცალკეული მონადაში სამყაროს ასახვა, რთულს მარტივში წარმოდგენა და სიმრავლის ერთობაში გამოხატვა, ლაპარაკია ცნების მეტაფიზიკურ მნიშვნელობაზე. ხოლო, იმ შემთხვევაში, როდესაც პერცეფცია გვევლინება ემპირიული ცნობიერების ამსსნელ ელემენტად, მაშინ ცნების ფსიქოლოგიური ასპექტია მხედველობაში.

[136] ლაიბნიცთან აპერცეფციის ცნებას ორი მნიშვნელობა აქვს: ფართო მნიშვნელობით იგია პირველადი, უბრალო ცნობიერება, ვიწრო მნიშვნელობით კი — მეორადი, რეფლექსური ცნობიერება. ისიც დადგენილია, რომ აპერცეფციის ცნებას ლაიბნიცი მოიხმარს ფუნქციონალური და ობიექტური მნიშვნელობებითაც. ის ხან აღნიშნავს პროცესს, რომლითაც პერცეფცია იქცევა აპერცეფციად, ხან კი —აპერცეფცირებულ პერცეფციას, გაცნობიერებულ წარმოდგენას. იხ. ვ. კაკაბაძე, არაცნობიერის პრობლემა ლაიბნიცის ფილოსოფიაში, „საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე", 1963, № 2, გვ. 26.

არაცნობიერი ფსიქიკა ერთმანეთისაგან სუბიექტის მიერ მათ განცდასთან დაკავშირებით განსხვავდებიან, რომ „მცირე აღქმა“ თავისი დამოუკიდებელი არსებობით განცდის საფეხურს ვერ აღწევს, ის არ განიცდება, მიუხედავად იმისა, რომ ფლობს ცნობიერების გარკვეულ ინტენსივობას, მაგრამ მაინც არასაკმარისს მისი შემჩნევისათვის.

შინაგანი გარკვეულობის მიხედვით პერცეფცია და აპერცეფცია ერთმანეთისაგან რომელობით არ განსხვავდებიან. ფსიქიკის პერცეპტული და აპერცეპტული შინაარსები მხოლოდ ინტენსივობის განზომილებითაა განსხვავებულნი. სპეციფიკურია პერცეფციის გაცნობიერების გზა. პერცეფციის გაცნობიერება ხორციელდება პერცეფციის ინტენსივობის გაზრდის გზით, მაგრამ ლაიბნიცთან პერცეფციის ინტენსივობის მატება ნიშნავს არა ერთი პერცეფციის ძალის რაოდენობრივ აღმავლობას, არამედ მრავალი „მცირე პერცეფციის“ შ ე კ ა ვ შ ი რ ე ბ ა ს, გ ა ე რ თ ი ა ნ ე ბ ა ს. მაშასადამე, „მცირე აღქმა“, ვითარცა არაცნობიერ გარკვეულობა, იზოლირებულად, გათიშული სახით არსებულად წარმოიდგინება. ხოლო როგორც ცნობიერების ფაქტი — ერთმანეთთან შეკავშირებული რაგვარობით[137].

თუ ზემოაღნიშნული ვითარება იქნება გათვალისწინებული, მაშინ ძნელი აღარაა იმ არსებითი განსხვავების დანახვა, რაც ლაიბნიცის პერცეფციისა და ფროიდის არაცნობიერი ფსიქიკის ცნებათა შინაარსებს შორის არის. ლაიბნიცთან პერცეფცია ცნობიერი შინაარსისაგან რომელობით არ განსხვავდება. ფროიდთან კი არაცნობიერი ფსიქიკის რომელობაზე არ შეიძლება საერთოდ რაიმე პოზიტიური ითქვას, რადგანაც ის ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებობს. მცირე პერცეფცია განსხვავდება ცნობიერების შინაარსისაგან ინტენსივობის სისუსტით, ინტენსივობის სისუსტეა პირობა პერცეფციის არაცნობიერებისა. ფროიდთან არაცნობიერი ფსიქიკა (შაგ., განდევნილი, ლტოლვები -იგი-ში) ინტენსივობის მიხედვით ბევრად აღემატება ცნობიერი ფსიქიკის შინაარსებს. მიუხედავად ამისა, ის მაინც არაცნობიერი რჩება. „მცირე პერცეფციის“ შემოსვლა ცნობიერებაში, მისი გაცნობიერება სუბიექტის მიერ მსგავს პერცეფციებთან გაერთიანების საშუალებით ხდება, რაც ინტენსივობას ზრდის

---

[137] აღნიშნული ინტერპრეტაციის შესახებ იხ. დ. უ ზ ნ ა ძ ე, ლაიბნიცის petites perceptions-თა ადგილი ფსიქოლოგიაში, „თბილისის უნივერსიტეტის მოამბე“, 1919, № 1.

და მის შემჩნევას განაპირობებს[138]. ფროიდთან არაცნობიერი ფსიქიკის გაცნობიერებისათვის არაა საჭირო არაცნობიერ პროცესს ინტენსივობა მოემატოს. პირიქით, გაცნობიერება არაცნობიერ პროცესს ძალას ართმევს, ძალისაგან განმუხტავს. გაცნობიერება აქ ან არ მოითხოვს განსაკუთრებულ პირობებს, როგორც ესაა წინაცნობიერის შემთხვევაში, ან ხორციელდება შემკავებელი და შემზღუდავი ინსტანციების გადალახვით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, იმ შეხედულებათა შესახებ, რომლებიც ცდილობენ დაამტკიცონ, თითქოს ფროიდის არაცნობიერი ფსიქიკა ეს „ფსიქიკის განვითარების ზეალმავალ ხაზში ცნობიერების პირველადი საფეხურია"[139] და საერთოდ იქ, სადაც ფსიქოანალიზის არაცნობიერი ფსიქიკა წარმოიდგინება ცნობიერების რომელიმე დონედ, უნდა ითქვას, რომ ამგვარი მოსაზრება ძირშივე ეწინააღმდეგება ფსიქოანალიზის პრინციპულ თეზისს ცნობიერებისა და ფსიქიკის გათიშვის შესახებ.

4) ა რ ა ც ნ ო ბ ი ე რ ი ც ნ ო ბ ი ე რ ი ფ ს ი ქ ი კ უ რ ი შ ი ნ ა ა რ ს ე ბ ი ს ც ნ ო ბ ი ე რ ე ბ ი ს ა გ ა ნ დ ა მ ო უ კ ი დ ებ ე ლ ი ა რ ს ე ბ ო ბ ა ა. ეს შეხედულება ყველაზე მეტად გავრცელებულია ფროიდის არაცნობიერი ფსიქიკის გაგებათა შორის როგორც ბურჟუაზიულ სამყაროში, ისე საბჭოთა ფსიქოლოგთა შორისაც. საქმე იმდაგვარადაა წარმოდგენილი, თითქოს ფსიქოანალიზში არაცნობიერი ფსიქიკური ცნების აღნიშნული შინაარსი იმდენად ცხადი და უდავო იყოს, რომ მასზე საგანგებო შეჩერება არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენდეს. სინამდვილეში ასეთ გაგებას, ჩვენი აზრით, საკმაო საფუძველი არ გააჩნია. საბჭოთა ფსიქოლოგების მხრიდან ფსიქოანალიზური კონცეფციის წინააღმდეგ მიმართული შეურიგებელი ბრძოლა არაცნობიერი ფსიქიკის აღნიშნულ შინაარსსაც გულისხმობს, სახელდობრ, რომ ფსიქოანალიზის არაცნობიერი ფსიქიკა ცნობიერების გარეთ არსებული ფსიქიკური შინაარსებია.

ჩვენში უკანასკნელ წლებში მაინც იგრძნობა ერთგვარი ტენდენცია უფრო სერიოზულად იქნეს გაანალიზებული ფროიდის ფსიქოანალიზური კონცეფცია, რომელშიაც ცენტრალური ადგილი უკა-

---

[138] სხვა საკითხია, როგორაა დასაბუთებული ლაიბნიცთან არაცნობიერი ფსიქიკა, „მცირე აღქმის" რეალური არსებობა, „მცირე აღქმის„ შინაარსი როგორ უთავსდება ქმნადობის ფილოსოფიურ პრინციპს და სხვ.

[139] იხ. მაგალითად, ა. შეროზიას ნაშრომი К проблеме сознания и бессознательного психического. ч. I, Тб., 1969, გვ. 88, 129, 156.

ვია არაცნობიერი ფსიქიკის ცნებას. ამ მხრივ სიმპტომატურია ფ. ბასინის განცხადება ჟურნალ „Вопросы философии"-ს ფურცლებზე, სადაც აღნიშნულია: „ფროიდიზმთან ჩვენს დავას, რომელიც გადაიქცა მთელი რიგი ქვეყნების ახალგაზრდა თაობის ნამდვილ ბრძოლად მეცნიერული მსოფლმხედველობისათვის, ყურადღებით ადევნებს თვალს მთელი კულტურული კაცობრიობა. ამიტომ ჩვენ უნდა ვიყოთ საკუთარ არგუმენტაციაში ძალზე ზუსტი და მკაცრი, და ყველაზე უფრო უნდა მოვერიდოთ ჩვენს მოწინააღმდეგეთა თვალსაზრისების გამარტივებას, ვულგარიზაციას. ვუშვებთ რა ასეთ გამარტივებას, შეგვიძლია ადვილად მოვიპოვოთ გამარჯვება დავაში, მაგრამ ეს იქნება გამარჯვება წარმოსახულზე და არა რეალურ ოპონენტზე, რომლის შედეგი შეიძლება აღმოჩნდეს ჩვენი იდეალური ზეგავლენის არა გაძლიერება, არამედ, პირიქით, შესუსტება. არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ ბევრისათვის შეუსუსტებელი მიმზიდველობა ფსიქოანალიზის იდეებისა გარკვეულად აიხსნება არა ამ იდეების ძალით, არამედ სწორედ კრიტიკის მსგავსი გამარტივებით, რომელსაც ჩვენ ვუშვებდით ზოგჯერ"[140].

საბჭოთა ფსიქოლოგებიდან დ. უზნაძემ ნათლად ჩამოაყალიბა ფროიდის არაცნობიერის კონცეფციის ის გაგება, რომელსაც არაცნობიერი ფსიქიკა ცნობიერი ფსიქიკისაგან განუსხვავებლად მიაჩნია. დ. უზნაძე წერს: „ფ რ ო ი დ ს მოძღვრების ყველაზე უფრო სუსტ პუნქტს არაცნობიერის შესახებ უთუოდ შემდეგში უნდა ვეკრეტდეთ: მისი აზრით, განსხვავება ცნობიერსა და არაცნობიერ პროცესებს შორის ძირითადად მხოლოდ იმაზე დაიყვანება, რომ ეს პროცესები არსებითად მარტო იმით განსხვავდებიან ურთიერთისაგან, რომ პირველ მათგანს ცნობიერება ახლავს თან, მეორეს კი არა. რაც შეეხება მათს შინაგან ბუნებასა და სტრუქტურას, ამ მხრით მათ შორის განსხვავება არაფერია"[141].

როგორც აღვნიშნეთ, ასეთი გაგება ფროიდის არაცნობიერის ცნებისა ისე სარწმუნოდაა მიღებული, რომ მისი დასაბუთების საჭიროებას ვერ განიცდიან. გამონაკლისად ჩაითვლება ი. ბჟალავას წიგნი „ფსიქოზურ განცდათა ფენომენოლოგია", სადაც ავტორი, როგორც ჩანს, გულისხმობს არაცნობიერი ფსიქიკის ფროიდისეუ-

---

[140] ф. в. б а с с и н, О «силе Я» и «психической защите», «Вопросы философии», 1969, № 12, с. 119.

[141] д. у з н а д з е, განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები, ფსიქოლოგია, VI, 1949, გვ. 35.

ლი კონცეფციის შესაძლო სხვაგვარ გაგებას და ცდილობს, დაასაბუთოს დებულება ფსიქოანალიზში ცნობიერი ფსიქიკისა და არაცნობიერი ფსიქიკის რომელობითი იგივეობის შესახებ: „არაცნობიერი ფსიქიკური ფროიდისათვის არის იგივე ფსიქიკური მოვლენები, მხოლოდ მინუს ცნობიერება". ავტორის მიხედვით: „ფროიდის ძირითად დამსახურებად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ მან დაადასტურა ცნობიერებას მოკლებული ფსიქიკურის არსებობა, რომელსაც არა რომელობითი ხასიათის განსხვავება აშორებს ცნობიერებიდან, არაწედ მანძილი"[142].

აღნიშნული თეზისის ტექსტობრივი დასაბუთებისათვის ი. ბეალავა ხელმძღვანელობს ფროიდის ორი სტატიის რუსული თარგმანით. ეს სტატიებია: „რამდენიმე შენიშვნა არაცნობიერის ცნების შესახებ ფსიქოლოანალიზში" და „არაცნობიერი", რომლებიც მოთავსებულია ფროიდის სტატიათა კრებულში: „ძირითადი ფსიქოლოგიური თეორიები ფსიქოანალიზში". ი. ბეალავას ნაშრომის 30-ე გვერდზე ვკითხულობთ: „არაცნობიერის (ubw) სისტემას აქვს იგივე თავისებურება, რაც ცნობიერების (bw) სისტემას". ამ აზრს ავტორი ფროიდს მიაწერს. ფროიდთან კი ნამდვილად სულ სხვა რამ სწერია: „ჯერჯერობით საკმარისია გვახსოვდეს, რომ Vbw სისტემა Bw სისტემის თვისებებს ინაწილებს"[143]. მაშასადამე, „წინაცნობიერი (Vbw) სისტემის" ნაცვლად ი. ბეალავა წერს „არაცნობიერ (Ubw) სისტემას". ფსიქოანალიზში კი წინაცნობიერ და არაცნობიერ სისტემებს შორის განსხვავება დიდია. წინაცნობიერი ფსიქოანალიზში, როგორც ცნობილია, ფსიქიკის მხოლოდ ერთ-ერთი ინსტანციაა, რომელიც ახლო დგას ცნობიერების სისტემასთან, და ამიტომ მის გაიგივება ე. წ. „არაცნობიერის სისტემასთან" მთლიანად პრინციპულად დაუშვებელია. ფროიდი ლაპარაკობს წ ი ნ ა ც ნ ო ბ ი ე რ ი ს ა დ ა ც ნ ო ბ ი ე რ ე ბ ი ს სისტემების თვისებების მსგავსებაზე და ა რ ა ა რ ა ც ნ ო ბ ი ე რ ი ს ა დ ა ც ნ ო ბ ი ე რ ე ბ ი ს სისტემების თავისებურებათა იგივეობაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფროიდი ფსიქიკის სისტემებს — Bw, Vbw, Ubw — გ

---

[142] ი. ბ ე ა ლ ა ვ ა, ფსიქოზურ განცდათა ფენომენოლოგია, თბილისი, 1968, გვ. 27—28, 29. შემდგომ ირკვევა, რომ ფროიდის ეს „ძირითადი დამსახურება" ნამდვილად ვერ ჩაითვლება ასეთად, რადგანაც „ფსიქიკურის ასეთმა ორგვარმა გაგებამ ფროიდის კრიტიკოსებს უფლება მისცა დაენახათ მის თეორიაში ისეთივე ხასიათის წინააღმდეგობა, რომელსაც შეიცავს ცნება: „ხის რკინა". ი ქ ვ ე, გვ. 36.

[143] «Vorläufig genüge es festzuhalten, daß das System Vbw die Eigenschaften des Systems Bw teilt...» Das Unbewußte, X, 272.

ნასხვავებს ტოპიკური თვალსაზრისის გამოყენებით[144]. ეს კი ნიშნავს სისტემათა ფუნქციონალურ მნიშვნელობაზე მითითებას მხოლოდ, იგი არ ეხება საერთოდ არაცნობიერ არსებობაში ფსიქიკის შინაგანი ფორმის საკითხს.

ავტორი გვთავაზობს მეორე ადგილს ფროიდის ამავე ნაშრომიდან („არაცნობიერი"): „არაცნობიერი ფსიქიკური შეიძლება აიწეროს ყველა იმ კატეგორიის მიხედვით, რომელსაც ვიყენებთ ჩვენი ცნობიერი სულიერი აქტების მიმართ"[145]. მკითხველს რომ ნათელი წარმოდგენა მიეცეს ფროიდის შეხედულების ნამდვილი შინაარსის შესახებ, მოვიყვანთ მის სრულ მსჯელობას, რისგანაც სწორი დასკვნის გამოტანისათვის მეტი საფუძველი იქნება. ფროიდი ეკამათება რა სულიერი ცხოვრების ლატენტური მდგომარეობის იმ გაგების მომხრეებს, რომლებიც სულის ლატენტურ მდგომარეობას თვლიან ფიზიკურად, იცავს აზრს მათი ფსიქიკურობის შესახებ და ამ კონტექსტში აღნიშნავს: „მათ (სულიერი ცხოვრების ლატენტურ მდგომარეობებს — ვ. კ.) აქვთ ყველაზე უფრო ფართო შეხება ცნობიერ სულიერ პროცესებთან; გარკვეული მუშაობით შეიძლება მათი ცნობიერად გარდაქმნა, მათი ამ უკანასკნელით შეცვლა და ისინი შეიძლება აიწეროს ყველა იმ კატეგორიის საშუალებით, რომელთაც ვიყენებთ ცნობიერი სულიერი აქტების: წარმოდგენების, მისწრაფებების, გადაწყვეტათა და მათ მსგავსთა მიმართ"[146]. ფროიდის აზრი ამ ციტატიდან ნათელია: არაცნობიერი ე. ი. სულიერი ცხოვრების ლატენტური მდგომარეობები მაშინ შეიძლება აიწეროს ცნობიერი სულიერისათვის გამოყენებული კატეგორიების საშუალებით, როდესაც ისინი უკვე გამოვლენილნი არიან ცნობიერებაში, შენაცვლებულნი არიან ცნობიერი ფსიქიკის პროცესებით, ე. ი. როცა ისინი ცნობიერი გახდნენ და არა ის, რომ ცნობიერი სულიერისათვის გამოყენებული კატეგორიებით შესაძლებელი იყო არაცნობიერ არსებობაში მათი აღწერა. ეს რომ ასეა, ამას მოწმობს სტატიის და-

---

144 ხშირად შეცდომას ჩადიან, როცა ფსიქოანალიზში ფსიქიკის სისტემებს: Bw. Vbw. Ubw — აიგივებენ პიროვნულ ფენებთან: ზე-მე, მე, იგი.

145 ი. ბ ე ა ლ ა ვ ა, ფსიქოზურ განცდათა ფენომენოლოგია, გვ. 30.

146 «...sie (latente Zustände des Seelenlebens— ვ. კ.) mit den bewußten seelischen Vorgängen ausgiebigste Berührung haben, sie lassen sich einer gewissen Arbeitsleistung in sie umsetzen, durch sie ersetzen, und sie können mit all den Kategorien beschrieben werden, die wir auf die bewußten Seelenakte anwenden, als Vorstellungen, Strebungen, Entschließungen u. dgl». X, 266—267.

საწყისში ფროიდის მიერ საკითხის დასმა არაცნობიერი სულიერის ცოდნის შესახებ, რომელზედაც შემდეგი პასუხია გაცემული: „ჩვენ ის (არაცნობიერი ფსიქიკა — ვ. კ.) ვიცით, რა თქმა უნდა, მხოლოდ როგორც ცნობიერი, მას შემდეგ, რაც მან განიცადა გარდაქმნა, ანუ თარგმნა ცნობიერებაში"[147]. ამასვე ადასტურებს ფროიდის პირდაპირი მითითება: „ფსიქოანალიზი მოგვაგონებს, რათა ჩვენ ცნობიერების აღქმა არ დავსვათ არაცნობიერი ფსიქიკური პროცესის ადგილზე, რომელიცაა მისი (ფსიქოანალიზის — ვ. კ.) ობიექტი. ფიზიკურის მსგავსად ფსიქიკურიც არ უნდა იყოს სინამდვილეში ისეთი, როგორადაც ის ჩვენ გვეჩვენება"[148]. თუ ცნობიერების მოცემულობით არაცნობიერი, როგორც ფროიდი მიუთითებს, არასრული მოცემულობაა, მაშინ ცნობიერი და არაცნობიერი ისეთი განსხვავებული რამ ყოფილა, რომელთა თავისებურებას ცნობიერების მხოლოდ თანხლება—ართანხლება ვერ ამოწურავს.

ი. ბჟალავა დასკვნის სახით წერს: „ფროიდი არაცნობიერი ფსიქიკურის მხოლოდ ნეგატიურ დახასიათებას იძლევა, სხვა გზა მას არ ჰქონდა, რადგანაც გარდა ცნობიერისა სხვა სახის ფსიქიკური მისთვის უცნობი იყო". მას ფროიდის ამგვარი გაგების უცილებლობა შიაჩნია თვითონ ფროიდის შემდეგი მითითებებიდან გამომდინარედ: „ისინი (არაცნობიერი წარმოდგენა, შეგრძნება, გრძნობა, მისწრაფება — ი. ბ.) ცნობიერი მდგომარეობიდან მხოლოდ ცნობიერების უქონლობით განსხვავდება"[149]. ავტორის მიერ ფროიდიდან მოტანილი ციტატის შესახებ უნდა ითქვას, რომ ის კონტექსტიდან მოწყვეტილადაა აღებული და ნაცადია, შეიქმნას შთაბეჭდილება, თითქოს ფროიდი ლაპარაკობდეს საერთოდ არაცნობიერზე, არაცნობიერის მთელ მოცულობაზე და თითქოს ის მსჯელობდეს ასეთი არაცნობიერის მსგავსებაზე ცნობიერ ფსიქიკასთან. ნამდვილად კი ფროიდი მითითებულ ადგილზე კერძოობითად მსჯელობს, სახელდობრ ის მიგვანიშნებს სულის მხოლოდ ზ ო გ ი ე რ თ ი ლატენტური მდგომარეობის შესახებ. ფროიდთან ეს ადგილი ასე იკითხება: „ლატენ-

---

[147] «Wie sollen wir zur Kenntnis der Unbewußten kommen? Wir kennen es natürlich nur als Bewußtes, nachdem es eine Umsetzung oder Übersetzung in Bewußtes erfahren hat». X, 264.

[148] «...so mahnt die Psychoanalyse, die Bewußtseinswahrnehmung nicht an die Stelle des unbewußten psychischen Vorganges zu setzen, welcher ihr Objekt ist. Wie das Physische, so braucht auch das Psychische nicht in Wirklichkeit so zu sein, wie es uns erscheint», X, 270.

[149] იხ. ი. ბჟალავას დასახ. ნაშრომი, გვ. 31—32.

ტურ მდგომარეობათაგან ზოგიერთის შესახებ ჩვენ შეგვიძლია კიდეევაც ვთქვათ, რომ ის (ე. ი. ზოგიერთი — ვ. კ.) განსხვავდება ცნობიერი მდგომარეობისაგან სწორედ მხოლოდ ცნობიერების არქონით"[150].

როცა ფროიდთან ლაპარაკია ზოგიერთი არაცნობიერი მდგომარეობის შეპირისპირებაზე ცნობიერთან, კერძოდ, ზოგიერთი ლატენტური მდგომარეობის, აქტის, პროცესის შესახებ, რომელიც არაფრით არ განსხვავდება ცნობიერი აქტებისა და პროცესებისაგან, მაშინ ფროიდს მხედველობაში აქვს წინაცნობიერი მდგომარეობა ფსიქიკური სისტემისა, რომ პროცესები და აქტები წინაცნობიერი ლატენტური მდგომარეობისა არ განსხვავდებიან ცნობიერების აქტებისა და პროცესებისაგან, ხოლო სხვა არაცნობიერი სისტემის პროცესები, კერძოდ, განდევნილი განსხვავდება ცნობიერების პროცესებისაგან. ფროიდი აღნიშნავს: „არაცნობიერი მოიცავს, ერთი მხრივ, აქტებს, რომლებიც მხოლოდ ლატენტური, დროებით არაცნობიერია, და სხვაში არაფრით განსხვავებული ცნობიერების აქტებისაგან, ხოლო, მეორე მხრივ, პროცესებს, როგორიცაა, განდევნილნი, რომლებიც განსხვავებულნი იქნებოდნენ ყველაზე მკვეთრად ცნობიერი სხვა აქტებისაგან, თუკი გაცნობიერდებოდნენ"[151]. მაშასადამე, ფროიდი უთითებს სხვადასხვა სისტემებში მიმდინარე ა ქ ტ ე ბ ი ს ა და პ რ ო ც ე ს ე ბ ი ს მსგავსება — განსხვავებაზე და არა ფსიქიკური შინაარსების დახასიათებას ამ უკანასკნელი ნიშნით. ამასვე ადასტურებს ფროიდის ანალიზი არაცნობიერი წარმოდგენის, არაცნობიერი გრძნობის (აფექტის), არაცნობიერი შეგრძნების (აღქმის) ცნებებისა, რომელთაც, როგორც ირკვევა, არ ითვალისწინებენ (იხ. ჩვენი ნაშრომის მე-2 პარაგრაფი).

ი. ბჟალავა წერს: „ფროიდის საზრუნავია არა ის, რომ შეიძლება თუ არა შეგრძნება, წარმოდგენა, გრძნობა, სწრაფვა იყოს არაცნობიერი, არამედ როგორ უნდა გავიგოთ მათი გადასვლა ცნობიერ მდგომარეობაში"[152]. ფროიდის საზრუნავი იყო იმის გარკვევაც, თუ

---

[150] «Ja von manchen dieser latenten Zustände müßen wir aussagen, sie unterscheiden sich von den bewußten eben nur durch den Wegfall des Bewußtseins» X., 267.

[151] «Das Unbewußte, umfasst einerseits Akte, die bloß latent, zeitweilig unbewußt sind, sich aber sonst von den bewußten in nichts unterschieden, und anderseits Vorgänge wie die Verdrängten, die, wenn sie bewußt würden, sich von den übrigen bewußten auf grellste abheben müßten». X, 270—271.

[152] ფსიქოზურ განცდათა ფენომენოლოგია, გვ. 31.

რას წარმოადგენდა სწრაფვა, შეგრძნება, გრძნობა, წარმოდგენა მაშინ, როცა ისინი ცნობიერებაში ჯერ კიდევ არ არიან გამოელენილნი. ამ კითხვას ფროიდმა არაორაზროვანი პასუხი გასცა სწორედ იმ ნაშრომებშიაც, რომლებიც მითითებულია ი. ბეალავას მიერ. ამიტომ ვერ დავეთანხმებით ავტორის მტკიცებას: „შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ არაცნობიერის ფსიქიკურის ბუნება არ ყოფილა ფროიდის შესწავლის საგანი. მართალია, მთელი მისი მოღვაწეობა აქეთ იყო მიმართული, მაგრამ რას წარმოადგენდა, რა თავისებურებებით ხასიათდებოდა იგი, ეს მისი კვლევის ფარგლებს გარეთ დარჩა"[153]. ჯერ ერთი, თუკი ვამბობთ, რომ ფროიდის მოღვაწეობა მიმართული იყო არაცნობიერი ფსიქიკის ბუნების შესწავლისაკენ, მაშინ აღარ უნდა ვთქვათ მისი საწინააღმდეგო: არაცნობიერი ფსიქიკის ბუნება არც ყოფილა ფროიდის შესწავლის საგანიო.

შემდეგ, არაა სწორი, თითქოს ფროიდის კვლევის ფარგლებს გარეთ დარჩენილიყოს არაცნობიერი ფსიქიკის თავისებურებათა დახასიათება. ი. ბეალავას უფლება აქვს, არ დაეთანხმოს ფროიდს არაცნობიერი ფსიქიკის პრობლემის გადაჭრაში, არაცნობიერში მოქმედ კანონზომიერებებისა და სისტემების თავისებურებათა დახასიათებაში იმის გამო, რომ ფსიქოანალიზს, შესაძლებელია, არ გააჩნდეს თეზისის დამასაბუთებელი საკმაო ემპირიული და თეორიული საფუძვლები. მაგრამ არ იქნება სწორი იმის თქმა, რომ ფროიდმა არ იკვლია არაცნობიერი, რა თქმა უნდა, გარკვეული წინამძღვრებიდან ამოსულმა. ფსიქოანალიზს აქვს თავისი პასუხი იმაზე, თუ რას წარმოადგენს არაცნობიერი ფსიქიკა და იმაზედაც, თუ რა თავისებურებებით ხასიათდება იგი.

ტერმინი „ლატენტურის" ანალიზის მოშველიებით ი. ბეალავა ცდილობს თავისი თეზისის გამართლებას, ის წერს; „თვითონ ტერმინი ლატენტურის ნამდვილი აზრი მდგომარეობს იმაში, რომ ესა თუ ის ფსიქიკური ფუნქცია არაცნობიერ მდგომარეობაში გადასვლით კი არ იცვლება, არამედ ისეთ რაღაცას კარგავს, რაც მას ცნობიერებაში არსებობის მომენტში გააჩნია. ეს რაღაც ცნობიერების სინათლე და სიცხადე არ უნდა იყოს, ვინაიდან ფროიდის მითითებით, არაცნობიერ ფსიქიკურს კერძოდ, ლატენტურ წარმოდგენას ძალა და სიცხადე არ აკლია. ის ცნობიერებიდან გაძევებით კარგავს მას, რაც ცნობიერი ფსიქიკური ფუნქციებისათვის არის დამახასიათებელი — ცოდნას იმისა, რომ ფსიქიკური განცდის შინაარსი ჩემი მე-დან მომ-

[153] ი ბ ვ ე, გვ. 32.

დინარეობს, რომ ის ჩემი მოქმედების ორგანული შემადგენელი ნაწილია"[154].

არაა სწორი ტერმინი „ლატენტურის" ის გაგება, რასაც გვთავაზობენ. ტერმინი „ლატენტური" (latent) ნიშნავს მხოლოდ და მხოლოდ ფ ა რ უ ლ ს, დ ა ფ ა რ უ ლ ს და მასში არ იგულისხმება გარკვეულობა, ფორმა სინამდვილისა, რომლის მიმართაც გამოიყენება ეს ტერმინი. მაგრამ, შეიძლება, ფროიდი მასში, მართლაც, მეტს გულისხმობს, ვიდრე მხოლოდ „ფარული" და იძლევა მის შინაარსობრივ დახასიათებას? ამ საკითხს არკვევს ფროიდის შემდეგი მითითებანი: „რომელი გეშტალტით შეუძლია მას (წარმოდგენას — ვ. კ.) არსებობა, როცა ის სულიერ ცხოვრებაში ამჟამადაა, მაგრამ ცნობიერებაში ლატენტურია, ამის შესახებ არ შეგვიძლია ვარაუდი წამოვაყენოთ"[155]; „ამჟამად ცნობიერი წარმოდგენა მომდევნო მომენტში ასეთი აღარაა, მხოლოდ მას შეუძლია გარკვეულ ადვილად აღსადგენ. პირობებში ისევ ცნობიერი გახდეს, რა იყო ის შუალედურ მდგომარეობაში, ჩვენ არ ვიცით. შეგვიძლია ვთქვათ, ის იყო ლ ა ტ ე ნ ტ უ რ ი და ამასთანავე ვგულისხმობთ, რომ ის ყოველ დროს ც ნ ო ბ ი ე რ ე ბ ი ს უ ნ ა რ ი ს მ ქ ო ნ ე იყო. როცა ვამბობთ აგრეთვე, რომ ის იყო ა რ ა ც ნ ო ბ ი ე რ ი, ვიძლევით სწორ აღწერას. ეს არაცნობიერი მაშინ დაემთხვევა ლატენტურ-ცნობიერების უნარის მქონეს"[156].

თუკი ფროიდი ტერმინში „ლატენტური" გულისხმობდა ჩამოყალიბებულ ფსიქიკურ შინაარსს, რომელსაც აკლია მხოლოდ ცნობიერება (განცდა), მაშინ მას არ ექნებოდა საფუძველი ეთქვა და არც იტყოდა, რომ არაცნობიერი წარმოდგენის გეშტალტის, ფორმის შესახებ არ შეგვიძლია ვარაუდი გამოვთქვათო, მის შესახებ არაფერი ვიცითო. საქმის ვითარება რომ ასეთია, ე. ი. არაცნობიერი წარმოდგენის, საერთოდ არაცნობიერი ფსიქიკის, არსებობის ფორმის შესახებ რომ ცოდნა არა გვაქვს, მოკლებული ვართ მისი დახასიათების შესაძლებლობას, სწორედ ამიტომ იყენებს ფროიდი ამგვარი სიტუაციის აღსანიშნავად ტერმინს „ლატენტური" ანუ „ფარული".

ი. ბჟალავას აზრით, ფსიქოანალიზში ცნობიერი ფსიქიკის არაცნობიერში გადასვლა არ უნდა ნიშნავდეს მას, რომ წარმოდგენამ

---

[154] ი ქ ვ ე, გვ. 31.
[155] Einige Bemerkungen, VIII, 430.
[156] Das Ich und das Es, XIII, 240.

დაკარგა ცნობიერების სინათლე და სიცხადე. ამგვარ გაგებას ფროიდი არავითარ შემთხვევაში არ დაეთანხმებოდა, რადგანაც ცნობიერი წარმოდგენის გადასვლა არაცნობიერში ნიშნავს წარმოდგენის ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებობას და, ასეთ შემთხვევაში, სრულიად წარმოუდგენელია წარმოდგენას შენარჩუნებული ჰქონდეს ის (ცნობიერების სინათლე და სიცხადე), რაც მას არაცნობიერ არსებობაში საერთოდ არ შეიძლება ჰქონდეს. ფსიქოანალიზის ერთ-ერთი პოსტულატი ხომ ცნობიერებისა და ფსიქიკის მკაცრი გათიშვაა! ავტორი უთითებს ფროიდის სტატიიდან „რამდენიმე შენიშვნა არაცნობიერის ცნების შესახებ ფსიქოანალიზში" ადგილს, თითქოს იქ ფროიდი არაცნობიერი ფსიქიკის დახასიათებისას აღნიშნავდეს, რომ არაცნობიერ ფსიქიკურს არ აკლია ს ი ნ ა თ ლ ე, ს ი ც ხ ა დ ე, ძ ა ლ ა. ფროიდი კი სინამდვილეში ნაგულისხმევ ადგილზე არაცნობიერ ფსიქიკას მიაწერს ცნობიერების არა სინათლესა და სიცხადეს, არამედ სრულიად სხვა რამეს — ი ნ ტ ე ნ ს ი ვ ო ბ ა ს ა და მ ო ქ მ ე დ ი ა ნ ო ბ ა ს (Wirksamkejt). ფროიდი მითითებულ ადგილზე წერს: „ის (გამოთქმა ა რ ა ც ნ ო ბ ი ე რ ი — ვ. კ.) ახლა აღნიშნავს საერთოდ არა მხოლოდ ლატენტურ, არამედ განსაკუთრებით აზრებს, განსხვავებულთ განსაზღვრული დინამიკური ნიშნით, სახელდობრ ისეთებს, რომლებიც რჩებიან ცნობიერებისაგან შორს მიუხედავად ინტენსივობისა და მოქმედიანობისა"[157]. როგორც ვხედავთ, არაცნობიერ აზრს (წარმოდგენას) ჰქონია ცნობიერების სიცხადე კი არა, არამედ ძალა და მოქმედიანობა (ქმედითობა), რომ ის ინერტული რამ კი არაა, არამედ აქტივობისა და ინტენსივობის მქონე, რომლითაც ის ცნობიერ ფსიქიკაზეც მაღლა დგას. არაცნობიერის დახასიათება ცნობიერების სინათლითა და სიცხადით, როგორც ირკვევა, აქ არაფერ შუაშია.

ი. ბეალავა ფროიდს მიაწერს აზრს, თითქოს იგი თვლიდეს, რომ შეგრძნებისა და გრძნობის ფსიქიკურ შინაარსებს შეეძლოთ არაცნობიერში იგივე გარკვეულობით არსებობა, რაც მათ ცნობიერ მდგომარეობაში გააჩნიათ. ფროიდი სტატიაში „არაცნობიერი", რომლის ერთერთ ქვეთავს ეწოდება „არაცნობიერი გრძნობები", არკვევს საკითხს გრძნობებისა და აფექტების ფსიქიკური ბუნების შე-

---

[157] «Er (der Ausdruck u n b e w u ß t—ვ. კ.) bezeichnet nicht bloß latente Gedanken im allgemeinen, sondern besonders solche mit einem bestimmten dynamischen Charakter, nämlich diejenigen, die sich trotz ihrer Intensität und Wirksamkeit dem Bewußtsein ferne halten». VIII, 434.

სახებ. და ასეთ დასკვნამდე მიდის: „შესაძლებლობა არაცნობიერობისა, ამგვარად, საკუთარი მოიხსნება გრძნობებისათვის, შეგრძნებებისათვის და აფექტებისათვის“, „გრძნობის არსი იმაშია, რომ ის განიცდება, ე. ი. ცნობილია ცნობიერებისათვის“[158]. ეს ითქმის შეგრძნებებზედაც და აფექტებზედაც.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფროიდის იმ განმარტებას, რომელიც ეხება ისეთი გამოთქმების ნამდვილი შინაარსის დადგენას, რაც ერთი შეხედვით შეიძლება გაუგებრობის წყარო იქცეს. როცა ფსიქოანალიტიკოსი ლაპარაკობს, მაგალითად „არაცნობიერი სიყვარულისა და სიძულვილის“, „არაცნობიერი შიშისა“, „არაცნობიერი ბრალის ცნობიერებისა“ და ა. შ. შესახებ, ეს გ ა მ ო თ ქ მ ე ბ ი პ ი რ დ ა პ ი რ ი მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ი თ ა რ უ ნ დ ა ი ქ ნ ე ნ გ ა გ ე ბ უ ლ ი. აქ საქმე გვაქვს, როგორც ფროიდი ამბობს, „გამოთქმის უწყინარ დაუდევრობასთან“ მხოლოდ[159]. ფროიდთან როცა ლაპარაკია „არაცნობიერი აფექტისა და გრძნობის“ თაობაზე, ნამდვილად მასში იგულისხმება ისეთი ფსიქიკური შინაარსები, რომლებიც გ ა ნ ი ც დ ე ბ ი ა ნ, მ ა გ რ ა მ ს უ ბ ი ე ქ ტ ი ს მ ი ე რ ვ ე რ ი ც ნ ო ბ ი ა ნ. ფროიდი ე. წ. „არაცნობიერი წარმოდგენისა“ და „არაცნობიერი აფექტის“ შინაგანი გარკვეულობის შესახებ შემდეგს წერს: „არაცნობიერი წარმოდგენა განდევნის შემდეგ შემოინახება Ubw სისტემაში რეალური წარმონაქმნის სახით, მაშინ როცა არაცნობიერ აფექტს იმავე სისტემაში შეესატყვისება მხოლოდ აფექტის ჩანასახი ვითარცა შესაძლებლობა. რომელსაც არ მიუღია შემდგომი განვითარება. მკაცრად რომ ვთქვათ, თუმცა გამოთქმა რჩება უმწიკვლო, არაცნობიერი აფექტები იმ აზრით, როგორიცაა, არაცნობიერი წარმოდგენები, არ არსებობენ... მთელი განსხვავება იქიდან ხდება, რომ წარმოდგენები არიან მოგონებათა კვლები მაშინ, როცა აფექტები და გრძნობები შეესატყვისებიან ენერგიის გაცარჯვის პროცესებს, რომელთა საბოლოო გამოვლენა აღიქმება, როგორც შეგრძნება“[160].

---

158 «Zum Wesen eines Gefühls gehört es doch, daß es verspürt, also dem Bewußtsein bekannt wird. Die Möglichkeit einer Unbewußtheit würde also für Gefühle, Empfindungen, Affekte völlig entfallen». X, 276.

159 «harmlose Nachlässigkeit des Ausdrucks», ი ბ ე.

160 «...die unbewußte Vorstellung nach der Verdrängung als reale Bildung im System UBW bestehen bleibt, während dem unbewußten Affekt ebendort nur eine Ansatzmöglichkeit, die nicht zur Entfaltung kommen durfte, entspricht. Streng genommen und obwohl der Sprachgebrauch tadellos bleibt, gibt es also keine unbewußten Affekte, wie es unbewußte Vorstellungen gibt...

მაშასადამე, ირკვევა, რომ ფროიდი სინამდვილეში იცავს შეხედულებას: გრძნობებს, აფექტებს, შეგრძნებებს (აღქმებს) არაცნობიერ ყოფაში ფსიქიკის შინაარსების სახით არსებობა არ გააჩნიათ, ამ შემთხვევაში ისინი პროცესებია, რომელთა საბოლოო განვითარება ცნობიერებაში შინაარსების სახით გამოვლინდება და განიცდება. ისიც ირკვევა, რომ „არაცნობიერი წარმოდგენა" არ ყოფილა ფსიქიკის არაცნობიერი შინაარსი. ფროიდს „არაცნობიერი წარმოდგენის" შინაგანი ბუნება გააზრებული აქვს კვალის სახით. ფროიდი „სიამოვნების პრინციპის იქითა მხარეში" წერს: „ვეყრდნობით რა ჩვენი ფსიქოანალიზური გამოცდილების შთაბეჭდილებას, ვუშვებთ, რომ ყველა აგზნების პროცესი ტოვებს სხვა სისტემებში ხანგრძლივ კვლებს, როგორც მეხსიერების საფუძველს, ე. ი. მოგონების ნარჩენებს, რომელთაც არავითარი საერთო არა აქვთ გაცნობიერებასთან"[161].

ფროიდისათვის რომ არაცნობიერი ფსიქიკა არაა „იგივე ფსიქიკური მოვლენები, მხოლოდ მინუს ცნობიერება", ამაზე ნათლად მეტყველებს არაცნობიერი ფსიქიკის ის დახასიათებაც, სადაც მსჯელობაა დისპოზიციაზე, უნარსა და მიდრეკილებაზე, როგორც არაცნობიერი ფსიქიკის არსებობის ფორმაზე. 1924 წელს „ფსიქოანალიზის მოკლე ნარკვევში" ფროიდი აღნიშნავს: სულიერ ცხოვრებაში დადასტურდა სექსუალური სურვილების დიდი როლი. ეს სექსუალური ლტოლვის ბუნებისა და განვითარების საფუძვლიანი შესწავლის ბიძგი გახდა. „აღმოჩენილი იქნა, რომ ბავშვის პირველი წლების განცდები და კონფლიქტები ინდივიდის განვითარებაში წარმოუდგენლად მნიშვნელოვან როლს თამაშობენ და მომწიფების დროისათვის ტოვებენ წარუშლელ დისპოზიციებს"[162]. 1937 წელს „მოსე და მონოთეისტურ რელიგიაში"

Der ganze Unterschied rührt daher, daß Vorstellungen Besetzungen — im Grunde von Erinnerungsspuren— sind, während die Affekte und Gefühle Abfuhrvorgängen entsprechen, deren letzten Äußerungen als Empfindungen wahrgenommen werden». ი ქ ვ ე, გვ. 277.

[161] «Wir stützen uns auf die Eindrücke unserer psychoanalytischen Erfahrung, wenn wir annehmen, daß alle Erregungsvorgänge in den anderen Systemen Dauerspuren als Grundlage des Gedächtnisses in diesen hinterlassen, Erinnerungsreste also, die nichts mit dem Bewußtwerden zu tun haben». XIII, 24.

[162] «...man entdeckte, daß die Erlebnisse und Konflikte der ersten Kinderjahre eine ungeahnt wichtige Rolle in der Entwicklung des Indiwiduums spielen und unverwischbare Dispositionen für die Zeit der Reife zurücklassen», XIII, 412.

ფროიდი მიუთითებს: „ინდივიდის ფსიქიკურ ცხოვრებაში მოქმედია არა მხოლოდ თვითგანცდადი, არამედ დაბადებისას თანმოტანილი შინაარსები, ფილოგენეტური წარმოშობის მომენტები, ა რ ქ ა ე ლ ი მ ე მ კ ვ ი დ რ ე ო ბ ა. საკითხავია, რაში მდგომარეობს, რას შეიცავს ის, რა არის მისი საბუთი? უახლოესი და სარწმუნო პასუხი იქნება — ის მდგომარეობს განსაზღვრულ დისპოზიციებში, როგორც ეს ახასიათებს ყველა ცოცხალ არსებას. მაშასადამე, ის მდგომარეობს უნარსა და მიდრეკილებაში განსაზღვრული განვითარების მიმართულების არჩევაში და გარკვეულ აგზნებებზე, შთაბეჭდილებებზე და გაღიზიანებებზე განსაკუთრებულ პასუხში[163].

ყველაფერი ზემოთქმულის გათვალისწინების შემდეგ ჩვენ საფუძველს მოკლებულად მიგვაჩნია თეზისი: „ფროიდისათვის არაცნობიერი ისეთი ფსიქიკურია, რომელიც ცნობიერებიდან განდევნის შემდეგ არ კარგავს ცნობიერებასთან კავშირს, უკეთ ცნობიერების ფორმას (ვინც ცნობიერების ფარგლებში ეძებს არაცნობიერ ფსიქიკურს, ის წყალს ფროიდის წისქვილზე ასხამს")[164]. საქმის ვითარება ფროიდთან სწორედ რომ ასეთი არაა: არაცნობიერი არც ისეთი ფსიქიკურია, რომელსაც ცნობიერების მიღმა ცნობიერების ფორმა გააჩნია და ის თავისთავად არც ცნობიერების ფარგლებში მოიძებნება.

მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის, რომ ფროიდი არაცნობიერ ფსიქიკაზე მსჯელობის დროს თითქმის ყოველთვის ლაპარაკობს არაცნობიერ ფსიქიკაზე როგორც პ რ ო ც ე ს ზ ე, ა ქ ტ ზ ე, მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა ზ ე. აღნიშნული ვითარება არ უნდა იყოს შემთხვევითი. არაცნობიერი ფსიქიკის დახასიათება პროცესის, აქტისა და მდგომარეობის ფორმით იმაზე მეტყველებს, რომ ფროიდი შორს დგას ფსიქიკა არაცნობიერ განზომილებაში წარმოიდგინოს ცნობიერი ფსიქიკური შინაარსების სახით. თ. ლიპსის არაცნობიერის კონცეფციასთან მონათესავეობა, როგორც ეს ზემოთაც აღინიშნა, იმა-

---

[163] «...im psychischen Leben des Individuums nicht nur selbsterlebte, sondern auch bei der Geburt mitgebrachte Inhalte wirksam sein mögen, Stücke von phylogenetischer Herkunft, eine archaische Erbschaft. Es entstehen dann die Fragen, worin besteht diese, was enthält sie, was sind ihre Beweise?

Die nächste und sicherte Antwort lautet, sie besteht in bestimmten Dispositionen, wie sie allen Lebewesen eigen sind. Also in der Fähigkeit und Neigung, bestimmte Entwicklungsrichtungen einzuschlagen und auf gewisse Erregungen, Eindrücke und Reize in einer besonderen Weise zu reagieren». XVI, 204—205.

[164] იხ. ი. ბეალავას დასახ. ნაშრომი, გვ. 36.

ში გამოვლინდა, რომ ფროიდი ლიპსთან თანხმობით არაცნობიერს იაზრებს პროცესის სახით, რომლის საბოლოო განვითარება ცნობიერებაში ქმნის ფსიქიკურ შინაარსებს. შემთხვევითი არა, რომ ფროიდის არაცნობიერი ფსიქიკის ფსიქოანალიზური კონცეფცია დაეკავშირეს ჰერბარტისა და ლიპსის კონცეფციებთან, როგორც ერთი მიმართულების თეორიები[165]. ჰერბარტი ფსიქოლოგიის ისტორიაში ცნობილია, როგორც ადამიანის სულიერი ცხოვრების გამააზრებლად წარმოდგენათა მექანიკის სახით. და მიუხედავად იმისა, რომ იგი ყოველ მომენტში იყენებს „არაცნობიერი წარმოდგენის" ცნებას, მისთვის არაცნობიერი წარმოდგენა ცნობიერების ფარგლებს გარეთ მოთავსებული წარმოდგენის ფსიქიკური შინაარსი კი არაა, არამედ ისეთი რამ, რასაც ფსიქიკური შინაარსის გარკვეულობა არ გააჩნია. ე. წ. არაცნობიერი წარმოდგენის აღნიშნულ მდგომარეობას ჰერბარტი უწოდებს მ ი ს წ რ ა ფ ე ბ ა ს (Streben). მისწრაფებაში იგულისხმება ისეთი გარკვეულობა, რომელიც ცნობიერების ზღურბლს ქვემოთ პროცესის სახით არსებობს, აქ მას არსებობის შინაარსეული ფორმა ჯერ კიდევ არ გააჩნია, რადგანაც იგია მიისწრაფება ფორმის მიღებისაკენ, ხოლო ცნობიერების ზღურბლს ზემოთ ის ფსიქიკური შინაარსის რომელობით წარმოსდგება, ვლინდება[166].

ჰერბარტის, ლიპსისა და ფროიდის გაგება არაცნობიერი ფსიქიკისა ერთ მომენტში ერთმანეთს ემთხვევიან: არაცნობიერი ფსიქიკა არაა ცნობიერების შინაარსის ფორმით არსებული რამ. ის პროცესია, რომელიც განვითარების კვალობაზე შეიძლება ცნობიერებაში მოგვევლინოს გარკვეული ფსიქიკური შინაარსის ფორმით.

სწორედ ეს ვითარება, სახელდობრ, რომ ცნობიერი ფსიქიკა და არაცნობიერი ფსიქიკა, ანუ ცნობიერი ფსიქიკური შინაარსი და არაცნობიერი ფსიქიკური პროცესი შინაგანი ფორმით, გარკვეულობით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, განაპირობებს იმას, რომ ისინი სტრუქტურულადაც სპეციფიკურ ბუნებას ამჟღავნებენ. ფსიქოანალიზის შეურყეველ დებულებად ითვლება ფსიქიკურ სისტემებში (ცნობიერება, წინაცნობიერი, არაცნობიერი) მიმდინარე პროცესების სპეციფიკური კანონზომიერებისადმი დაქვემდებარება.

---

[165] Victor W e n s e l, Der Begriff des Unbewußten in seiner Entwicklung von Herbart bis Freud, Jena, 1925.

[166] J. Fr. H e r b a r t, Lehrbuch der Psychologie, Sämtliche Werke, Bd. V, Hamburg—Leipzig, 1886, გვ. 16, 29; შეად. Lehrbuch zur Einleitung in die Philosophie, Hamburg—Leipzig, 1883, გვ. 293—294.

არაცნობიერი ფსიქიკის ფსიქოანალიზური ცნების ინტერპრეტატორების მისამართით საერთოდ უნდა შეინიშნოს, რომ ისინი რომელიმე წამოყენებული თეზისის დასაბუთების ცდის დროს ფროიდის ნაწერებში ეძებენ, როგორმე ნახონ მხოლოდ თეზისის დამადასტურებელი არგუმენტები, გვერდს უვლიან და უგულებელყოფენ იმ მსჯელობებს, რომლებიც არ ეთანხმებიან და ეწინააღმდეგებიან კიდევაც მათს ინტერპრეტაციას. ობიექტური მიდგომა საქმისადმი, ჩვენს შემთხვევაში ფსიქოანალიზის არაცნობიერი ფსიქიკისადმი, მოითხოვს ყველა იმ აზრის გათვალისწინებას, რაც კი გამოუთქვამს ფროიდს ამ უკანასკნელის თაობაზე, ამ აზრების ანალიზსა და შეპირისპირებას ფსიქოანალიზური თეორიის ძირითად პრინციპებთან. ამის შემდეგ, რამდენადაც ამას ლოგიკური საფუძველი იძლევა, შეიძლება თეზისი ჩაითვალოს ფსიქოანალიზურ კონცეფციად. უმრავლეს შემთხვევაში ამგვარ დამოკიდებულებას ფსიქოანალიზისადმი ვერ ვნახულობთ. ჩვენ, რა თქმა უნდა, შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ ინტერპრეტატორები საფუძვლიანად არ იცნობენ ფროიდის ნაწერებს და მას ზერელედ უყურებენ. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აუცილებელი და საჭიროა, მხედველობაში იქნეს მიღებული დასაბუთების ზემოაღნიშნული გზა, მით უფრო, რომ მოითხოვენ სიზუსტესა და შემთხვევითობიდან თავის დაზღვევას[167].

თეზისის, რომ ფსიქოანალიზში არაცნობიერი ფსიქიკა არის ცნობიერებისაგან დამოუკიდებელი პროცესი, რომლის არსებობის ფორმა უცნობია, და არგუმენტაციის, რომელიც საფუძველს იძლევა არაცნობიერი ფსიქიკის ასეთი გაგების სასარგებლოდ[168], პრინციპულ განხილვას გვერდი აუარეს და დაკმაყოფილდნენ მხოლოდ ფორმალურ მომენტზე მითითებით. მაგალითად, ა. შეროზია წერს: „ამგვარი მტკიცებანი, მაშასადამე, სრულიადაც არ გამოხატავს მისი (ფროიდის—ვ. კ.) მოძღვრების ძირითად აზრს, ისინი მკვეთრად ეწინააღმდეგებიან ფროიდიზმის თანამედროვე ინტერპრეტაციას“[169].

ავტორს კარგად მოეხსენება, რომ ლოგიკური დასაბუთების თვალსაზრისით არავითარი მნიშვნელობა არ გააჩნია პოზიციას: რა-

---

[167] ი. ბ ე ა ლ ა ვ ა, ფსიქოზურ განცდათა ფენომენოლოგია, გვ. 30.

[168] არგუმენტაცია მოტანილია ჩვენს სტატიებში: «Проблема бессознательного психического в глубинной психологии». Пробл. созн. М., 1966; „არაცნობიერი ფსიქიკურის ცნება ზ. ფროიდის ფსიქოანალიზის თეორიაში„, „მაცნე„, 1968, № 4

[169] А. Ш е р о з и я, К проблеме сознания и бессознательного психического, с. 37.

დგანაც თეზისი უპირისპირდება თანამედროვე ინტერპრეტაციას, ამიტომ ის არასწორად უნდა ჩაითვალოს. ჯერ უნდა დასაბუთდეს ფსიქოანალიზის „თანამედროვე ინტერპრეტაციის“ ჭეშმარიტება, რომ მისგან განსხვავებული შეხედულება ჩაითვალოს „არაძირითად აზრად“[170].

ფ. ბასინი იზიარებს რა შეხედულებას, რომ ფროიდისთვის არაცნობიერი ეს იგივე ჩვენი აზრები და გრძნობებია, რომლებიც მოკლებულნი არიან მხოლოდ გაცნობიერების თვისებას, ცდილობს განმარტოს ფროიდის, როგორც თვითონ ამბობს, „ორი შემდეგი დამახასიათებელი გამონათქვამი“: პირველი — „ამჟამად ცნობიერი წარმოდგენა მომდევნო მომენტში ასეთი აღარაა, მას შეუძლია... ისევ ცნობიერი გახდეს. რა იყო ის შუალედურ მდგომარეობაში, ჩვენ არ ვიცით. შეგვიძლია ვთქვათ, ის იყო ლატენტური და ამასთანავე ვიგულისხმოთ, რომ ის ყოველ დროს ცნობიერების უნარის მქონე იყო“, მეორე — „რომელი გეშტალტით შეუძლია მას (წარმოდგენას — ვ. კ.) არსებობა მაშინ, როცა ის სულიერ ცხოვრებაში ამჟამადაა, მაგრამ ცნობიერებაში ლატენტურია, ამის შესახებ არ შეგვიძლია ვარაუდი წამოვაყენოთ“. ფ. ბასინი ფიქრობს, რომ ფროიდის აღნიშნული ფორმულირებები შეიძლება გახდნენ საბაბი არაასწორი ინტერპრეტაციისა და ამიტომ საჭიროებენ ახსნა—განმარტებას (ჩვენ ფროიდის ეს მსჯელობები მოვიყვანეთ არგუმენტად სხვა არგუმენტებთან ერთად იმის დასასაბუთებლად, რომ ფსიქოანალიზში არაცნობიერი ფსიქიკა არ შეიძლება წარმოვიდგინოთ ცნობიერებას მოკლებული ფსიქიკური შინაარსების სახით)[171]. ბასინის განმარტება ასეთია: სავსებით ცხადია, რომ პირველ ფორმულირებას აქვს შეზღუდული აზრი, იგი ეხება მხოლოდ იმ შინაარსებს, რომლებიც „განდევნილნი“ არ არიან. რაც შეეხება მეორე ფორმულირებას, ფ. ბასინის რწმენით, მისგან უნდა ჩანდეს, თუ რამდენად შორს დგას ფროიდი იმ გაგებისაგან, რაც მოგვიანებით გახდა ნათელი დ. უზნაძის წყალობით. ფ. ბასინის მიხედვით, ფროიდს, მართლაც, არ გამოუთქვამს არავითარი ვარაუდი ს პ ე ც ი ფ ი კ უ რ ი ფორმის შესახებ, რომელსაც ღებულობენ „ცნობიერებისთვის ლა-

---

[170] ავტორს თავისი წიგნის 37-ე გვერდზე მოჰყავს ფროიდის ცნობილი მსჯელობა „მე და იგიდან“, სადაც ლაპარაკია წარმოდგენის ლატენტური მდგომარეობის თაობაზე, რომ ამ მდგომარეობის შესახებ არ გაგვაჩნია არავითარი ცოდნა. მაგრამ მასზე საგანგებოდ არ ჩერდება.

[171] იხ. ჩვენი სტატია კრებულში «Проблемы сознания», გვ. 323.

ტენტური წარმოდგენები". სწორედ ამიტომ ჰქონდა დ. უზნაძეს უფლება, ემტკიცებინა, რომ ფროიდისათვის არაცნობიერი ესაა „იგივე ჩვენი აზრი და გრძნობები, მოკლებულნი გაცნობიერების თვისებას მხოლოდ". დ. უზნაძე „განწყობის" ცნების მთელ ღირებულებას ხედავდა სწორედ მასში, რომ მხოლოდ ის გვაძლევს ჩვენ უფლებას, გავიგოთ, რა „სპეციფიკურ ფორმას" ღებულობს განცდა (წარმოდგენა, გრძნობა, მისწრაფება) მას შემდეგ, რაც ის უშუალოდ აღარ ცნობიერდება და არ განიცდება[172].

ფ. ბასინის განმარტებიდან ირკვევა: ფროიდის ნამდვილი აზრი ყოფილა ის (და ამას ვასაბუთებთ ჩვენც), რომ მან არ იცის, რა ფორმით არსებობს ცნობიერებისათვის ლატენტური წარმოდგენა (არაცნობიერი ფსიქიკა). მაშასადამე, არასწორი ინტერპრეტაცია ყოფილა ის, რომელიც თვლის, რომ ფროიდთან არაცნობიერ ფსიქიკას ცნობიერების მილმა აქვს ს პ ე ც ი ფ ი კ უ რ ი „ფ ო რ მ ა" ცნობიერების შინაარსების სახით. თუკი ამ მსჯელობაში სავსებით ვეთანხმებით ფ. ბასინს, სამაგიეროდ მისი შემდგომი აზრთა მსვლელობა ლოგიკური შეცდომაა და ამიტომ მიუღებელი. თუ ფროიდმა ნამდვილად არ იცის, რა ფორმით არსებობენ არაცნობიერი ფსიქიკური პროცესები, მაშინ ცხადზე უცხადესია, არავის არ აქვს უფლება ამტკიცოს, რომ ფროიდისათვის არაცნობიერი წარმოადგენს მხოლოდ ცნობიერების ნიშანმოკლებულ ფსიქიკურ შინაარსებს.

ფ. ბასინის მსჯელობაში სწორია ის, რომ ფროიდი, მართლაც, შორს იდგა არაცნობიერი ფსიქიკის იმ გაგებისაგან, რომელიც მოცემულია საერთოდ დ. უზნაძის განწყობის ცნების შინაარსით, მაგრამ შეუძლებელია გავიზიაროთ განწყობის ბასინისეული გაგება, როცა ის განწყობაში გულისხმობს განცდის (წარმოდგენის, მისწრაფების, გრძნობის) „სპეციფიკურ ფორმას", რომელიც მან მიიღო ცნობიერების ფარგლებს გარეთ. ირკვევა ისიც, რომ ბასინს განწყობის გარკვეულობა წარმოდგენილი აქვს ფიზიოლოგიური მდგომარეობის სახით. დ. უზნაძის განწყობის ცნება არ ეგუება ბასინის გაგებებს: განწყობა არც ფიზიოლოგიური სინამდვილეა და არც რომელიმე ფსიქიკური ფუნქციის არაცნობიერი არსებობის ფორმა. განწყობის თეორიის მიხედვით, განწყობა მთლიანი პიროვნული მდგომარეობაა, ის პიროვნების მზაობაა, მოდუსია და ამიტომაც განწყობა შეუძლებელია ცნობიერებაში იქცეს რომელიმე ფსიქიკურ

---

[172] Ф. В. Б а с с и н, Проблема бессознательного, Москва, 1969, с. 269.

პროცესად, ასევე, პირიქით, რომელიმე ფსიქიკური პროცესი გადაიქცეს განწყობად. განწყობა ფსიქიკური ფუნქციების საფუძველში მდებარეა, რომელიც წარმართავს მათს მოქმედებას; განწყობის ნამოქმედარი აისახება ცნობიერ ფსიქიკაში, მაგრამ ის თვითონ არ იქცევა ცნობიერ ფსიქიკად.

§ .5. **კრიტიკული ანალიზი.** ბურჟუაზიულ სამყაროში ძნელად თუ მოიძებნება მეორე ფსიქოლოგიური მიმდინარეობა, რომელმაც ესოდენ დიდი გავრცელება და გამოხმაურება ჰპოვა, ვიდრე ფსიქოანალიზმა. ფსიქოანალიზი იქცა მძლავრ ინტერნაციონალურ მოძრაობად. ზ. ფროიდის ძირითადი ნაშრომები თარგმნილია თითქმის ყველა კულტურული ხალხის ენაზე. მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში იცემა ათეულობით ფსიქოანალიზური ჟურნალი, ფსიქოანალიზური ლექსიკონები და ენციკლოპედია; დაარსებულია ფსიქოანალიზური ინსტიტუტები, რეგულარულად ტარდება ფსიქოანალიტიკოსთა ყრილობები. ფსიქოანალიზური დოქტორინა აისახა ლიტერატურაში, ხელოვნებაში. ზ. ფროიდის დაბადებიდან 100 წლის აღსანიშნავ უნივერსიტეტების გაერთიანებულ საიუბილეო სხდომაზე ფრანკფურტში ს.ციმაყით აღინიშნა: „დღეს მსოფლიოში (საბჭოთა კავშირის გამოკლებით) არ არსებობს ფსიქოლოგია, პედაგოგიკა, მედიცინა, ფილოსოფია და ესთეტიკა, რომელიც არ იყენებდეს ფროიდის მოძღვრებასა და მეთოდებს". ამან განაპირობა ის, რომ ბურჟუაზიულ სამყაროში პოპულარობა მოიპოვა ლოზუნგმა — „ჩვენი დრო ფროიდის გარეშე ძნელად მოსაზრებელია!".

ზ. ფროიდისადმი ხოტბა-დიდების შესხმას მისი მიმდევრებისა და მოშზრეების მხრიდან დაუპირისპირდა იმავე სიძლიერის უარყოფითი დამოკიდებულება მისი თეორიული დოქტრინისადმი. ასევე ძნელია მოიძებნოს ფსიქოლოგიის ისტორიაში სხვა მიმდინარეობა, რომელსაც დაემსახურებინოს ესოდენი ლანძღვა-გინება. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე შეფასებით მსჯელობას: „ფროიდს სურდა მეცნიერების სფეროში შემოეტანა ის, რაც სრულიადაც არ იყო მეცნიერება" (კ. იასპერსი), „ფსიქოანალიზი ემყარება რწმენას. ფსიქოანალიტიკოსები არიან გრძნეულები, მაგიკოსები, პოეტები. ყველა ისინი პოეტის მსგავსად დგანან მეცნიერული კრიტიკის გარეშე" (ჰ. გრულე), „ფსიქოანალიზი არც ბუნებისმეტყველებაა და არც მეცნიერება საერთოდ. ის არც ზღაპარია, რადგანაც გულიდან ამოსული კი არაა, არამედ თავსამტვრევით შეშლილი გონებისაგან" (ო. ბუმკე), „ფსიქოანალიზი სხვა არაფერია, თუ არა ფსიქოლოგიზი-

რებული მიუნჰაუზენიადა“ (ვ. ფრანკლი), „ფსიქოანალიზი ხალტურა-ფსიქოლოგიაა“ (ლ. კლაგესი).

საბჭოთა ფილოსოფიურ და ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში საფუძვლიანადაა გაანალიზებული და ნაჩვენები ის სოციალ-ეკონომიური ვითარება, იდეოლოგიური წანამძღვრები, რომლებმაც ბურჟუაზიულ სამყაროში ნიადაგი მოუმზადა და ფართო ასპარეზი მისცა ფსიქოანალიზს. ამიტომ ამ კუთხით ფსიქოანალიზური თეორიის გარჩევას აქ ზედმეტადაც ვთვლით, რადგანაც ეს იქნებოდა იმის გამეორება, რაც ესოდენ დამაჯერებლად, საქმის ცოდნითაა გაკეთებული და გადმოცემული საბჭოთა და ზოგიერთი უცხოელი ავტორის მიერ[173].

მას შემდეგ, რაც ვაჩვენეთ ფსიქოანალიზის პრინციპული მოსაზრებები ფსიქიკისა და ფსიქოლოგიის შესახებ, ამოცანად ვისახავთ მათი კრიტიკული თვალსაზრისით განხილვასა და შეფასებას. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება არაცნობიერი ფსიქიკის პრობლემასთან დაკავშირებულ საკითხებს, მეთოდოლოგიურ პრინციპებს, ფსიქოანალიზის თეორიის დასაბუთებას საერთოდ, მის ფილოსოფიურ წანამძღვრებს.

ფსიქოანალიზის, როგორც თეორიის, გამართლება პრინციპულადაა დაკავშირებული არაცნობიერი ფსიქიკის პრობლემის დადებითად გადაჭრასთან, რადგანაც ფსიქოანალიზი არაცნობიერი ფსიქიკის თეორიაა. ფსიქოანალიზი ვალდებულია, პასუხი გასცეს არაცნობიერი ფსიქიკის დასაბუთების ამოცანას. ფროიდთან არაცნობიერი ფსიქიკის დასაბუთება წარმოდგენილია ორი - ასპექტით. ერთი მხრით, ის ცდილობს თეზისის გამართლებას თეორიული მოსაზრებებით, რაც პრობლემის გადაჭრის ერთადერთ კანონიერ გზად უნდა იქნეს მიჩნეული, ხოლო, მეორე მხრით, ზრუნავს პრობლემის ემპირიული ასპექტით დასაბუთებაზეც, რაც, როგორც ცნობილია, არაცნობიერი ფსიქიკის დასაბუთების არამართებული გზაა, რადგანაც პრობლემის ბუნებიდან გამომდინარე პრინციპულადაა შეუძლებელი თვითონ არაცნობიერი ფსიქიკის ფაქტის დადასტურება: არაცნობიერი ფსიქიკა ცნობიერებისაგან დამოუკიდებელი არსებობის მქონე-

---

[173] იხ., მაგალითად, Е. В. Шорохова, Фрейдизм. В кн.: «Современная психология в капиталистических странах», М., 1963; Ф. В. Бассин, Фрейдизм в свете современных научных дискуссий, «Вопросы психологии», 1958, № 5—6; Ответ профессору Чезаре Л. Музатти, »Вопросы психологии», 1960, № 3, Г. Уэллс, Павлов и Фрейд, М., 1959 и др.

დაა წარმოდგენილი, ხოლო ამგვარი რეალობის ხილვა უშუალოდ ცნობიერებისათვის შეუძლებელია. ის, რასაც ფსიქოანალიზში ეწოდება არაცნობიერი ფსიქიკის „ემპირიული, ფაქტობრივი დასაბუთება", სინამდვილეში წარმოადგენს დასაბუთების არაემპირიულ და, ამდენად, არაპირდაპირ გზას, რადგანაც იგი შეპირობებულია თეორიული მოსაზრებით. დასაბუთების არაპირდაპირი გზა კი, როგორც ცნობილია, ჰიპოთეზურის ფარგლებს ვერ სცილდება და ამიტომაც ის უვარგისია ონტოლოგიური პრობლემის საბოლოოდ გადაჭრის საქმეში.

ფროიდის ძირითადი არგუმენტი არაცნობიერი ფსიქიკის შეწყნარებისა ესაა ფსიქიკური სინამდვილის მიმართ უწყვეტობის პრინციპის გატარება. ფსიქიკის ფარგლებში უწყვეტობის პრინციპის დაცვა მოითხოვს ფსიქიკის განპირობებულობას ფსიქიკით, ფსიქიკური მიმდინარეობის რიგში ჰეტეროგენული (არაფსიქიკური) მომენტების უკუგდებას, ამ უკანასკნელთა მიმართ უარყოფითი პოზიციის დაჭერას, როცა საქმე ეხება საერთოდ ფსიქიკის ისტორიული წარის უვარგისია ონტოლოგიური პრობლემის საბოლოოდ გადაჭრის მიზეზის გააზრებას.

ცნობილია, რომ უწყვეტობის პრინციპის გატარება ფსიქიკური სინამდვილის მიმართ განახორციელა ლაიბნიცმა. ემპირიულად ფსიქიკური ცხოვრება წყვეტილი სახით წარმოგვიდგება. განმცდელი სუბიექტისათვის ფსიქიკა ცნობიერი ფენომენების სახითაა მოცემული. ცნობიერი ფენომენები დროულ თანამიმდევრობაში ფრაგმენტული ბუნებისანი არიან. უწყვეტობის პრინციპი გვავალებს დროის ყოველ მომენტებში ფსიქიკის არსებობის დაშვებას. ამ სიძნელის გადალახვა ლაიბნიცმა სცადა არაცნობიერი ფსიქიკის ცნების მოშველიებით. „მცირე აღქმა" (petites perceptions) ის შემავსებელი არაცნობიერი ფსიქიკური ელემენტია ფსიქიკური მიმდინარეობის რიგში, როცა ცნობიერება ვერ ადასტურებს სუბიექტში ფსიქიკის არსებობას. არაცნობიერი ფსიქიკა ცნობიერი ფსიქიკის ფრაგმენტულობის გამაერთიანებელია, შემავსებელია. მაშასადამე, ფსიქიკის მთლიანი და უწყვეტი ბუნება მდგომარეობს ცნობიერი და არაცნობიერი ფსიქიკური მდგომარეობის უწყვეტ თანამიმდევრობაში. ცნობიერი ფსიქიკის წარმოშობის უშუალო წინა საფეხური არაცნობიერი ფსიქიკაა, ასევე, ცნობიერი ფსიქიკის აღკვეთის ეითარება მისი არარაობად გადაქცევა კი არაა, არამედ, გადასვლა არაცნობიერ ფსიქიკურ მდგომარეობაში. ამგვარი დაშვებით მონადოლოგიაში

უზრუნველყოფილია ფიზიკური სინამდვილის მსგავსად ფსიქიკური სინამდვილის უწყვეტი სახით წარმოდგენა. ეს კი ნიშნავს ფიზიკური და ფსიქიკური სინამდვილეების დახშული სისტემების მტკიცებას, მათ შორის პარალელისტური მიმართების დაცვას და ურთიერთდამოკიდებულებაში წინასწარდაწესებული ჰარმონიის აღიარებას.

ფსიქიკური სინამდვილის ფარგლებში უწყვეტობის პრინციპის დაცვა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გამართლებული იყოს, თუ წინასწარ იქნება მიღებული ფსიქო-ფიზიკური პარალელიზმის თეორია. რადგანაც მხოლოდ ამ შემთხვევაში გვექნება საკმაო საფუძველი, ვილაპარაკოთ ფსიქიკის დახშული და თვითკმარი რეალობის შესახებ, სადაც ფსიქიკის მიმდინარეობაში ყოველი პროცესი შეიძლება გააზრებული იქნეს ისევ ფსიქიკური პროცესიდან წარმოშობილად, ვინაიდან ფსიქიკურმა უწყვეტობა უნდა უზრუნველყოს საკუთარი იმანენტური რესურსებით.

რაც ითქვა ლაიბნიცის მონადოლოგიური სისტემის თეორიული წანაძღვრების შესახებ არაცნობიერი ფსიქიკის ასპექტით, იგივე ითქმის ფსიქოანალიზური თეორიის შესახებაც, როცა აქ უწყვეტობის პრინციპი მომარჯვებულია არაცნობიერი ფსიქიკის დასაბუთებისათვის. ფსიქიკის უწყვეტი სახით წარმოდგენა ფსიქოანალიზს ავალდებულებს ფსიქო-ფიზიკური პარალელიზმის პრინციპის მიღებას, დუალისტური პოსტულატის აღიარებას. ეს ვლინდება ფსიქოანალიზის მეთოდოლოგიური თვალსაზრისის დაფუძნების საქმეში.

წინააღმდეგობრივი ფროიდის ნააზრევში ისაა, რომ თავის მსოფლმხედველობითი მრწამსით ის უარყოფს ფსიქო-ფიზიკური პარალელიზმის თეორიას, მას ფსიქიკა მიაჩნია ტვინის პროდუქტად, მისგან განვითარების გზით მიღებულ თვისობრიობად; ფროიდი თუ მტკიცედ დადგებოდა აღნიშნულ ფილოსოფიურ პოზიციაზე, მას უარი უნდა ეთქვა ფსიქიკის ფარგლებში უწყვეტობის პრინციპის გატარებაზე, რადგანაც ფსიქიკური სინამდვილის გააზრება უწყვეტი და აქედან გამომდინარე დახშული და თვითკმარი რეალობის სახით იმთავითვე ეწინააღმდეგება ფსიქიკის აღმოცენების აზრს არაფსიქიკური გარკვეულობიდან, ტვინიდან; მაგრამ ფროიდი ივიწყებს მონისტურ თვალსაზრისს და შეგნებულად იცავს დუალიზმის პრინციპებს, როცა საკითხი დგება ფსიქიკის ახსნის თაობაზე.

ფსიქოანალიზის თეორიაში შეუსაბამობაა ონტოლოგიურ და მეთოდოლოგიურ ასპექტებს შორის. მეთოდოლოგიური თვალსაზრისი ფსიქოანალიზში არ გვევლინება ონტოლოგიური შეხედულე-

ბის გაგრძელებად. ფროიდი პრინციპულად დგას მეთოდოლოგიური დუალიზმის ნიადაგზე. ონტოლოგიური მონიზმისა და მეთოდოლოგიური დუალიზმის წინააღმდეგობა ფროიდთან მაინც საბოლოოდ დუალიზმის სასარგებლოდ წყდება. ავტორის გაგებით, ფსიქოლოგია, როგორც მეცნიერება, გაუქმდებოდა, თუკი შეეცდებით დაგვეცვა შეხედულება ფსიქიკის ფიზიოლოგიურიდან უშუალოდ მიღების შესახებ. მეთოდოლოგიური დუალიზმი ფსიქოანალიზის ამოსავალი პრინციპია, ხოლო ონტოლოგიური მონიზმი არსებითად არაა დაკავშირებული ფსიქოანალიზურ კონცეფციასთან. ეს კი იმის მანიშნებელია, რომ ფსიქოანალიზის თეორია ფაქტიურად ემყარება ონტოლოგიურ დუალიზმს, რომლის ლოგიკური დასრულება მეთოდოლოგიური დუალიზმია.

ფსიქოანალიზის თეორიის მიხედვით, ჰეტეროგენულადაა წარმოდგენილი მოვლენის წარმოშობა და მისი ახსნა. ტვინი წარმოშობს ფსიქიკას. ტვინი ვერ ახსნის ფსიქიკას. აი დებულებები, რომელთა ურთიერთშესაბამისობა, შეთავსება ბუნებრივი ჩანს ფსიქოანალიზისათვის. საქმე ისაა, რომ ფსიქიკის ახსნელად, ფროიდის აზრით, შეიძლება მოგვევლინოს ისეთი რამ, რაც შეძლებს, გაგვაგებინოს შედეგი — ფსიქიკა. ფსიქოანალიზს არ აკმაყოფილებს უბრალო, შიშველი მიზეზებისა და საფუძვლის კონსტატაცია. მიზეზმა გასაგები უნდა გახადოს ცნობიერი ფსიქიკის კავშირი და სტრუქტურა. ფიზიოლოგიური სინამდვილით ფსიქიკა იმიტომ ვერ აიხსნება (resp. გაიგება), რომ ფიზიოლოგიური ლაპარაკობს მხოლოდ საფუძველში მდებარის შესახებ, იგი არაფერს გვეუბნება და ვერც გვეტყვის. იმ მიზეზებზე, რომლებიც ახასიათებს საერთოდ ფსიქიკურს[174]. მაშასადამე, ფსიქიკის ახსნისას უნდა ვიგულისხმოთ არა უბრალო კორელაცია მოვლენათა შორის, არამედ ამხსნელმა უნდა განაპირობოს ფსიქიკური კავშირისეული მთლიანის საზრისის ხილვა. ამ ამოცანის

---

[174] მაგალითად, ზ. ფროიდი ი. პავლოვის მეცნიერულ მოღვაწეობას არ ჩათვლიდა ფსიქიკის ახსნით საქმიანობად, რადგანაც თვითონ ი. პავლოვის განცხადებით: „მე სრულიად არ შევეხები ფილოსოფიურ თვალსაზრისს, ე. ი. მე არ შევუდგები საკითხის გადაწყვეტას: როგორაა, რომ ტვინის მატერია წარმოქმნის სუბიექტურ მოვლენას და ა. შ. მე მხოლოდ ვეცდები სავარაუდოდ პასუხი გავცე კითხვას: რა ფიზიოლოგიური მოვლენები, რა ნერვული პროცესები ხდება დიდ ჰემისფეროებში მაშინ, როცა ჩვენ ვამბობთ, რომ ჩვენ ვიცით ჩვენი თავი, როცა წარმოებს ჩვენი შეგნებული მოქმედება„ И. П. Павлов, Сочинения, т. III, 1949, გვ. 196. პავლოვი ადგენს ფსიქიკურის ფიზიოლოგიურ შესატყვისს, კორელატს; იგი არ სვამს საკითხს ფსიქიკის წარმოშობა-გაგებისას. ფროიდი კი ამ უკანასკნელზე ზრუნავს.

გადაჭრას ფროიდი აკისრებს არაცნობიერ ფსიქიკას, და არა მარტო აკისრებს, არამედ მას არაცნობიერი ფსიქიკის მეშვეობით ცნობიერი ფსიქიკური აქტების საზრისის ხილვა მიაჩნია არაცნობიერი ფსიქიკურის რეალობის აღიარების საბუთად[175].

სავსებით კანონიერია საკითხის დასმა ისეთი გარკვეულობის ძიების შესახებ, რომელიც გაგვაგებინებს ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ცნობიერი ფსიქიკური აქტის მნიშვნელობას. მაგრამ აქედან ლოგიკურად არ გამომდინარეობს, რომ ის, რაც განაპირობებს ცნობიერი ფსიქიკური აქტივობის შინაარსს, აუცილებლად ისევ ფსიქიკური რიგის მოვლენა, resp. არაცნობიერი ფსიქიკა უნდა იყოს.

ფროიდმა საზრისი შემდეგნაირად განმარტა: „საზრისის ქვეშ ჩვენ გვესმის მნიშვნელობა, განზრახვა, ტენდენცია და ადგილი ფსიქიკური კავშირების რიგში". და ეს თვისებები მიაწერა ა რ ა ც ნ ო ბ ი ე რ ფ ს ი ქ ი კ ურ არსებობას; მაგრამ ფროიდს შეედავებიან იმაში, რომ მის მიერ არაცნობიერი ფსიქიკისადმი მიკუთვნებული ნიშნები, როგორც არაცნობიერი ფსიქიკისათვის სპეციფიკური, გარკვეული აზრით ფსიქიკის დამახასიათებლად სწორედ რომ ვერ ჩაითვლებიან. მაგალითად, „მნიშვნელობა", „ტენდენცია" და „ადგილი მოვლენათა კავშირების რიგში" ისევ დაახასიათებს ბიოლოგიურ (ფიზიოლოგიურ) სინამდვილის სტრუქტურულ პროცესებს, როგორადაც ის გამოიყენა ფროიდმა ფსიქიკურისათვის. ხოლო „განზრახვა" ცალკეული ფსიქიკური პროცესის იმანენტური თვისება იმიტომ არ შეიძლება იყოს, რომ ის საერთოდ ფსიქიკური პროცესების წამართველის, მაგალითად, მე-ს, პიროვნების ფუძემდებლური განსაზღვრულობაა.

ფროიდს საგანგებოდ უნდა გაერჩია საკითხი ფსიქიკის საზრისიანობის თაობაზე, იმის შესახებ, თუ რა საფუძველი არსებობს ფსიქიკის, როგორც ბუნების ფაქტისათვის, მოვითხოვოთ საზრისიანობის ნიშნის მიწერა. ხომ ცნობილია, რომ ბევრი საზრისს (მიზანს) არ თვლის ფსიქიკის საკუთარ ნიშნად და მას აცხადებს ფსიქიკისათვის გარედან მინიჭებულად. ფსიქიკა, ამ თვალსაზრისით, მხოლოდ პიროვნების სტრუქტურის კუთხიდან დანახული, როგორც ამ უკანასკნელის ერთ-ერთი მომენტი, ჩანს საზრისის მქონე. ისიც ცნობილია, რომ დღეს ფსიქოლოგიაში არსებობს საკმაოდ საფუძვლიანი

---

[178] «Die Möglichkeit, den neurotischen Symptomen durch analytischen Deutung einen Sinn zu geben, ist ein unerschüterlicher Beweis für die Existenz unbewußter seelischer Vorgänge», Vorlesungen, XI, 288.

ტენდენცია, რომლის მიხედვითაც, ცნობიერი ფსიქიკის ამხსნელად გამოყენებულია პიროვნების, პერსონის, განწყობის (როცა ამ ტერმინში არ იგულისხმება არაცნობიერი ფსიქიკა) ცნებები, რომლებიც ფსიქიკის გაგების საქმეში იმავე როლს თამაშობენ, რასაც ფსიქოანალიზის არაცნობიერი ფსიქიკა. საჭირო იყო ამ ვითარების გათვალისწინება, მათი კრიტიკული ანალიზი, სანამ მოხდებოდა ფსიქოანალიზის დოგმატური პოზიციიდან ფსიქიკის დახასიათება.

არაცნობიერის ონტოლოგიურ საკითხს ვერ გადაჭრის, რა თქმა უნდა, აზროვნების ის გზა, რომელსაც ფროიდი იყენებს; მას წინდაწინვე აქვს მიღებული აზრი იმის ფსიქიკურობის შესახებ, რამაც უნდა ახსნას ცნობიერი ფსიქიკა. ამხსნელად, შესაძლებელია, გამოგვადგეს ფიქციაც, მაგრამ გაუმართლებელია ამ უკანასკნელის რეალობაზე დავასკვნათ.

ცნობიერების მიღმა არსებული ფსიქიკის გამართლებისათვის არ გამოდგება ის „არგუმენტი", რომელიც ცდილობს წინასწარ დაშვებულის დასაბუთებას შედეგით. ფროიდი ფიქრობს, რომ თუკი ის არაცნობიერი ფსიქიკის ჰიპოთეზის გამოყენებით, მასზე დაყრდნობით მოახდენს მიზანშეწონილ გავლენას ცნობიერი ფსიქიკის მუშაობის მიმდინარეობაზე, მაშინ ამ რეზულტატის, წარმატება-შედეგის სახით უნდა გაგვაჩნდეს უდავო საბუთი დაშვებული არაცნობიერი ფსიქიკის რეალური არსებობისა. აღნიშნული არგუმენტაციის შესახებ უნდა ითქვას, რომ აქ, ონტოლოგიური პრობლემის გადაწყვეტისას, არ არსებობს ლოგიკური საფუძველი მიზეზის ონტოლოგიური რაობის დადგენისა. მსჯელობაში დაშვებულია შეცდომა post hoc, ergo propter hoc. სანამ წინასწარ არ გადაჭრილა ცნობიერი ფსიქიკის გენეზისის საკითხი, მანამ თვითონ ცნობიერი ფსიქიკის მიმდინარეობის პროცესი ვერაფერს გვეტყვის მისი შესაძლო უშუალო საფუძვლის რაობის შესახებ. თუ დასაბუთდება, რომ ცნობიერი ფსიქიკა შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ არაცნობიერი ფსიქიკისაგან და არა სხვა რაიმესაგან, მხოლოდ ამის შემდეგ გვექნება საკმაო საფუძველი, ვიმსჯელოთ შედეგსა და მიზეზს შორის ურთმნიშვნელოვან დამოკიდებულებაზე, ცნობიერი ფსიქიკის ცვლილებაში მისი წარმმართველი არაცნობიერი ფსიქიკის მონაწილეობაზე.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მკურნალობის საქმეში ფსიქოანალიზური მეთოდის მომარჯვება და გამოყენება არ გამორიცხავს პიროვნებაზე ზემოქმედების განსხვავებულ კონკრეტულ გზებს; მა-

გალითად, კომუნიკაციას, შთაგონებას და სხვ. ასე რომ, ფროიდის ვარაუდი, რომელიც გულისხმობს ცნობიერი ფსიქიკის წარმართვას მხოლოდ არაცნობიერ ფსიქიკაზე დაყრდნობით, ჰეტეროგენული ფაქტორების მონაწილეობისაგან თავისუფალი არ უნდა იყოს.

ჰიპოთეზის, დაშვებულის პრაქტიკით, გამოცდილებით გამართლება, დადასტურება ცნობილი მეთოდოლოგიური გზაა, მაგრამ იქ, სადაც ლაპარაკია შედეგისა და მიზეზის, საფუძვლის ურთიერთობის ემპირიულ ძიებაზე, წინდაწინვეა გადაჭრილი მათი ონტოლოგიური რაობის საკითხი. საფუძვლის არსებობის ფორმის საკითხს ვერ გაარკვევს შედეგზე უბრალო მითითება, რადგანაც ის ჩვენს შემთხვევაში ფილოსოფიური ასპექტით გადაწყვეტას ექვემდებარება მხოლოდ.

არაცნობიერი ფსიქიკის არსებობის სასარგებლოდ, როგორც აღინიშნა, ფროიდი მიუთითებს აგრეთვე იმ ე. წ. განწყობაზე, რომელიც ბუნებრივად შეგვიმუშავდა სხვისი მე-ს შესახებ. სხვისი ცნობიერი ფსიქიკური პროცესები ჩვენ უშუალოდ არ გვეძლევიან, მაგრამ სხვისი ქცევის, მოქმედების საფუძველზე ვასკვნით მათ განმაპირობებელ ფსიქიკურ მდგომარეობათა შესახებ. თუკი სხვის ქცევას ვხსნით ფსიქიკით, რომლის ნამდვილ არსებობაში დარწმუნებული ვართ, მაგრამ ამ ფსიქიკის უშუალო განცდა არ გაგვაჩნია, ე. ი. ეს ფსიქიკა ჩვენთვის არაცნობიერია, არ უნდა იყოს ხელშემშლელი ფაქტორი, მსგავს თვალსაზრისზე დავდგეთ საკუთარი მე-ს მიმართაც და ჩვენი ქცევა და ცნობიერი ფსიქიკის მიმდინარეობა დაეფუძნოთ იმ ფსიქიკის მოქმედებაზე, რომელსაც არ განვიცდით.

ანალოგია, რომელსაც ფროიდი იყენებს არგუმენტად არაცნობიერი ფსიქიკის ონტოლოგიური პრობლემის გადაწყვეტისათვის, საქმეს ვერ შველის. ამ შემთხვევაში დასაზუსტებელია არაცნობიერი ფსიქიკის ცნება. მასში ფროიდი ორ განსხვავებულ შინაარსს დებს. მართალია, სხვისი ცნობიერი ფსიქიკის შესახებ არ გვაქვს უშუალო ცოდნა, მას ჩვენ ვერ განვიცდით, მაგრამ მისი განცდა აქვს მას, ვისი კუთვნილებაც იგია. ხოლო არაცნობიერი ფსიქიკა, როგორც ასეთი, საერთოდ ცნობიერების შინაარსად არ იგულისხმება, რადგანაც ის ცნობიერებისაგან დამოუკიდებლადაა წარმოდგენილი. მაშასადამე, არაცნობიერი ფსიქიკა, რომელიც, ერთ შემთხვევაში, ნიშნავს „ჩემ არაცნობიერ ფსიქიკას", ხოლო, მეორე შემთხვევაში, „სხვის ფსიქიკას ჩემთვის არაცნობიერს", ერთმანეთისაგან საკუთარი ნებით განსხვავებულ საქმის ვითარებაზე მიუთითებენ. პირველი საერთოდ ცნობიერების ფარგლებს გარეთ არსებულად წარმოიდგინება, მეო-

რე კი ინდივიდუალური ცნობიერების ფარგლებს შიგნით თავსდება. ეს უკანასკნელი ცნობიერი ფსიქიკაა, მაგრამ რადგანაც სხვისთვის შიუწვდომელია, ამდენად იწოდება „არაცნობიერად".

ცხადია, რომ ანალოგიით დასკვნისათვის საჭირო იგივეობრივი მომენტები ფროიდის მიერ არაა მოყვანილი. ის კიდევაც რომ იყოს, ანალოგიით დასკვნის გზა ჰიპოთეზურის საფეხურს ვერ გასცილდება და ამდენად, თავისი შინაგანი ბუნებიდან გამომდინარე, არაცნობიერი ფსიქიკის რეალიზმის თეზისს ვერ დაასაბუთებს.

როგორც აღინიშნა, ფროიდი მერყევ პოზიციაზე დგას არაცნობიერი ფსიქიკის პრობლემის გადაჭრაში ემპირიული მონაცემის მნიშვნელობის შესახებ. ერთ შემთხვევაში მას შეგნებული აქვს ფაქტობრივი ვითარების უვარგისობა პრობლემის გადაწყვეტის საქმეში და ამიტომ მსჯელობს პრობლემაზე თეორიული ასპექტით, მეორე შემთხვევაში ჩვენი ავტორი თავგამოდებით იცავს არაცნობიერი ფსიქიკის დასაბუთებაში ემპირიული გზის შესაძლებლობას და გვთავაზობს ე. წ. ფაქტებს, რომლებიც, მისი რწმენით, ადასტურებენ არაცნობიერი ფსიქიკის რეალობის აზრს. ფროიდის მიერ შემოთავაზებული ემპირიული არგუმენტებიდან ჩვენ შევჩერდებით მხოლოდ ერთის განხილვაზე, პოსტჰიპნოზური მდგომარეობის ანალიზზე, რადგანაც აღნიშნული ფაქტიური ვითარების ბუნების ცხადყოფა მთელი სიგრძე-სიგანით აჩვენებს არაცნობიერი ფსიქიკის თეორიული პრობლემის გადაჭრის ცდაში საერთოდ ემპირიის ლოგიკურ ძალას.

პოსტჰიპნოზური მდგომარეობა ზემოთ იყო აღწერილი. ამჟამად ყურადღებას ვამახვილებთ დასკვნაზე, რომელიც გამოჰყავთ ამ ფაქტიური ვითარებიდან: რადგანაც მიზანშეწონილი ქცევის აქტი განხორციელდა მიზნის ცნობიერების გარეშე, მაშასადამე, მიზანი არსებულა არაცნობიერი ფსიქიკის სახით.

სწორია თუ არა დანასკვი? ლოგიკურად გამომდინარეობს თუ არა ის პოსტჰინოზური მდგომარეობის ფაქტიური ვითარებიდან?

პოსტჰიპნოზური მდგომარეობა მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ სუბიექტს ჰიპნოზური მდგომარეობიდან გამოსვლის შემდეგ ცნობიერებაში აღარა აქვს შთაგონებული შინაარსი, მიზანი; რომ სუბიექტში, საფიქრებელია, აღმოცენდა რაღაც მდგომარეობა, რომელიც შემდეგ მოქმედებს გარკვეული მიმართულებით; რომ ეს აღმოცენებული მდგომარეობა ცნობიერი არაა.

ისმის კითხვა: რას წარმოადგენს სუბიექტში აღმოცენებული არა-

ცნობიერი მდგომარეობა? იგი ფსიქიკაა თუ ფიზიოლოგიური ან სხვა გარკვეულობა? ამ კითხვაზე თვითონ პოსტჰიპნოზური მდგომარეობის ფაქტს არაფრის თქმა არ შეუძლია. და თუ მაინც ვინმე ლაპარაკობს რომელიმე პასუხის სასარგებლოდ, ეს უკვე თეორიული მოსაზრების, წანამძღვრის ნებსითი თუ უნებლიე ზეგავლენის შედეგია. ის, ვინც იცავს შეხედულებას, რომ ფსიქიკური შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ ისევ ფსიქიკურიდან, ამკვნის, რამაც წარმოშვა მიზანშეწონილი აქტი ქცევისა პოსტჰიპნოზურ მდგომარეობაში, ეს არაცნობიერი ფსიქიკაა; ხოლო ის, ვინც იზიარებს აზრს ცნობიერი ფსიქიკის უმაღლესი ნერვული მოქმედებიდან წარმოშობის შესახებ, მისთვის ზემოაღნიშნული არაცნობიერი მდგომარეობა ფიზიოლოგიურია. მაშასადამე, თვითონ ემპირიული მოცემულობა, ჩვენს შემთხვევაში პოსტჰიპნოზური მდგომარეობა კი არაა მაჩვენებელი იმისა, თუ რას წარმოადგენს ონტოლოგიურად მის საფუძველში მდებარე და მისი განმაპირობებელი, არამედ ჩვენი თეორიული (ფილოსოფიური) მრწამსი ახდენს პოსტჰიპნოზური მდგომარეობის საფუძვლის კვალიფიკაციას ერთ შემთხვევაში, როგორც ფსიქიკურისას, მეორე შემთხვევაში, როგორც ფიზიოლოგიურისას[176].

ფროიდის მიერ მოყვანილი ემპირიული არგუმენტი არაცნობიერი ფსიქიკის რეალობის სასარგებლოდ, როგორც ირკვევა, თვითონ მოითხოვს წინასწარ ფილოსოფიური კვლევა-ძიების ჩატარებას. არსებითად იგივე ითქმის სიზმრისა და ყველა სხვა ე. წ. „არაცნობიერის ფაქტისა" თუ „ექსპერიმენტული მონაპოვრის" შესახებ. ისინი თვითონ პრობლემებს წარმოადგენენ და არა პასუხს პრობლემაზე.

ფროიდის განცხადება, რომ სიზმრის ინტერპრეტაცია ესაა „სულიერ ცხოვრებაში არაცნობიერის ცოდნისათვის პირდაპირი გზა", სწორედ რომ არ წარმოადგენს არაცნობიერი ფსიქიკის ხილ-

---

[176] ზოგჯერ მიმართავენ ხოლმე ლოგიკურ აბრუნდს: რადგანაც პოსტჰიპნოზური მდგომარეობა (და საერთოდ ემპირიული მოცემულობა) უარყოფილია როგორც არაცნობიერი ფსიქიკის უშუალო და პირდაპირი მაჩვენებელი საბუთი, ემპირიული მოცემულობის არგუმენტად უვარგისობიდან ასკვნიან, თითქოს ამით ეჭვია შეტანილი პოსტჰიპნოზური მდგომარეობის ფაქტიურობაში. პოსტჰიპნოზური მდგომარეობა ფაქტია, მაგრამ იგი არ გამოდგება არაცნობიერი ფსიქიკის დამადასტურებლად! პოსტჰიპნოზური მდგომარეობის მოვლენას ეხება დ. უზნაძე გამოკვლევაში: „პოსტჰიპნოზური შთაგონების თეორიისათვის". აქ დ. უზნაძის მიერ ნაჩვენებია, რომ განწყობა, როგორც გარკვეული ვითარება, არ წარმოადგენს ცნობიერების შინაარსს, განცდით მდგომარეობას, და არა ის, რომ განწყობის ფსიქიკურობა საბუთდებოდეს პოსტჰიპნოზური მდგომარეობით.

ვის პირდაპირ საშუალებას, რადგანაც აქაც ინტერპრეტაცია ემყარება წინასწარ დაშვებულ აზრს, რომ სიზმრის შინაარსი შეიძლება აღმოცენდეს არაცნობიერი ფსიქიკის მოქმედებიდან. გასარკვევი კი იმ საფუძვლის ფსიქიკურობაა, რომელიც აპირობებს სიზმრის პროცესს თავისი თავისებურებებით (გადაწევა, შეჭიდროება და ა. შ.), როგორადაც ამას წარმოგვიდგენს ფსიქოანალიზი. ადრევე შეამჩნიეს ფსიქოანალიზში არაცნობიერი ფსიქიკის დასაბუთების გაუმართლებელი გზა — idem per idem. ერთი მხრით, არაცნობიერი ფსიქიკა მომარჯვებულია სიზმრის პროცესის სპეციფიკურობის ამხსნელ საშუალებად, მეორე მხრით, არაცნობიერი ფსიქიკის არსებობა დასაბუთებულია სიზმრის პროცესის სპეციფიკურობით.

შეიმჩნევა, რომ ფსიქოანალიზურ თეორიაში არგუმენტაციის ადგილს ხშირად რწმენა იჭერს. ფროიდი უქმ საქმედ მიიჩნევს თეორიის ფუძემდებლური დებულებების ცხადყოფის საქმეში კამათის მომენტს. აზრთა ჭიდილი მას ზედმეტად მიაჩნია, ვინაიდან, მისი გაგებით, ასეთი გზა არასოდეს არ მიგვიყვანს საკითხის გადაჭრამდე. ფროიდი ერთშია დარწმუნებული, რომ ის, რაც მტკიცდება ფსიქოანალიზის მიერ, ჭეშმარიტებაა და კამათი აუცილებლად უნდა დამთავრდეს მოწინააღმდეგის მიერ ფსიქოანალიზური თეორიის აღიარებით. მაგრამ, რადგანაც ეს არ ხდება, ის წინააღმდეგია კამათისა საერთოდ[177].

ერთ გარემოებასაც უნდა მიექცეს ყურადღება, როცა ფროიდი ცდილობს არაცნობიერი ფსიქიკის ემპირიული გზით დასაბუთებას. ესაა ავტორის შემეცნებისთეორიული თვალსაზრისი, რაც ესოდენ გადამწყვეტ როლს თამაშობს მის აზრთა წყობაზე. ფსიქოანალიზური კონცეფცია, ფროიდის განცხადებით, არ უნდა იყოს სპეკულატური სისტემა. მისი რწმენით, ის წარმოადგენს გამოცდილებისა და დაკვირვების გზით პირდაპირ მიღებული მასალის გადმოლაგებას. მაგრამ ცნებები: გ ა მ ო ც დ ი ლ ე ბ ა და დ ა კ ვ ი რ ვ ე ბ ი ს გ ზ ი თ მ ი ღ ე ბ უ ლ ი მ ა ს ა ლ ა აქ სპეციფიკური შინაარსის შემცველია — იგულისხმება შემმეცნებლის აქტიური ჩარევა გამოცდილე-

---

[177] იხ. Vorlesungen, XI, 251. ბუნებისმეტყველმა ი. პავლოვმა, მხედველობაში მიიღო რა ფსიქოანალიზში რწმენისადმი პრიორიტეტის მინიჭება, განაცხადა: „მე ვერ ვიტან ფროიდს". ამის მოტივია ის, რომ „აქაა სინამდვილისადმი პატივისცემის ყოველგვარი უქონლობა. აქ ლოგიკა და სინამდვილე ითელება". ი. პავლოვი ზ. ფროიდს მიიჩნევს ახალი რელიგიის დამფუძნებლად. იხ. Павловские клинические среды, т. I, М., 1954, с. 42, 491.

ბაში. ფროიდი ხშირად ლაპარაკობს „მასალის დაძლევაზე", რის შემდეგაც იგი შეიძლება გახდეს გამოყენების ობიექტი, მიუთითებს მეცნიერებისათვის ამგვარი გამოცდილების აუცილებლობაზე, რომ ინტელექტუალურ დამხმარე კონსტრუქციებს გვერდი ვერ აევლება და ა. შ.[178]. ფროიდს დაეთანხმებიან იმაში, რომ მეცნიერებაში დამხმარე კონსტრუქციების, ჰიპოთეზების გამოყენება გარკვეული ვითარების გამო დასაშვებია. მაგრამ არ შეიძლება დავეთანხმოთ მას იმაში, რომ „ჰიპოთეზური დაშვება" და „გამოცდილებაში მოცემული" ერთმანეთს გაუტოლდეს შემეცნებითი ღირებულების მიხედვით. ფროიდი კი იგივეობის ნიშანს სვამს ჰიპოთეზურსა და ფაქტობრივს შორის. ამიტომაა, რომ მის მსჯელობებში ვხვდებით ასეთ გამოთქმებს: „ჩვენ გამოცდილებაში მივიღეთ, ე. ი. უნდა დავუშვათ", „არსებობის დასაბუთება, ანუ... დაშვების საჭიროება"[179]. გამოცდილების ცნების ასეთი გაგების შესახებ ის ითქმის, რომ იქ, სადაც ამგვარი გამოცდილებაა მომარჯვებული ემპირიულ საბუთად, იგი ასეთად არ გამოდგება, ვინაიდან ის შეიცავს წინასწარდაშვებულ მომენტს, რაც ფაქტობრივი ვითარების სიწმინდეს, ობიექტურობას ეჭვის ქვეშ აყენებს.

ასეთია ფროიდის არგუმენტაციის ბუნება, რომელიც გვარწმუნებს იმაში, რომ ფსიქიკური არაცნობიერის რეალობის თეზისი დასაბუთებული არ არის.

ფროიდი სწორ თვალსაზრისზე დგას იმ შემთხვევაში, როდესაც არაცნობიერი ფსიქიკის პრობლემის დასმის საფუძვლად ცნობიერებისა და ფსიქიკის გათიშვის ფაქტიდან ამოდის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ არაცნობიერად არსებობის საკითხი შეიძლება დაისვას ფსიქიკის მიმართ და არა ცნობიერების მიმართ. ფროიდის თეზისში — ცნობიერება არ შეიძლება იყოს არაცნობიერი — იგულისხმება ის, რომ ცნობიერია როგორც ცნობიერების საგანი, ისე საგნის ცნობიერებაც.[180] ამიტომაა მასთან „არაცნობიერი ცნობიერება" შინაგანი წინააღმდეგობის შემცველი ცნება. ფროიდს დაეთანხმებიან იმაშიაც, რომ არაცნობიერი ფსიქიკის გარკვეულობა, თუკი ასეთი რამ არსე-

---

[178] Abriß der Psychoanalyse, XVII, 81, Neue Folge der Vorlesungen, XV, 163, Selbstdarstellung, XIV, 58, 84.

[179] «Wir haben erfahren, d. heißt annehmen müßen...», Das Ich und das Es, XIII, 240. «Ein Beweis für die Existenz oder... für die Notwendigkeit der Annahme»..., Vorlesungen, XI, 288.

[180] დაწვრილებით აღნიშნულ საკითხზე იხ. ა. ბ ო ბ ო რ ი შ ვ ი ლ ი, ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიისათვის, თავი VI, „ცნობიერება, განცდა, არაცნობიერი".

ბობს, უნდა მოთავსდეს არა თვითონ ცნობიერების ფარგლებში, არამედ ცნობიერების მიღმა და საკითხი დაისვას მისი წვდომის, შემეცნების შესახებ. ფსიქოანალიზის ავტორი საკმაოდ ლოგიკურია არაცნობიერი ფსიქიკის იმ დახასიათებაში, როცა ის წარმოდგენილია ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად. ფროიდის პასუხი, როგორც გაირკვა, ასეთია: „რომელი გეშტალტით შეუძლია მას (წარმოდგენას — ვ. კ.) არსებობა მაშინ, როცა ის სულიერ ცხოვრებაში ამჟამადაა, მაგრამ ცნობიერებაში ლატენტურია, ამის შესახებ არ შეგვიძლია ვარაუდი წამოვაყენოთ". არაცნობიერი ფსიქიკის გარკვეულობაზე იმიტომ არ შეგვწევს ძალა გამოვთქვათ აღწერითი მსჯელობა, რომ ის თავის „არაცნობიერ არსებობაში" ხილვადი არაა, ცნობიერებას უშუალოდ არ ეძლევა.

მაშინ, როგორ უნდა მოხდეს არაცნობიერი ფსიქიკის შემეცნება? რას უნდა ნიშნავდეს ცნობიერების გარეთ არსებული ფსიქიკის შემეცნება? როგორ დადგინდება მისი სპეციფიკურობა?

ერთადერთი გზა არაცნობიერი ფსიქიკის შესახებ რაიმეს შეტყობინებისა ცნობიერებაა. ფსიქოანალიზის მიხედვით, ცნობიერებაში გამოვლენილი მასალიდან უნდა მოხდეს იმ სურათის წარმოსახვა, რაც შეესატყვისება არაცნობიერის დაფარულ გარკვეულობას. შემთხვევითი არაა, რომ ფროიდი ფსიქოანალიტიკოსის საქმიანობას ადარებს არქეოლოგის მუშაობას. არქეოლოგი წარსულის შემორჩენილი ფრაგმენტებიდან აგებს სურათს მთელის შესახებ. ფსიქოანალიტიკოსი ცნობიერი ფსიქიკის ელემენტით ცდილობს მის უკან მდგომი არაცნობიერი ფსიქიკის შინაგანი ბუნების გათვალისწინებას.

რამდენად რეალურია და დასაბუთებული ცნობიერი ფსიქიკით არაცნობიერი ფსიქიკის „ხილვა"? თუ გავითვალისწინებთ ფროიდის მოსაზრებას, რომ ცნობიერება და არაცნობიერი სპეციფიკურ რომელობებს წარმოადგენენ, რომელთაც აქვთ განსაკუთრებული კანონზომიერებანი, მაშინ ეჭვის ქვეშ უნდა დადგეს ცნობიერებით არაცნობიერის წვდომის გზა, რამდენადაც არაცნობიერის შემოსვლა ცნობიერებაში, მისი გაცნობიერება, ფსიქოანალიზის რწმენით, ნიშნავს არაცნობიერის თარგმნას ცნობიერების ენაზე, ცნობიერებისათვის მისაღებ საბურველში მის გახვევას. და თუ ეს ასეა, მაშინ წინასწარი ცოდნის გარეშე შეუძლებელია ცნობიერებაში ერთმანეთისაგან განსხვავდეს საკუთრივ არაცნობიერიდან შემოჭრილი და სხვა გზით ცნობიერებაში აღმოცენებული შინაარსები და პროცესები; ამიტომ ცნობიერი ფსიქიკა, მისი მუშაობის კანონზომიერება, ვერ

მიგვითითებს მისგან განსხვავებულ არაცნობიერი ფსიქიკის კანონზომიერებაზე. საიდან გვეცოდინება, რომ ცნობიერებაში დადასტურებული რომელიმე მომენტი არაა ცნობიერი ფსიქიკის კუთვნილება, ის რომ აუცილებლად არაცნობიერი ფსიქიკის სინამდვილის გამოვლენაა? ამ კითხვებზე ფსიქოანალიზს დასაბუთებული პასუხი არ გააჩნია. მთელი ფსიქოანალიზური სისტემა აგებულია ვარაუდზე არაცნობიერი ფსიქიკის არსებობის შესახებ.

განმარტებას საჭიროებს ფროიდის თვალსაზრისი ფსიქიკის ზოგიერთ რომელობასთან ცნობიერების კავშირის ბუნების შესახებ. მაშინ, როცა წამოყენებულია პრინციპული დებულება ფსიქიკის ცნობიერების გარეთ არსებობისა, რას უნდა ნიშნავდეს ფსიქიკისადმი ცნობიერების დამოკიდებულება? როგორც ნაჩვენები იყო, დამოკიდებულება ამ ორ ინსტანციას შორის ასეთია: ფსიქიკისადმი ცნობიერების მიმართება არაარსობრივია, ფსიქიკას ცნობიერების ნიშანი ზოგჯერ დაერთვის მხოლოდ. ფსიქიკის მთელ მოცულობაზე ვრცელდება ეს დებულება თუ არა? დროში მიმდინარე გენეტური პროცესის სახით წარმოდგენილი ფსიქიკის მიმართ როგორ დადგებოდა ცნობიერებასთან დამოკიდებულების საკითხი?

ფროიდთან ერთ მომენტში მაინც დადგა საკითხი ფსიქიკის მთელი მოცულობის არაცნობიერთან მიმართების თაობაზე და მან ასეთი თვალსაზრისი განავითარა: არიან ფსიქიკური პროცესები, რომლებსაც მხოლოდ ა რ ა ც ნ ო ბ ი ე რ ი არსებობა აქვთ (ლტოლვები), ფსიქიკური სინამდვილის გარკვეული ნაწილი მ ხ ო ლ ო დ ც ნ ო ბ ი ე რ ი ა, მათ არაცნობიერი არსებობა არ გააჩნიათ (აღქმა, ემოცია), ამათგან განსხვავებით წარმოდგენები (აზროვნება) ისეთი ფსიქიკური მოვლენებია, რომლებიც ც ნ ო ბ ი ე რ ნ ი ც არიან და ა რ ა ც ნ ო ბ ი ე რ ნ ი ც[181]. მაშასადამე, მითითებაა ფსიქიკისა და ცნობიერების სამგვარ მიმართებაზე. ერთი შეხედვით, თითქოს აქ წინააღმდეგობასთან უნდა გვქონდეს საქმე, ფსიქიკა ხასიათდება ურთიერთგამომრიცხველი ნიშნით; ანალიზი გვარწმუნებს, რომ წინააღმდეგობა ამ დახასიათებაში არ უნდა იყოს.

ფსიქოანალიზური თეორიის პოზიციებიდან გასაგებია, რომ ლტოლვა (ფსიქიკური ფენა იგი-ს შინაარსი) არაცნობიერია, ის ცნობიერებაში საკუთარი სახით ვერ შემოდის. ამიტომ მის ცნობიერებაზე ლაპარაკს საფუძველი არა აქვს. როცა ფროიდი მსჯელობს ფსი-

---

[181] Das Unbewußte, X, 275—277.

ქიკური სინამდვილის ერთ სფეროზე, როგორც მხოლოდ ცნობიერზე, მას მხედველობაში აქვს ფსიქიკური შინაარსები (შეგრძნება, აღქმა, გრძნობა, აფექტი და ა. შ.). ფროიდი ფსიქიკურ შინაარსებს განიხილავს ცნობიერებასთან პრინციპულად დაკავშირებულად, რომ ფსიქიკური შინაარსის არსებობა მისი ცნობიერებაში არსებობაა. ფსიქიკური შინაარსების არაცნობიერად, ცნობიერების გარეშე არსებობა შეუძლებელია. არაცნობიერი არსებობა გააჩნია იმ ფსიქიკურ პროცესს, რომელსაც არ მიუღწევია ცნობიერების ზღურბლისთვის და ცნობიერებაში არ მოუცია შინაარსი-პროდუქტი. ამიტომ გამართლებულია ემოციის არაცნობიერობაზე ლაპარაკი, როცა მასში იგულისხმება ემოცია-შინაარსის ცნობიერებამდელი გზა — პროცესი. მსგავსად უნდა გავიაზროთ ის ვითარებაც, როცა ფროიდი ლაპარაკობს წარმოდგენის (აზრის) შესახებ, რომელიც ცნობიერიც არის და არაცნობიერიც. წარმოდგენას ცნობიერების ნიშანი მაშინ მიეწერება, როცა ის შინაარსია. ცნობიერების ფარგლებს გარეთ არსებული წარმოდგენა პროცესია, კვალია. მაშასადამე, ცნობიერებისა და მისი საპირისპირო არაცნობიერების ნიშანი მიეწერება არა ერთსა და იმავე მოვლენას, წარმოდგენა-შინაარსს, არამედ განსხვავებულ გარკვეულობას: ცნობიერება მიეწერება წარმოდგენა-შინაარსს, ხოლო არაცნობიერება — წარმოდგენა-პროცესს.

ზ. ფროიდი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ის ფსიქოანალიზური თეორიის სახით აგებს ფსიქიკის შესახებ ბუნებისმეტყველური ტიპის მეცნიერებას. უფრო მეტიც, მისი აზრით, ფსიქოლოგია, როგორც მეცნიერება, შეიძლება იყოს მხოლოდ ბუნებისმეტყველური დისციპლინა. ბუნებისმეტყველური ტიპის მეცნიერებად, როგორც ხდება ხოლმე, ფიზიკასა და ქიმიას მიიჩნევს და აღნიშნული მეცნიერებების თეორიული წანამძღვრების გაცნობიერებების საფუძველზე ცდილობს ფსიქიკის შესახებ მსგავსი მეცნიერების აგებას. ბუნებისმეტყველების ამოცანად დასახულია, აღმოჩენილი იქნეს უშუალოდ და პირდაპირ მოცემულ თვისებათა უკან დაფარული და საფუძველში მდებარე. ფსიქოანალიზი ამავე მიზანს ემსახურება იმით, რომ ცნობიერებაში დადასტურებული პროცესები და შინაარსები არ მიაჩნია ფსიქიკური სინამდვილის ამოსწურავად. ცნობიერი ფსიქიკის უკან დგას და მას ასულდგმულებს არაცნობიერი ფსიქიკა, რომლის შემეცნება ზ. ფროიდის ე. წ. „ახალი ფსიქოლოგიის“ მიზანდასახულებაა. ბუნებისმეტყველების მეთოდოლოგიური თვალსაზრისი სინამდვილის მიმართ მკაცრი დეტერმინაციის პრინციპის

გატარებაა. ფსიქოანალიზმა ფსიქიკური სინამდვილე დაუმორჩილა ასევე მკაცრ მიზეზშედეგობრივ დამოკიდებულებას ფსიქიკის ცნობიერ და არაცნობიერ სფეროებს შორის.

როცა ზ. ფროიდის წინაშე დაისვა არაცნობიერი ფსიქიკის რაობის საკითხი, მან უარი განაცხადა, რაიმე პოზიტიური ეთქვა მის შესახებ, და ეს, მისი აზრით, ბუნებისმეტყველური მეცნიერების საერთო ტენდენციის გამო მოხდა. ფიზიკამაც არ იცის ელექტროობის არსი, მაგრამ ამის გამო ამ მეცნიერებაში ეს ცნება არ უკუიგდება. ფსიქოლოგიამაც მსგავსად უნდა გამოიყენოს არაცნობიერი ფსიქიკის ცნება, თუმცა მისი არსი ჩვენთვის უცნობია. ზ. ფროიდს, მართალია, სურს ბუნებისმეტყველების მეთოდოლოგიურ პრინციპებზე იდგეს, მაგრამ ფსიქიკის მიმართ კაუზალობის თვალსაზრისის გატარების დროს ამ უკანასკნელში ისეთ მომენტს გულისხმობს, რომელიც აუქმებს ბუნებისმეტყველურ მიდგომას ფსიქიკურისადმი. ეს საზრისის, მიზნობრიობის მომენტია. საზრისის, მიზნის ასპექტის ჩართვა ფსიქიკური სინამდვილის ფარგლებში ფსიქოანალიზს აყენებს ბუნებისმეტყველური დისციპლინის მიღმა. ფსიქოანალიზი გაგებითი ფსიქოლოგიის სფეროში იჭრება.

ზ. ფროიდის მიერ ჰეტეროგენულადაა წარმოდგენილი მოვლენის წარმოშობა და მისი ახსნა. თუკი გაზიარებულია აზრი ტვინის მიერ ფსიქიკის წარმოშობისა, ბუნებრივია, ტვინი მიჩნეული იქნეს ფსიქიკის ამხსნელად. მართალია, ზ. ფროიდს შესაძლებლად მიაჩნია ფსიქიკის მატერიალური საფუძვლისა და მიზეზის ძიება, მაგრამ ამ გზას ის თვლის არაფსიქოლოგიურ საქმიანობად, ფსიქოლოგიური მეცნიერების ინტერესის მიღმა მდებარედ. იქმნება ასეთი ვითარება: ერთი და იგივე ფსიქიკური მოვლენა ორგვარ ახსნას ექვემდებარება; თუ იგი ახსნილი იქნა ისევ ფსიქიკურით, მაშინ ის ფსიქოლოგიის ობიექტია, ხოლო თუკი მას ავხსნით ფიზიოლოგიური მიზეზით, ის ფსიქოლოგიის ფარგლებს გარეთ რჩება. მაშასადამე, უპირატესობა ეძლევა არა საგნობრივ, არამედ მეთოდოლოგიურ მხარეს.

არაცნობიერი ფსიქიკის ცნების ანალიზის დროს მითითებული იყო ფსიქოანალიზური თეორიის ზოგიერთ წინააღმდეგობაზე და არათანამიმდევრობაზე ფუძემდებლური საკითხების გაგებაში, რაც, თავის მხრივ, გარკვეულ კვალიფიკაციას აძლევს აღნიშნულ თეორიას. ძირითადი გაურკვევლობა მაინც ისაა, რომ ზ. ფროიდი მერყეულ პოზიციაზე დგას, როცა საკითხი ეხება არაცნობიერი ფსიქიკის დახასიათებას, მის გარკვეულობას. ავტორი ხან იცავს არაცნობიერი

ფსიქიკის იმანენტური რეალიზმის თეზისს, ის ობიექტურად არსებულად იგულისხმება, ხან კი ის ჰიპოთეზის სახითაა წარმოდგენილი და ახსნის საჭიროებისათვის დაშვებულის პრეტენზიას აცხადებს მხოლოდ.

ფსიქოანალიზი უკიდურესი ფსიქოლოგისტური კონცეფციაა. ფსიქოლოგისტური თვალსაზრისი ნათლად ჩანს არა მარტო ადამიანის რაობის გაგებაში, არამედ საერთოდ ფროიდის მიერ ონტოლოგიური და გნოსეოლოგიური პრობლემების გადაჭრაში. თეზისი, რომ ფსიქოანალიზმა სულიერი ცხოვრების გაგება ახალ ნიადაგზე დააყენა (არაცნობიერი ფსიქიკა შემეცნების ობიექტად აქცია და მასზე დაამყარა ცნობიერი ფსიქიკის ახსნითი საქმიანობა), რადიკალური მნიშვნელობის მქონეა არა მარტო ფსიქოლოგიური მეცნიერების ფარგლებში, არამედ ცოდნის ყველა სფეროსათვის, რამდენადაც პრინციპული პოზიციაა დაჭერილი ფსიქოლოგიურით გონისმეცნიერულის ახსნისა და დასაბუთებისა. აქედან გამომდინარე ფროიდისათვის მეცნიერებათა შემდეგი დაყოფაა მისაღები: „მკაცრად აღებული არსებობს მხოლოდ ორი მეცნიერება — ფსიქოლოგია (წმინდა გამოყენებითი) და ბუნებისმეტყველება“.

ფსიქოანალიზმა ადამიანი ფსიქიკაზე დაიყვანა, პიროვნული ფენები (იგი, მე, ზე-მე) ფსიქიკად წარმოადგინა და მთელი ადამიანური მოღვაწეობა ფსიქიკის სფეროებს შორის არსებული ურთიერთობის პროდუქტად ჩათვალა. ზ. ფროიდის გაგებამ ადამიანისა, როგორც ლტოლვითი არსებისა („ჩვენი არსების გულს ქმნის ბნელი ი გ ი“), წაშალა განსხვავება ადამიანსა და ცხოველს შორის. ფსიქოანალიზს უნდოდა კაცობრიობისათვის გაეცნობიერებინა ადამიანში ლტოლვითი მხარის მნიშვნელობა, რადგანაც ეს „სულიერი ფუძე“ მიჩქმალული აღმოჩნდა გონით სფეროში წარმატებებით. ფროიდი აღნიშნავდა: „კაცობრიობამ იცის, რომ მას გონი აქვს, მე უნდა მეჩვენებინა, რომ აგრეთვე ლტოლვებიც არსებობენ“. მაგრამ სინამდვილეში ფსიქოანალიზს უფრო მეტი გამოუვიდა, ვიდრე მისი სიტყვიერი განცხადება. ლტოლვა გონის გვერდით ტოლფასოვანი შემეცნების საგანი კი არ გახდა, არამედ გონი დაყვანილი იქნა ლტოლვაზე. გონითი სამყარო მთელი თავისი შედეგებით გამოყვანილი იქნა ბრმა და სტიქიური სიცოცხლის ძალიდან. გონითი სინამდვილე მოგვეევლინა ეპიფენომენად. არაცნობიერი ლტოლვა მოქიშპე გახდა ცნობიერებისა, მათ შორის ანტაგონიზმი დამკვიდრდა. ადამიანი მბრძანებელ ირაციონალურს დაექვემდებარა. ადამიანი იქცა ფროიდის ხელში „ბუნებით არსებად“ (Naturwesen).

ამიტომაა, რომ მ. შელერმა, ფროიდის ანთროპოლოგიური კონცეფციის მკაცრმა მსჯავრმდებელმა, ფროიდის კონცეფცია ადამიანის შესახებ მოათავსა ნატურალისტური თეორიების რიგში, სადაც ადამიანის გონითი სამყარო გაგებულია ლტოლვითი სინამდვილის განვითარების არა უბრალო გვიანდელ შედეგად, არამედ ისე, რომ ის წარმოადგენს სუბლიმირებული ლიბიდოს ფორმას. მ. შელერი ნატურალისტური თეორიების საერთო შეცდომად თვლის გონის, როგორც ასეთის, თავდაპირველადობისა და დამოუკიდებლობის უგულებელყოფას. გონი არ მიიღება, არ გამოიყვანება არაგონითისაგან (ლტოლვითი ძალისაგან).

ფსიქოანალიზში გადაჭრით პასუხი არაა გაცემული კითხვაზე, თუ რას უნდა ნიშნავდეს გონითი სამყაროს ნაქმობის გენეზისი, სახელდობრ, ლტოლვითი სუბლიმაცია მას წარმოქმნის (ე. ი. არ იყო და ჩნდება), თუ ის მხოლოდ ენერგიას, ძალას ახმარს მას, რომ მან პროდუქტი მოგვცეს (იყო, მაგრამ ენერგიის გარეშე რაიმეს შექმნა არ შეეძლო)[182].

ზ. ფროიდის კონცეფციის ანალიზის დროს ადვილად შესამჩნევია ფსიქოანალიზური თეორიის წინაალმდეგობები, არათანამიმდევრული პოზიცია ძირითადი პრობლემების განხილვა-გადაჭრის შემთხვევაში:

ცდილობს, დაასაბუთოს არაცნობიერი ფსიქიკის არსებობა და არაცნობიერი ფსიქიკის პოზიტიურ ნიშანზე არაფერს ამბობს, არაცნობიერს ფსიქიკურად თვლის და უარყოფს არაცნობიერის არსის ცოდნას;

იცავს ონტოლოგიური მონიზმის თეზისს, დგას მეთოდოლოგიური დუალიზმის თვალსაზრისზე;

არაცნობიერის ფსიქოლოგიურ პრობლემას ათავსებს ფილოსოფიური პრობლემატიკის სფეროში, მის ემპირიულ დასაბუთებაზე ზრუნავს;

---

[182] მაგ., ლ. ბინსვანგერი უკანასკნელ გაგებას გვთავაზობს და ამას გამოთქვამს ლაიბნიცის ცნობილი ფორმულის ანალოგიურად: არაფერია ადამიანის კულტურაში, რაც არაა ადამიანის ბუნებაში, გარდა თვით ადამიანის კულტურისა. „თვითონ ადამიანის კულტურა„ წარმოადგენს ადამიანის ყოფიერების აპრიორული კულტურის ფორმებს. იხ. L. Binswanger, Ausgewählte Vorträge und Aufsätze, Bd. I, Zur phänomenologischen Anthropologie, Bern, 1961, გვ. 163.

ფსიქოანალიზის შელერისეული კრიტიკა იხ. წიგნში M. Scheler, Wesen und Formen der Sympathie, «Zu Freuds Ontogenie», Bonn, 1923; შეად. Die Stellung des Menschen im Kosmos, Bern-München, 1962, გვ. 82—84.

განზრახვა აქვს, ააგოს ფსიქიკის შესახებ ბუნებისმეტყველური ტიპის მეცნიერება, მიუთითებს ფსიქიკის ისეთ ნიშანზე (საზრისი), რომლითაც სხვა, გონისმეცნიერული ტიპის მეცნიერება საბუთდება.

სილრმის ფსიქოლოგია უნდა ყოფილიყო ცნობიერების ფსიქოლოგიის შემავსებელი, მივიღეთ ცნობიერების ფსიქოლოგიის ექსპანსია, ცნობიერი ფსიქიკა მოგვეევლინა არაცნობიერი ფსიქიკის ეპიფენომენად.

თეორიის შემუშავებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭებოდა ფაქტიური ვითარების, ემპირიის გათვალისწინებას, მოხდა კი წინასწარ მიღებული თვალსაზრისით გამოცდილების გადამუშავება და ა. შ.

თავი III

ანალიზური ფსიქოლოგია (კარლ გუსტავ იუნგი 1875—1961)

§ 1. ანალიზური ფსიქოლოგიის ზოგადი დახასიათება. კარლ გუსტავ იუნგის მიერ შექმნილი ანალიზური ფსიქოლოგია კომპლექსური ფსიქოლოგიის სახელითაც არის ცნობილი[1]. იუნგი საკუთარი ფსიქოლოგიური კონცეფციის ორგინალობაზე მითითებას აღნიშნული ტერმინების გამოყენებაშიაც ჭვრეტს. მისი აზრით, ანალიზური ფსიქოლოგია განსაკუთრებული მიმართულებაა ფსიქოლოგიაში, რომელიც დაინტერესებულია რთული სულიერი ფენომენებით. ეს მიზანდასახულება განასხვავებს მას ფიზიოლოგიური ან ექსპერიმენტული ფსიქოლოგიისაგან, რომელიც მიისწრაფვის რთული ფენომენების შემადგენელ ელემენტებზე დაყვანისაკენ. ანალიზური ფსიქოლოგია არ სწავლობს ცალკეულ ფუნქციებს (შეგრძნებებს, ემოციებს, აზროვნების პროცესებს და ა. შ.) იზოლირებულად განსაზღვრულ ექსპერიმენტულ პირობებში, პირიქით, იგი ამოცანად ისახავს ფსიქიკის, როგორც ბუნებრივად არსებული მთლიანი მოვლენის, უმაღლესად კომპლექსური წარმონაქმნის წვდომას[2]. განსხვავებულია მუშაობის წესიც. ანალიზური ფსიქოლოგიის თვალსაზრისით მომუშავე მკვლევარს არა აქვს ლაბორატორია რთული აპარატურით. მისი ლაბორატორია მსოფლიოა, ექსპერიმენტი ყოველდღიური ადამიანური ცხოვრების ნამდვილი შემთხვევები, ცდისპირები — ყველა ადამიანი განურჩევლად, საკუთარი თავის ჩათვლით[3].

---

[1] საკუთარი ფსიქოლოგიური კონცეფციის აღსანიშნავად იუნგი ანალიზური ფსიქოლოგიის ტერმინს იყენებს 1913 წლიდან, როცა ის გამოეყო ფსიქოანალიზს. ტერმინი კომპლექსური ფსიქოლოგია მან უფრო გვიან იხმარა, მაგრამ სიტყვათხმარებაში ბოლოს მაინც დამკვიდრდა პირველი სახელწოდება.

[2] Psychologie und Erziehung, Zürich, 1946, გვ. 51, შეად. Seelenprobleme der Gegenwart, Zürich, 1946, გვ. 305. აღნიშნული წარმოადგენს იუნგის „ფსიქოლოგიური ნაშრომების" მე-3 ტომს, რომელიც პირველად გამოიცა 1931 წელს.

[3] Psychologie und Erziehung, გვ. 50.

კ. იუნგის მითითებით, ტერმინი „ანალიზური“ გამოიყენება იმ ფაქტის აღსანიშნავად, რომ აღნიშნული ფსიქოლოგიური მიმართულება ზ. ფროიდის ფსიქოანალიზიდან აღმოცენდა.[4] ანალიზური ფსიქოლოგიის ცნება იმასაც გულისხმობს, რომ ისაა „რეაქცია ცნობიერების გადამეტებული რაციონალიზაციის წინააღმდეგ“[5].

იუნგის ღრმა რწმენით, ანალიზური ფსიქოლოგია პრაქტიკული მეცნიერებაა იმ გაგებით, რომ მისი მიზანი არ ამოიწურება ფსიქიკის მთლიანობითი ბუნების მხოლოდ შემეცნების საფეხურით, იგი იმავდროულად დამხმარე საშუალებაა სამედიცინო და პედაგოგიური საქმიანობისათვის. „აკადემიური“ მეცნიერების საპირისპიროდ ანალიზური ფსიქოლოგია გამოყენებითი მეცნიერების ფუნქციასაც ასრულებს[6].

საერთოდ იუნგი თავისი ფსიქოლოგიური კონცეფციის საბოლოო მიზნად სახავს სიცოცხლის წვდომას, როგორადაცაა ის წარმოდგენილი ადამიანის სულის სახით[7].

იუნგის ამოსავალი გნოსეოლოგიური დებულებაა: სულის მთლიანობა არ შეიძლება მხოლოდ ინტელექტით იქნეს შემეცნებული[8], რადგანაც სულში რაციონალურის გარდა ირაციონალური სინამდვილეცაა. ვინაიდან სული ირაციონალური მოცემულობაცაა, არ უნდა გაგვიკვირდეს, როცა ფსიქიკურ გამოცდილებაში წავაწყდებით პროცესებს და განცდებს, რომლებიც ჩვენს ინტელექტუალურ მოლოდინს არ შეესატყვისებიან. ჩვეულებრივ ეს პროცესები ჩვენი რაციონალურად განწყობილი ცნობიერებით უკუიგდებიან. ასეთი განწყობა ფსიქოლოგიური დაკვირვებისათვის მიუღებელია, იგი არამეცნიერულია. ბუნებას არ უნდა ვუკარნახოთ, თუ გვინდა დავაკვირდეთ მის შეურყვნელ მოქმედებას[9]. ფსიქიკა, როგორც ბუნებრივი გეშტალტი, სიცოცხლის მოვლენის კერძო შემთხვევაა და როგორც სიცოცხლე თვისთავად მცენარეთა და ცხოველთა გეშტალტით დედამიწას ავსებს, ასევე ქმნის ფსიქიკა უფრო დიდ სამყაროს, სახელდობრ ცნობიერებას, ან უკეთ, უნივერსუმის Ge-wußtheit-ს[10]. ირა-

---

[4] Seelenprobleme der Gegenwart, გვ. 350.

[5] იქვე. გვ. 333.

[6] «Wir forschen nicht um der Forschung willen, sondern wegen der unmittelbaren Absicht, zu helfen», Psychologie und Erziehung, გვ. 53.

[7] იქვე, გვ. 52.

[8] Über die Psychologie des Unbewußten, Zürich, 1948, გვ. 212.

[9] Die Bezienhungen zwischen dem Ich und dem Unbewußten, Zürich, 1938. იხ. წინასიტყვაობა მეორე გამოცემისათვის. ნაშრომი პირველად გამოიცა 1928 წელს.

[10] Psychologie und Erziehung, გვ. 47.

ციონალური არა მარტო არსებობს, არამედ მოქმედებაშიაც იჩენს თავს[11] და მას დიდი როლიც ენიჭება[12]. იუნგი იმ ფსიქიკურ სინამდვილეს, რის შემეცნებასაც უახლოეს მიზნად სახავს, ყამირს უწოდებს (ესაა კოლექტიური არაცნობიერის სფერო), რომლისთვისაც უნდა შეიქმნას ენა[13].

იუნგი კომიკურად თვლის კრიტიკოსების საყვედურს, რომელნიც მის ნააზრევში ხედავენ ცოცხალი სულის ინტელექტუალური ცნებებით შეცვლას[14]. მისი აზრით, არავის შეუძლია წვდეს საგნებს ნამდვილად, თუკი თვითონ არ განიცადა ისინი. ამიტომ უფრო მნიშვნელოვანია ამგვარი გამოცდილების გზებისა და შესაძლებლობების ჩვენება, ვიდრე ინტელექტუალური ფორმულების წამოყენება, რომლებიც გამოცდილების სინაკლულის გამო ცარიელ სიტყვებად რჩება. იუნგის მიხედვით, ახალი ცნებების გამოყენება მაშინაცაა გამართლებული, როცა ისინი ემპირიული მასალის წინასწარ მომწესრიგებლის როლში გამოდიან[15]. ანალიზური ფსიქოლოგიის ცნებების გაგებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მკითხველის სუბიექტური შესაძლებლობანიც, სახელდობრ ცოცხალი ფანტაზიის უნარი, რითაც ხორციელდება ფსიქიკის იმ ვითარების წარმოსახვა, რაც სიტყვა-ცნებამ უნდა აღძრას მასში. როგორც ზოგიერთი მკვლევარი მიუთითებს, იუნგის ნააზრევის გაგებას აძნელებს არა მხოლოდ იუნგის აზროვნების ტიპი, არამედ ის გარემოებაც, რომ მკითხველიც ამ კონცეფციას, და საერთოდ, სილრმის ფსიქოლოგიურ ნააზრევს უდგება წინასწარ შემუშავებული საწინააღმდეგო განწყობით[16].

იუნგი ანალიზურ ფსიქოლოგიას უწოდებს ახალი სახის ბუნებისმეტყველურ ფსიქოლოგიას, რომელიც ეფუძნება პირველ რიგში

---

[11] Über die Psychologie des Unberwußten, გვ. 169—170.

[12] Symbole der Wandlung, 1952, გვ. 15.

[13] Seelenprobleme der Gegenwart, გვ. 139.

[14] Von den Wurzeln des Bewußtseins, Zürich, 1954, გვ. 463.

[15] როგორც იუნგი აღნიშნავს, თვითონ მას არ აქვს მიდრეკილება «...eine spekulative Begriffwelt aufzubauen, die doch nur zur öden Haarspalterei sogenannter phylosophischer Diskussion führt... wenn solche Begriffe dazu dienen ein empirisches Material vorläufig zu ordnen, so haben sie ihren Zweck erfüllt», Mysterium conjunctionis, I. Zürich, 1955, გვ. 117. ესაა „ფსიქოლოგიური ნაშრომების“ მე-10 ტომი.

[16] იხ. მაგ. Jolande Jacobi, Versuch einer Abgrenzung der wichtigsten Konzeptionen C. G. Jungs von denen S. Freuds, Psyche, 1955, H, 5. გვ. 264.

უშუალო გამოცდილებას ადამიანებში. ფსიქოლოგიას ბუნებისმეტ-ყველებასთან აკავშირებს დაკვირვების მეთოდი და ემპირიული ფაქ-ტობრიობის დადგენის მიზანი. სინამდვილის ახალ სფეროში, კოლე-ქტიური არაცნობიერის სინამდვილეში შეჭრას იუნგი პიონერულ ნაბიჯად მიიჩნევს. მიუხედავად ამ სფეროში რამდენიმე ათეული წლის მუშაობისა, ავტორის მიხედვით, ჯერ კიდევ არ დამდგარა დრო ზოგადი თეორიის წარმოდგენისა, რაც მოიცავდა და გაითვალისწი-ნებდა ფსიქიკურის ყველა ფენომენს[17]. ამიტომ იგი საკუთარ შეხე-დულებებს თვლის ერთგვარ ცდად და წინადადებად ახალი ბუნების-მეტყველური ფსიქოლოგიის შექმნისათვის[18]. იუნგი ძირითად მიზ-ნად ისახავს ფაქტების კვლევას. ფაქტის აღმოჩენა ყოველგვარი თე-ორიის შექმნაზე მაღლა დგას[19]. ფსიქიკურის სფეროში თეორია, მარ-თალია, დამანგრეველია, მაგრამ, მეორე მხრით, თეორიის გარეშე ემპირიული კვლევა მაინც ვერ მიიღწევა, გარკვეული თეორიული თვალსაზრისი საჭირო მისი მაორიენტირებელი და ევრისტული ღი-რებულების გამო.

კოლექტიური არაცნობიერის სინამდვილე მოითხოვს ახსნის მხრივ განსაკუთრებულ თვალსაზრისს. საერთოდ ფსიქიკური ორი თვალსაზრისის გამოყენებას გულისხმობს, ორი მხრიდან მიდგომაზ საჭიროებს: რამდენადაც ფსიქიკა უკვე განხორციელებული ფაქტია, ის ექვემდებარება კაუზალური განხილვის წესს, ხოლო, რამდენადაც იგი ქმნადი მოვლენაა, კონსტრუქციული თვალსაზრისით მიდგომას საჭიროებს. ფსიქიკა მიზანსწრაფვადია, მასშია შემოქმედებითობა. ამ კუთხით მისი გაგება ბუნებისმეტყველური ცნებების ჩარჩოებში ვერ ეტევა, ამიტომ ამ შემთხვევაში მომარჯვებული უნდა იქნას გონის-მეცნიერული თვალსაზრისი[20]. ამდენად შეიძლება იყოს ანალიზური

---

[17] Psychologie und Erziehung, გვ. 132—133.

[18] «Ich brachte meine Ansichten als Vorschläge und Versuche zur Formulierung einer neuartigen naturwissenschaftlichen Psychologie, welche sich in erster Linie auf die unmittelbare Erfahrung am Menschen gründet», J. Jacobi, «Die Psychologie von C. G. Jung», Zürich, 1959, გვ. XIX.

შეად. F. Fordham, Eine Einführung in die Psychologie C. G. Jungs, Zürich-Stuttgart, 1959, წინასიტყვაობა.

[19] Die Beziehungen zwischen dem Ich und dem Unbewußten, 1954, გვ. 158.

[20] Der Inhalt der Psychose, 1914, გვ. 32. იუნგმა თავისი კონსტრუქციული მეთოდი დაუპირისპირა ფროიდის რედუქციულ მეთოდს, მაგრამ ამასთანავე მიუთითა, რომ ისინი ერთმანეთს ავსებენ. ამიტომ დასძენს ვ. ჰოხჰაიმერი: «Für die Lehre Jungs ist also charakteristisch, daß sie ein sowohl-als auch darstellt», Psyche, 1958, H. 10, გვ. 566.

ფსიქოლოგია პრეტენზიის განმაცხადებელი გაგებითი ფსიქოლოგიის უფლებაზე.

იუნგის რწმენით, დასაწყისში ფსიქოლოგია იყო ან ფიზიოლოგიური ფსიქოლოგია, ანდა საკმაოდ არაორგანული თავმოყრა გამოკვლევებისა ფსიქიკის იზოლირებულ ფაქტებსა და ფუნქციებზე. ამიტომ ზ. ფროიდის ჰიპოთეზი, თუმცა ცალმხრივი, მაინც იყო განმათავისუფლებელი ბიძგი სულიერი კავშირების ფსიქოლოგიისათვის. არ შეიძლება უარიყოს სექსუალური მომენტი ადამიანის ცხოვრებაში. იუნგი მას უწოდებს „ლტოლვათა წარმომადგენელს", „უძლიერესს და ყველაზე უშუალო ლტოლვას". მაგრამ გაუმართლებელი იქნებოდა დაშვება, რომ ყველაფერი მასზეა დამოკიდებული ან მასზე დაიყვანება[21]. ფროიდის მოღვაწეობა, იუნგის მიხედვით, არის ადამიანის სულში სექსუალური ინსტინქტის დატოტვის გათვალისწინების ფსიქოლოგია.

იუნგისათვის მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ფროიდის მოწაფემ ალფრედ ადლერმა წამოაყენა სხვა ჰიპოთეზი, რომელიც პრინციპულად უგულებელყოფს ფროიდის თვალსაზრისს, თუმცა იმავე ცალმხრივობის მსხვერპლი ხდება, როცა თვითშენახვის ინსტინქტს ის ყველაფერზე მაღლა აყენებს და ყველაფერს მისით გასაგებად გულისხმობს[22]. იუნგის აზრით, ფროიდისა და ადლერის შეცდომა ისაა, რომ თავიანთი მხრით, ისინი ერთი ინსტინქტის უწყვეტ მოქმედებას უშვებენ, თითქოს ის იყოს ქიმიური ელემენტი, რომელიც მუდამ არსებობს ერთნაირი რაოდენობით ისევე, როგორც წყალბადის ორი ატომი წყალში[23]. გამოცდილება კი ინსტინქტების ინტენსივობათა მონაცვლეობაზე მიუთითებს. ერთხელ რომ სექსუალური ინსტინქტი ბატონობს, მეორეჯერ სხვა იკავებს მის ადგილს და ა. შ. ადვილად შეიძლება ფროიდისა და ადლერის შეხედულებათა ერთ რიგში მოთავსება, რადგანაც ისინი სულს განიხილავენ როგორც გაქვავებულსა და უცვლელ სისტემას[24]. წინააღმდეგ ამგვარი გაგებისა, იუნგი სულს თვლის მოძრავ და მიმდინარე პროცესად, რომე-

---

[21] Psychologie der Übertragung, 1946, გვ. 16.

[22] Psychologie und Erziehung, გვ. 32—33.

[23] ი ქ ვ ე, გვ. 34.

[24] ფროიდი ფსიქოანალიზის დამსახურებად თვლის დინამიზმის პრინციპის გატარებას. იუნგის საყვედური ეხება არა დინამიზმის პრინციპს საერთოდ, არამედ იმას, რომ ეს დინამიზმი ერთი მოვლენის (სექსუალობის) ფარგლებში ხდება, იგი ერთპოლუსიანია, რასაც იუნგი უპირისპირებს დინამიზმის მრავალპოლუსიანობას. ი ქ ვ ე, გვ. 33,

ლიც სხვადასხვა ინსტინქტების რიგრიგობითი მონაცვლეობის წყალობით კალეიდოსკოპურად იცვლება[25].

ის, რაზეც მოხდა პრინციპული განხეთქილება ფროიდსა და იუნგს შორის, დაკავშირებულია „ლიბიდოს" ცნების გაგებასთან[26]. იუნგისათვის ცნება-ლიბიდო არის „ენერგეტიკული განხილვის წესი", შემოკლებულად გამოთქმული.

იუნგმა ტერმინი „ფსიქიკური ენერგია" იხმარა შრომაში „შიზოფრენიის ფსიქოლოგია" (1907). მისი აზრით, ის, რაც ადამიანში მოქმედებს, მეტია ვიდრე მხოლოდ ეროტული ინტერესი. თუკი შიზოფრენიის დროს ზურგის შექცევა გარე სამყაროსადმი გაიგება, როგორც ეროტული მოქმედება, მაშინ სექსუალობის ცნება დიდი მოცულობისა ხდება, რაც დამახასიათებელია სწორედ ამ ცნების ფროიდისეული გაგებისათვის. ასეთ შემთხვევაში ყოველგვარი დამოკიდებულება გარე სამყაროსადმი უნდა აიხსნას სექსუალური მიმართებით, რითაც ცნება სექსუალობას ეკარგება საკუთარი შინაარსი[27]. იუნგის მითითებით, ენერგეტიკული თვალსაზრისის გატარება ანალიზურ ფსიქოლოგიაში ნიშნავს ფსიქიკური ენერგიის განთავისუფლებას ვიწრო განსაზღვრებისაგან. ყოველგვარი ფსიქიკური აქტივობისათვის დამახასიათებელია დროებითი დეპოტენცირება სხვის სასარგებლოდ. თუკი დავუშვებდით, რომ სექსუალობაა ყოველთვის ის, რაც საფუძვლად ედება დეპოტენცირებას, ასეთ გაგებას შეესატყვისებოდა ფიზიკისა და ქიმიისათვის ერთ დროს არამართებულად გამოყენებული ე. წ. „ფლოგისტონის თეორია"[28].

---

[25] ი ქ ვ ე, გვ. 34—35.

[26] განხეთქილება ფროიდსა და იუნგს შორის მოხდა 1912 წელს, ერთად თანამშრომლობის 5 წლის შე მდეგ, როცა გამოქვეყნდა იუნგის ნაშრომი «Wandlungen und Symbole der Libido», ამ ნაშრომის მე-4 გამოცემას 1952 წ. ეწოდა «Symbole der Wandlung».[27] 1913 წელს ფსიქოანალიტიკოსების მიუნხენის კონგრესზე ფროიდმა იუნგის მოძღვრება გამოაცხადა ფსიქოანალიზის არაკანონიერ გაგრძელებად და ის დაახასიათა, როგორც წინააღმდეგობრივი, მერყეევი, გაუგებარი და ა. შ. იხ. ფროიდის „ფსიქოანალიზური მოძრაობის ისტორია„. S. F r e u d, Gesammelte Werke, X, გვ. 105, 108 და შემდ.

ამ საკითხთან დაკავშირებით იუნგი შემდეგნაირად განმარტავს თავის პოზიციას: „მაშინ, როცა მე მუდამ ვეღიერებდი მისი (ფროიდის—ვ. კ.) დასკვნების ჭეშმარიტებას, რამდენადაც ისინი შეეხებოდნენ ფაქტებს, არ ვფარავდი ექვს მისი თეორიული თვალსაზრისის სარწმუნობაში. მისი სავალალო დოგმატიზმი ძირითადი საფუძველი იყო, რის გამოც ჩემი გზა მისგან უნდა გამომეყო. მეცნიერული სინდისი ნებას არ მაძლევდა ჩემი ხელშეწყობა მოხმარებოდა დარწმუნებას, რომელიც გამოცდილების ცალმხრივი ინტერპრეტაციით ქმნიდა დოგმას". Psychol. u. Erziehung, გვ. 9.

[27] Symbole der Wandlung, გვ. 22.

[28] ი ქ ვ ე, გვ. 228.

იუნგმა ლიბიდოს ცნების გარკვევას მიუძღვნა სპეციალური ნაშრომი „სულის ენერგეტიკა“[29], რაც მიზნად ისახავდა იმ გაუგებრობის თავიდან აცილებას, რომელიც გამოიწვია ამ ცნების ახალმა მნიშვნელობამ. ანალიზური ფსიქოლოგიის ლიბიდოს ცნება არ უარყოფს ადამიანში სექსუალური დინამიზმის არსებობას, მაგრამ ის აღარაა სექსუალური ენერგიის აღმნიშვნელი[30].

იუნგის მიხედვით, ფიზიკური ფაქტი შეიძლება განხილულ იქნეს ორი თვალსაზრისით: მექანისტური და ენერგეტიკული. მექანისტური თვალსაზრისი წმინდა კაუზალურია, ის ფიზიკურ ფაქტში ხედავს შედეგს, რომელიც მიღებულია მიზეზისაგან ისე, რომ უცვლელი სუბსტანციები მტკიცე კანონების მიხედვით ერთმანეთისადმი მიმართებას იცვლიან.

აღნიშნულის საპირისპიროდ ენერგეტიკული თვალსაზრისი არსებითად მიზნობრივია (ფინალურია). იგი ფაქტს განიხილავს შედეგიდან მიზეზისაკენ იმგვარად, რომ ენერგიას ათავსებს მოვლენათა ცვლილების საფუძველში: თვითონ ენერგია ამ ცვლილებაში კონსტანტური რჩება. ენერგეტიკული ცნების საფუძველია არა თვითონ სუბსტანციები, არამედ მათი მიმართებანი, მექანისტური ცნების საფუძველი კი სივრცეში მოძრავი სუბსტანციებია[31].

ფიზიკური მოვლენის წვდომისათვის აუცილებელია ორივე თვალსაზრისის გამოყენება. ეს იმიტომ, რომ გამოცდილებაში გვეძლევიან არა მარტო მოძრავი სუბსტანციები, არამედ მოძრაობათა მიმართებებიც. იუნგისათვის კაუზალური და ფინალური პრინციპები განხილვის ორი სხვადასხვა წესია. აღნიშნული პრინციპები აზროვნების აპრიორული პირობებია და მათი საშუალებით დადგენილის ჰიპოსტაზირება დაუშვებელია[32]. ყოველი მოვლენა ექვემდება-

---

[29] «Über die Energetik der Seele» პირველად ინგლისურად გამოქვეყნდა. იგი გერმანულად ითარგმნა და გამოიცა „ფსიქოლოგიური ნაშრომების„ მე-2 ტომში, 1928 წ., რომელსაც საერთო სათაურად ეწოდა: «Über psychische Energetik und das Wesen der Träume».

[30] «Mit dem Wort «Libido» verbinde ich... keine sexuelle Definition, womit aber das Vorhandensein einer sexuellen Dynamik ebensowenig geleugnet ist, so wenig wie irgend einer andern Dynamik, wie z. B. der des Hungertriebes u. a. ი ბ ი ვ. 51.»

[31] Über psychische Energetik..., გვ. 10.

[32] «Wir müßen uns stets von Augen halten, daß auch trotz schönster Übereinstimmung der Tatsachen mit unserer Anschauung Erklärungsprinzipien eben nur Betrachtungsweisen, d. h. Phänomene der psychologischen Einstellung und der a prioristischen Bedingungen des Denkens überhaupt sind». ი ბ ი ვ, გვ. 13.

რება როგორც მექანისტურ-კაუზალურ, ასევე ენერგეტიკულ-ფინალურ თვალსაზრისს. მხოლოდ შედეგის შესაძლებლობაა გადამწყვეტი, რომელ თვალსაზრისს მიენიჭება გამოყენების უპირატესობა. როცა წინა პლანზეა წამოწეული მოვლენის კვალიტეტური (როგორობითი) მხარე, მაშინ ენერგეტიკული თვალსაზრისი ნაკლებად გამოსადეგია; ენერგეტიკული თვალსაზრისი ეხება სუბსტანციების მოძრაობათა მხოლოდ რაოდენობრივ (კვანტიტეტურ) მიმართებებს[33].

კაუზალურ-მექანისტური თვალსაზრისი a, b, c, d, მოვლენათა რიგს შემდეგნაირად განიხილავს: a იწვევს b-ს, b იწვევს c-ს და ა. შ. აქ შედეგის ცნება კვალიტეტის მიმართების აღნიშვნაა. მიზნობრივ-ენერგეტიკული თვალსაზრისი მოვლენათა რიგს განიხილავს, როგორც ენერგიის გარდაქმნის საშუალებებს, სადაც ენერგია a-დან მიედინება b, c, d, მდგომარეობისაკენ ენტროპიულად. გამოცდილების მასალა ორივე შემთხვევაში ერთი და იგივე a, b, c, d რიგია. განსხვავება იმაშია, რომ მექანისტურ თვალსაზრისს დინამიზმი გამოჰყავს მიზეზის მოქმედებიდან. ენერგეტიკული თვალსაზრისის მიხედვით კი, მოვლენათა რიგი გარდაქმნილ შედეგთა ეკვივალენტებია. აღნიშნული თვალსაზრისები a, b, c, d მოვლენათა რიგს განიხილავენ ერთ შემთხვევაში, როგორც კვალიტეტთა თანამიმდევრობას (მექანისტური თვალსაზრისით), მეორე შემთხვევაში, როგორც კვანტიტეტთა თანამიმდევრობას (ფინალისტური თვალსაზრისი). კაუზალური თვალსაზრისი გამოცდილების მასალიდან დინამიურის ცნების აბსტრაქციას ახდენს, ფინალური თვალსაზრისი კი ენერგიის ცნებას გამოიყენებს მოცემულობის მიმართ. მიუხედავად აღნიშნული თვალსაზრისების შემეცნებითი სხვაობისა, ხშირად ხდება მათი აღრევა ძალის ცნების გამოყენებაში. ამიტომაცაა, რომ მექანისტის მსჯელობაში ზოგჯერ ვხვდებით უმართებულო ტერმინს-„ფსიქიკური ენერგია“ და ენერგეტიკოსის მსჯელობაში კი — „ფსიქიკურ ძალას“. ზემომოყვანილი მსჯელობიდან საერთოდ ევიდენტურად გამომდინარეობს, რომ ერთი და იგივე პროცესი სხვადასხვა თვალაზრისების შუქზე განსხვავებულად გამოიყურება.

იუნგი მიუთითებს დავაზე, რომელიც არსებობს საკითხის გარშემო, ექვემდებარებიან თუ არა ფსიქიკური მოვლენები ენერგეტიკულ თვალსაზრისს. აპრიორულად არ არსებობს საფუძველი, უარი-

---

[33] ი ქ ვ ე, გვ. 13—14.

ყოს ფსიქიკური სინამდვილისადმი ენერგეტიკული თვალსაზრისის გამოყენება. იუნგი ეთანხმება ნ. გროტის მოსაზრებას, რომელმაც პირველმა მიუთითა მეცნიერების ინტერესებისათვის ფსიქიკური ენერგეტიკის საჭიროებაზე, რომ ფსიქიკური ენერგიის ცნება ისევე უფლებამოსილია მეცნიერებაში, როგორც ფიზიკური ენერგიის ცნება და რომ ფსიქიკური ენერგია ფლობს ისეთივე რაოდენობრივ საზომს და განსხვავებულ ფორმებს, როგორსაც ფიზიკური[34]. იუნგს, მისი განცხადებით, სავსებით აკმაყოფილებს ლ. ბუსეს თვალსაზრისი იმ ფილოსოფიურ საკითხში, რომელიც ეხება ფიზიკურ და ფსიქიკურ ენერგიათა ურთიერთმიმართებას[35]. იუნგი ეთანხმება ო. კიულპესაც, რომ ენერგიის შენახვის კანონი არ ირღვევა იმის მიუხედავად, ვაღიარებთ თუ არა მატერიალურ პროცესებში სულიერი ენერგიის ჩართვას[36].

ფსიქოფიზიკური პრობლემის გადაწყვეტას იუნგი მომავლის საქმედ სახავს. ფსიქოლოგია ვერ დაუცდის ამ დროს, მან ფსიქიკა უნდა განიხილოს როგორც რეალურად დახშული სისტემა. უნდა დაიმსხვრეს ფსიქიკის დახასიათებისათვის გამოყენებული ეპიფენომენოლოგიური თვალსაზრისი, როგორც მატერიალისტური მსოფლმხედველობის მემკვიდრეობა. კაუზალური ურთიერთმიმართება ფსიქიკურ მოვლენებს შორის, რომელსაც ყოველ მომენტში შეგვიძლია დავაკვირდეთ, ეწინააღმდეგება ეპიფენომენოლოგიურ შეხედულებას. ამ უკანასკნელს ფატალური მსგავსება აქვს მატერიალისტურ შეხედულებასთან, რომელიც უშვებს ფსიქიკის იმგვარ გამოყოფას ტვინიდან, როგორც ნაღველისა ღვიძლიდან. ფსიქოლოგია, რომელიც ფსიქიკურს განიხილავს ეპიფენომენის მსგავსად, უკეთ მოიქცევა, თუ თავის თავს უწოდებს ტვინის ფიზიოლოგიას. ფსიქიკური თავისთავადი ფენომენია, არ არსებობს საფუძველი, ის გამოცხადებულ იქნეს ეპიფენომენად იმის გამო, რომ იგი დაკავშირებულია ტვინთან, ასევე, სიცოცხლეც არაა ეპიფენომენი ქიმიური პროცესებისა, თუმ-

---

[34] იუნგს ნიკოლოზ გროტის აღნიშნული თვალსაზრისი მოჰყავს გერმანულ ენაზე გამოქვეყნებული შრომიდან, რომელიც მოთავსებულია ჟურნალში: „Archiv für systematische Philosophie» 1898, IV, გვ. 290. იგივე აზრი ნ. გროტმა ადრე გამოთქვა სტატიაში «Понятие души и психической энергии в психологии», «Вопросы философии и психологии», т. 37—38, 1897.

[35] L. Busse, Geist und Körper, Seele und Leib, Leipzig, 1903.

[36] O. Külpe, Einleitung in die Philosophie, Leipzig, 1907.

ცა ამასთანაა დაკავშირებული[37]. ფსიქიკის განხილვა რელატიურად დახშული სისტემის საზით გამართლებულია პროვიზორულად.

ფიზიკური ენერგიის ზუსტი რაოდენობრივი განსაზღვრა შესაძლებელს ხდის, დასაბუთდეს ენერგეტიკული თვალსაზრისის გამოყენება ფიზიკურისადმი. იმ შემთხვევაშიც იქნებოდა შესაძლებელი ფიზიკურის ენერგეტიკული კუთხით განხილვა, თუ რაოდენობრივი შეფარდება მკაცრ სიზუსტეს იქნებოდა მოკლებული. ხოლო სადაც შეფარდება საერთოდ გამორიცხულია, იქ არც აღნიშნული თვალსაზრისის გატარებაზე შეიძლება ლაპარაკი.

ფსიქოლოგიაში ენერგეტიკული თვალსაზრისის გამოყენება ეფუძნება ფსიქიკური ენერგიის რაოდენობრივი შეფარდების შესაძლებლობას. ფსიქიკაში არის ფსიქოლოგიურ ღირებულებათა სისტემა. ღირებულებანი არიან ენერგეტიკული რაოდენობრივი შეფარდებანი[38].

ფაქტიურად შესაძლებელია, ფსიქოლოგიური შინაარსების სუბიექტური ღირებულებები შეფასდეს გარკვეულ ხარისხამდე, თუმცა ძნელია მათი ობიექტურად სწორი, ე. ი. საერთოდ დადგენილ ღირებულებათა შესატყვისად შეფასება. ასევე შეგვიძლია სუბიექტური შეფასებები ერთმანეთს შევუდაროთ და მათი რელატიური ხარისხი განვსაზღვროთ (ტოლ კვალიტეტთა შორის არატოლ ღირებულებათა შეცნობა). ძნელია განსხვავებული კვალიტეტების ღირებულებების ინტენსივობათა შედარება, მაგ., მეცნიერული აზრისა ემოციურ შთაბეჭდილებასთან. აქ სუბიექტური შეფასება არასაიმედოა. სუბიექტური შეფასება შემოიფარგლება ცნობიერების შინაარსით. იგი უვარგისია ცნობიერების ფარგლებს გარეთ მდებარე ღირებულებათა მიმართ, ამიტომ საჭიროა ისეთი ობიექტური დასაყრდენი, რომელიც შესაძლებელს გახდის არაპირდაპირ ობიექტურ შეფასებას[39].

არსებობენ ფსიქიკური ელემენტების დაჯგუფებები ემოციური შინაარსების გარშემო, რომელთაც კომპლექსები ეწოდებათ. კომპლექსი, ანუ ემოციური შინაარსი (gefühlsbetonter Inhalt) შედგება გულისაგან (Kernelement) და დიდი რაოდენობის მეორეულად კონსტელირებული ასოციაციებისაგან. თვითონ გული ორი კომპონენტისაგან შედგება: განცდისაგან, რომელიც კაუზალურადაა დაკავ-

---

[37] Über psychische Energetik, გვ. 16.
[38] ი ბ ე ვ ე, გვ. 16—18.
[39] ი ბ ე ვ ე, გვ. 18, 20.

შირებული გარემოსთან და დისპოზიციური ბუნების ინდივიდუალური ხასიათის შინაგანი მომენტისაგან.

კომპლექსის გული ხასიათდება ე. წ. გრძნობითი ტონით, ანუ აფექტური მახვილით. ენერგეტიკულად გამოსახული ეს აფექტური მახვილი არის ღირებულების რაოდენობა. რაოდენობა შეიძლება, რამდენადაც გული-ელემენტი ცნობიერია, სუბიექტურად რელატიურად შეფასდეს. თუ გული-ელემენტი არაცნობიერია, რაც ხშირი შემთხვევაა, მაშინ ფსიქოლოგიური შეფასება მოხსნილია. აქ არაპირდაპირი შეფასების მეთოდი უნდა შემოვიტანოთ. აღნიშნულის განხორციელება ემყარება შემდეგ ვითარებას: გული-ელემენტი ავტომატურად ქმნის აფექტურ კომპლექსს, რაც ფლობს ენერგეტიკულ ღირებულებას. გულ-ელემენტს, შესატყვისად მისი ენერგეტიკული ღირებულებისა, აქვს მაკონსტელირებელი ძალა. მისგან მიიღება ფსიქიკური შინაარსების სპეციფიკური კონსტელაცია. აქედან წარმოსდგება კომპლექსი, რომელიც არის ენერგეტიკული ღირებულების საშუალებით დინამიკურად განპირობებული ფსიქიკური შინაარსების კონსტელაცია. მიღებული კონსტელაცია აგზნების წმინდა ირადიაცია კი არაა, არამედ წარმოადგენს გული-ელემენტის კვალიტეტით გამოწვეული ფსიქიკური შინაარსების არჩევანს. ფსიქოლოგიურ ღირებულებათა ინტენსივობების ობიექტური შეფასება ემყარება კანონს: გული-ელემენტის მაკონსტელირებელი ძალა შეესატყვისება მისსავე ღირებულების სიდიდეს, ანუ მის ენერგიას. საშუალებები, რომლებითაც შესაძლებელი ხდება მაკონსტელირებელი ძალის ენერგეტიკული ღირებულების დადგენა, შემდეგია: 1. კონსტელაციების შეფარდებითი რიცხვი, 2. შეცდომის, ანუ კომპლექსის ნიშნის შეფარდებითი სიხშირე და ინტენსივობა, 3. თანმხლები აფექტური მოვლენების ინტენსივობა[40].

თ. ლიპსს ვუმადლით, იუნგის მიხედვით, ცნებების გათიშვას: ფსიქიკური ენერგია და ფსიქიკური ძალა. ეს გათიშვა აუცილებელია, რადგანაც ენერგია ცნებაა, რომელიც მოვლენებში თავისთავად ობიექტურად არ არსებობს, მაგრამ მოაზრებულია როგორც სპეციფიკური გამოცდილების საფუძველში მყოფი. გამოცდილებაში ენერგია „გვეძლევა" მოძრაობისა და ძალის სახით აქტუალობისას, ხოლო მდგომარეობის სახით პოტენციურად. აქტუალური ფსიქიკური ენერგია „გვევლინება" სპეციფიკურ დინამიკურ სულიერ ფენომენებში, როგორიცაა: ლტოლვა, სურვილი, ნდომა, აფექტი, ყურად-

---

[40] ◦ ქ ვ ე. ს3. 23—26.

ღება, მუშაობა და ა. შ., რომლებიც სწორედ რომ ფსიქიკური ძალებია. პოტენციური ფსიქიკური ენერგია „მანიფესტირდება“ როგორც სპეციფიკური მინაღწევარი (Errungenschaft), შესაძლებლობა, მზაობა, განწყობა და ა. შ.[41].

იუნგი არ ეთანხმება ლიპსის მოსაზრებას, რომ არსებობენ განსაკუთრებული ენერგიები: სიამოვნების, შეგრძნების, კონტრასტის და ა. შ., რადგანაც, მისი აზრით, ენერგიის სპეციფიკაცია სწორედ რომ ძალა და მდგომარეობაა. ენერგია რაოდენობრივი ცნებაა, რომელიც მოიცავს ძალებსა და მდგომარეობებს.

იუნგის აზრით, რადგანაც ჯერ კიდევ არ შეგვიძლია ვაჩვენოთ ფიზიკურსა და ფსიქიკურ ენერგიებს შორის ეკვივალენტური მიმართება, გვრჩება ორი გზა: ან ავიღოთ ხელი ენერგეტიკულ თვალსაზრისზე საერთოდ, ან დავუშვათ განსაკუთრებული ფსიქიკური ენერგიის არსებობა, რომელიც, როგორც ჰიპოთეზური ოპერაცია, სავსებით შესაძლებელია. ფსიქოლოგიას, ისევე როგორც ფიზიკას, უფლება აქვს საკუთარი ცნებების შემუშავებისა, მით უფრო, რომ მისთვის ენერგეტიკული თვალსაზრისი სასარგებლოა. თანაც ფსიქიკურში დასტურდება რაოდენობრივი მიმართებები რომელობითის გვერდით[42].

ფსიქიკა რომ შედგებოდეს მხოლოდ ცნობიერების მოვლენებისაგან, მაშინ საკმარისი იქნებოდა „ფსიქიკური ენერგიის“ დაშვება. მაგრამ რამდენადაც დარწმუნებული ვართ, რომ ფსიქიკას და არა მხოლოდ ტვინის ფიზიოლოგიას, ეკუთვნის აგრეთვე არაცნობიერი პროცესები, საჭირო ხდება ენერგიის ცნებას ფართო საფუძველი მოეძებნოს. ფსიქიკა იქ კი არ წყდება, სადაც ცნობიერების სინათლის სკალაზე სიბნელე იწყება, არამედ გრძელდება შორს სრულ არაცნობიერში. არაცნობიერის ფუნქციები ბოლოს და ბოლოს გადადიან სუბსტრატის პროცესებში, რომელთაც არ მიეწერება არავითარი ფსიქიკური კვალიტეტი[43].

ფსიქიკური ენერგიის აღიარებით დგება საკითხი ფსიქიკურის ბიოლოგიურისაგან გათიშვისა. ბიოლოგიურშიაც, ფსიქიკურის მსგავსად, აუცილებელი ხდება ენერგეტიკული თვალსაზრისის გამოყენება. აქაც, სიცოცხლის პროცესში ეკვივალენტური მიმართება ფიზიკურ ენერგიასთან ზუსტად მისათითებელი არაა.

---

[41] ი ქ ვ ე, გვ. 27—28.
[42] ი ქ ვ ე, გვ. 29.
[43] ი ქ ვ ე.

იუნგის მიხედვით, მიზანშეწონილია ფსიქიკური პროცესების გაგება სასიცოცხლო პროცესების სახით. ამ შემთხვევაში ფსიქიკური ენერგიის ცნება ფართოვდება სიცოცხლის ენერგიამდე, რაშიც ფსიქიკური ენერგია წარმოდგენილია, როგორც სპეციფიკაცია. ამით მიღწეულია უპირატესობა, კვანტიტეტური მიმართებები შორდება ვიწრო ფარგლებს (ფსიქიკურს) და ბიოლოგიურ ფუნქციებში გადადის[44].

სიცოცხლის ენერგიის ცნებას არავითარი საერთო არა აქვს ე. წ. სიცოცხლის ძალის ცნებასთან. ეს უკანასკნელი უნივერსალური ენერგიის სპეციფიკაციაა. სწორედ ჰიპოთეზურად მიღებული ეს სიცოცხლის ენერგია არის ის, რასაც ლიბიდო უნდა ეწოდოს[45].

იუნგი ასხვავებს (ლ. ბუსეს დამოწმებით) ენერგეტიზმის ძირითად კანონში — ენერგიის შენახვის კანონში ორ მომენტს: ეკვივალენტობის პრინციპს და კონსტანტობის პრინციპს. ეკვივალენტობის პრინციპის შინაარსია: რომელიმე მდგომარეობის გამოწვევისათვის დახარჯული ენერგია რაოდენობრივად (ენერგიის იგივე ან სხვა ფორმით) უდრის ამ გამოწვეული მდგომარეობის ენერგიას. კონსტანტობის პრინციპი ლოგიკურად აუცილებელი განმაზოგადებელი შედეგია გამომდინარე ეკვივალენტობის პრინციპიდან; პირველს პრაქტიკული შნიშვნელობა არა აქვს, რადგანაც ჩვენი გამოცდილების სფეროში მუდამ საქმე გვაქვს მხოლოდ ცალკეულ ნაწილ-სისტემებთან[46].

---

[44] ი ქ ვ ე, გვ. 30.

[45] ი ქ ვ ე, გვ. 31. იუნგი შეგნებულად უვლის გვერდს ფსიქო-ფიზიკურ პრობლემას. სახელდობრ, რა ურთიერთობაშია ფიზიკური და ფსიქიკური ენერგიები. „მის შესახებ ჩვენ არაფერი ვიცით". («Meines Erachtens wissen wir darüber so gut wie nichts»). მაგრამ მას, როგორც ჰიპოთეზი, მისაღებად უფრო მიაჩნია ურთიერთზეგავლენის, თეორიის ბუსესეული ვარიანტი. იუნგი მიუთითებს: „...ფსიქოთერაპევტისთვის, რომლის საკუთარი სამუშაო სფერო ძევს სწორედ სულისა და სხეულის ურთიერთზეგავლენის კრიტიკულ სფეროში, ყველაზე უფრო საღბათოდ ჩანს, რომ ფსიქიკური და სხეულებრივი არაა ორი ერთმანეთის გვერდით მიმდინარე პროცესი, არამედ დაკავშირებულნი არიან ურთიერთზეგავლენით, თუმცა მათი ნამდვილი ბუნება ჩვენს გამოცდილებას, ასე რომ ვთქვათ, ჯერ კიდევ სავსებით სცილდება. ლრმა განხილვა ამ საკითხისა ფილოსოფოსებისათვის დიახაც აუცილებელია, ამის საწინაღმდეგოდ ემპირიული ფსიქოლოგიისათვის შემოსაზღვრა გამოცდილებითად მისაღწევი მასალით სარეკომენდაციოა. თუმცა ჩვენთვის აქამდე მიუღწეველია ფსიქიკური ენერგიის პროცესის ფიზიკურ პროცესში ჩართვა ისევე, როგორც ამგვარი შესაძლებლობის მოწინააღმდეგეებმაც ვერ მიაღწიეს ფსიქიკური პროცესის უეჭველ გამოყოფას ფიზიკურისაგან", ი ქ ვ ე, გვ. 31—32.

[46] ი ქ ვ ე, გვ. 32—33.

იუნგმა ეკვივალენტობის პრინციპის გამოყენება ფსიქიკურის მიმართ უჩვენა შრომაში „ლიბიდოს სახეცვლილებები და სიმბოლოები". ფროიდის გამოკვლევები სექსუალობის შესახებ, როგორც ამაზე იუნგი ამბობს, მიუთითებენ ცხადად, თუ ლიბიდოს გაქრობა როგორ იწვევს შესატყვისი ღირებულების სხვა ფორმის აღმოცენებას, მაგ., განდევნა და მისი შენაცვლება. ეს პრინციპი ევრისტულ მნიშვნელობას იძენს ნევროზების მკურნალობაში[47].

მოძღვრება ენერგიის შესახებ იცნობს არა მარტო ინტენსივობის, არამედ ექსტენსივობის ფაქტორსაც. უკანასკნელი პრაქტიკულად აუცილებელი დანამატია წმინდა ენერგიის ცნებისა. იგი საშუალებაა წმინდა ინტენსივობის ცნების დაკავშირებისა სიმრავლის ცნებასთან (მაგ. სინათლის ინტენსივობა და სინათლის რაოდენობა— სიმრავლე). ექსტენსივობის ფაქტორი ენერგიას აძლევს დინამიურ განსაზღვრულობას. ამისდა შესატყვისად არსებობს ფსიქოლოგიური ექსტენსივობის ფაქტორი. არ შეიძლება მოხდეს გადასვლა ახალ წარმონაქმნზე ნაწილების ან ძველი წარმონაქმნის ხასიათის გადატანის გარეშე[48].

ეკვივალენტობის პრინციპი ენერგეტიკის ერთ-ერთი ძირითადი კანონია. მისი მეორე კანონია ენტროპიის პრინციპი. ენერგიის გარდაქმნა შესაძლებელია მხოლოდ არსებულ ინტენსივობათა დიფერენციაციის შედეგად. ენტროპიის პრინციპი რელატიურად დახშული სისტემის პრინციპია. ფსიქიკა თუ განხილულია, როგორც რელატიურად დახშული სისტემა, ასეთ ვითარებაში ენერგიის გარდაქმნას მივყავართ დიფერენცირებულთა გაწონასწორობისაკენ. ამის თვალსაჩინო მაგალითად იუნგი თვლის ხანგრძლივი და რელატიურად უცვლელი განწყობის გამომუშავებას.

ენერგიის ცნება, მისი კორელატი — დროის ცნების მსგავსად, არის a priori მოცემული ჭვრეტის ფორმა, ერთი მხრით, და კონკრეტული გამოყენებითი, ემპირიული ცნება, მეორე მხრით. ენერგიის ემპირიული ცნება ეხება ძალების მოქმედებას, ე. ი. მოძრავ სუბსტანციებს. გამოცდილებაში ვადასტურებთ არა თვითონ ენერგიას, არამედ მის გამოვლენას. ენერგიის ფსიქოლოგიური ცნება არაა წმინდა, იგი გამოყენებითი ცნებაა სექსუალური, ვიტალური, სულიერი, მორალური და ა. შ. „ენერგიების" ფორმით მოცემული. გამო-

---

[47] ი ქ ვ ე, გვ. 34.
[48] ი ქ ვ ე, გვ. 36—37.

ცდილების მასალაზე წმინდა ცნების გამოყენება გვაძლევს ამ ცნების კონკრეტიზაციასა და თვალსაჩინოებას.

სულიერი ცხოვრების მნიშვნელოვანი ენერგეტიკული ფენომენია ლიბიდოს პროგრესია და რეგრესია. პროგრესია გაგებული უნდა იქნეს, როგორც ფსიქოლოგიური შეგუების პროცესის ყოველდღიური შემდგომი ნაბიჯი. არ უნდა მოხდეს აღრევა მიღწეულ განწყობასა და ნამდვილ შეგუებას შორის. შეგუების ნაქმობა ხორციელდება ორ ეტაპად: 1. განწყობის მიღწევა, 2. შეგუების დასრულება განწყობის საშუალებით.

ლიბიდოს პროგრესია მდგომარეობს გარემო პირობების მოთხოვნათა უწყვეტ დაკმაყოფილებაში, რადგანაც ნაქმობა მხოლოდ განწყობის საშუალებით შეიძლება მიღწეულ იქნეს, განწყობისა, რომელიც სახელდობრ აუცილებლობით მიმართულებაა და ამით გარკვეულ ცალმხრივობას შეიცავს; შეიძლება ადვილად აღმოცენდეს შემთხვევა, როცა განწყობას უკვე აღარ შეუძლია შეასრულოს შეგუების მოთხოვნა, ვინაიდან გარემო პირობების ცვლილება სხვას საჭიროებს, ვიდრე არსებული განწყობაა. ასეთი ვითარების დროს ლიბიდოს პროგრესია არსებობას წყვეტს და ხდება ლიბიდოს დაგროვება, დაგუბება. დაგროვების მდგომარეობა ყოველთვის ხასიათდება მოწინააღმდეგე ნაწილთა გახლეჩით. ლიბიდოს პროგრესიის დროს მოწინააღმდეგე წევრები გაერთიანებულია ფსიქოლოგიური პროცესების კოორდინირებულ მდინარეობაში. მათი შეთანხმებული მოქმედება შესაძლებელს ხდის პროცესის თანაზომიერებას, რომელიც (პროცესი) შინაგანი საპირისპირო მოქმედების გარეშე ცალმხრივი და უაზრო იქნებოდა. აქედან გამომდინარე, ყველა გადაჭარბება გაგებულ უნდა იქნეს, როგორც წონასწორობის დარღვევა, რომელშიაც საპირისპირო იმპულსის მაკოორდინირებელი მოქმედება აღკვეთილია. პროგრესიის არსი ისაა, რომ იმპულსი და საწინააღმდეგო იმპულსი, ჰოყოფა და უარყოფა, თანაზომიერ საპირისპირო ზემოქმედებას აღწევენ. ლიბიდოს დაგროვებისას, სადაც პროგრესია შეუძლებელია, დაპირისპირებული მომენტები ვერ აღწევენ ერთ კოორდინირებულ აქტში გაერთიანებას. რაც უფრო დიდ ხანს გრძელდება დაგროვება, მით მაღალია საპირისპირო პოზიციების ღირებულება, რომლებიც ამისდა შესატყვისად ასოციაციებით მდიდრდებიან და ფსიქიკური მასალის სულ ახალ-ახალ სფეროებს მოიცავენ; დაძაბულობას შივყევართ კონფლიქტამდე, კონფლიქტს კი — ურთიერთსაპირისპირო განდევნამდე. როდესაც მიიღწევა საპირის-

პირო განდევნა, მაშინ აღმოცენდება დისოციაცია, „პიროვნების გახლეჩა", საკუთარ თავთან გაუერთიანებლობა, ნევროზის შესაძლებლობის აღმოცენება[49].

საწინააღმდეგოთა ბრძოლა გაგრძელდებოდა უსარგებლოდ, რომ კონფლიქტის ამოხეთქვით რეგრესიის პროცესი არ აღმოცენებულიყო, რაცაა ლიბიდოს უკანსვლითი მოძრაობა. დაპირისპირებულთა ერთმანეთთან შეჯახებით ხდება მათი თანდათანობითი გაუფასურება. ამ გარემოებაში აღმოცენდება ისეთი მოვლენების ღირებულებათა გაზრდა, რომლებიც გარემოსადმი შეგუების პროცესში მხედველობაში არ მიიღებოდნენ. ესენი ცნობიერების უკანა საფუძვლის ელემენტებია, რომელთა გავლენა ცნობიერებაზე ამ ვითარების გამო მოსალოდნელია. ცნობიერება აკავებს ასეთ გავლენას, რის გამოც არაცნობიერი არაპირდაპირი გზით აჩვენებს, ავლენს თავის თავს; ეს კარგად ჩანს ცნობიერი პროცესის შეფარხება-შეშლის საჩვენებელ. რეგრესია ამაღლებს ისეთი შინაარსების ღირებულებას, რომლებიც მანამდე ცნობიერი შეგუების პროცესით უკუგდებულნი არაცნობიერ სფეროში თავსდებოდნენ. რეგრესია შეგუებაა ფსიქიკური შინასამყაროსადმი[50].

რეგრესია არ ნიშნავს უკანსვლას, დეგენერაციის მნიშვნელობით. იგი აუცილებელი ფაზაა განვითარებაში[51]. პროგრესიაც არ უნდა აირიოს განვითარებაში. ადამიანის სულიერი ცხოვრება შეიძლება იყოს პროგრესიული ევოლუციის გარეშე და რეგრესიული ინვოლუციის გარეშე[52].

პროგრესიისა და რეგრესიის მოვლენები ძალის პროცესებია. პროგრესია შეიძლება შევადაროთ წყლის დინებას, რომელიც მთიდან ეშვება ველზე. დაგუბება შეესატყვისება სპეციფიკურ წინააღმდეგობას მდინარების შიმართულებით, ველის წინაღობას, რომელიც დინების კინეტიკურ ენერგიას გარდაქმნის მდგომარეობის პოტენციურ ენერგიად. დაგუბებული წყალი იძულებულია სხვა გზა გაიკაფოს, როცა დაგუბების შემდეგ მიაღწია იმ სიმაღლეს, რომელიც მას ნებას აძლევს სადმე გადმოიღვაროს. ის შეიძლება გაედინოს იმ არხში, რომელსაც ვარდნის ენერგია მიჰყავს ტურბინების მოწყობილობით ელექტროობად გარდაქმნისაკენ. ეს გარდაქმნა იქნებოდა

---

[49] ი ქ ვ ე, გვ. 55—56.
[50] ი ქ ვ ე, გვ. 61.
[51] ი ქ ვ ე, გვ. 62.
[52] ი ქ ვ ე, გვ. 63.

სურათი ახალი პროგრესიისა, რომელიც გამოწვეულია დაგროვებითა და რეგრესიით; ახალი პროგრესიის შეცვლილი ბუნება წინანდელთან შედარებით იმითაა აღნიშნული, რომ ენერგია უკვე ახლებურად მანიფესტირდება. ამ გარდაქმნის პროცესში ეკვივალენტობის პრინციპი განსაკუთრებული ევრისტული ღირებულებისაა, პროგრესის ინტენსივობა ვლინდება ისევ რეგრესიის ინტენსივობაში[53].

ენერგეტიკული მსოფლმხედველობის არსიდან არ გამომდინარეობს, რომ უნდა არსებობდეს ლიბიდოს პროგრესია და რეგრესია, არამედ გამომდინარეობს ის, რომ არსებობენ ეკვივალენტური ტრანსფორმაციები, რადგანაც ენერგეტიკა მხედველობაში ღებულობს მხოლოდ რაოდენობას და არა რომელობას. პროგრესიისა და რეგრესიის არსებობა გაიგება მხოლოდ სუბსტანციების ქვალიტეტებიდან, მაშასადამე, მექანისტურ-კაუზალურად[54].

პროგრესია, როგორც უწყვეტი შეგუების პროცესი გარემო პირობებისადმი, შეგუების ვიტალურ აუცილებლობაშია მოტივირებული. საჭიროება გვაიძულებს აბსოლუტურ ორიენტაციას გარემო პირობებზე და ყველა ისეთი ტენდენციებისა და შესაძლებლობების ფანდევნას, რომლებიც ემსახურებიან ინდივიდუაციას.

რეგრესია, საპირისპიროდ, როგორც შეგუება საკუთარი შინასამყაროს პირობებისადმი, მოტივირებულია ვიტალური აუცილებლობით, დააკმაყოფილოს ინდივიდუაციის მოთხოვნები. ადამიანი არაა მანქანა, რომ მას შეეძლოს მუშაობის ხანგრძლივად შესრულება. მას შეუძლია მხოლოდ მაშინ შეესატყვისოს საგნებით გარეგანი საჭიროების მოთხოვნას იდეალურად, როცა იგი აგრეთვე შეგუებულია საკუთარ შინასამყაროსთან. და პირიქით, მას შეუძლია საკუთარ შინა სამყაროს შეეგუოს და მიაღწიოს დამთხვევას თავის თავთან, როცა იგი შეგუებულია გარემო პირობებთან.

პროგრესია და რეგრესია შეიძლება დაუკავშირდეს ლიბიდოს ექსტრავერსიასა და ინტროვერსიას. პროგრესია, როგორც შეგუება გარემო პირობებთან, შეიძლება გაგებულ იყოს, როგორც ექსტრავერსია. ხოლო რეგრესია, როგორც შეგუება შინაგან პირობებთან— როგორც ინტროვერსია. მაგრამ ასეთი დაშვება არ იქნებოდა სწორი. ექსტრავერსია და ინტროვერსია სხვა სახის დინამიზმებია, ვიდრე პროგრესია და რეგრესია. პროგრესია და რეგრესია ენერგიის გარ-

---

[53] ი ქ ვ ე, გვ. 65.
[54] ი ქ ვ ე, გვ. 66.

დაქმნის კანონზომიერი ფორმებია, რომლებიც შეიძლება იყვნენ ან ინტროვერსიული ან ექსტრავერსიული ხასიათისა[55].

ტერმინით „ლიბიდოს განლაგება“ აღინიშნება ენერგეტიკული გარდაქმნა. აქ იგულისხმება ფსიქიკურ ინტენსივობათა და ღირებულებათა გადატანა ერთი შინაარსიდან მეორეზე, მსგავსად სითბოს ენერგიის გარდაქმნისა მოძრაობის ენერგიად. ასევე ფსიქიკური ფენომენების ენერგია შესატყვისი საშუალებებით შეიძლება გარდაიქმნას სხვა დინამიზმად[56].

§ 2. არაცნობიერი ფსიქიკის ცნება. როცა იუნგი ლაპარაკობს ანალიზურ ფსიქოლოგიაზე, როგორც ახალი ტიპის ბუნებისმეტყველურ დისციპლინაზე, მას მხედველობაში აქვს ის ობიექტი ყამირად წოდებული, რაც ახალი ფსიქოლოგიის კვლევის სფეროს უნდა წარმოადგენდეს. ეს ყამირი არაცნობიერი ფსიქიკაა, კერძოდ კი, მის მიერ წოდებული „კოლექტიური არაცნობიერი“. ნაშრომის „არაცნობიერის ფსიქოლოგიის შესახებ“ პირველი გამოცემის წინასიტყვაობაში იუნგი წერს, რომ მისი მიზანია არაცნობიერის არსის ახალი გაგების შესახებ ორიენტაციის მოცემა[57]. იუნგი არ უარყოფს არაცნობიერის ფსიქოლოგიის კვლევის ობიექტის სიძნელესა და სირთულეს. თვალუწვდენელ ყამირში შელწევა ძნელად თუ მიიღწევა პირდაპირი გზით[58].

არაცნობიერის, როგორც თავისთავადი და ავტონომიური სისტემის შესახებ აზრი, რომელიც განსხვავდებოდა ფროიდის გაგებისაგან, იუნგს ჰქონდა ჯერ კიდევ 1902 წელს, როგორც ამის შესახებ მიუთითებს წიგნში: „მიმართებანი მე-სა და არაცნობიერს შორის“ (მეორე გამოცემის წინასიტყვაობა).

იუნგის მიხედვით, ფსიქიკა ურთიერთშემავსებელი ცნობიერი და არაცნობიერი პროცესების მთლიანობაა, ერთიანობაა. ცნობიერი და არაცნობიერი ფსიქიკა არა მარტო ავსებენ ერთმანეთს, არამედ ერთმანეთისადმი კომპენსატორულ დამოკიდებულებაშიც არიან. ფსიქიკური, როგორც სისტემა, დახშული და თვითრეგულირებადია. თვითრეგულირებადობის პრინციპს იუნგი უწოდებს აგრეთვე კომ-

---

[55] ი ქ ვ ე, გვ. 66—69.

[56] ი ქ ვ ე, გვ. 69—70.

[57] «Mein Absicht ist lediglich, eine gewisse Orientierung über die neuesten Auffassungen vom Wesen der unbewußten Psychologie zu geben». იხ. აღნ. ნაშრომის მე-6 გამოცემა, გვ. 8.

[58] Über die Psychologie des Unbewußten, 1948, გვ. 14.

პენსაციას. კომპენსაცია მისთვის ფსიქიკური მოქმედების ძირითადი წესია. ცნობიერება წარმოადგენს მთლიანი ფსიქიკის მცირე ნაწილს[59]. იუნგი ფსიქიკის დახასიათებისთვის ცნობილ შედარებას მიმართავს, სადაც ცნობიერება კუნძულადაა წარმოდგენილი ,ზღვა კი— მის გარშემო არაცნობიერის თვალუწვდენელ სივრცედ, რომელიც უსასრულოდ ფართო და ღრმაა; არაცნობიერის შესახებ მხოლოდ ის ვიცით, რომ ის არსებობს და რომ მისი არსებობა გაელენას ახდენს ცნობიერებაზე[60].

თუ კი ფსიქიკას გავუტოლებთ ცნობიერებას, მაშინ შეცდომას დავუშვებთ, რადგანაც უნდა ვაღიაროთ, რომ ადამიანი ქვეყანას ეფლინება ცარიელი ფსიქიკით და ის მხოლოდ შემდეგ წლებში შეიძენს მას, რასაც მიაღწევს ინდივიდუალური გამოცდილებით. ფსიქიკა მეტია ცნობიერებაზე. ადამიანის სულში არის კოლექტიური წარმოდგენების ქარგა, რომლებიც თანშობილი და მემკვიდრეობით მოტანილია. ჩვენ გვამოძრავებს არა მარტო გარე გამღიზიანებელი, არამედ შინაგანი ძალები. ეს შინაგანი იმპულსები აღმოცენდებიან საფუძვლებიდან, რომლებიც არ ექვემდებარება ცნობიერების კონტროლს. ამ ძალებს მითოლოგიაში აღნიშნავდნენ ვითარცა სულებს, დემონებს, ღმერთებს. ისინი დღესაც მოქმედია ჩვენში, თუმცა არ გვინდა ვაღიაროთ, რომ დამოკიდებულნი ვართ ძალებზე, რომლებიც არ გვემორჩილებიან[61].

ცნობიერების სუბიექტია „მე". „მე" არის წარმოდგენების კომპლექსი, რომელიც შეადგენს ცნობიერების ველის ცენტრს და მოჩანს როგორც უწყვეტი და იგივეობრივი[62]. ცნობიერება ფუნქციაა, რომელიც მე-სადმი ფსიქიკური შინაარსების მიმართებას განაპირობებს. მე-კომპლექსი ცნობიერების შინაარსია და ამასთანავე პირობაა გაცნობიერებისა, რამდენადაც ფსიქიკური ელემენტი მაშინაა

---

[59] «Die Psyche selber ist in bezug auf das Bewußtsein präexistent und transcendent. Man könnte sie mit Du Prel als das transcendentale Subjekt bezeichnen». Psychologie und Erziehung, 1946, გვ. 50. «Der Nur-Bewußtseinsmensch, respektive, der Ich-Mensch, ist ein Fragment, insofern er abgesehen vom Unbewußten zu existieren scheint». Symbolik des Geistes, Zürich, 1948, გვ. 393, 394. აღნიშნული წარმოადგენს „ფსიქოლოგიური ნაშრომების„ მე-6 ტომს.

[60] Psychologie und Religion, Zürich, 1939, გვ. 152.

[61] Zugang zum Unbewußten, მოთავსებულია, კრებულში «Der Mensch und seine Symbole», Olten, 1968, გვ. 75, 76, 82.

[62] Psychologische Typen, Zürich, 1950, გვ. 591., პირველად გამოიცა 1921 წელს.

ცნობიერი, როცა იგი მიმართებაშია, კავშირშია მე-კომპლექსთან. რამდენადაც „მე“ არის ცნობიერების ველის ცენტრი, იგი იგივეობრივი აღარაა მთელი ფსიქიკისა, არამედ წარმოადგენს კომპლექსს სხვების გვერდით. ამიტომ, ავტორის აზრით, უნდა განსხვავდეს ერთმანეთისაგან „მე“ და „თვითონ“. „მე“ არის ცნობიერების სუბიექტი. „თვითონ“ არის სუბიექტი მთელი ფსიქიკისა. იუნგი ამ უკანასკნელს უწოდებს აგრეთვე ფსიქიკის შესაძლებელ ცენტრს (virtueller Mittelpunk). მაშასადამე, „თვითონ“ მოიცავს „მე“-ს[63].

სხვადასხვა კომპლექსები დაკაშირებულნი არიან ჩვეულებრივ ასოციაციურად მე-კომპლექსთან. მაგრამ ზოგიერთის შესახებ ეს არ ითქმის. ასეთი კომპლექსი შეიძლება არსებობდეს ხანგრძლივად და არ დაუკავშირდეს მე-კომპლექსს. იუნგის მიხედვით, არ არსებობს პრინციპული განსხვავება კომპლექსსა და ნაწილ-პიროვნებას (Teilpersönlichkeit) შორის[64]. კომპლექსის არსს ეკუთვნის — როგორც ეს სიზმარში იჩენს თავს — ის, რომ იგი პერსონიფიცირებული ფორმით ვლინდება. „მე“-ს ნებისყოფისდა დამოუკიდებლად კომპლექსები ექვემდებარებიან საკუთარ კანონზომიერებას, და წარმოადგენენ ავტონომიურ ფსიქიკურ წარმონაქმნებს, რომლებიც საკუთრივ ფორმირდებიან. რამდენადაც ავტონომიური კომპლექსები არაცნობიერია, ისინი განიცდებიან არა როგორც საკუთარი მე-ს კუთვნილნი, არამედ როგორც უცხო ობიექტების, პიროვნებების კვალიტეტები, მაშასადამე, პროეცირდებიან. კომპლექსი ფსიქიკის საკუთარი ცხოვრების მოვლენაა, რომელიც მისი არაცნობიერი ნაწილის სტრუქტურაში შედის და წარმოადგენს ფსიქიკის სავსებით ნორმალურ მდგომარეობას (წინააღმდეგ ფროიდის გაგებისა, სადაც კომპლექსი ავადმყოფურ მოვლენადაა მიჩნეული).

ფსიქიკის ცნობიერი და არაცნობიერი სფეროების პროცესები განსხვავებულ პრინციპებს ექვემდებარებიან; ცნობიერების პრინციპია: არაფერია გონებაში, რაც არაა გრძნობათა ორგანოებში. არაცნობიერების პრინციპი კი ავტონომიურობაა. არაცნობიერი ფსიქიკის ზატები ასაზავენ არა სამყაროს, არამედ საკუთარ თავს, თუმცა გრძნობადი სამყაროს წარმოდგენათა შესაძლებლობებს ის მოიხმარს თავის საქმისათვის[65]. მეორე მხრივ, ცნობიერება ლოგიკური ანა-

---

[63] ი ქ ვ ე, Definition, 26.

[64] Über psychische Energetik, გვ. 112.

[65] Psychologie und Allchemie, 1952, გვ. 205—206. პირველად გამოიცა 1944 წელს, წარმოადგენს „ფსიქოლოგიური ნაშრომების“ მე-5 ტომს.

ლიზით სარგებლობს. აქ არჩევა ხდება გონებითა და ცოდნით. არაცნობიერი კი წარმართულია ინსტინქტური მიდრეკილებით, არაცნობიერი გადმოიცემა აზროვნების შესატყვისი ფორმით — არქეტიპით[66].

იუნგი გამოჰყოფს ფსიქიკის ოთხ ფუნქციას. ესენია: აზროვნება, ინტუიცია, გრძნობა და შეგრძნება. ფსიქიკური ფუნქცია არის განსხვავებულ ვითარებაში იგივეობრივი ფსიქიკური მოქმედება, რომელიც საესებით დამოკიდებულია შესატყვისი შინაარსებისაგან. აზროვნება და გრძნობა რაციონალური ფუნქციებია, ვინაიდან აზროვნება აფასებს ჭეშმარიტება-მცდარობის ასპექტით, გრძნობა კი მისაღებობა-მიუღებლობის კუთხიდან. შეგრძნებისა და ინტუიციის ფუნქციები ირაციონალურია, ისინი ეხებიან უბრალოდ აღქმას შეფასების გარეშე. შეგრძნების ფუნქციით საგნები აღიქმებიან ისე, როგორადაც ისინი სინამდვილეში არიან. ინტუიცია „შინაგანი აღქმის“ უნარით აღიქვამს შესაძლებლობებს, რომლებიც თვითონ საგნებშია. მაგალითად, შეგრძნების ტიპი ლანდშაფტში ამჩნევს ცალკეულ ხეებს, ყვავილებს, ცის ფერს და ა. შ. ინტუიციური ტიპი — საერთო კოლორიტს. ირაციონალური და რაციონალური ფუნქციები მოქმედებისას ერთმანეთის საპირისპირო, ურთიერთგამომრიცხველნი არიან. ცნობიერების ორიენტაცია აღნიშნულ ოთხ ფუნქციაზეა დამოკიდებული. შეგრძნება (ე. ი. გრძნობადი აღქმა) ამბობს, რომ რაღაც არსებობს, აზროვნება ამბობს — რა არის ეს, გრძნობა ამბობს — ეს მისაღებია თუ მიუღებელი, ინტუიცია ამბობს — ეს საიდან აღმოცენდა და საით მიდის[67].

აღნიშნული ოთხი ფუნქციიდან ინდივიდში ჩვეულებრივ განვი-

---

[66] «Logische Analyse ist Vorrechts des Bewußtseins, wir wählen mit Vernunft und Wissen aus. Das Unbewußte scheint jedoch hauptsächlich von instinktiven Neigungen geleitet zu werden, die durch entsprechende Gedankenformen dargestellt sind — das heißt durch die Archetypen». Zugang zum Unbewußten, გვ. 76.

[67] ი ქ ვ ე, გვ. 61. იუნგი ტერმინში „გრძნობა“, როგორც ირკვევა, გულისხმობს სხვა შინაარსს, ვიდრე ემოციის ფსიქიკურ მდგომარეობას. სახელდობრ, მასში ნაგულისხმებია ღირებულებითი ასპექტი. მაშასადამე, ისაა რაციონალური, ჩვენს შემთხვევაში, მომწესრიგებელი ფუნქცია და არა ირაციონალური, აღქმადი ფუნქცია ინტუიცია, როგორც მიხვედრა (Ahnung) არაა ნებელობითი აქტი, ისაა უნებლიე პროცესი, რომელიც იმით ემსგავსება გრძნობადი აღქმის (შეგრძნების) პროცესს, რომ დამოკიდებულია ობიექტურ გამღიზიანებელზე და არა გონით მიზეზზე. ი ქ ვ ე.

თარებულია ერთი რომელიმე, ამიტომ იგი იწოდება დიფერენცირებულ, ანუ წარმმართველ ფუნქციად, რომელიც განმსაზღვრელია ინდივიდის ტიპისა[68]. წარმმართველი (სუპერიორი) ფუნქციის საპირისპიროა ნაკლებლირებული (ინფერიორი) ფუნქცია, რომელიც არაცნობიერში თავსდება. დანარჩენი ფუნქციები ნახევრად ცნობიერ-არაცნობიერ მდგომარეობაშია, ეს იმას ნიშნავს, რომ ინდივიდში ძირითადის გვერდით მოქმედებენ შეფარდებითად დიფერენცირებული დამხმარე ფუნქციები. სწორედ აღნიშნულ ფუნქციათა ურთიერთმიმართებაში ჩანს საპირისპირო ფუნქციების კომპენსატორული დამოკიდებულება, რაც ფსიქიკის სტრუქტურული შინაგანი კანონია.

იუნგის მიხედვით, გავრცელებული ფსიქოლოგიური ემპირიზმი არაცნობიერ ფსიქიკას ისე წარმოიდგენს, რაზედაც ტერმინი „არაცნობიერი" მიუთითებს პირდაპირი მნიშვნელობით, ე. ი. ცნობიერების არარსებობას მსგავსად ჩრდილისა, რომელიც სინათლის არარსებობაა. არაცნობიერის ამგვარ გაგებას ჩვენი ავტორი მცდარად მიიჩნევს, რადგანაც არაცნობიერი, მისი რწმენით, პირიქით, შემოქმედ ავტონომიურობას ფლობს, რაც ჩრდილის ბუნებას არ შეიძლება მიეწეროს. არაცნობიერი არის ცნობიერების შემოქმედი დედა[69].

არაცნობიერი ფსიქიკა ორი ნაწილისაგან შედგება. ერთს იუნგი აღნიშნავს პ ი რ ო ვ ნ უ ლ ი ა რ ა ც ნ ო ბ ი ე რ ი ს ტერმინით, მეორეს — კ ო ლ ე ქ ტ ი უ რ ი ა რ ა ც ნ ო ბ ი ე რ ი ს ტერმინით. პიროვნული არაცნობიერი ფსიქიკის ზედაპირული ფენაა. ეს სფერო არაცნობიერი ფსიქიკისა მოიცავს ყველა იმ შინაარსს, რაც ინიდივიდუალურ გამოცდილებას უკავშირდება. ესენია: ცნობიერების ყოფილი შინაარსები, რომლებიც გარკვეული პირობების გამო და-

---

[68] იუნგის ფსიქოლოგიური ტიპოლოგია ემყარება ორ პრინციპს. ერთი ტიპოლოგია დაფუძნებულია ფსიქიკური ფუნქციების რაოდენობაზე. აქედან მიიღება ე. წ. ფ უ ნ ქ ც ი ო ნ ა ლ უ რ ი ტ ი პ ე ბ ი (აზროვნების, გრძნობის, ინტუიციის, შეგრძნების). მეორე ტიპოლოგია ემყარება განწყობას (მიმართებას). აქედან მიიღება გ ა ნ წ ყ ო ბ ი ს ტ ი პ ე ბ ი: ექსტრავერსიული (გარეთ მიმართული) და ინტროვერსიული (შიგნით მიმართული). აღნიშნული პრინციპების შეერთება გვაძლევს რვა ფსიქოლოგიურ ტიპს. მაგალითად, ექსტრავერსიული აზროვნების ტიპი, ინტროვერსიული აზროვნების ტიპი, ექსტრავერსიული გრძნობის ტიპი და ა. შ. პიროვნების მიკუთვნება რომელიმე ტიპისადმი ხდება განწყობისა და ფსიქიკური ფუნქციის უპირატესი განვითარების ნიშნით.

[69] «Das Unbewußte ist die schöpferische Mutter des Bewußtseins». Psychologie und Erziehung, გვ. 93.

ვიწყებულნი არიან; აქვე თავსდებიან ცნობიერების ქვეზღურბლური შთაბეჭდილებები, პერცეფციები, რომლებსაც საკმაო ენერგია არ გააჩნიათ, რომ მიაღწიონ ცნობიერების ზღურბლს. პიროვნული არაცნობიერი ფსიქიკის ამ ჯგუფისათვის ისაა დამახასიათებელი, რომ მას, როგორც არაცნობიერს, ცნობიერების თვისება არ მიეწერება[70]. პიროვნული არაცნობიერი ფსიქიკის სფერო მოიცავს აგრეთვე: წარმოდგენათა კომბინაციებს, რომლებიც ჯერ კიდევ სუსტი და არანათელია, ყველა იმ შინაარსს, რაც ცნობიერ განწყობასთან ერთიანობაში ვერ მოდის და ამიტომ განდევნილის ბუნებას ამჟღავნებს[71]. პიროვნული არაცნობიერის უკანასკნელი ჯგუფი, როგორც ჩანს, აერთიანებს ისეთ ფსიქიკურ შინაარსებს, რომლებიც ცნობიერების ნათელ ველში ვერ თავსდებიან, ისე კი ცნობიერების შინაარსებს წარმოადგენენ. საერთოდ პიროვნული არაცნობიერი ფსიქიკისათვის ისაა დამახასიათებელი, რომ მისი შინაარსები ცნობიერებაში წარმოდგენილი განიცდებიან საკუთარი მე-ს კუთვნილებად, წინააღმდეგ კოლექტიური არაცნობიერისა, რომელიც მე-ს მიერ განიცდება უცხოდ, გარედან მოსულად[72].

არაცნობიერი ფსიქიკის მეორე ნაწილი — ზეპიროვნული, ანუ კოლექტიური არაცნობიერი[73] — წარმოადგენს ობიექტურ ფსიქიკას, საპირისპიროდ პიროვნული არაცნობიერისა, რომელიც სუბიექტური ფსიქიკაა. როგორც სახელწოდება გვიჩვენებს, კოლექტიური, არაცნობიერი ფსიქიკის სფერო მოიცავს კოლექტიურ შინაარსებს, რომლებიც ეკუთვნიან არა მხოლოდ ერთ ინდივიდს ან ინდივიდების გარკვეულ ჯგუფს, არამედ მთელ ხალხს, კაცობრიობას. ეს შინაარსები არ არიან პიროვნების ინდივიდუალური არსებობიდან მომდინარე, პირიქით, ისინი თანშობილ სულიერ ფორმებს წარმოადგენენ[74].

იუნგის მითითებით, ტერმინი „კოლექტიური" იმიტომ იქნა გამოყენებულ არაცნობიერი ფსიქიკის გარკვეული სფეროს აღსანიშნავად, რომ ამ არაცნობიერს აქვს ზოგადი ბუნება, რომ იგი ყველა ინდივიდში ერთი და იგივეა, იდენტურია, და ამდენად ქმნის ზეპიროვნული ბუნების ზოგად სულიერ საფუძველს[75].

---

[70] Über psychische Energetik, გვ. 191.

[71] ი ქ ვ ე, გვ. 214.

[72] ი ქ ვ ე, გვ. 216.

[73] ტერმინი — „კოლექტიური არაცნობიერი" იუნგმა პირველად იხმარა 1914 წ. ნაშრომში «Die Psychologie der unbewußten Prozesse».

[74] Über psychische Energetik, გვ. 214.

[75] «Es (kollektives Unbewußte) ist mit anderen Worten, in allen Menschen

პიროვნული არაცნობიერი ფსიქიკის შინაარსებია ე. წ. გრძნობადი კომპლექსები, ხოლო კოლექტიური არაცნობიერისა — არქეტიპები[76]. იუნგი ერთმანეთისაგან განასხვავებს ცნებებს: თ ა ვ ი ს-თ ა ვ ა დ ა რ ქ ე ტ ი პ ს, (Archetipus per se), რომელიც ფსიქიკის სტრუქტურის პოტენციური არსებობაა და ამ ფსიქიკური პოტენციური არსებობის ცნობიერებაში გამოვლენილ შინაარსს, ა რ ქ ე ტ ი პ უ ლ წ ა რ მ ო დ გ ე ნ ა ს (archetipische Vorstellung), რომელიც ხატის ან პროცესის სახით არსებობს. არქეტიპული წარმოდგენის ცნობიერი შინაარსი ვარიაციას განიცდის და დამოკიდებულია კონსტელაციაზე[77].

თავისთავადი არქეტიპი, გარკვეული აზრით, განმსაზღვრელია

---

mit sich selbst identisch, und bildet damit eine in jedermann vorhandene, allgemeine seelische Grundlage überpersönlicher Natur». Von den Wurzeln des Bewußtseins, 1954, გვ. 4.

გავრცელებულია აზრი, რომ არაცნობიერი ფსიქიკის სახეებიდან ფროიდმა განსაკუთრებით პიროვნული არაცნობიერი იკვლია, რომ ფსიქოანალიზური თეორია არსებითად პიროვნული არაცნობიერის თეორიაა, იუნგმა კი აღმოაჩინა და იკვლია კოლექტიური არაცნობიერი. თუკი კოლექტიური არაცნობიერი ფსიქიკა მიუთითებს საერთოზე ადამიანებში, რაც ფილოგენეზთანაა დაკავშირებული, ასეთი რამ ფსიქოანალიზისათვის უცხო არაა. ფროიდის ი გ ი დ ა ზ ე-მ ე სწორედ რომ ფსიქიკის ზოგადადამიანურ გარკვეულობაზე მიანიშნებენ და ამით ემსგავსებიან არქეტიპს. კოლექტიური არაცნობიერის ცნებასთან დაკავშირებით იუნგიცა და ფროიდიც ერთმანეთზე მიუთითებენ. იუნგი წერს: „ელემენტები, რომლებიც ფროიდმა აღნიშნა როგორც „არქაული დანაშთი", წარმოადგენენ სულიერ ფორმებს, რომლებიც, როგორც ჩანს, ადამიანის სულს თანშობილი აქვს", (Zugang zum Unbewußten, გვ. 67). ფროიდი მიუთითებს: „აღნიშნული ფილოგენეტური მემკვიდრეობის აღიარებაში მე სავსებით ვეთანხმები იუნგს" (Gesammelte Werke, XII, 131).

დღეს სიღრმის ფსიქოლოგიაში მიუთითებენ არაცნობიერი ფსიქიკის კიდევ ერთ რომელობაზე. ესაა ე. წ. ოჯახური არაცნობიერი (familiares Unbewußte), რომელზედაც ლ. სკონდი ლაპარაკობს. არაცნობიერი ფსიქიკის აღნიშნული რომელობა ზოგადობის მიხედვით შუა ადგილს იჭერს პიროვნულ და კოლექტიურ არაცნობიერს შორის. ოჯახური არაცნობიერი საერთოა ადამიანთა მცირე ჯგუფისათვის. არაცნობიერი ფსიქიკის დასაბუთების მხრივ ლ. სკონდის თეორიაში — ბედის ანალიზში— ახალი არაფერია. იხ. Ludwig Szondi, Ich-Analyse, Zürich, 1956.

[76] Bewußtes und Unbewußtes, გვ. 12. იუნგი პირველად არქეტიპის აღსანიშნავად ხმარობდა ტერმინს «Urbild» (1912), «urtümliches Bild» შემდეგ — «Dominanten des kollektiven Unbewußten» (1917). ტერმინი «Archetipus» იხმარება ნაშრომში «Instinkt und Unbewußtes» (1919).

[77] ეს განსხვავება მოახდინა იუნგმა 1946 წ. წიგნში «Vom Geist der Psychologie», რომელსაც შემდეგ ეწოდა «Theoretische Überlegungen zum Wesen des Psychischen».

ფსიქიკის ფორმალური ასპექტისა. ამიტომ მას იუნგი ადარებს კრისტალის ფორმის შესაძლებლობას, რაც ერთგვარად პრეფორმირებულია მატერიალური არსებობის გარეშე; აღნიშნულით განპირობებულია კრისტალის სტერეომეტრიული სტრუქტურა და არა მისი კონკრეტული ინდივიდუალობა[78]. არქეტიპი ფაქტორია, რომელიც ფსიქიკურ ელემენტებს აწესრიგებს გარკვეულ ხატებად. იგი ფსიქიკის სტრუქტურული დომინანტია და ბიოლოგიაში ცნობილი «pattern of behaviour»-ის ფსიქიკური ეკვივალენტია. ისევე, როგორც ცოცხალი არსების სპეციფიკური სახის მიმნიჭებლის გამოვლენა განვითარების მსვლელობაში შეიძლება შიცვალოს, ასევე ცვალებადია არქეტიპის მანიფესტაციაც[79]. იუნგი ცდილობს არქეტიპის ბუნების ჩვენებას განსხვავებული მხრიდან, ამიტომ მიმართავს მის შემდეგ დახასიათებას:

თავისთავადი არქეტიპი მიჩნეულია „ფსიქოიდურ" ფაქტორად, რომელიც ეკუთვნის ფსიქიკური სპექტრის არათვალსაჩინო, ულტრაიისფერ ნაწილს[80].

თავისთავადი არქეტიპი შეიძლება შეედაროს ინსტინქტს, რამდენადაც პირველი სულიერი ცხოვრების რეგულატორს წარმოადგენს. ისე, როგორადაც ინსტინქტი განაპირობებს ადამიანის სპეციფიკურ ქცევას, ასევე არქეტიპიც უბიძგებს და აიძულებს ადამიანს სპეციფიკური ფსიქიკური შინაარსების ფორმირებისაკენ. არქეტიპი თანშობილი გამფორმებელი ტენდენციაა ცნობიერი გამოსახულებებისა, რომლებიც, მართალია, დეტალებში განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მაგრამ ძირითად სტრუქტურაში იგივეობრივნი არიან[81]. არქეტიპი ინსტინქტის კორელატური ცნებაა[82]; არქეტიპი წარმოადგენს «instiktual pattern»-ს[83].

---

[78] Von den Wurzeln des Bewußtseins, 1954, გვ. 95.

[79] Symbolik des Geistes, 1953, გვ. 374.

[80] ი ქ ვ ე, გვ. 487.

[81] «Der Archetyp ist vielmehr eine angeborene Tendenz, solche bewußten Motivbilder zu formen — Darstellungen, die im Detail sehr von einander abweichen können, ohne jedoch ihre Grundstruktur aufzugeben». Zugang zum Unbewußten, გვ. 67.

[82] Über psychische Energetik, გვ. 182—198.

[83] Naturerklärung und Psyche, 1952, გვ. 32. იუნგი წერს: „რასაც ჩვენ ინსტინქტს ეუწოდებთ, ფიზიოლოგიური იმპულსებია, რომლებიც აღიქმებიან გრძნობის ორგანოებით „გარედან". იმავდროულად ვლინდებიან ისინი აგრეთვე „შინაგანად" ფანტაზიებში და ხშირად სიმბოლური ხატებით გასცემენ ხოლმე თავის არსებობას.

თავისთავადი არქეტიპი არ ერცელდება ტრადიციით, ენითა და მიგრაციით. იგი წარმოადგენს ფსიქიკური წყობის აპრიორულ ფორმას[84]. ის ყველგან და ყოველთვის სპონტანურად აღმოცენდება, არ საჭიროებს რა გარედან ზეგავლენას და ბიძგს. მართალია, არქეტიპი არაცნობიერია, მაგრამ იგი არაცნობიერობით ინაქტუალური არ ხდება. ის მზაობაა, მუდმივ არსებულია (ewige Präsenz).[85] არქეტიპული ფორმები არა უბრალო სტატიკური ნიმუშებია, არამედ დინამიკური ფაქტორები, რომლებიც სპონტანურად ვლინდებიან[86].

თავისთავადი არქეტიპი ფსიქიკის ისეთი გარკვეულობაა, რომელიც დაკავშირებულია ტვინის სტრუქტურასთან. არქეტიპი ტვინის სტრუქტურის ფსიქიკური ასპექტია. ის მემკვიდრეობით გადმოეცემა ინდივიდს ტვინის სტრუქტურასთან ერთად[87]. კოლექტიური არაცნობიერი მემკვიდრეობით მიღებული ტვინის სტრუქტურის ფუნქციობაა[88]. ტვინში ძევს პრეფორმირებულად ინსტინქტები და არქეტიპები[89].

ცნობიერებაში გამოვლენილი და აღქმული არქეტიპი (resp. არქეტიპული წარმოდგენა) სიმბოლოს წარმოადგენს, რომელიც დე-

---

ეს „შინაგანი" მოვლენები არიან ის, რასაც აღვნიშნავ არქეტიპით. მათ წარმოშობას არ იცნობენ, ისინი ყოველ დროს და ყველგან აღმოცენდებიან" Zugang z. Unb. ვ. 69.

[84] Von den Wurzeln des Bewußtseins, გვ. 95.

[85] Psychologie und Alchemie, გვ. 305.

[86] Zugang zum Unbewußten, გვ. 76.

[87] «Sie (Archetypen — ვ. კ.) vererben sich mit der Hirnstruktur, ja sie sind deren psychischer Aspekt». Seelenprobleme der Gegenwart, გვ. 179.

[88] «Diese unpersönliche Seelenschicht nenne ich das kollektive Unbewußte. «Kollektiv», weil es nicht ein individuell erworbenes ist, sondern das Funktionieren der ererbten Gehirnstruktur, die in ihren allgemeinen Umrissen die gleiche ist bei allen menschlichen Wesen...» Psychologie und Erziehung. გვ. 95.

[89] Über psychische Energetik, გვ. 215. იუნგმა 1952 წელს გამოცემულ შრომაში «Synchronizität als ein Prinzip akausaler Zusammenhänge», რომელიც მოთავსებულია კრებულში «Naturerklärung und Psyche», გამოთქვა განსხვავებული შეხედულება აზროვნებისა და აღქმის ნერვულ სისტემასთან კავშირის შესახებ, მას v. Frisch-ის დაკვირვებები მიაჩნია დამადასტურებლად დებულებისა, რომ არსებობენ ტრანსცერებრალური აზროვნებისა და აღქმის პროცესები. საერთოდ ფსიქიკა არაა დიდი ტვინის კონსტიტუტიური თვისება, იგი სიმპათიკური ნერვული სისტემის კუთვნილებაა. შად. «Bewußtes und Unbewußtes», 1957, გვ. 28—29. იუნგს შემოაქვს ცნება სინქრონულობისა, რომელიც ემპირიული ცნებაა და აღნიშნავს მოვლენათა აზრობრივ თანადამთხვევას დროში. მისთვის სინქრონულობა აკაუზალური წყობის კერძო შემთხვევაა.

ტერმინირებულია თავისთავადი არქეტიპით. ამიტომ თავისთავადი არქეტიპი შეიძლება განიმარტოს როგორც პოტენციური სიმბოლო. იუნგი განასხვავებს ერთმანეთისაგან: სიმბოლოს, ალეგორიასა და ნიშანს. გამოსახვა, რომელიც ცნობილი საქმის ვითარების აღსანიშნავადაა მოტანილი, ნიშანია. ალეგორია ცნობილი საქმის ვითარების განზრახ გარდაქმნილის აღმნიშვნელია. ხოლო ის, რაც უცნობი საქმის ვითარების გამოსახვას წარმოადგენს და თვითონაც ამიტომ არა სავსებით ნათელი ფორმულირებაა, სიმბოლოა. სიმბოლო მანამდეა სიმბოლო, სანამ ის გამოხატავს იმას, რაც არ ვიცით. თუკი სიმბოლოს უკან ფარული აღარაფერი დარჩა, იგი კონვენციალურ ნიშნად იქცევა[90].

ფროიდისა და იუნგის სიმბოლოების ცნებების განსხვავებულ შინაარსს ქმნის არაცნობიერის განსხვავებული გაგება. ფროიდის განდევნილი არაცნობიერი პიროვნული არაცნობიერია, რადგანაც ის აღმოცენდება ინდივიდის ცხოვრების ისტორიიდან. ამიტომ განდევნილის ყოველი გამოვლენა ცნობიერებაში ფაქტიურად ნიშნის სახეს იღებს. არქეტიპული წარმოდგენა კი ნამდვილ სიმბოლოდ ჩაითვლება, რადგანაც აღნიშნულით ვერ ვწვდებით თავისთავადი არქეტიპის შინაგან ბუნებას, მის შინაარსს. ამიტომაა, რომ იუნგის მიერ სიმბოლო დახასიათებულია, როგორც შუამავალი დაფარულსა და თვალსაჩინოს შორის[91].

კითხვაზე — რა არის არაცნობიერი პროცესი? როგორია მისი ბუნება? — იუნგს შემდეგი პასუხი აქვს: რამდენადაც პროცესი არაცნობიერია, მისი შესახებ, ბუნებრივია, არაფრის თქმა არ შეიძლება: „მას, რაც არის, იმიტომ ვუწოდებთ ჩვენ უბრალოდ არაცნობიერს, რომ ის ჩვენთვის არაცნობიერია. რა არის ის, ისევე ნაკლებად ვიცით, როგორც ფიზიკოსმა—ნივთიერების შესახებ. ფიზიკოსს მის შესახებ აქვს მხოლოდ თეორიები, ე. ი. შეხედულებები, ერთი სიტყვით, სურათები“[92]. მაგრამ არაცნობიერი ვლინდება სხვადასხვა ვითარებაში: სიმპტომების, მოქმედებების, აზრების, აფექტების, ფანტაზიებისა და სიზმრების სახით. ამგვარ მასალაზე დაკვ-

---

[90] Psychologische Typen, 1949, გვ. 642—643.

[91] Seelenprobleme der Gegenwart, გვ. 49.

[92] «Wir nennen das Unbewußte bloß darum so, weil es unbewußt ist, was es ist. Wir wissen es so wenig, wie der Physiker, was Stoff ist. Er hat bloß Theorien darüber, d. h. Anschaunngen, Bilder mit einem Wort». Wirklichkeit der Seele, გვ. 52. ესაა „ფსიქოლოგიური ნაშრომების„ მე-4 ტომი.

ირეების შედეგად შესაძლებელი ხდება არაპირდაპირი დასკვნების გამოტანა არაცნობიერი პროცესების თვისებებისა და მდგომარეობის შესახებ. მაშასადამე, არაცნობიერი პროცესის ნამდვილი ბუნების წვდომის იმედი არ უნდა გვქონდეს. ჩვენ შეგვიძლია მივაღწიოთ მხოლოდ შემეცნების იმ საფეხურს, რომელსაც აღნიშნავენ ტერმინით „თითქოს" (gleichsam — als-ob). ეს იმიტომ, რომ შექმნილი გონი ვერ შეაღწევს ბუნების გულში, მაშ, ვერც არაცნობიერში.[93]

იუნგის გაგებით, აბსოლუტური არსებულისა და იმის შესახებ, რასაც არსი აქვს, ჩვენ არაფერი ვიცით. „საერთოდ შეუძლებელია ფსიქიკის არსის შესახებ გამოითქვას საბოლოო აზრი"[94]. ჩვენ განვიცდით ზემოქმედებას გრძნობის ორგანოების საშუალებით გ ა რ ე დ ა ნ, ფანტაზიის საშუალებით შ ი გ ნ ი დ ა ნ, როგორც არ დავიწყებთ მტკიცებას, რომ მწვანე ფერი თავისთავად არსებობს, ასევე არ უნდა ვფიქრობდეთ, რომ ფანტაზიის განცდა თავისთავადი არსებობაა. ეს უკანასკნელი არის გამოხატვა, მოჩვენება უცნობისა, მაგრამ ნამდვილისა[95].

როგორაა წარმოდგენილი ანალიზური ფსიქოლოგიის მიერ არაცნობიერი ფსიქიკის დასაბუთება? არაცნობიერი ფსიქიკური პროცესების არსებობის დამადასტურებელ ერთ-ერთ მთავარ საბუთად იუნგი თვლის ფსიქოპათოლოგიურ გამოცდილებას. ჩვენი ავტორი მიუთითებს, რომ ისტერიული ამნეზიის შემთხვევები ამართლებენ არაცნობიერი ფსიქიკური შინაარსების დაშვების აზრს[96]. იუნგს აკმაყოფილებს არაცნობიერი ფსიქიკის დასაბუთების ის ცდა, რომელიც მოცემულია ფსიქოანალიზში: „ფროიდმა ემპირიულად დაასაბუთა არაცნობიერი ფსიქიკის არსებობა, რომელიც მანამდე იყო მხოლოდ ფილოსოფიური პოსტულატი"[97]. იუნგის მიმდევრებს შორის გავრცელებულია შეხედულება, რომ მან ცნობილი „ასოციაციის მეთოდით" არა მარტო დაადასტურა სულის არაცნობიერი სფეროს არსებობა, არამედ მოგვცა არაცნობიერი ფსიქიკის ცნობიერებაზე ზემო-

---

[93] «...wir gelangen nie weiter als bis zu einem gleichsam — als-ob. Ins Innere der Natur dringt kein erschaffener Geist, auch nicht ins Unbewußte». Die Beziehungen zwischen dem Ich und dem Unbewußten, გვ. 97.

[94] «Es gibt eben keine Möglichkeit über das Wesen der Psyche abschließende Aussagen zu machen». Zugang zum Unbewußten, გვ. 59.

[95] Die Beziehungen zwischen dem Ich und dem Unbewußten, გვ. 170.

[96] Psychologische Typen, Definition 57—«Unbewußte».

[97] Erinnerungen, Träume, Gedanken von C. G. Jung, Zürich-Stuttgart, 1963, გვ. 173.

ქმედების უშუალო დაკვირვებისა და ექსპერიმენტული გამოკვლევის შესაძლებლობა[98]. რას წარმოადგენს ასოციაციის მეთოდით ფსიქიკის არაცნობიერი სფეროს ექსპერიმენტული დასაბუთება?

ცდისპირს ეძლევა წასაკითხად სიტყვების რიგი. მან ყოველ წაკითხულ სიტყვაზე უნდა უპასუხოს სიტყვითვე, რომელიც მას გაუჩნდება თავისთავად, ასოციაციურად წაკითხულ სიტყვასთან დაკავშირებით. ამ დროს ყურადღება ექცევა დროის ხანგრძლივობას, რაც საჭირო იყო საპასუხო სიტყვის აღმოცენებისათვის, და, ასევე, გახანგრძლივებულ რეაქციათა სიხშირეს მიწოდებული სიტყვების რიგში. არაიშვიათად ხდება ხოლმე, რომ ცდისპირები რომელიმე წაკითხულ სიტყვაზე პასუხს დაგვიანებულად იძლევიან. მაგალითად, ჩვეულებრივი პასუხისათვის თუ საჭირო იყო 3 სეკუნდი, ახლა პასუხი ყოვნდება 15—20 სეკუნდამდე და უფრო მეტი ხნითაც. აღნიშნული ფაქტიური ვითარებიდან ასკვნიან: მაშასადამე, პასუხის შეფერხება განაპირობა არაცნობიერად არსებულმა ფსიქიკამ, მისმა ზეგავლენამ ცნობიერ ფსიქიკურ პროცესებზე.

იუნგი კიდევ სამ მეთოდზე მიუთითებს: სიმპტომის ანალიზი, ანაგნეზური ანალიზი, არაცნობიერის ანალიზი, რომელთაც იგივე ამოცანა აკისრიათ არაცნობიერის მიგნება-გამოვლენისა. აღნიშნულ მეთოდებს არაცნობიერი ფსიქიკის დასაბუთების ერთნაირი ლოგიკური ძალა აქვს, ამიტომ მათი ამ კუთხით ცალ-ცალკე განხილვა ზედმეტიცაა.

ანალიზურ ფსიქოლოგიაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კოლექტიური არაცნობიერი ფსიქიკის, არქეტიპის ბუნების ცხადყოფის საქმეს. რა არის ის, რაც საფუძველს გვაძლევს ვილაპარაკოთ არქეტიპზე, როგორც ისეთ ფსიქიკურ გარკვეულობაზე, რომელიც ცნობიერებისაგან დამოუკიდებელია და განაპირობებს ცნობიერი ფსიქიკის შინაარსების კონკრეტული სახით ფორმირებას? იუნგის თვალსაზრისი ასეთია: ისე როგორც ადამიანის სხეული წარმოადგენს მთელ მუზეუმს ორგანოებისას, რომელთაგანაც თითოეულს გააჩნია განვითარების ხანგრძლივი ისტორია, ასევე უნდა მოველოდეთ, რომ ჩვენს სულსაც აქვს მსგავსი ორგანიზაცია. ესეცაა ისტორიის პროდუქტი. ისტორიაში იგულისხმება ცხოველის ფსიქიკასთან ახლო მდგომი არქაული ადამიანის ფსიქიკის ბიოლოგიური წინაისტორიული და არაცნობიერი განვითარება. ეს ძველთაძველი ფსი-

---

[98] J. Jacobi, Komplex, Archetypus, Symbol... გვ. 8.

ქიკა ქმნის ჩვენი სულის საფუძველს ისევე, როგორც ჩვენი სხეულის სტრუქტურა ემყარება ძუძუმწოვართა ზოგად ანატომიურ ქარგას (Muster). ანატომის გამოცდილი თვალი ჩვენს სხეულში ნახულობს ამ პირველადი საწყისი ნიმუშის მრავალ კვალს. სულის გამოცდილი მკვლევარი ამდაგვარადვე შეიცნობს ანალოგიებს, ერთი მხრით, თანამედროვე ადამიანის სიზმრების სურათებსა და, მეორე მხრით, პრიმიტიული სულის პროდუქტებს, მის „კოლექტიურ ხატებსა“ და მითოლოგიურ მოტივებს შორის.

ისევე, როგორც ბიოლოგი საჭიროებს შედარებითი ანატომიის მეცნიერებას, ფსიქოლოგსაც არ შეუძლია „ფსიქიკის შედარებითი ანატომიის“ გარეშე. ფსიქოლოგის განკარგულებაში უნდა იყოს არა შარტოოდენ მდიდარი მასალა სიზმრებისა და არაცნობიერი მოქმედების სხვა პროდუქტებისა, არამედ აგრეთვე მითოლოგიური ცოდნაც, რათა შედარებითი ანალიზის გზით დადგინდეს ის საერთო, რაც მათშია[99].

ისევე, როგორც ინსტინქტების შესახებ ვერ ვიტყვით, რომ ცხოველმა ისინი ინდივიდუალურად უნდა შეიძინოს დაბადების მომენტიდან, ასევე კოლექტიური წარმოდგენების ქარგაც ადამიანის სულში თანშობილი და მემკვიდრეობით მიღებულია. ვერ დავუშვებთ, რომ ადამიანი ჩაითვალოს ერთადერთ ცოცხალ არსებად, რომელსაც არ გააჩნია სპეციფიკური ინსტინქტები და მისი ფსიქიკა არ ატარებს განვითარების არავითარ კვალს[100]. ადამიანის სულის თანშობილი გარკვეულობაა სწორედ არქეტიპი. ეს უკანასკნელი არის „ადამიანური წარმოდგენის თანშობილი შესაძლებლობა“[101].

§ 8. ადამიანის პრობლემა: რა არის ადამიანი? ადამიანი ამ კითხვაზე იმით პასუხობს, რომ მან იცის, საკუთარ თავს ვერაფერს შეადარებს. მართალია, იგი ყველა არსების მსგავსად უსასრულო ღვთაებიდანაა გამოყოფილი, მაგრამ ეს მომენტი სპეციფიკურ ადამიანურზე არ მიუთითებს[102].

ადამიანის სპეციფიკურ ნიშანს ქმნის რეფლექტორული ცნობიერება. „ადამიანი რეფლექსირებადი გონის წყალობით გამოიყოფა ცხოველთა სამყაროდან“[103]. ცნობიერების თვისებით ადამიანი

---

[99] Zugang zum Unbewußten, გვ. 67.

[100] ი ქ ვ ე, გვ. 75.

[101] «Die vererbten Möglichkeiten menschlichen Vorstellens». Über die Psychologie des Unbewußten, 1948, გვ. 119.

[102] Erinnerungen, გვ. 10.

[103] ი ქ ვ ე, გვ. 341.

გამოეთიშება ბუნების კანონზომიერების ტყვეობას, მისდამი დამორჩილებას[104]. „რეფლექსია ადამიანური თავისუფლების წინაპირობაა ბუნების კანონზომიერების იძულების საპირისპიროდ. როგორც ამას სიტყვა «reflexio» მიუთითებს, სახელდობრ, „უკანმობრუნებას", აქ საქმე ეხება გონით აქტს, რომელიც საპირისპიროა ბუნების მიმდინარეობისა, სახელდობრ, არის შეჩერება, თვითჩაღრმავება, ხატის მოხაზვა და შინაგანი დამოწმება... რეფლექსია გაიგება როგორც გაცნობიერების აქტი"[105].

კ. გ. იუნგთან ადამიანის ცნობიერების (ადამიანური კულტურის: რელიგიაში, ეთიკაში, ხელოვნებაში, ფილოსოფიაში ნაქმობების) განვითარების წანამძღვრებია: ლიბიდოს სიჭარბე და სიკვდილის ცნობიერება; აღნიშნულნი გაგებულნი უნდა იქნან, როგორც ინდივიდუაციის პრინციპი ადამიანში.

იუნგს შემდეგნაირად აქვს წარმოდგენილი ადამიანის ბუნება ჩართული სამყაროსეულ სტრუქტურაში: „ჩვენს სამყაროს სურათში არსებობს დიდი გარე და ასევე დიდი შინა, ამ პოლუსებს შორის დგას ჩემთვის ადამიანი"[106].

„რა არის გარესამყარო? რა არის შინასამყარო? გ ა რ ე ს ა მ ყ ა რ ო ეს კოლექტიური ცნობიერებაა, კოლექტიური ცნობიერება მოიცავს განვითარებისა და კულტურის განსაზღვრულ საფეხურზე არსებულ ობიექტივირებად ცნობიერების შინაარსებს. ისაა ისტორიულად ქცეული სამყარო, კონკრეტული აქ და ახლას სამყარო, რომელიც დაკავშირებულია ეპოქის სულის ცნებასთან. გარესამყაროს აქვს ე. წ. ვ ე რ ტ ი კ ა ლ უ რ ი და ჰ ო რ ი ზ ო ნ ტ ა ლ უ რ ი ჭრილი; ვერტიკალურია გონითი სამყარო, კულტურა; აღნიშნული მოიცავს განვითარების განსაზღვრულ საფეხურებზე მოცემულ რელიგიურ, ეთიკურ, ესთეტიკურ და ფილოსოფიურ ღირებულებებსა და ნორმებს. ჰორიზონტალურია შეგრძნებათა ორგანოებით მოცემული ობიექტები, ფიზიკური გარესამყარო.

---

[104] „ადამიანის რეფლექსირებული ცნობიერების გარეშე სამყარო გიგანტური უაზრობაა, რადგანაც ადამიანია, ჩვენი გამოცდილების მიხედვით, ერთადერთი არსება, რომელსაც შეუძლია დაადგინოს საზრისი". ი ქ ვ ე. გვ. 376.

[105] Symbolik des Geistes, გვ. 387. ბ. ვალდერი თვლის, რომ იუნგის შეხედულება რეფლექსიისა და სიცოცხლის რეგრესიის შესახებ გვაგონებს მ. შელერის „განმადვილების ასკეტურ აქტს", რომელიც განარიდებს „ძალით საკუთ რეალობის შემოქმედებას", „მიწიერის შიშს", იხ. Peter W a l d e r, Mensch und Welt bei Jung, Zürich, 1951, გვ. 19.

[106] Seelenprobleme der Gegenwart, 1931, გვ. 80.

შ ი ნ ა ს ა მ ყ ა რ ო უკავშირდება არაცნობიერის ცნებას, ცალ-ცალ-შემოქმედ სუბსტრატს, რომლიდანაც აღმოცენდება ცნობიერი ფსიქიკა და ადამიანი. ადამიანის საფეხურზე არაცნობიერი ეს ისეთი სფეროა, რომელიც პოტენციაში შეიცავს გონით ღმერთს, თვითონს. თვითონის აქტუალიზება წარმოადგენს იუნგისათვის კაცობრიობისა და ერთეულის განვითარების მიზანს. კოლექტიური არაცნობიერი შედგება ადამიანისათვის ფუძემდებლური დაპირისპირებისაგან: ერთი მხრით, ინსტინქტისაგან, ლტოლვისაგან და მეორე მ ხ რ ი თ, არქეტიპებისაგან. რამდენადაც ადამიანში არის ლტოლვითი მხარე, იმდენად ადამიანი ბუნების არსებაა (Naturwesen), ხოლო რამდენადაც ადამიანში გონია, არქეტიპია, ადამიანი უპირისპირდება პრინციპულად ბუნებისეულს. გონი არის «Prinzip sui generis». გონი და ლტოლვა ერთმანეთზე არ დაიყვანებიან, ამიტომ უფლებაც არა გვაქვს რომელიმე მათგანი მეორეულად გამოვაცხადოთ[107]. ისინი ერთმანეთისადმი ანტაგონისტურნი კი არ არიან, არამედ ერთმანეთს ავსებენ.

მთლიან პიროვნებას (Cesamtpersönlichkeit) იუნგი უწოდებს თ ვ ი თ ო ნ ს. უკანასკნელი მოიცავს: ცნობიერებას, მე-ს, პიროვნულ და კოლექტიურ არაცნობიერს. თ ვ ი თ ო ნ არის „ღმერთის ხატი“ და „ღვთის პრინციპი“ ადამიანში[108]. თ ვ ი თ ო ნ არის მთლიანობისა და სრულყოფის არქეტიპი. აღნიშნულთან არსობრივადაა დაკავშირებული ინდივიდუაციის ცნება, რომელიც, იუნგის განცხადებით, „მისი ფსიქოლოგიის ცენტრალური ცნებაა“.

ინდივიდუაციის პროცესი მე-ს გაცნობიერება არაა, იგი ეგოცენტრიზმს არ უკავშირდება. იუნგის განმარტებით, „ინდივიდუაცია არის პროცესი, რომელიც მ თ ე ლ ს წ ა რ მ ო ქ მ ნ ი ს[109]. ინდივიდუაცია ნიშნავს ცალკეულ არსებად გახდომას, და რამდენადაც ჩვენ ინდივიდუალობის ქვეშ ჩვენი უშინაგნესი, უკანასკნელი და შეუდარებელი ერთადერთობა გვესმის, იგი ს ა კ უ თ ა რ ი თ ვ ი თ ო ნ ა დ გ ა ხ დ ო მ ა ა. ამიტომ შეგვიძლია ავრეთვე ი ნ დ ი ვ ი-

---

[107] აღნიშნულში ხედავენ იუნგის მიერ გონის რ ე ს ტ ა ვ რ ა ც ი ა ს, რომელიც დაუპირისპირდა ფროიდის მიერ გონითის დაყვანას ლტოლვაზე, მის ფაქტიურ უგულებელყოფას.

[108] Aion გვ. 43. ესაა „ფსიქოლოგიური ნაშრომების“ მე-8 ტომი. ცნობიერებაში თვითონის სიმბოლოს იუნგი უწოდებს მ ა ნ დ ა ლ ა ს (სრულყოფის სიმბოლო).

[109] Zentralblatt für Psychotherapie, 1939, 5, გვ. 257.

დუაცია გვეთარგმნა როგორც გათვითონება ან თვით-განხორციელება[110].

პიროვნებისაგან (Persönlichkeit) იუნგი განასხვავებს პერსონას (Persona). პერსონა აღმოცენდება ინდივიდის სოციალურ გარემოსთან ურთიერთობის პროცესში. „პერსონა არის... ფუნქციობის კომპლექსი, რომელიც აღმოცენდება შეგუების საფუძვლებიდან ან საჭირო მოხერხებულობიდან, მაგრამ არაა იდენტური ინდივიდუალობასთან. ფუნქციობის კომპლექსი განსაკუთრებით მიმართულია ობიექტებთან ურთიერთობაზე“[111]. პერსონა განსხვავდება ინდივიდის ნამდვილი სახისაგან. ამიტომ ამბობს იუნგი, რომ პერსონა წარმოადგენს „მხოლოდ ნიღაბს“, პიროვნების ნამდვილი ბუნების დამფარავს[112].

იუნგის მიხედვით, „არაფრად არ ღირს ბრბოს ადამიანი. იგი უბრალო ნაწილაკია, რომელსაც დაკარგული აქვს ადამიანის ყოფიერების აზრი და ამით სული“. ამიტომ ეპოქის დიდი უბედურების განკურნება შეუძლია არა გაძლიერებას „კოლექტიური ორგანიზაციებისას, რომლებიც ერთად თავს უყრის არამზა ნახევრად ადამიანებს“, არამედ მხოლოდ ყოველი ინდივიდის „სულის შინაგანი წესრიგის“ განხორციელებას. ჩვენი „არეულობის ეპოქა“ უპირისპირდება ინდივიდუალური თვითგანხორციელების, ცალკეული ადამიანის თვითონად გახდომის, ინდივიდუაციის პროცესის იდეას. ადამიანები მხოლოდ თვითონად გახდომის გზით აღწევენ ისევ შინაგან „სულიერ კავშირს“. დღეს ისინი ამოვარდნილი არიან ერთიანობიდან და მთლიანობიდან. სწორედ აღნიშნული სულიერი კავშირია ის, „რაც აკლია ჩვენს სამყაროს“ და რომელიც არ შეიძლება შენაცვლებული იქნეს არავითარი პროფესიული კავშირებით, ინტერესთა ერთიანობით, პოლიტიკური პარტიითა და სახელმწიფოთი[113]. რა თქმა უნდა, იუნგს შეგნებული აქვს სოციალურის მნიშვნელობა ადამიანისათვის, რომ ადამიანი არაა მის გარეშე, რომ მისთვის ის წარმოადგენს „ეგზისტენციის უარსებითეს პირობას“ ჰაერის მსგავსად. „მაგრამ სასაცილო იქნებოდა გვემტკიცებინა, ადამიანი მისთვის ცხოვრობს, რომ მას სუნთქვა შეეძლოს. ასევე სასაცილოა ვთქვათ,

---

[110] Beziehungen, 1938, გვ. 91.

[111] Gestaltungen des Unbewußten, 1950, გვ. 55. აღნიშნული წარმოადგენს „ფსიქოლოგიური ნაშრომების“ მე-7 ტომს.

[112] Beziehungen, გვ. 64.

[113] Gesammelte Werke, XVI, გვ. 345.

ინდივიდი არსებობს სოციალურისათვის[114]. იუნგი კითხვაზე — რა არის სახელმწიფო — ასეთ პასუხს იძლევა: „ისაა ნულების გროვა". „ბრბო უსათუოდ შთანთქავს ერთეულს, რომელიც თავის თავში არაა დაფუძნებული"[115]. არის რა ადამიანი დამცირებული სახელმწიფო მონამდე და იგი იქცევა რა „უსულო ჯოგურ ცხოველად", მას მართავს, როგორც ცხოველს, შიში და ლტოლვა, „პანიკა და ვნება". მხოლოდ ერთი ჯებირია „ბრბოს ფსიქიკაში გამოყეყეჩებისა და გახრწნის" წინააღმდეგ: ესაა — „შინაგანი განმტკიცება", „ბრბოს ფსიქიკის საწამლავის წინააღმდეგ ინდივიდის მიერ იმუნიტეტის გამომუშავება". „ცალკეულის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გარეშე არ არსებობს არავითარი ჭეშმარიტი კოლექტივი"[116].

იუნგის ანალიზური ფსიქოლოგიის მიზანია, ხელი შეუწყოს „ინდივიდუალური პიროვნების განვითარებასა და მომწიფებას", „ყოველ ინდივიდში ცხოვრების სისავსის გაშლას, რამდენადაც მხოლოდ ერთეულში შეუძლია სიცოცხლეს მისი საზრისის ასრულება"[117]. ამოცანა, რაც ისმის ადამიანის წინაშე, მიმართულია იქით, რომ ყოველი ღონე მოხმარდეს ცნობიერისა და არაცნობიერის ერთმანეთის მიმართ დაპირისპირების აღკვეთას, მათ შორის კონფლიქტის მოხსნას, რაც მოსპობს ცალცალკე მათი ავტონომიის შექმნის ცდას, რაც საფუძველს გამოაცლის პიროვნული დაავადების ტენდენციას. ჩვენმა დრომ წინ წამოსწია და მახვილი დაუსვა ადამიანის ამქვეყნიურ მხარეს, ამით მოხდა ადამიანის და მისი სამყაროს დემონიზირება. ადამიანზე დიქტატურამ განძარცვა ადამიანის იქეთა მხარე (Jenseitigkeit). ადამიანი არაცნობიერის მხსხვერპლი გახდა. ადამიანის ამოცანა ამისდა საპირისპიროდ სწორედ ის იქნებოდა, რომ არაცნობიერიდან მოზღვავებული გაცნობიერდეს, ნაცვლად მასთან გაიგივებისა ან არაცნობიერად დარჩენისა. ორივე შემთხვევაში ადამიანი არ იქნებოდა ერთგული საკუთარი განსაზღვრულობისა — ცნობიერების შექმნისა (Bewußtsein zu schaffen). ადამიანური არსებობის ერთადერთი აზრია უბრალო ყოფიერების წყვდიადში სინათლის ანთება. როგორც არაცნობიერი ჩვენზე ზემოქმედებს, ასევე აგრეთვე უნდა განივრცოს ჩვენი ცნობიერების არე არაცნობიერზე[118].

---

[114] ი ქ ვ ე, გვ. 112—113.
[115] ი ქ ვ ე.
[116] ი ქ ვ ე, გვ. 115.
[117] ი ქ ვ ე, გვ. 117.
[118] Erinnerungen, გვ. 329.

პიროვნება განსაკუთრებული ცოცხალი არსების თანშობილი თავისებურებების უმაღლესი განხორციელებაა. პიროვნების განვითარების პირველი შედეგია ცალკეული არსების ცნობიერი და უცილობელი გამოყოფა ჯოგის განუსხვავებლობისა და არაცნობიერობისაგან. ესაა **გ ა ნ მ ა რ ტ ო ე ბ ა** (Vereinsamung). მაგრამ პიროვნების განვითარება მეტია, ვიდრე განმარტოება. ეს მეტი საკუთარი კანონისადმი ერთგულებაა. ერთგულება ნიშნავს ნდობას, ნდობით ლოიალობას. ერთგულება საკუთარი კანონისადმი არის ნდობა ამ კანონისა, ლოიალური მოთმინებით ლოდინი და ნდობითი იმედი, განწყობა, რომელიც უნდა ჰქონდეს რელიგიურ ადამიანს ღმერთის მიმართ. პიროვნება ვერ განვითარდება, თუკი არ მოხდა ცნობიერად **ს ა კ უ თ ა რ ი გ ზ ი ს** არჩევა. არა მხოლოდ კაუზალურმა მოტივმა, იძულებითმა საჭიროებამ, არამედ აგრეთვე ცნობიერმა მორალურმა გადაწყვეტილების მიღებამ თავისი ძალა უნდა მოახმაროს პიროვნების განვითარების პროცესს. საკუთარი გზის შესახებ გადაწყვეტილებას მაშინ იღებენ, როცა ის საუკეთესოდაა ჩათვლილი. ის ფაქტი, რომ კონვენციები (მორალური, სოციალური, პოლიტიკური, ფილოსოფიური და რელიგიური შეთანხმებები) რომელიღაც სახით აყვავებულია, იმას ამტკიცებს, რომ ადამიანთა უმრავლესობა ირჩევს არა თავის საკუთარ გზას, არამედ კონვენციებს და ამის შედეგად ის ავითარებს არა საკუთარ თავს, არამედ კოლექტიურობას საკუთარი მთლიანობის ფასად.

რა განაპირობებს საკუთარი გზის არჩევანს და ამით მასასთან არაცნობიერი გაიგივეობიდან, როგორც წყვდიადიდან, თავის დაღწევას? ეს არ შეიძლება იყოს არც იძულებითი საჭიროება (Not) და არც მორალური გადაწყვეტილების მიღება, რადგანაც ეს ვითარებანი კონვენციებთან კავშირს გულისხმობენ. საკუთარი გზის არჩევანს განაპირობებს ხვედრი, მოწოდება (Bestimmung). ეს ის ფაქტორია, რომელიც გვიბიძგებს განვთავისუფლდეთ ჯოგისაგან და მისი გაკვალული გზიდან. ხვედრი პიროვნებაში მოქმედებს ღვთის კანონის დარად, რომელმაც გადახვევა არ იცის. პიროვნებამ უნდა უსმინოს საკუთარ კანონს, თითქოს ის იყოს დემონი, რომელიც მას ახალი, უცხო გზის შესახებ ჩასჩურჩულებს. ვისაც ხვედრი აქვს, მას ესმის შინაგანის ხმა, ის განსაზღვრულია (ist bestimmt). ისტორიულად ასეთი იყო სოკრატი.

მხოლოდ ის, ვისაც შეუძლია ცნობიერად დაეთანხმოს შინაგანი ხვედრის ძალაუფლებას, ხდება პიროვნება. პიროვნება მსხვერპლად

ეწირება საკუთარ ხვედრს თავისუფალი ნების გადაწყვეტილებით და მას თარგმნის ცნობიერებით საკუთარ ინდივიდუალურ სინამდვილეზე. შინაგანის ხმა, die Be-stimmung ძალით სავსე ობიექტურ-ფსიქიკურია. აღმოჩენილი გზა ჩვენში არის ფსიქიკურად ცოცხალის მსგავსი, რომელსაც კლასიკური ჩინური ფილოსოფია უწოდებს „ტაო-ს". ტაო შედარებულია წყლის მდინარებასთან, რომელიც გარდუვლად მიემართება საკუთარი „მიზნისაკენ". ტაო-მდგომარეობაში ყოფნა ნიშნავს: დასრულებულობას, მთლიანობას, განხორციელებულ ხვედრს, დასაწყისსა და მიზანს, საგნებში თანშობილობის საზრისის სრულ განხორციელებას. პიროვნება არის ტაო[110].

კ. გ. იუნგის აზრით, რაც აქ ითქვა პიროვნების შესახებ მხოლოდ ცდაა პრობლემასთან მიახლოებისა და არა მისი გადაწყვეტის განზრახვა. ეს ცდა უფრო პიროვნების ფსიქოლოგიური პრობლემის აღწერაა.

§ 4. **კრიტიკული შეფასება.** იუნგის ფსიქოლოგიური კონცეფციის კრიტიკული ანალიზის დროს ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფილოსოფიურ წანამძღვრებს, რომლებიც საფუძვლად ედებიან და განსაზღვრავენ ანალიზური ფსიქოლოგიის თეორიას. აღნიშნულის გაცნობიერება საშუალებას მოგვცემს, ვწვდეთ ამ ფსიქოლოგიური თეორიის არსს, ცხადვყოთ მისი მეცნიერული ბუნება.

სიღრმისფსიქოლოგიური მიმდინარეობისათვის საერთოდ დამახასიათებელია დუალისტური თვალსაზრისზე დგომა, რადგანაც აქ წამოყენებულია ფსიქიკის თვითკმარობისა და დახშული სისტემის სახით არსებობის თეზისი. სიღრმის ფსიქოლოგიის ფუნდამენტალური ცნება არაცნობიერი ფსიქიკისა ეფუძნება ონტოლოგიური დუალიზმის მსოფლმხედველობას. აქ პრინციპში უარყოფილია ცნობიერი ფსიქიკის განპირობებულობა ფიზიოლოგიური სინამდვილით, ცნობიერი ფსიქიკა ჩათვლილია არაცნობიერი ფსიქიკის პროდუქტად, მის გამოვლინებად.

ონტოლოგიური დუალიზმის საფუძვლებზე დგომა კარგად ჩანს იუნგის ფსიქოლოგიური თეორიის ანალიზიდან. ჩვენი ავტორის გაგებით, ფსიქიკა წარმოადგენს თვითკმარ სინამდვილეს და იგი დახასიათებულია როგორც თვითრეგულირებადი. ფსიქიკა არაა ეპიფენომენი. შემოქმედებითობა მისი არსებითი ნიშანია. ცნობიერი ფსიქიკის მრავალფეროვნება ემყარება არაცნობიერი ფსიქიკის (პიროვ-

---

[110] Wirklichkeit der Seele, Vom Werden der Persönlichkeit, Zürich-Stuttgart, 1961, გვ. 135—151.

ნული და კოლექტიური არაცნობიერი ფსიქიკის) მოქმედებას. ფსიქოლოგიამ, როგორც ემპირიულმა მეცნიერებამ, უნდა იხელმძღვანელოს ფილოსოფიური ასპექტით ჯერ კიდევ გადაუჭრელი, მაგრამ ემპირიული ძიებისათვის ერთგვარად გამართლებული წინასწარ მიღებული თვალსაზრისით — ფსიქიკის დამოუკიდებელი რეალობის სახით წარმოდგენისა. ფსიქიკა დაკავშირებულია ტვინთან, მაგრამ ფსიქიკის შემეცნება უნდა მოხდეს ტვინის გამოყენების გარეშე. აღნიშნული თვალსაზრისის მიღება ამართლებს ფსიქიკის თვითკმარი სინამდვილის სახით გააზრებას.

ანალიზური ფსიქოლოგიის ავტორი, მართალია, ზოგ მომენტში ბოლომდე განუხრელად ვერ იცავს ზემოაღნიშნულ თეორიულ პრინციპს, მაგრამ ერთი რამ უდავოა, მასთან არაცნობიერი ფსიქიკის აღიარებისა და დასაბუთების ცდის საკითხში ეს თეორიული წანამძღვარი გადამწყვეტ როლს თამაშობს.

იუნგის ონტოლოგიური დუალიზმის პოზიციაზე დგომას თან ერთვის გნოსეოლოგიური სკეპტიციზმი და ფსიქოლოგიზმი. ადამიანური შემეცნება, ავტორის რწმენით, შეუძლებელია გასცდეს საალბათო საფეხურს, ჰიპოთეზის სფეროს. ჩვენი ცოდნა, საერთოდ და ფსიქიკის შესახებ, კერძოდ, უნდა შეფასდეს როგორც „თითქოს"; ე. წ. მეცნიერული ცოდნა არაა თავისთავად არსებული ობიექტური საქმის ვითარების ადეკვატური ასახვა, ის ფიქციური ბუნებისაა. მეორე მხრით, „ყოველი წვდომა და ყველა ნაწვდომი ფსიქიკურია"[120].

ანალიზურ ფსიქოლოგიაში ფსიქიკური ენერგიის ცნება სწორედ რომ ასეთია; ეგი რეალური ფსიქიკური გარკვეულობის აღმნიშვნელი კი არაა, არამედ წარმოადგენს საშუალებას გონითი ოპერაციისათვის ფსიქიკის ფარგლებში. იუნგი წერს: „ისევე როგორც ძველ ბუნებათმეცნიერებაში მუდამ იყო ლაპარაკი ბუნებაში ურთიერთკავშირებზე და შემდეგ განხილვის ეს ძველი წესი შეიცვალა ენერგიის შენახვის კანონით, ასევე ვცდილობთ ჩვენ აქ, ფსიქოლოგიის სფეროში, ერთმანეთთან კოორდინირებული სულიერი ძალების ურთიერთკავშირის შეცვლას ერთნაირად მოაზრებული ენერგიით. მკაცრად აღებული, ერთმანეთში გადადიან არა ფიზიკური ძალები, არამედ ენერგია ცელის მათი გამოვლენის ფორმას. ძალები ფენომენალურია. რაც ძევს მათი ეკვივალენტური მიმართების ძირში, ესაა ენერგიის ჰიპოთეზური ცნება, რომელიც, ბუნებრივია, სავსებით

[120] Erinnerungen, გვ. 354.

ფსიქოლოგიურია და არაფერი ესაქმება ეგრეთ წოდებულ ობიექტურ რეალობასთან". ფსიქიკური ენერგია წარმოადგენს „არა მხოლოდ არაკონკრეტულ ან არაცნობილ, არამედ უბრალო X-ს, ...წმინდა ჰიპოთეზას, სურათს ან საანგარიშო ნიშანს"[121]. „ენერგია როგორც მისი კორელატი დროის ცნება, წარმოადგენს უშუალოდ ჭვრეტის აპრიორი მოცემულ ფორმას"[122]. მაშასადამე, ფსიქიკური ენერგია ფსიქიკური სინამდვილის საკუთარი ბუნების მაჩვენებელი არაა და ამიტომაც ის ვერაფერს იტყვის ვერც არაცნობიერი ფსიქიკის რეალურად არსებობის შესახებ.

ანალიზურ ფსიქოლოგიაში არაცნობიერი ფსიქიკის შინაარსი სამი მნიშვნელობითაა წარმოდგენილი: ფსიქიკური ენერგია, პიროვნული არაცნობიერი ფსიქიკა და კოლექტიური არაცნობიერი ფსიქიკა. ფსიქიკური ენერგია, რომელიც ფსიქიკური მოვლენების საფუძველში მდებარეადაა წარმოდგენილი და, ამდენად, ფსიქიკის არაცნობიერ სფეროს განეკუთვნება, როგორც გაირკვა, არ წარმოადგენს რეალობას[123]. ამიტომ მისი ონტოლოგიური დასაბუთების საკითხი არც ისმის. სამაგიეროდ ანალიზურ ფსიქოლოგიაში არის ცდა პიროვნული და კოლექტიური არაცნობიერი ფსიქიკის ფენების დასაბუთებისა.

არაცნობიერი ფსიქიკის არგუმენტაციას იუნგთან ზემოთ გავეცანით. იქ მითითებული იყო, რომ ასოციაციის მეთოდით მიღებული შედეგები, სახელდობრ, რომ პასუხებში შეფერხებათა რაოდენობა და თვითონ დროში შეფერხების გახანგრძლივება წამოყენებულია საბუთად არაცნობიერი ფსიქიკისა. ზემოაღნიშნული ფაქტიური მდგომარეობიდან იმ დასკვნის გამოტანა, რომ სწორედ არაცნობიერი ფსიქიკაა მიზეზი რეაქციის გახანგრძლივებისა, ადვილად შესამჩნევ ლოგიკურ შეცდომას petitio principii-ს წარმოადგენს. აქ წინასწარვე გადაჭრილადაა ნაგულისხმევი საკითხი, რისი უშუალო დადასტურებაც ემპირიულ მოცემულობას მოეთხოვება. იუნგთან ამ შემთხვევაში თავიდანვე მიღებულია დებულება: შეფერხება ცნობიერებაში შეიძლება გამოიწვიოს მხოლოდ იმ ფსიქიკამ, რომელიც არაცნობიერად არსებობს, დადასტურდა შეფერხების აქტი, მაშასადამე, იგი გამოწვეულია არაცნობიერი ფსიქიკით. იმთავითვე უარყოფილია აზრი

[121] Über Energetik der Seele, გვ. 48.

[122] «Alles Begreifen und alles Begriffene ist an sich psychisch, und insofern sind wir in einer ausschließlich psychischen Welt hoffnunglos eingeeschlossen». Erinnerungen. გვ. 354.

[123] დასაზუსტებელია ლიბიდოს შინაარსიც. მასში იგულისხმება იუნგთან როგორც ფსიქიკური ენერგია საერთოდ, ისე სიცოცხლის ენერგიაც. ეს შინაარსები, რა თქმა უნდა, ეკვივალენტური არაა.

შეფერხების მიზეზად, არაფსიქიკურის, მაგალითად, ფიზიოლოგიურის შეწყნარებისა[124].

ასოციაციის მეთოდით მიღებული ფაქტიური ვითარება, როგორც ასეთი, არაფრის მთქმელია არაცნობიერი ფსიქიკის რეალობის სასარგებლოდ. ის ამ უკანასკნელს ვერ ასაბუთებს, რადგანაც საერთოდ პრინციპულადაა შეუძლებელი არაცნობიერი ფსიქიკის ჰიპოთეზის ფაქტობრივი, ემპირიული დასაბუთება. ამიტომაც ასოციაციის მეთოდით მიღებული შედეგები არ შეიძლება ჩაითვალონ არც „სულის არაცნობიერი სფეროს ახალ დასაბუთებად“ და არც „შესაძლებლობად, უშუალოდ ვაკვირდებოდეთ და ექსპერიმენტულად ვიკვლევდეთ სულის არაცნობიერი სფეროს ზემოქმედებას“. არაცნობიერ ფსიქიკაში, როგორც ცნობილია, იგულისხმება ისეთი რამ, რაც ცნობიერებისაგან დამოუკიდებელი არსებობაა და ცნობიერებაში თავისი უშუალობით არ შეიძლება მოგვეცეს, ამდენად საფუძველი არ გვაქვს ვილაპარაკოთ ასეთი გარკვეულობის (resp. არაცნობიერი ფსიქიკის) ცნობიერებით დადასტურებაზე პირდაპირ, ე. ი. მის ემპირიულად. ცდაში, გამოცდილებაში მოცემულობაზე, მის ფაქტობრიობაზე. აღნიშნული ვითარება შეუძლებელს ხდის როგორც თვითონ არაცნობიერ ფსიქიკაზე, ასევე მისით შედეგების გამოწვევის პროცესზე დაკვირვებას. იუნგმა ხომ თვითონ აღიარა; „უნდა გავიმეორო, რომ არაცნობიერის კვლევა არ შეგვიძლია ე მ პ ი რ ი უ ლ ა დ ო...[125].

იუნგი, მეორე მხრით, გვთავაზობს კოლექტიური არაცნობიერი ფსიქიკის დასაბუთების ცდას, რაც დაკავშირებულია არქეტიპის ცნებასთან. ავტორთან არქეტიპი გააზრებულია, როგორც ადამიანის ფსიქიკის თანშობილი გარკვეულობა, რომელიც განაპირობებს ცნობიერი ფსიქიკის შინაარსების კონკრეტული სახით ფორმირებას.

იუნგი თავისთავადი არქეტიპის შინაგანი ბუნების შესახებ,

---

[124] როგორც ზემოთ აღინიშნა, იუნგი ფსიქიკის დახშული და თვითკმარი სინამდვილის სახით წარმოდგენას პროვიზორულად თვლის, რამდენადაც ჯერ კიდევ არაა საბოლოოდ გადაწყვეტილი ფსიქო-ფიზიკური ურთიერთობის საკითხი. თუკი ავტორის მიერ არ იქნებოდა დავიწყებული აღნიშნული მეთოდოლოგიური მრწამსი თავის შედეგებითურთ, მას უფლება არ ექნებოდა, კატეგორიულად განეცხადებინა —„ფანტაზიის სფეროს არ სცილდება არაცნობიერის გამოცხადება ფიზიოლოგიური პროცესის სახით“. Psychologische Typen, Definition 57.

[125] «Ich muß wiederholen, daß wir das Unbewußte nich e m p i r i s c h erforschen können». Über Grundlagen der analytischen Psychologie, გვ. 77.

სხვადასხვა დროს განსხვავებულ შეხედულებას გამოთქვამდა. პირველად ის იცავდა აზრს, რომ არქეტიპი გამოცდილების ნიადაგზეა მიღებული, წარმოშობილი, ამიტომაც მას უწოდებდა „კაცობრიობის გამოცდილების ნალექს“, „ტიპიური გამოცდილების ანაბეჭდს“, „წინაპართა ნაშთს“[126]. მოგვიანებით იუნგი აღარ სვამს თავისთავადი არქეტიპის გენეზისის საკითხს: „წარმოშობილია თუ არა საერთოდ სულიერი სტრუქტურა და მისი ელემენტები — არქეტიპები, ეს მეტაფიზიკის საკითხია და ამიტომაც პასუხგაუცემელი“[127]. აღნიშნული ვითარების გათვალისწინება, რა თქმა უნდა, გარკვეული კუთხით, იუნგის თვალსაზრისის არათანამიმდევრულობაზე მეტყველებს. მაგრამ საკითხი, რაზედაც საჭიროა პასუხის გაცემა, ასე ისმის: რა არის ის საფუძველი, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ ცნობიერ ფსიქიკაში გამოვლენილი შინაარსები. ე. წ. არქეტიპული წარმოდგენები, სწორედ რომ არიან არაცნობიერი ფ ს ი ქ ი კ ი ს პროდუქტები. იუნგის მოსაზრება, რომ ფსიქიკაც ისტორიის შემოქმედია, რომ ადამიანის ფსიქიკას არ შეიძლება არ გააჩნდეს ბიოლოგიური, წინაისტორიული და არაცნობიერი (resp. გაუცნობიერებელი), შეუგნებელი განვითარება, ბუნებრივი და მისაღები ჩანს. ასევე გარკვეული თვალსაზრისით, სადაც არ შეიძლება იყოს არც თანამედროვე ადამიანის ფსიქიკაში მითოლოგიური მოტივებისა და პრიმიტიული სულის პროდუქტების ერთგვარი პარალელების ძიება და დადასტურება, მაგრამ ეს მსჯელობები არ წარმოადგენენ არგუმენტებს, რომლებსაც შეუძლიათ დაადასტურონ თავისთავადი არქეტიპის ფსიქიკურობა. იუნგის მსჯელობა — დასკვნა, რომელიც ეხება თავისთავადი არქეტიპის არსებობის ბუნების გარკვევას, წარმოადგენს დასკვნას მიზეზიდან შედეგზე. ასეთი დასკვნა ონტოლოგიური საკითხის საბოლოო გადაწყვეტის საქმეში საკმაო საფუძველს მოკლებულია. აქ საქმე გვაქვს არაცნობიერი ფსიქიკის არაპირდაპირ დასაბუთებასთან: ცნობიერებას ევალება დაადასტუროს ის, რაც ცნობიერების შინაარსის უშუალო მიზეზია, მაგრამ ეს მიზეზი ცნობიერებას არ შეიძლება მიეცეს. ესაა ცნობიერების ფსიქიკური შინაარსით არაცნობიერის ფსიქიკის დასაბუთების არამართებული გზა

[126] «Niederchläge stets sich wiederholender Erfahrung der Menschheit»; «Einprägungen immer wiederholter Erfahrungen»; «Die Reste des Ahnenlebens». Über die Psychologie des Unbewußten, გვ. 126, 150.

[127] Von den Wurzeln des Bewußtseins, გვ. 112. ავტორი იგივე აზრს გამოთქვამს „ფსიქოლოგია და ალქიმიაში„ (1944), გვ. 128: «Wir wissen einfach nicht, woraus der Archetyp in letzter Linie herzuleiten ist, so wenig wir den Ursprung der Seele kennen».

და მაინც იუნგი თუკი იცავს აზრს, რომ „ცნობიერება არის არაცნობიერი სულის გვიანდელი ნაშიერი“[128], ეს ონტოლოგიურ დუალიზმზე მისი დგომიდან გამომდინარე შედეგია.

იუნგმა არაცნობიერი ფსიქიკის პიროვნული და კოლექტიური რომელობები დაუპირისპირა ერთმანეთს, როგორც სუბიექტური და ობიექტური ფსიქიკა. პიროვნული არაცნობიერი ფსიქიკის რომელობა ერთი ასპექტით მან დაახასიათა როგორც ცნობიერების ფსიქიკური შინაარსები, რომლებიც გარკვეული გარემოების გამო, ცნობიერების ფარგლებს გარეთ არსებობენ, მოკლებულნი არიან ცნობიერების ნიშანს[129]. ხოლო კოლექტიური არაცნობიერი ფსიქიკა, როცა ის უპირისპირდება პიროვნულ არაცნობიერ ფსიქიკას, ანალიზურ ფსიქოლოგიაში წარმოდგენილია გარკვეულობის ფორმით, რომლის ფსიქიკურ რომელობაში დარწმუნებულნი ვართ, მაგრამ მის ონტოლოგიურ სახეზე არაფერი ვიცით, ამგვარი დაპირისპირების დროს ისმის კითხვა: თუკი დავდგებით პრინციპულ პოზიციაზე, რომელიც გამომდინარეობს არაცნობიერი ფსიქიკის პირდაპირი ხილვის შეუძლებლობის ფაქტიური ვითარებიდან — „სანამ ისინი (არაცნობიერი პროცესები — ვ. კ.) არაცნობიერია, მათ შესახებ, ბუნებრივია, არაფრის თქმა არ შეიძლება“ — მაშინ როგორ მოხერხდებოდა პიროვნული არაცნობიერის ფსიქიკის ფენომენალური დახასიათება? საიდან ვიცით, რომ პიროვნულ ფსიქიკას მხოლოდ ცნობიერების ნიშანი აკლია, სხვა მხრივ კი იგი იგივეობრივია ცნობიერი ფსიქიკური შინაარსისა? იუნგის განმარტება პიროვნული არაცნობიერი ფსიქიკისა, რა თქმა უნდა, დოგმატურ პოზიციაზე დგომას ნიშნავს.

---

[128] «Das Bewußtsein ist ein spätgeborener Nachkomme der unbewußten Seele». Wirklichkeit der Seele, 1947, გვ. 8.

[129] იუნგი არაცნობიერი ფსიქიკის მოცულობაში გულისხმობს ორ შინაარსს: იმას, რაც ცნობიერების გარეშეა, და იმას, რაც ცნობიერების ფარგლებშია. მაგრამ შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ის, რაც ცნობიერების გარეშეა, პრინციპულად არ განსხვავდებოდეს იმისაგან, რაც ცნობიერების ფარგლებშია. იუნგი არაცნობიერის მთელ შინაარსს შემდეგნაირად აყალიბებს: «Alles, was ich weiß, an das ich aber momentan nicht denke; alles, was mir einmal bewußt war, jetzt aber vergessen ist; alles, was von meinen Sinnen wahrgenommen, aber von meinem Bewußtsein nicht beachtet wird; alles, was ich absichts— und aufmersamkeitslos, d. h. unbewußt fühle, deke, erinnere, will und tue; alles zukünftige, das sich in mir vorbereitet und später erst zum Bewußtsein kommen wird; all das ist Inhalt des Unbewußten». Von den Wurzeln des Bewußtseins, 1954, გვ. 536.

იუნგის მიერ არაცნობიერი ფსიქიკის გამართლებისათვის მომარჯვებულია სულის თანშობილობის იდეაც. ინდივიდს დაბადებისთანავე აქვს მემკვიდრეობით მოტანილი ფსიქიკური შესაძლებლობანი; სული სუფთა დაფა არაა და ამიტომ ის, რაც თანდაყოლილია სულისთვის, წარმოადგენს არაცნობიერი ფორმით არსებულ ფსიქიკას[130]. ადამიანში თავიდანვე არის კოლექტიური ფსიქიკის უნარები, არქეტიპი ეს „ინსტინქტური მიდრეკილებაა", „წარმოდგენის შესაძლებლობაა", „ფსიქიკური ფუნქციის თანშობილი მოდუსია", „სულის ორგანოა" და ა. შ.

იუნგის ზემოაღნიშნულ მსჯელობას ასოციაციით გადავყავართ იმ ფილოსოფიური დისკუსიის არეში, რომელიც წარმოებდა სულის თანშობილი იდეების საკითხთან დაკავშირებით. დღეს კარგადაა ცნობილი, რომ ემპირიზმის ბრძოლა რაციონალიზმის წინააღმდეგ არ ითვალისწინებდა პრობლემის ყველა ასპექტს. ემპირიზმი მართალი იყო თეზისის არგუმენტაციაში, რომ სულს, გონებას არ გააჩნია მზამზარეული თანდაყოლილი შინაარსები. რაციონალიზმი მართალი იყო იმის მტკიცებაში, რომ სულის თანდაყოლილობა ეხება გონებისეულ უნარებს, რომ ინდივიდის გონებას აქვს მიდრეკილებების, გონებისეული შესაძლებლობების განხორციელების შანსი.

რა თქმა უნდა, იუნგი არ იზიარებს შეხედულებას ცნობიერების თანშობილი შინაარსების შესახებ. მას თანშობილად მიაჩნია ე. წ. „წარმოდგენის შესაძლებლობა", რომელსაც შემდეგ შეუძლია ცნობიერების შინაარსების მოწესრიგება და თვითონ ამ შინაარსების წარმოშობა. იუნგი სულის ე. წ. თანშობილ მიდრეკილებებს ფსიქიკის სფეროს მიაკუთვნებს. გასარკვევი ისაა, თუ რა საფუძველი არსებობს სულის, გონის თანშობილი უნარები, შესაძლებლობები ჩაითვალოს ფსიქიკად. იუნგი საგანგებოდ არ ჩერდება ამ საკითხების გარჩევაზე. მასთან თავიდანვე დაშვებულია, რომ, ის რაც მატერიალური (ფართო მნიშვნელობით) არაა, ფსიქიკურია. იდეალური და გონითი სამყარო ჩვენი ავტორის მიერ ფსიქიკურ სინამდვილესთან არის გაიგივებული, „გონი ფსიქიკური ფენომენია"[131].

მეორე მხრივ, არის საფუძველი, იქ, სადაც იუნგი მსჯელობს

---

[130] «...sie (ბავშვის ფსიქიკა—ვ. კ.). ist allbereits erkennbar individuell praeformiert und darüber hinaus mit allen spezifisch menschlichen Instinkten ausgerüstet, so auch mit den apriorischen Grundlagen höherer Funktionen». Erinnerungen, Träume, Gedanken von C. G. Jung, გვ. 351.

[131] Psychologie und Erziehung, გვ. 47.

არაცნობიერ ფსიქიკაზე, როგორც „სულის ორგანოზე", „შესაძლებლობაზე", „მიდრეკილებაზე", „ფუნქციობის თანშობილ მოდუსზე" და ა. შ. ვიგულისხმოთ არა ფსიქიკის მასალითი შედგენილობა, არამედ ფსიქიკის კანონზომიერება, კანონი. მაგალითად, იუნგი წერს: „ისევე, როგორც ცოცხალი სხეული თავისი განსაკუთრებული თვისებებით წარმოადგენს გარემო პირობებისადმი შეგუების ფუნქციების სისტემას, ასევე სულსაც უნდა აღმოაჩნდეს ამგვარი ორგანო, ანუ ფუნქციების სისტემები, რომლებიც, შეესატყვისებიან კანონზომიერ ფიზიკურ შემთხვევებს. აღნიშნულში მე ვგულისხმობ არა ორგანოთი განპირობებულ შეგრძნებათა ფუნქციებს, არამედ, პირიქით, ფიზიკური კანონზომიერების ფ ს ი ქ ი კ უ რ ი პარალელური მოვლენების სახეს"[132]. ასეთი ინტერპრეტაციის შემთხვევაში სულის, გონის თანშობილი უნარები და შესაძლებლობანი ეკვივალენტური ხდება ფსიქიკის არაცნობიერი კანონისა. აქაც უნდა გაირჩეს საკითხი, თუ რას წარმოადგენს ფსიქიკის კანონი — ფსიქიკურს თუ არაფსიქიკურს? თუ ფსიქიკის არაცნობიერი კანონი ფსიქიკურია, მაშინ რადენადმე გამართლებული ჩანს არაცნობიერ ფსიქიკაზე მსჯელობა, როგორც ისეთ ფსიქიკურ გარკვეულობაზე, რომელიც ცნობიერების მიღმაა და ცნობიერების შინაარსის ფორმა არ გააჩნია და ამასთან ცნობიერ ფსიქიკურ შინაარსებსა და პროცესებს მართავს.

ანალიზურ ფსიქოლოგიაში ნათლად არც ისაა ნაჩვენები, თუ რა უნდა იგულისხმებოდეს არაცნობიერ ფსიქიკაში, როცა ის ცნობიერი ფსიქიკის წარმომქმნელადაა დასახული: ცნობიერი ფსიქიკის არაცნობიერი კანონი, არაცნობიერი ფსიქიკის მასალითი რეალობა, თუ არაცნობიერი ფსიქიკის მასალითი რეალობის არაცნობიერი კანონი? სხვა ასპექტით ეს ვითარება ასე შეიძლება დახასიათდეს: საერთოდ ცნობიერი ფსიქიკის პროცესებს მართავს ცნობიერი ფსიქიკის არაცნობიერი კანონი, თუ არაცნობიერი ფსიქიკის არაცნობიერი კანონი? რა კონკრეტულ სახეს მიიღებს ეპიფენომენალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ცნობიერი ფსიქიკის ასპექტით: საერთოდ ფსიქიკა არაა ტვინის ეპიფენომენი, მაგრამ ცნობიერი ფსიქიკა იქნება თუ არა არაცნობიერი ფსიქიკის ეპიფენომენი?

იუნგთან შეინიშნება წინააღმდეგობა იმ დახასიათებაში, რომელიც მოცემულია კოლექტიური არაცნობიერი ფსიქიკის კუთხით. საქმე ისაა, რომ თავისთავად არქეტიპს, როგორც ფსიქიკურ გარკვე-

---

[132] Seelenprobleme der Gegenwart, გვ. 166.

ულობას, უპირისპირდება მისი ფ ს ი ქ ო ი დ ა დ წარმოდგენა[133], ხოლო ფსიქიკის დახშულ და თვითრეგულირებად სინამდვილედ გააზრებას — არქეტიპის ტვინის ფუნქციად გამოცხადება[134].

მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ იუნგი მერყეევ პოზიციაზე დგას არაცნობიერი ფსიქიკის გააზრების საქმეში. იუნგი როგორც ემპირიკოსი-მკვლევარი მოიხმარს არაცნობიერი ფსიქიკის ცნებას და მისი შესატყვისი შინაარსი ნამდვილად არსებულად მიაჩნია. იუნგი როგორც თეორეტიკოსი-ფილოსოფოსი, მართალია, უშვებს არაცნობიერი პროცესების არსებობას, მაგრამ მისი ნამდვილი ბუნების ჩვენების შესაძლებლობას უარყოფს[135]. ამიტომ მსჯელობა არაცნობიერზე, როგორც ფსიქიკურ ვითარებაზე პირობითია, ჰიპოთეზური დაშვებაა. თუკი არაცნობიერი ფსიქიკა, მართლაც, ჰიპოთეზურის ფარგლებს პრინციპულად არ შეიძლება გასცდეს, მაშინ მთელი შენობა ანალიზური ფსიქოლოგიისა, როგორც ფსიქოლოგიური თეორიისა, რომელიც ცდილობს არაცნობიერი ფსიქიკის ფარგლებში კვლევა-ძიების წარმართვას, რადგანაც არაცნობიერი ფსიქიკაა მისი ამოსავალი, პირობითი მსჯელობების ერთიანობად იქცევა, რადგანაც მას რეალურ სინამდვილესთან არაფერი ესაქმება. ეს კი იმთავითვე მეტყველებს მისი მეცნიერული ღირებულების შესახებ.

ანალიზური ფსიქოლოგია კონცეფციის ავტორის მიერ ბუნებისმეტყველური ტიპის მეცნიერებადაა ჩათვლილი[136]. ამ დებულებას ერთვის განმარტება, რომ ანალიზური ფსიქოლოგია „ახალი სახის ბუნებისმეტყველური ფსიქოლოგიაა", რომელიც „ემყარება უშუალო გამოცდილებას". არაცნობიერი არაა უშუალო გამოცდილების ობიექტი. უშუალო გამოცდილება ცნობიერების ფენომენებს ეხება, რომლიდანაც უნდა მოხდეს შეღწევა მათ საფუძველში მდებარის

---

[133] Von den Wurzeln des Bewußtseins, გვ. 497, 576. Naturerklärung und Psyche, 20, 66, 102.

[134] «Diese unpersönliche Seelenschicht nenne ich das k o l l e k t i v e U n b e w u ß t e. «Kollektiv», weil es nicht ein individuell Erworbenes ist, sondern das Funktionieren der ererbten Gehirnstruktur...» Psychologie und Erziehung, გვ. 95.

[135] «Die Frage, in welchem Zustande sich ein unbewußter Inhalt befindet, solange er nicht aus Bewußtsein angeschlossen ist, entzieht sich jeder Erkenntnismöglichkeit». Psychologische Typen, 1930, Definition 57; შეად. Erinnerungen, Träume, Gedanken von C. G. Jung, გვ. 354, სადაც შემდეგია აღნიშნული: «Insofern sich aber Archetypen als wirksam erweisen, sind sie w i r k l i c h, wenn ich schon nicht weiss, was ihre reale Natur ist».

[136] Erinnerungen, Träume, Gedanken von C. G. Jung, გვ. 204.

პროცესში, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს გზა შემეცნებისათვის დახშულია. ანალიზური ფსიქოლოგია რომ ბუნებისმეტყველური თეორიაა, ამაზე მეტყველებს, იუნგის მიხედვით, ფსიქიკის შემეცნების მიზანი და საშუალება. ის, ფიზიკის მსგავსად, არ სვამს საკითხს ნამდვილად არსებულის შესახებ, კმაყოფილდება ემპირიული ფაქტობრიობის დადგენით და მის ჰიპოთეზურ საფუძველზე მითითებით. ფსიქოლოგიამ უნდა გამოიყენოს ფსიქიკური სინამდვილის განზომილებით ის კატეგორიები, რომლებითაც საკუთარი ინტერესებისათვის მუშაობს ფიზიკა. მექანიკური და ენერგეტიკული განხილვის წესით დახასიათებული ფსიქიკა არ შეიძლება არ იყოს ბუნებისმეტყველების კომპეტენციაში. „სიახლე" ფსიქოლოგიისა ეხება სწორედ ფსიქიკის ფარგლებში ახალი მონაკვეთის, ე. წ. „ყამირის", კოლექტიური არაცნობიერის ჰიპოთეზის დაშვებას, რაზედაც ვრცელდება ბუნებისმეტყველური თვალსაზრისი. ცნებები: ლიბიდო, კომპენსაცია, პოლარიზმი და ა. შ. მათგან გამომდინარე შედეგებით, ფიზიციზმის ნაყოფია ფსიქოლოგიაში, რომელიც უპირისპირდება ფსიქიკის რომელობითი ბუნების დახასიათებას.

მართალია, იუნგს არ განუზრახავს ფსიქიკის მთლიანი თეორიის მოცემა, როგორც თვითონ აცხადებს, მისი ცდა ერთგვარ წინასწარ მომზადებას წარმოადგენს ფსიქიკის შესახებ ერთიანი სურათის ჩამოყალიბების საქმეში, მაგრამ ეს ვითარება ვერ გაამართლებს ავტორის წინააღმდეგობრივსა და სადავო შეხედულებებს მთელი რიგი პრინციპული მნიშვნელობის საკითხებზე მსჯელობის დროს.

როცა საკითხი ისმის ცხოველისაგან ადამიანის განსხვავებისა, უნდა დავეთანხმოთ იუნგს, რომ რეფლექტორული ცნობიერების თვისება ჩაითვლება ადამიანის ერთ-ერთ სპეციფიკურ ნიშნად. სავსებით მისაღები ჩანს იუნგის მოთხოვნა ადამიანის ინდივიდის შესაძლებლობათა მაქსიმალურად გამოვლენისა და მისი ჰარმონიული განვითარების თაობაზე. სწორია იუნგის პოზიცია სოციალური მნიშვნელობის შესახებ ადამიანისათვის იმ ასპექტით, რომ სოციალური ადამიანის „ეგზისტენციის უარესებითესი პირობაა", მაგრამ ადამიანის არსი მასზე არ დაიყვანება. იუნგი სამართლიანად ილაშქრებს ადამიანის „უსულო ჯოგურ ცხოველად" გადაქცევის წინააღმდეგ, რომ ადამიანს არ უნდა წარმართავდეს შიში და ლტოლვა, „პანიკა და ვნება", რომ ადამიანის ნამდვილ კოლექტივს ინდივიდების თავისუფლებისა და შეგნების მაღალ დონეზე დამყარებული ურთიერთობა ქმნის.

მაგრამ ამასთანავე პრინციპულად მიუღებელია იუნგის მტკიცება ადამიანის უსასრულო ღვთაებისაგან გამოყოფის შესახებ, რომ მთლიანი პიროვნება წარმოადგენს „ღმერთის ხატსა“ და „ღვთის პრინციპს“ ადამიანში. საფუძველსაა მოკლებული ანალიზური ფსიქოლოგიის ცდაც, სოციალური წარმოგვიდგინოს როგორც პიროვნების ნამდვილი ბუნების დამამახინჯებელი ფაქტორი. იუნგი ადამიანის ინდივიდუალური შესაძლებლობების სისავსით გაშლას აფუძნებს სულის (ფსიქიკის) შინაგანი წესრიგის ფაქტორზე, რომელიც მას წარმოუდგენია ცნობიერი და არაცნობიერი მხარეების ჰარმონიული ურთიერთობის სახით. იუნგს საზოგადოებრივი განვითარების, პროგრესის პირობადაც ადამიანის ფსიქიკის „შინაგანი წესრიგის“ მომენტი მიაჩნია. ამდენად, იგი ფსიქოლოგიურ ფაქტორს გადამწყვეტ როლს ანიჭებს და, როგორც ფსიქოლოგისტი, უპირისპირდება საზოგადოების განვითარების ეკონომიკურ საფუძვლებზე აგებულ თეორიას, მარქსიზმს.

თავი IV

ინდივიდუალფსიქოლოგია (ალფრედ ადლერი 1870 — 1937)

§ 1. ინდივიდუალფსიქოლოგიის ზოგადი დახასიათება. ალფრედ ადლერის თეორია ინდივიდუალფსიქოლოგია, გავრცელებულია შეხედულების მიხედვით, ცნობილია როგორც სილრმის ფსიქოლოგიის ერთ-ერთი მიმართულება. მე-20 საუკუნის დასაწყისში ა. ადლერი ზ. ფროიდის ფსიქოანალიზის მიმდევარი და დამცველია. 1911 წელს ის ეთიშება ფსიქოანალიზურ მიმდინარეობას და აარსებს „თავისუფალი ფსიქოანალიზის წრეს", რომელსაც ერთი წლის შემდეგ ეწოდა „ინდივიდუალფსიქოლოგიის წრე"[1].

ა. ადლერის ინდივიდუალფსიქოლოგია (Individualpsychologie) საპირისპიროდ ინდივიდუალური ფსიქოლოგიისა (individuelle Psychologie) სპეციფიკური საქმის ვითარების ამსახველია[2]. იგი განსხვავდება იმ შინაარსისაგან, რომელიც იგულისხმება ვ. ვუნ-

---

[1] ადლერი ფსიქოანალიზურ მიმდინარეობას აქტიურად დაუკავშირდა 1902 წელს. ფროიდთან განხეთქილება საბოლოოდ მოხდა ფსიქოანალიზის ძირითადი დებულების კრიტიკით, რაც ადლერმა გადმოსცა მოხსენებაში «Zur Kritik der Freudschen Sexualtheorie des Seelenlebens», რომელიც მიზნად ისახავდა დაესაბუთებინა თეზისი — სექსუალობა არაა საწყისი ვითარება, იგი ნაწარმოები მოვლენაა. მას საფუძვლად უდევს პიროვნების სწრაფვა ღირებულებისაკენ (Geltungsstreben).

[2] ადლერის ტერმინი Individualpsychologie ქართულად უნდა ითარგმნოს და დაიწეროს ასე: ინდივიდუალფსიქოლოგია (ისევე, როგორც გერმანული Gestaltpsychologie ქართულად იწერება გეშტალტფსიქოლოგია) და არა ინდივიდუალური ფსიქოლოგია, მათ შორის არსებითი შინაარსობრივი განსხვავების გამო. ეს ვითარება სწორადაა გათვალისწინებული ადლერის ერთ-ერთი სტატიის ქართულ თარგმანში, რომელიც დაიბეჭდა დ. უზნაძის რედაქტორობით გამოსულ „დასავლეთ ევროპის ფსიქოლოგიის თანამედროვე მიმდინარეობაში", თბილისი, 1935 წელი, და ეკუთვნის ერ. აბაშიძეს. რუსულ ლიტერატურაში ყველგანაა ნახმარი არასწორად Индивидуальная психология, უნდა იყოს კი Индивидуалпсихология.

დტის ცნებაში — ინდივიდუალური ფსიქოლოგია[3]; ის არც ა. ბინესა და ვ. ანრის ინდივიდუალური ფსიქოლოგიის (ასევე ვ. შტერნის დიფერენციალური ფსიქოლოგიის) ეკვივალენტურია[4]. ინდივიდუალ-ფსიქოლოგიის ცხადსაყოფად არ გამოდგება არც ის მნიშვნელობა, როცა „ინდივიდის" ცნება გაგებულია როგორც სოციალურის საპირისპირო და მისი გამომრიცხველი. ა. ადლერის ინდივიდუალფსიქოლოგია ეხება პ ი რ ო ვ ნ ე ბ ი ს ბუნების ცხადყოფის პრობლემას. პიროვნება, ადლერის მიხედვით, მთლიანია, განუყოფელია, in-dividuum-ია. სწორედ აღნიშნული ვითარებაა ასახული ტერმინში — ინდივიდუალფსიქოლოგია. მაშასადამე, ადლერის ინდივიდუალფსიქოლოგია შინაარსობრივად არის მთლიანის, დაუნაწევრებლის ფსიქოლოგია. პიროვნება რომ მთლიანია, ინდივიდუუმია, ეს იმასაც ნიშნავს, რომ იგი, როგორც ასეთი, განუმეორებელია და, ამ აზრით, ინდივიდუალური[5].

ა. ადლერის პერსონალისტური კონცეფციის — ინდივიდუალ-ფსიქოლოგიის — ძირითადი ცნებებია: ნ ა კ ლ ო ვ ა ნ ე ბ ი ს გ რ ძ ნ ობ ა, კ ო ლ ე ქ ტ ი უ რ ო ბ ი ს გ რ ძ ნ ობ ა, ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს ს ტ ი ლ ი, ს რ უ ლ ყ ო ფ ი ს ა კ ე ნ ს წ რ ა ფ ვ ა, კ ო მ პ ე ნ ს ა ც ი ა. აღნიშნული ცნებებით ავტორი ცდილობს პიროვნების იმ ასპექტით დახასიათებასა და ცხადყოფას, რომელიც, მისი რწმენით, მეცნიერებისათვის ჯერ კიდევ ხელუხლებელი იყო. ა. ადლერმა ინდივიდუალფსიქოლოგიას მიზნად დაუსახა პიროვნების რაობის ამოცანის გადაჭრა.

ა. ადლერის მიხედვით, სული შინაგან კავშირშია თავისუფალ მოძრაობასთან. ეს კავშირი არსებითი ბუნებისაა და ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ სულიერი ცხოვრების განვითარება მოძრაობას უკავშირდება. სულის ყოველი წარმატება—წინსვლა განპირობებულია ორგანიზმის თავისუფალი მოძარაობით (Beweglichkeit), ვი-

---

[3] ვილჰელმ ვუნდტის „ინდივიდუალური ფსიქოლოგია" თანამედროვე ტერმინოლოგიით „ადამიანის ზოგადი ფსიქოლოგიაა".

[4] ალფრედ ბინესა და ვიქტორ ანრის მიხედვით, ინდივიდუალური ფსიქოლოგია, როგორც ფსიქოლოგიის ერთ-ერთი დარგი, სწავლობს ადამიანებში ფსიქიკური პროცესების ინდივიდუალურ განსხვავებულობას.

[5] უკანასკნელ დროს individuum-ის ცნების სამ მომენტზე მიუთითებენ, ერთი ე. წ. კვანტიტეტური მხარე—დ ა უ ნ ა წ ე ვ რ ე ბ ა დ ო ბ ა, მეორეა კვალიტეტური მხარე—ე რ თ ხ ე ლ ო ბ ა, მესამეა—ა რ ს ე ბ ო ბ ი ს თ ვ ი თ მ ყ ო ფ ო ბ ა. იხ. H. R e m p l e i n. Psychologie der Persönlichkeit, München-Basel, 1956, გვ. 30—32.

ნაიდან ეს უკანასკნელი ხელს უწყობს სულიერი ცხოვრების მუდამ მზარდ ინტენსივობას. მოძრაობათა აღკვეთა მასთან ურთიერთობაში მყოფი სულიერი ცხოვრების კვდომის მომასწავებელი იქნებოდა.

ცოცხალი ორგანიზმი სიტუაციის მოთხოვნის შესატყვისად წინ წამოსწევს თავდაცვის ან თავდასხმის ორგანოს. სულიერი ცხოვრება განხილული აღნიშნული ფუნქციის თვალსაზრისით შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც თავდაცვისა და თავდასხმის მზაობის კომპლექსი. სულიერ ცხოვრებას შეუძლია გარემოზე უკუმოქმედება, რითაც უკეთეს პირობებს ქმნის ორგანიზმის განვითარებისათვის. მის განკარგულებაშია შესაძლებლობები და ძალები, რომლებიც საჭიროა ორგანიზმის სიცოცხლის უზრუნველსაყოფად[6].

ა. ადლერის გაგებით, სულის ბუნებას ქმნის მამოძრავებელი ძალები, რომლებიც წარმოშობილნი არიან ერთიანი საფუძვლიდან და მიისწრაფვიან ერთიანი მიზნისაკენ. სული მოძრაობაა. მოძრაობა არ შეიძლება არსებობდეს მიზნის გარეშე. შეგუების ცნებაში უკვე იგულისხმება მიზანსწრაფვის (Zielstrebige) მომენტი. მიზანი სულიერი ცხოვრების დინამიკას განაპირობებს[7]. სული სიცოცხლის ნაწილია, ამიტომ ის თავის თავში ატარებს სიცოცხლის ყველა მოძრავ სტრუქტურას[8].

ადამიანის სულიერი ცხოვრება განსაზღვრულია მიზნით. ეს ზოგადი დებულება გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონეა ყოველი კონკრეტული მოვლენის მიმართ. სულში არ შეიძლება მოხდეს რაიმე, რაც ამ ზოგად კანონს არ დაექვემდებარება. ყოველი აქტი აზროვნებისა, გრძნობისა და ნებელობის პროცესები, სიზმარი და ა. შ. განპირობებულია და წარმართულია მიზნით. ა. ადლერი წერს „ინდივიდუალფსიქოლოგიის აქსიომა აცხადებს: „სულიერი ცხოვრების ყველა მოვლენა გაიგება, ვითარცა მიზნისათვის წინასწარი მომზადე-

---

[6] A. Adler, Menschenkenntnis, Zürich, 1947, გვ. 11—12. პირველად გამოიცა 1921 წელს.

[7] «Wir können uns ein Seelenleben nicht vorstellen ohne ein Ziehl, zu dem hin die Bewegung, die Dynamik, die im Seelenleben enthalten ist, abrollt». Persönlichkeit als geschlossene Einheit, მოთავსებულია ჟურნალში: «Internationale Zeitschrift für Individualpsychologie», 1932, H. 2, 82. შემდეგ შემოკლებით Persönlichkeit, Int, Z. f. Indps.

[8] Die Systematik der Individualpsychologie. Int. Z. f. Indps. 1932, H. 4, გვ. 124. შემოკლებით, Systematik.

ბა"[9]. სულიერი ცხოვრების განვითარებას მიზანი წარმართავს. მიზანი, როგორც სულის განვითარების პრინციპი, არ უპირისპირდება და არ გამორიცხავს შინაარსის მრავალნაირობის მომენტს.

სულიერი ცხოვრების მიზნობრივი ნიშნით დახასიათება არა მარტო ფაქტობრივი ვითარების გადმოცემა და ასახვაა, არამედ მას მეთოდოლოგიური თვალსაზრისის შემუშავებასა და გატარებაში გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ჩვენი ავტორის რწმენით, სულიერი მოქმედებისა და გამოვლენის წედომა მხოლოდ ტელეოლოგიურ განზომილებაში მათი მოთავსებისა და განხილვის გზით შეიძლება განხორციელდეს. „ფსიქიკის მიზანსწრაფვა არა მხოლოდ ჩვენი ჰვრეტის ფორმაა, არამედ აგრეთვე ძირითადი ფაქტიც"[10]. ა. ადლერი ამ თეზისით საგნისადმი შესატყვისი მეთოდის მოთხოვნის აზრს იცავს. იგი თვლის, რომ ე. წ. ახალ ფსიქოლოგიაში სულიერი (ფსიქიკური) სინამდვილის მიმართ ტელეოლოგიური თვალსაზრისის გატარება მისი დამსახურებაა. და ეს დამსახურება მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ არ არსებობს სხვა ფსიქოლოგიური მიმართულება, რომელსაც მეტი და არსებითი ეთქვას სულიერი ცხოვრების შესახებ, ვიდრე ინდივიდუალფსიქოლოგიას აქვს გამოთქმული ლაპიდარული ფორმით — სულიერი ცხოვრების ნიშანია მიზანსწრაფვა[11]. ჩვენი ავტორის მიხედვით, ეს ქმნის მყარ საფუძველს სისტემის აგებისათვის და ამდენად საკუთარ კონცეფციას — ინდივიდუალფსიქოლოგიას აღნიშნული საფუძვლიდან აღმოცენებულად თვლის.

სულიერი ცხოვრების მიმართ ადეკვატური თვალსაზრისის გატარებამ, ა. ადლერის შეხედულებით, ახალი პერსპექტივები გადაშალა მეცნიერების წინაშე. როგორც ის აღნიშნავს, ინდივიდუალფსიქოლოგია გასცილდა „აღწერითი სულისმეტყველების მკვდარ წერტილს". სხვადასხვა მიმართულების ფსიქოლოგიები შემეცნებით ინტერესებს მიმართავდნენ და მიმართავენ სულიერი ცხოვრების ცალკეული ფუნქციებისაკენ. ესენია: პერცეფცია, მეხსიერება, აზროვნება, ინსტინქტი, ლტოლვა, რეფლექსი, მთლიანობები და ა. შ. ინდივიდუალფსიქოლოგიის პრინციპული ხასიათის მოთხოვნებს ვერ

---

[9] Menschenkenntnis, გვ. 71.

[10] «Diese heuristische Methode mehr als ein Hilfsmittel der Vorschung vorstellt, daß sie sich in ihren Grundlagen im weitesten Ausmas mit wirklichen Vorgängen der seelischen Entwicklung deckt... Die Zielstrebigkeit der Psyche ist... nicht bloß unsere Anschauungsform, sondern auch eine Grundtatsache». ოქვე, გვ. 57.

[11] Systematik, გვ. 241.

აკმაყოფილებს ცალკეული სულიერი ფუნქციების არსის ცოდნა. ეს უკანასკნელნი ამიტომ არც შემოდიან ინდივიდუალფსიქოლოგიის კვლევა-ძიების სფეროში. სხვასთან კავშირის გარეშე თავისი თავიდან შემეცნებული სულის შინაარსები არ იძლევიან საშუალებას, ვწვდეთ ინდივიდუალური, განუმეორებელი პიროვნების გამოცანას[12]. პიროვნების არსის წვდომისათვის სხვა გზა უნდა იქნეს დასახული. ინდივიდუალფსიქოლოგიაში, ფიქრობენ, ნაჩვენებია სწორედ ეს სხვა გზა და იგი წარმოადგენს ცხოვრების პრობლემებისადმი პიროვნების მიმართების გათვალისწინებას. ინდივიდუალფსიქოლოგიის თემაა თავისებურად სტილიზებული ინდივიდის გარემოსადმი მიმართულ აქტებში განხორციელებული დამოკიდებულება[13].

როგორც აღინიშნა, ინდივიდუალფსიქოლოგიას საქმე აქვს პიროვნებასთან. პიროვნება მთლიანობაა. მთლიანისა და დაუნაწევრებლის წინ წამოწევას სულიერ ცხოვრებაში ა. ადლერი საკუთარ დამსახურებად თვლის[14]. სულიერ ცხოვრებას აქვს მიზანდასახულობა (Zielsetzung). მიზანდასახულება წარმოადგენს მთელი სულიერი ცხოვრების ერთიანობაში მოყვანას. სულიერი მოძრაობის ყოველი მომენტი მთლიანობის მომენტია და იგი მხოლოდ მაშინ გაიგება და საზრისიანობის ნიშანს მიიღებს, როცა დადგინდება, რომ ის ერთიანობის ნაწილია[15]. ა. ადლერი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ადამიანის სულიერ ცხოვრებაში არსებული მოძრაობის კანონი, ანუ წამყვანი ხაზი (Leitlinie) ადამიანის თავისებურების განმაპირობებელი ფაქტია. სწორედ აღნიშნული განუმეორებელი ინდივიდი წარმოადგენს ინდივიდუალფსიქოლოგიის ინტერესის საგანს. ინდივიდის სვლა სოციალური ამოცანის მიმართულებით ინდივიდუალფსიქოლოგიის დაკვირვების ობიექტია[16]. პიროვნების შემეცნების დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პიროვნების იმ პოზიციას, რაც ვლინდება ცხოვრების ამოცანებისადმი მისი მიმართების ფაქტში. ინდივიდის მიმართება ცხოვრების ამოცანებისადმი განსა-

---

[12] Das Todesproblem in der Neurose, Int. Z. f. Indps, 1936, H. 1, გვ. 4.

[13] «Das Untersuchsfeld der Individualpsychologie ist, im Gegensatz zum Untersuchungsmaterial anderer Schulen, die in Akten vollzogene Beziehung eines eigenartig stilisierten Individuums zu Fragen der Außenwelt», იქვე, გვ. 4.

[14] Weiteres zur Zwangsneurose, Int. Z. f. Indps. 1936, H. 4, გვ. 193.

[15] Aufbau der Neurose, Int. Z. f. Inds. 1932, H. 5, გვ. 322.

[16] იქვე.

ზღვრულია იმ მიზნით, რომლის განხორციელებასაც ეს ინდივიდი ესწრაფვის[17].

ა. ადლერის განცხადება, რომ სულში არაა ბუნების კანონი, ადამიანი თვითონ კარნახობს სულს კანონებს[18], სპეციფიკური საქმის ვითარების გათვალისწინებას გულისხმობს. მისი აზრით, ჩვეულებრივ, ჩვენ გვეჩვენება, თითქოს სულში მკაცრი დეტერმინაცია სუფევდეს. ეს ყველაფერი შემეცნების ილუზიაა. უცვლელი და აპრიორი ისაა, რომ სულს აქვს მიზანი. ხოლო მიზნის კონკრეტული შინაარსი სულში არაა იმთავითვე ერთხელ და სამუდამოდ მოცემული, იგი ცვალებადია. ის გარემოება, თუ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში რა მიზანი (მიზანი — შინაარსი) წამოიწევა წინა პლანზე, ეს სხვადასხვა შინაგან და გარეგან ფაქტორებზეა დამოკიდებული. მაშასადამე, არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ არსებობს მიზანი, ხოლო რა შინაარსის შემცველია იგი, ეს ამ შემთხვევაში არარსებითია. ა. ადლერს სწორედ აღნიშნული გარემოება უნდა ჰქონდეს მხედველობაში, როცა ბუნების კანონის არარსებობის დებულების შესახებ ლაპარაკობს ფსიქიკურ ცხოვრებაში (სულში). ბუნების კანონი აქ გაგებულია, როგორც ორ მოვლენას შორის კაუზალური ფორმით მოცემული მყარი და აუცილებელი კავშირი. რადგანაც სულში ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში არ დასტურდება ერთი იგივეობრივი მიზანი-შინაარსი, ამიტომ ავტორი უფლებას იტოვებს ამტკიცოს, რომ სულში არაა კაუზალური კავშირი (ბუნების კანონი): სხვა შემთხვევაში ა. ადლერი აცხადებს, რომ მიზანი სულიერი მოძრაობის იძულებითობას განაპირობებს. მიზანი-შინაარსი თვითონ პიროვნების შემოქმედებითი ძალის პროდუქტია. შინაარსობრივად ჩამოყალიბებული მიზანი შემდგომში აუცილებლობით იწვევს მისი განხორციელების საშუალებებს. საშუალება მრავალფეროვანია და არაერთმნიშვნელოვნადაა დაკავშირებული მიზანთან. ა. ადლერი აღიარებს, რომ სულიერი ცხოვრების მოძრაობის სპეციფიკას ქმნის ადამიანის ნების თავისუფლება. ადამიანის თავისუფალი ნება მაშინ იქცევა არათავისუფლად, როცა იგი მი-

---

[17] «Individualpsychologie ist Persönlichkeitsforschung, das heißt, wir beschäftigen uns damit, die Stellungnahme, die Beziehung des Individuums zu den Aufgaben des Lebens ins Auge zu fassen». Komplexzwang... Int Z. f. Indps. 1935, H. I, გვ. 1.

[18] «...es im Seelenleben kein Naturgesetz gibt, sondern daß sich der Mensch auf diesem Gebiet seine Gesetze selbst macht». Menschenkenntnis, გვ. 14.

ზანს დაუკავშირდება. მიზნის წამოყენებით მოძრაობა სულიერ ცხოვრებაში აუცილებლობის მომენტს იძენს[19].

ინდივიდუალფსიქოლოგიის ავტორი სულის პრობლემას მეტა-ფიზიკურ პრობლემად თვლის, რადგანაც სულის შესახებ მსჯელობას გადავყავართ ტრანსცენდენტურის სფეროში[20]. ა. ადლერის მიხედვით, ჩვენ ცოდნა გვაქვს იმის შესახებ, რაც გამოცდილებაში უშუალოდ გვეძლევა. გამოცდილებაში უშუალოდ გვეძლევიან: შედეგები (Ergebnisse), მიმართებები (Beziehungen), მოქმედებები (Wirkungen), მაგრამ ჩვენ ამავე დროს თავისუფალი არა ვართ დაშვებისაგან (Annahmen). ერთ-ერთი ასეთი დაშვებათაგანია „სულიერი ცხოვრების" ცნება. ბიჰევიორიზმის საწინააღმდეგოდ ხაზი უნდა გაესვას სულიერი მოძრაობების არსებობას. სულიერი მოძრაობების მისამართით უნდა ითქვას, რომ ჩვენ ისეთივე პოზიცია გვქონია, მისდამი, როგორც ფიზიკოსს, როდესაც ის მსჯელობს ელექტრობის შესახებ[21]. მეცნიერების საერთო ხვედრია მეტაფიზიკაში შეჭრა, გასაკვირი არ უნდა იყოს, თუ ინდივიდუალფსიქოლოგიაც ამ გზას ვერ ასცდება. აქ ლაპარაკია იმ სფეროზე, რომელიც დაშვებული უნდა იქნეს როგორც აპრიორი, წინააღმდეგ შემთხვევაში მოკლებული ვიქნებით საშუალებას, მოვაწესრიგოთ გამოცდილება და ის ერთიანი შუქის ქვეშ მოვათავსოთ[22].

ფსიქოლოგიის გზა არაა ბიჰევიორიზმისა და მექანიცისტური მსოფლმხედველობის თვალსაზრისი. სულიერი ცხოვრების იდეა ის ცნებაა, რომელიც სულიერ მოვლენებს აკავშირებს და განსაზღვრული მიმართულებით აწესრიგებს ვითარცა მფუძვნელი. არ არსებობს არგუმენტი სულიერი ცხოვრების დაშვების საწინააღმდეგოდ. არსებობს საჭიროება იმ კავშირების წვდომისა, რომლებსაც მივყევართ, გამოცდილების სფეროს გარეთ[23].

---

[19] ი ქ ვ ე, გვ. 14.

[20] Systematik, გვ. 241.

[21] Persönlichkeit, გვ. 81

[22] «So wie jede Wissenschaft, mündet die Individualpsychologie in die Metaphysik ein... Hier handelt es sich um ein Gebiet unserer Erkenntnis, das wir voraussetzen müssen, weil wir anderseits nicht arbeiten können, weil wir Eindrücke, die vor uns liegen, ordnen und sie als seelische bezeichnen wollen. Es ist eine Auffassung a priori, die wir machen müssen, die uns dazu dient Geschehnisse zu ordnen und sie unter ein gemeinsames Licht zu stellen». იქვე, გვ. 81—82.

[23] Der Aufbau der Neurose, გვ. 321.

ა. ადლერის კონცეფციის მიხედვით, სულიერი სიცოცხლის ნაწილია. სულიერი ცხოვრება არის მიზანდაქვემდებარებული მოძრაობა. სულიერი ცხოვრების გამოვლენის ყოველი ფორმა მიზნისაკენ სწრაფვის მომენტს ასახავს. მიზანი, როგორც ასეთი, შეიძლება ცნობიერებას მოკლებული იყოს. სულიერ ცხოვრებაში შემოქმედი ძალაა, რომელიც თვითონ სიცოცხლის ძალის იდენტურია. „სიცოცხლე — ეს არის თვითგანვითარება"[24]. ადამიანის მიზანი აღმოცენდება შემოქმედი ძალისაგან, ანუ მე-საგან[25] და ემსახურება სოციალური სიძნელეების დაძლევის, გადალახვის საქმეს. პიროვნების მიზანი საერთოდ სრულქმნის იდეალს ეთანხმება და მისითაა პირობადებული.

ინდივიდუალფსიქოლოგიის მიხედვით, ადამიანის სულიერი ცხოვრებისათვის არსებითია ის, რომ იგი მუდამ დგას ამოცანის წინაშე. ეს ამოცანა პრინციპულ კავშირშია „ადამიანთა თანაცხოვრების ლოგიკასთან"[26]. ა. ადლერის აზრით, სულის კვლევა ინდივიდუალფსიქოლოგიაში იმ სფეროში მიმდინარეობს, სადაც ერთმანეთს ერწყმის სამი მომენტი: ნ ა კ ლ ო ვ ა ნ ე ბ ი ს გ რ ძ ნ ო ბ ა, ძ ა ლ ა უ ფ ლ ე ბ ი ს ა კ ე ნ ს წ რ ა ფ ვ ა და კ ო ლ ე ქ ტ ი უ რ ო ბ ი ს გ რ ძ ნ ო ბ ა[27]. ძალაუფლებისაკენ სწრაფვისა (სრულყოფობისაკენ მისწრაფების ერთ-ერთი სახე) და კოლექტიურობის გრძნობის პრობლემის გადაჭრის ცდაში ავტორი ხედავს საკუთარი თეორიის მთელ მნიშვნელობასა და ღირებულებას[28].

§ 2. **პიროვნების პრობლემა.** ინდივიდუალფსიქოლოგიური კონცეფციის მიხედვით, პიროვნების სტრუქტურაში ნაკლოვანების გრძნობას (Minderwertigkeitsgefühl) იმდენად ცენტრალური ადგი-

---

[24] Über den Ursprungdes Strebens nach Überlegenheit und das Gemeinschaftsgefühl, Int. Z. f. Indps. 1933, H. 4, გვ. 258. შემოკლებით. Ursprung.

[25] «Es ist das Ich, das ins Leben hineinwächst, das wir später als schöpferische Kraft ersehen». ა. ადლერი თვლის, რომ არაა სწორი, როდესაც ლტოლვას მიეწერება ის, რაც ნამდვილად მე-ს ეკუთვნის: ძრება, ექვი, აზროვნება, ნება, მიზანსწრაფვა და ა. შ. «Die Frage ist die wichtigste: wer bewegt das Seelenleben und in welche Richtung bewegt er? Immer handelt es sich um das Ich». Persönlichkeit, გვ. 85.

[26] Menschenkenntnis, გვ. 18—19.

[27] Über den nervösen Charakter, München, 1928, გვ. IV, პირველად გამოიცა 1912 წელს.

[28] Ursprung, გვ. 257.

ლი უპირავს, რომ ა. ადლერის განცხადებით, „ადამიანად ყოფნა ნიშნავს ნაკლოვანების გრძნობის ფლობას“[29].

ა. ადლერი თვლის, რომ ორგანოთა ნაკლოვანების შესახებ მოძღვრება ინდივიდუალფსიქოლოგიის ბიოლოგიური და ანატომიური საფუძველია. იგი ნაკლოვანი ორგანოს ცნებაში შემდეგ შინაარსს დებს: „ნაკლოვანება ეხება არამზა, განვითარებაში ჩამორჩენილ, მთლიანად ან ცალკეულ ნაწილში ზრდაშეჩერებულ ან შეცვლილ ორგანოს“[30]. როცა მსჯელობაა ნაკლოვან ორგანოზე, ცნება ორგანოში არ იგულისხმება მხოლოდ შეგრძნების ორგანო. ამ ცნების ქვეშ ერთიანდება ორგანიზმის ყველა მეტად თუ ნაკლებად ავტონომიური ანატომიურ-ფიზიოლოგიური ერთეული. ორგანოთა ნაკლოვანების სამი სახეა: მორფოლოგიური, ფუნქციონალური და ე. წ. რელატიური. ორგანოს მორფოლოგიური ნაკლოვანება გამოიხატება ორგანოს ფორმის, სიდიდის, მთელი აპარატის ან მისი ზოგიერთი ნაწილის არანორმალურ განვითარებაში. ორგანოს ფუნქციონალური ნაკლოვანება ხასიათდება ნორმად მიჩნეული შედეგის მიუღწეველობით, გარე მოთხოვნათა შესატყვისი ნაქმობის განუზორციელებლობით. ორგანოს რელატიური ნაკლოვანება ვლინდება დაავადების შემთხვევაში[31].

ორგანოს ნაკლოვანებასთან, ა. ადლერის მიხედვით, დაკავშირებულია ნაკლოვანების გრძნობა[32]. მაგრამ ნაკლოვანების გრძნობა განპირობებულია არა მხოლოდ ორგანიზმის რომელიმე შეშადგენელი ნაწილის ნაკლოვანებით, იგი საერთოდ შეიძლება განპირობებული იყოს პიროვნების გარემოსადმი (ფიზიკური და სოციალური) შეგუების სუბიექტური და ობიექტური ხელისშემშლელი ფაქტორებით[33].

---

[29] «Menschsein heißt ein Minderwertigkeitsgefühl zu besitzen..», Zum Leib-Seele-Problem, Int.. Z. f. Indps. 1933, H. 5, გვ. 339.

[30] A. Adler-K. Furtmüller, Heilen und Bilden, München, 1928, გვ. 24.

[31] Studie über Minderwertigkeit von Organen und ihre seelische Kompensation, München, 1927, გვ. 8—10. პირველად გამოიცა 1907 წ. შემოკლებით—Studie.

[32] ნაკლოვანების გრძნობის სინონიმად ა. ადლერი ზოგჯერ სხვა ტერმინებსაც იყენებს, ასე, მაგალითად, უკმარობის გრძნობა (Gefühl der Unzulänglichkeit), არასაიმედობის გრძნობა (Unsicherheitsgefühl), უუნარობის გრძნობა (Gefühl der Unfähigkeit).

[33] Über den nervösen Charakter, 13. შეად. Menschenkenntnis გვ. 26. ერვ. ვექსბერგი ნაკლოვანების გრძნობის განმაპირობებელ მოვლენათა ხუთ ჯგუფს ასახელებს. ესენია: 1. სხეულებრივი თვისებები, 2. სოციალური და ეკონომიური მდგო-

ა. ადლერი ადასტურებს კავშირს, რომელიც არსებობს ნაკლოვან ორგანოსა და ფსიქიკის განვითარებას შორის, და იცავს აზრს, რომ ორგანოს ნაკლოვანების განცდა არის ინდივიდის ფსიქიკის განვითარების სტიმული. ინდივიდში მუდამაა ბიძგი მიმართული ნაკლოვანების დაძლევისაკენ, გადალახვისაკენ, რაც სიცოცხლის ძირითადი კანონის გამოვლენაა[34].

ა. ადლერი კანონზომიერების სახით წარმოგვიდგენს ურთიერთობას, რომელიც არსებობს ნაკლოვანების გრძნობასა და მის გადალახვას შორის: რაც უფრო ინტენსიურია ნაკლოვანების გრძნობა, მით უფრო ძლიერია მისწრაფება ნაკლოვანების დაძლევისა. აღნიშნული დაძლევა გამოიხატება კომპენსაციაში ან ზეკომპენსაციაში, რაც ხორციელდება ნაკლოვანების იმავე ან სხვა მოდალობაში[35]. ა. ადლერის დამსახურებად თვლიან იმას, რომ მან პირველმა მიუთითა ნაკლოვანი ორგანოს ფსიქიკურ კომპენსაციაზე. ა. ადლერს მხედველობაში აქვს შემდეგი ფაქტიური ვითარება — ბავშვობაში ენაბლუ დემოსთენი ცნობილი ორატორი ხდება — და აღნიშნული

მარეობა, 3. სქესი, 4. ოჯახური კონსტელაცია, 5. აღზრდა. იხ. Erwin Wexberg, Individualpsychologie. Eine systematische Darstellung, Leipzig, 1931, გვ. 90. ვექსბერგის მიხედვით, ნაკლოვანების გრძნობა შედგება განცდათა სამი ჯგუფისაგან: უმწეობის გრძნობა, სისუსტის გრძნობა „შენ-სადმი მიმართებაში, შენ-ზე დამოკიდებულების გრძნობა. იქვე, გვ. 68. ფსიქოლოგიაში დღეს „ერთმანეთისაგან განასხვავებენ ნაკლოვანების გრძნობასა და ნაკლოვანების განცდას. ფ. ლერშის მითითებით, ნაკლოვანების გრძნობა არის თვითღირებულების გრძნობის მუდმივი მომართულობა (Gestimmtheit), რომლის ფონზე აქტუალური განცდა იშლება. ნაკლოვანების განცდა არის გრძნობის აღძვრა (Gefühlsregung), რომელიც აქტუალური ხდება გარკვეული მდგომარეობის დროს. იხ. Philipp Lersch, Aufbau der Person, München, 1956, გვ. 213. მაგ., ა მესერს ნაკლოვანების გრძნობა ადლერთან გაგებული აქვს, როგორც „კოლექტივისათვის ნაკლოვანი ღირებულების გრძნობა". იხ. A. Messer, Einführung in die Psychologie, Leipzig, 1931, გვ. 126.

[34] «Minderwertigkeitsgefühl ständig nach seiner Überwindung drängt», Zum Leib-Seele-Problem, გვ. 339.

[35] ა. ადლერი ტერმინში კომპენსაციას სხვადასხვა შინაარსს გულისხმობს. პირველად იგი იყო ორგანიზმის წმინდა ბიოლოგიური თავისებურება: ერთი ნაკლოვანი ორგანოს ფუნქციის თავზე აღება მეორის მიერ; შემდეგ მასში იგულისხმებოდა ორგანოს ფსიქიკით შეცვლის ღირებულება; ბოლოს კი ავტორი მიუთითებს საერთოდ ინდივიდის საკუთრივი ნაკლოვანების კომპენსაციაზე, როგორც შინაფსიქიკურ მექანიზმზე. D. Hart, Der Tiefenpsychologische Begriff der Kompensation, Zürich, 1956.

ვითარების გაგების შემდეგ გზას გვთავაზობს: ნაკლოვანების გრძნობა ბავშვის ფსიქიკაში იწვევს ე. წ. ძირითადი მელოდიის, ანუ ცხოვრების სტილის შექმნას, რაც კომპენსაციის ტენდენციის საფუძველზე სავსებით გარკვეული მიმართულებით პიროვნების განვითარებას იძლევა. ნაკლოვანების გრძნობა თავიდანვე ბავშვის არაცნობიერი მიზნის დასახვის ამოსავალია, იგი იმავე დროს იმ გზის მაჩვენებელიცაა, რომელიც აღნიშნული მიზნის განხორციელების მიღწევას ემსახურება[36]. ადამიანის ყოველი წარმატება ემყარება ნაკლოვანების გრძნობის გადალახვას. ადამიანი იძულებულია საკუთარი ძალებით მოიპოვოს არსებობისათვის საჭირო საშუალებები, რადგანაც ბუნებამ იგი მათ გარეშე დატოვა. ადამიანის გონი მუდამ მიმართულია იქით, რომ მისი არსებობა სრულყოფილი გახადოს[37].

ინდივიდუალფსიქოლოგიაში ნაკლოვანების გრძნობის გარდა მიუთითებენ ნაკლოვანების კომპლექსზე. ნაკლოვანების გრძნობა შეიძლება გადაიქცეს კომპლექსად იმ შემთხვევაში, როცა გრძნობა ინტენსიური ხდება. ნაკლოვანების გრძნობის გაღრმავების ერთ-ერთი უპირველესი ფაქტორია მცდარ საფუძველებზე დამყარებული აღზრდა. ა. ადლერი ნაკლოვანების კომპლექსს შემდეგნაირად განმარტავს: უუნარობა გადაიჭრას ცხოვრების პრობლემები სოციალურად. ა. ადლერი ნაკლოვანების კომპლექსებს „მოქმედ ორგანოებს" უწოდებს, თანაც აღნიშნავს, რომ ეს „სულიერი ორგანოები" შაბლონის ბუნებისანი არიან[38].

ნაკლოვანების გრძნობა ორი მიმართულებით შეიძლება წარი-

---

[36] Menschenkenntnis, გვ. 54.

ფ. ლერში მიუთითებს კომპენსაციის სამ სახეზე: პ ი რ ვ ე ლ ი, მ ე ო რ ე და მ ე ს ა მ ე რიგისა. პირველი რიგის კომპენსაციას ის უწოდებს „პირდაპირ კომპენსაციას", რადგანაც ნაკლოვანების კომპენსაცია იმავე რომელობაში ხდება (დემოსთენის შემთხვევა). მეორე რიგის კომპენსაციას ავტორი უწოდებს „უახლესი შესაძლებლობის კომპენსაციას" (ფიზიკურად სუსტი თავს გამოიჩენს სწავლაში). მესამე რიგის კომპენსაციას ეწოდება „თითქმის კომპენსაცია". ამ შემთხვევაში ნაკლოვანების გრძნობა დაუძლეველია, იგი აღმოფხვრილი კი არაა, არამედ განდევნილ და ჩახშობილი. პიროვნება ასეთ ვითარებაში ისეთი როლის შესრულებას იღებს თავზე, რისთვისაც მას ძალები არ გააჩნია, ამიტომაცაა ის ილუზიის მსხვერპლი (ბაქიობა, ტრაბახი, დიდი წარმოდგენა საკუთარ თავზე). იხ. Aufbau der Person, გვ. 293.

[37] Der Sinn des Lebens, Wien-Innsbruck, 1956, გვ. 66. პირველად გამოქვეყნდა 1933 წელს.

[38] Komplexzwang als Teil der Persönlichkeit und Neurose, Int. Z. f. Indps. 1935, I, გვ. 1.

მართოს: იგი ნაკლოვანების კომპლექსად იქცევა ან კომპენსაციის (ზეკომპენსაციის) საფუძველი ხდება. აღნიშნული გზების განხორციელება დამოკიდებულია სოციალური ინტერესის, სოციალურობის გრძნობის ხარისხზე. ვისაც ადრეული ბავშვობიდანვე არ განვითარებია ინტერესები შენ-ისადმი, არსებობს საფუძველი ვარაუდისა, რომ მას ნაკლოვანების გრძნობა კომპლექსის მიმართულებით გადაეზრდება[39].

ინდივიდუალფსიქოლოგიის პრაქტიკული მოღვაწეობა მიმართულია იქითკენ, რომ ადამიანში აღმოცენებული კომპლექსები დაარღვიოს და პიროვნება შეძლებისდაგვარად რეალური ცხოვრების ვითარებას დაუახლოვოს. ამ მიზნის განხორციელებისათვის, ჯერ ერთი, საჭიროა ნაკლოვანების კომპლექსის საფუძვლის მიგნება, იმის გაცნობიერება, თუ რომელმა სიტუაციამ შეუწყო ხელი აღნიშნული მიმართულებით პიროვნების სვლას. შემდეგ, საჭიროა სპეციალური საშუალებებით — ესენია: ვარჯიში, გამხნევება, საკუთარი ძალებისადმი რწმენის განმტკიცება, მოყვასობის განვითარება — პიროვნების სხვა გზით წაყვანა. ესაა მისი (პიროვნების) რეალობასთან მიახლოება.

ნაკლოვანების გრძნობა ინდივიდუალფსიქოლოგიის ძირითადი ცნებათაგანია. აქამდე ლაპარაკი იყო არსებითად ნაკლოვანების გრძნობის ფუნქციონალურ დახასიათებაზე. უნდა გაირკვეს, რას წარმოადგენს ის, როგორც ონტოლოგიური გარკვეულობა, როგორია მისი არსებობის ფორმა და, შემდეგ, მისი დადასტურების რა საშუალება არსებობს ინდივიდუალფსიქოლოგიაში.

ა. ადლერს სპეციალურად არ უზრუნია ნაკლოვანების გრძნობის ანალიზზე. ამიტომაც ჭირს მისი ზუსტი მნიშვნელობის დადგენა. ავტორის ნაწერებიდან მაინც ის შთაბეჭდილება გვრჩება, რომ, მართალია, აქ გამოყენებულია ტერმინი — „გრძნობა", მაგრამ ამ ტერმინში ნაგულისხმები ფაქტიური ვითარება არ უნდა წარმოადგენდეს გრძნობის ან ემოციის წმინდა ფსიქიკურ მდგომარეობას. ტერმინი — „ნაკლოვანების გრძნობა" ადლერთან იმ მივართების ამსახველია, როცა ემოციური პროცესი ერწყმის შეფასების, ღირე-

---

[39] ი ქ ვ ე, გვ. 2—3. ფ. ლერში ნაკლოვანების გრძნობის ს ა მ ფორმაზე მიუთითებს: შერიგებადი (resignierende), კომპენსირებადი (მასვე უწოდებს აგრეთვე protestierende), და სენტიმენტალური (sentimentale). უკანასკნელ შემთხვევაში ლაპარაკია ნაკლოვანების გრძნობასთან დაკავშირებულ არაბუნებრივ ტკბობაზე (მაზოხისტური). Aufbau der Persin გვ. 293.

ბულების წვდომისა და სხვა გონითი აქტების განხორციელებას[40]. როგორც პიროვნულ მიმართებასა და დამოკიდებულებაზე მიმნიშნებელი, ნაკლოვანების გრძნობა, შინაარსებრივად არაა ერთგვაროვანი სინამდვილე, იგი ემოციის, შეფასების, ღირებულების წვდომისა და სხვა აქტების ერთად დაკავშირებაა. ა. ადლერის აზრით, ნაკლოვანების გრძნობას არაცნობიერი არსებობა აქვს, არაცნობიერადვე შესწევს მას ძალა პიროვნებაში გამოიწვიოს ცნობილი შედეგები. მაგრამ გარკვეულ პირობებში შეიძლება ნაკლოვანების გრძნობა ცნობიერი გახდეს. ამ შემთხვევაში ვლაპარაკობთ ამ მოვლენის განცდის შესახებ.

ინდივიდუალფსიქოლოგიის სკოლის წარმომადგენლებიდან ზოგი ფიქრობს[41], რომ ნაკლოვანების გრძნობის, როგორც ასეთის, არსებობა ბავშვობაში განცდის ფორმით, ცნობიერად არ დასტურდება და ამდენად არც გვაქვს უფლება, ვილაპარაკოთ პატარებში მის ფაქტიურ არსებობაზე, ის აქ ჰიპოთეზური დაშვებაა მხოლოდ, რითაც გასაგები ხდება ქცევა, როგორც პიროვნების ერთიანი მიზნობრიობის მომენტი.

თუ გათვალისწინებული იქნება ის, რომ ა. ადლერი იცავს თეზისს ნაკლოვანების გრძნობის არაცნობიერად არსებობის შესახებ, მაშინ იარსებებს ბავშვებში ამ გრძნობის რეალური არსებობის დებულების წამოყენების საფუძველი. სხვა საკითხია, როგორ საბუთდება ა. ადლერთან ნაკლოვანების გრძნობის ცნობიერების გარეშე არსებობა იმ შემთხვევაში, როცა ნაკლოვანების გრძნობა გაგებულია, როგორც ფსიქიკური მოვლენა, და, შემდეგ, ჰქონდა თუ არა მას საერთოდ უფლება ფსიქიკური შინაარსის მქონე ტერმინით — „გრძნობა" აღენიშნა ისეთი რამ, რაც ფსიქიკურის ფარგლებს შორდება (ნაკლოვანების გრძნობაში, როგორც ზემოთ იყო მითითებული, გონითი აქტების მონაწილეობაც იგულისხმება).

ნაკლოვანების გრძნობას იმიტომ ენიჭება მნიშვნელობა ინდივიდუალფსიქოლოგიურ კონცეფციაში, რომ იგი იქ წარმოდგენილია არა პასიური მდგომარეობის სახით, არამედ როგორც პირობა და

---

[40] ჰანს კუნცის მიხედვით, ნაკლოვანების გრძნობა ესაა განსაზღვრული სახის მრავალი ფსიქიკური პროცესის კრებითი სახელი, რომელიც განასახიერებს, ასე რომ ვთქვათ, თვითცნობიერების ან თვითღირებულების გრძნობის „ნეგატიურ ნაწილს." H. Kunz, Zur grundsätzlichen! Kritik der Individualpsychologie Adlers, Z. f. d. gesam. Neurol. u Psych., 1928, Bd. 116. H. 5, გვ. 709.

[41] E. Wexberg, Individualpsychologie, გვ. 68—69.

ბიძგის მიმცემი კომპენსაციისათვის. ა. ადლერი მიუთითებს პრინ-ციპულ ურთიერთობაზე, რომელიც არსებობს ნაკლოვან ორგანოსა და ფსიქიკურ კომპენსაციას შორის, სადაც კომპენსაცია ხორციელ-დება ცენტრალური ნერვული სისტემის საშუალებით. „კომპენსაციის ამოცანაა ნაკლის შევსება, ქვეევით-იდან ზეევით-ის მიღწევა"[42], კომპენსაციის მნიშვნელობა ა. ადლერის შემდეგი სიტყვებიდან ჩანს: „ეს კომპენსატორული მოძრაობა ადამიანის ცხოვრების უღრმესი აზრი, შემოქმედებითი ძალაა. მან შექმნა კულტურა კაცობრიობის უზრუნველსაყოფად ისევე, როგორც ქმნის იგი ცალკეული ადამიანის გამოვლენის ყველა ფორმასა და მისი ცხოვრებისსტილს, როგორც გარე სამყაროს მიერ გამოწვეულ დაძაბვათა პასუხს ან როგორც დაუღალავ ცდას და ზრუნვას, რომ ადამიანში, ბუნება-საზოგადოების ძალათა თამაშში წონასწორობის მდგომარეობა იქნეს დაცული[43].

ა. ადლერი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ყოველი ინდივიდის მისწრაფების მიმართულება ესაა დაძლევისაკენ სვლა. დაძლევა, გადალახვა (Überwindung) სიცოცხლის ძირითადი კანონია. დაძლევისაკენ მისწრაფება ვლინდება სრულყოფისაკენ (Vollkommenheit) და დასრულებისაკენ (Vollendung) სწრაფვაში[44]. ძალაუფლებისაკენ სწრაფვა (Streben nach Macht), უფრო ზუსტად, პიროვნული ძალაუფლებისაკენ სწრაფვა, წარმოადგენს პიროვნების სრულყოფობისაკენ მიმართულების ერთ-ერთ გამოვლენას. იგი, ა. ადლერის მიხედვით, დადებითი სიტუაციაა[45]. ადამიანის სწრაფვა სათავეს ღებულობს იმ ვითარებიდან, რომ არსებული სიტუაცია მას ევლინება, როგორც უარყოფითი და ის ცდილობს აღნიშნულიდან თავის დაღწევას ჰარმონიისაკენ მისწრაფებით, რაც იგივე დადებითი სიტუაციაა. მაგრამ ფაქტიურად ხშირ შემთხვევაში არ ხდება იდეალური სრულყოფის მიღწევა. ამის მაჩვენებელია პიროვნების ცნობიერების სტილი უსასრულოდ მრავალფეროვანი შინაარსით, „ინდივიდუალური აღნაგობით".

ა. ადლერის მიხედვით, პიროვნების ჩამოყალიბებისა და მისი

---

[42] ა. ადლერი. ინდივიდუალფსიქოლოგია, სტატია დაბეჭდილია დ. უზნაძის რედაქტორობით გამოსულ კრებულში „დასავლეთ ევროპის ფსიქოლოგიის თანამედროვე მიმდინარეობანი", თბ., 1935, გვ. 139.

[43] იქვე.

[44] Der Sinn des Lebens, 47.

[45] E. Jahn und A. Adler, Religion und Individualpsychologie, Wien-Leipzig, 1933, გვ. 58.

ცხოვრების მთელი ისტორია გადაშლილია ორ პოლუსს შორის. ამათგან ერთია: ნაკლოვანების გრძნობა (ეს იგივეა, რაც, ავტორის ტერმინებით რომ ითქვას, არასაიმედობის, ქვეყოფის, მდედრობითობის[46] მდგომარეობა), მეორე კი—პიროვნების იდეალი (საიმედობა, ზეყოფა, მამაკაცობა). ადამიანის ცხოვრების გზა — ესაა სვლა ქვევიდან ზევით. იმ განწყობას, რომელიც აღმოცენებულია პიროვნებაში საკუთარი თავის ნაკლოვანი მდგომარეობიდან, ინდივიდუალ-ფსიქოლოგიაში ეწოდება „მამაკაცის პროტესტი", რომელიც პიროვნული ძლიერების მოთხოვნას უკავშირდება.

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ ინდივიდუალფსიქოლოგიის ამოცანა ა. ადლერმა განმარტა, როგორც პიროვნების ცხოვრების სტილის წვდომა: „ცხოვრების სტილი არის ფსიქოლოგიის საკუთარი საგანი და მისი კვლევის მასალა". გარკვეული მუშაობა ჩატარდა ინდიეიდუალფსიქოლოგიაში, ჯერ ერთი, იმ მიმართულებით, რომ მონახულიყო ცხოვრების სტილის წვდომის გზა, მეთოდი და, შემდეგ, აღმოჩენილიყო საშუალებანი, რითაც მოხერხდებოდა პიროვნებაში უკვე ჩამოყალიბებული ცხოვრების სტილის შეცვლა საჭირო და ღირებული მიმართულებით.

ინდივიდუალფსიქოლოგიის ფუძემდებლური დებულებაა სულიერი ცხოვრების ტელეოლოგიური ნიშნით დახასიათება. ადამიანის ფსიქიკური ცხოვრების ძირითადი მამოძრავებელია მიზანი. ფსიქიკურ ცხოვრებაში გარკვეული კონკრეტული მიზნის აღმოცენება დაკავშირებულია პიროვნების შემოქმედ ძალასთან, მეს-თან. ის მიზანი, რომელიც აუცილებლობით ყალიბდება ადრეული ბავშვობის წლებში და შემდგომ მთელი პიროვნული ცხოვრების მამოძრავებელი ბირთვი ხდება, ა. ადლერის მიერ წოდებულია ცხოვრების სტილად. „ცხოვრების სტილი არის ფორმალური მოძრაობის ხაზი"[47]. ჩვენი ავტორი ცხოვრების სტილის ეკვივალენტად მრავალ ტერმინს იყენებს. ესენია: ფიქცია, წამყვანი ფიქცია, იდეალი, პიროვნების იდეალი, წამყვანი ხატი, წამყვანი ხაზი, ცხოვრების ხაზი, განვითარების ხაზი, მოძრაობის ხაზი, პრინციპები, ძირითადი მელოდია, ინდივიდის მელოდია, ფსიქიკური ღერძი, ინდივიდუალური შაბლონი,

---

[46] Unsicherheit, Untensein, Weiblichkeit— ამათი საპირისპიროა: Sicherhei Obensein, Männlichkeit.

[47] Handbuch der Individualpsychologie, Bd. I, München, 1926, გვ. IV.

ცხოვრების გეგმა, ფსიქიკური კონსტიტუცია. აღნიშნულ ტერმინებში რამდენადმე ასახულია მოვლენის სხვადასხვა ასპექტი: მაგალითად, ფიქცია და შაბლონი იმაზე მიუთითებენ, რომ ცხოვრების სტილი ზოგჯერ რეალურ სინამდვილეს შორდება და წარმოსახულ სამყაროში შეიჭრება ხოლმე. იგი განვითარების ხაზადაა წოდებული იმიტომ, რომ პიროვნების ისტორიის წარმართვის გზის მაჩვენებელია. ის პიროვნების იდეალია იმდენად, რამდენადაც პიროვნების არსებით პროსპექტულ მომენტსა და მის ღირებულებით მხარეს ეხება და ა. შ.

ა. ადლერს ცხოვრების სტილი მიაჩნია ხერხად (Kunstgriff) პიროვნების მიზნის განხორციელების საქმეში. ადამიანში ცხოვრების სტილი თავიდანვე, მისი ჩასახვის მომენტიდან არაცნობიერია და მას შესწევს უნარი არაცნობიერი ზემოქმედებისა[48]. ცხოვრების სტილი, ანუ ფსიქიკური კონსტიტუციაა ის, რაც აღიქვამს, პასუხობს და ასიმილაციას ახდენს[49]. ა. ადლერი პიროვნების განვითარების წარმმართველ ფაქტორს — ცხოვრების სტილს — ფიქციას უწოდებს: საქმე იმაშია, რომ ჩვენი ავტორის მიხედვით, ცხოვრებისეული სიძნელეების დაძლევა ბევრ შემთხვევაში ვერ ხორციელდება და პიროვნების იდეალი, ასე რომ ვთქვათ, რეალიზდება სურვილისა და ფანტაზიის სამყაროში. ეს იმის საფუძველია, რომ ადამიანი ცხოვრობს ნამდვილად არა რეალურ, არამედ წარმოსახულ სამყაროში. „ბავშვის ნაკლოვანების გრძნობიდან აღმოცენდება ძლიერებისაკენ მისწრაფება, რომელიც ზღვარს პოულობს კოლექტივის შოთხოვნებთან, ფიზიოლოგიურად და სოციალურად დაფუძნებულ კოლექტიურობის გრძნობასთან და მიემართება ილუზიაში"[50]. გარკვეული მნიშვნელობისაა ის ვითარება, რომ ა. ადლერისათვის სავსებით მისაღები ჩანს ჰ. ფაიჰინგერის ფილოსოფიური კონცეფცია — „თითქოს -ის ფილოსოფია". იგი გენიალურს უწოდებს აღნიშნულ კონცეფციას და მიუთითებს, რომ ფაიჰინგერის ფილოსოფიურ ნააზრევში დაინახა პრაქტიკიდან (ნევროზი) მიღებული შეხედულების დადასტურება[51].

ა. ადლერმა პიროვნების წამყვანი იდეალი ფიქციის კვალიფი-

---

[48] «Das Unbewußte, das ist der Lebensstil», Nochmals — die Einheit der Neurose Int. Z. f. Indps. 1930, H. 2, გვ. 213.

[49] Symptomwahl, Int. Z. f. Indps. 1936, H. 2, გვ. 76.

[50] Praxis und Theorie der Individualpsychologie, München, 1930, გვ. 3.

[51] Über den nervösen Charakter, გვ. 22.

კაციით წარმოადგინა. მაგრამ ამით არ ყოფილა უარყოფილი იდეალის მნიშვნელობა ფსიქიკის განვითარებისათვის საერთოდ. ა. ადლერის განცხადებით, ფაიჰინგერმა თავის თითქოს-ის ფილოსოფიაში ფიქცია განმარტა, როგორც რეალური სინამდვილისადმი წინააღმდეგობრივი, მაგრამ მეცნიერების განვითარებისათვის აუცილებელი. ნევროზის ფსიქოლოგიაში პირველად ინდივიდუალფსიქოლოგიამ მიუთითა აღნიშნულ ვითარებაზე, ხოლო ფაიჰინგერის ნაშრომმა ა. ადლერს მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საკუთარი შეხედულების სისწორეში დასარწმუნებლად[52].

ა. ადლერი ცხოვრების სტილზე მსჯელობს, როგორც პიროვნების ს ა წ ყ ი ს ფ ო რ მ ა ზ ე (Urform), გ უ ლ ზ ე (Kern), რომელიც 4 — 5 წლის ასაკში შეინიშნება, მაგრამ უფრო ადრე იქმნება. ცხოვრების სტილი თავის თავში ატარებს ყველა ფუნქციის შესაძლებლობას მთელი შემდგომი ცხოვრებისათვის, ყველა უნარს, რაც საჭიროა ცხოვრების საკითხების ასე თუ ისე მოგვარებისათვის, საწყისი ფორმა მოიცავს იმპლიციტურად იმ არეს, სადაც უნდა გაიშალოს მისი მოქმედება (Aktion). აღნიშნული საწყისი ფორმის, ანუ ფსიქიკური კონსტიტუციის დაპირისპირება სოციალური გარემოს მოთხოვნებთან განაპირობებს ადამიანში დაძაბულობის აღმოცენებას. ფსიქიკური კონსტიტუციის სტრუქტურა შეიძლება გაგებული იქნეს, როგორც ნაკლოვანების განწყობილება და პოზიცია[53].

ინდივიდი, რომელიც ცხოვრების ამოცანების მიმართ არასწორადაა მომზადებული, ჩაითვლება არანორმალურად. რას ნიშნავს ცხოვრების ამოცანებისადმი სწორი მომზადება? ეს ნიშნავს იმას, რომ შეგვიძლია გადავწყვიტოთ საკითხი მე-ს ურთიერთობისა შ ე ნ თ ა ნ. თუკი არ არსებობს პირველადი ფორმით ინტერესი ცხოვრების პრობლემისადმი, მაშინ არც ხდება საჭირო მიმართულებით მისი გადაჭრა. როცა ჩემი მე შორდება კოლექტივს, სოციალურს, ამაში გადამწყვეტ როლს თამაშობს პირველადი ფორმა, რადგანაც იგი განაპირობებს ინტერესსა და მიდრეკილებას კოლექტივისადმი, სოციალურისადმი; გასაგებიცაა, რატომ ვერ წყდება ცხოვრების ძირითადი საკითხები. მაშასადამე, არსებითი მნიშვნელობისაა პრობლემისადმი ინტერესის ხარისხი. ცხოვრების პრობლემა მით უფრო ადვი-

---

[52] Über den nervösen Charakter. გვ. 45—46.
[53] Rauschgift, Int Z. f. Indps, 1932, I, გვ. 3.

ლად წყდება, რაც მეტია პიროვნების ინტერესის ხარისხი ამ პრობლემისადმი[54].

ა. ადლერის მიხედვით, პიროვნებაზე უშუალო ზემოქმედების უნარი შესწევს არა განცდებს, არამედ ცხოვრების სტილს. ზოგიერთნი „სილრმის ფსიქოლოგიის“ კვალიფიკაციას აძლევენ გარკვეულ განცდათა ჯგუფის შესწავლას, რაოდენ მეტ სილრმეში მიდის ინდივიდუალფსიქოლოგია, დასძენს ჩვენი ავტორი, რომელიც მიუთითებს განცდის მილმა მდებარე ცხოვრების სტილზე[55]. სილრმე — ეს პიროვნების ცხოვრების სტილია.

ა. ადლერის განცხადებით, სრულყოფისაკენ სწრაფვისა და კოლექტიურობის გრძნობის (Gemeinschaftsgefühl) პრობლემის წინა პლანზე წამოწევასა და გადაჭრაში მდგომარეობს ინდივიდუალფსიქოლოგიური კონცეფციის მნიშვნელობა. კოლექტიურობის გრძნობაც არ წარმოადგენს წმინდა გ რ ძ ნ ო ბ ი თ რომელობას; როგორც ამას ავტორი აღნიშნავს, ის ცხოვრების ფორმაა (Lebensform)[56]. ცხოვრების ფორმა გაგებული არ უნდა იქნეს არც როგორც არასოციალური და არც ისე, თითქოს აქ ლაპარაკი იყოს ცხოვრების მხოლოდ სწავლის გზით შეთვისებულ ფორმაზე. მის ცხადსაყოფად შემდეგი დახასიათებისათვის შეიძლებოდა მიგვემართა: „სხვისი თვალით ხედვა, სხვისი ყურით მოსმენა, სხვისი გულით გრძნობა“[57]. იდენტიფიკაცია ხორციელდება კოლექტიურობის გრძნობის ხარისხის შესაბამისად. ასევე, იდენტიფიკაცია აუცილებელი პირობაა კოლექტივის ცხოვრებასთან მისასვლელად. თანამწუხარება (Mitleid) იდენტიფიკაციის ნაწილობრივი გამოხატვაა. იდენტიფიკაცია კოლექტიურობის გრძნობის ერთი ასპექტი და გაგების აუცილებელი პირობაა[58]. გაგება და შთაგრძნობა კოლექტიურობის გრძნობის ფაქტებია[59].

---

[54] ი ქ ვ ე, გვ. 4. ა. ადლერი მიუთითებს: «Alle Probleme unseres Lebens sind soziale Probleme und verlangen zu ihrer Lösung einen bestimmten Grad eines trainierten Gemeinschaftsgefühls». Nochmals — die Einheit der Neurosen, გვ. 206.

[55] Rauschgift, გვ. 5.

[56] Kurze Bemerkungen über Vernunft, Intelligenz und Schwachsinn. Int. Z. f. Indps. 1928, H. 4, გვ. 267. ადლერთან კოლექტიურობის გრძნობის სინონიმებია: „მიდრეკილება თანაცხოვრებისაკენ“, „სოციალური ინტერესი“, „კოოპერაცია“, „ურთიერთკუთვნილების გრძნობა“.

[57] ი ქ ვ ე.

[58] «Wir können nur verstehen, wenn wir identifizieren», იქვე.

[59] ი ქ ვ ე, გვ. 271.

კოლექტიურობის გრძნობა, ა. ადლერის განცხადებით, იმასაც ნიშნავს, რომ იგი მარადი მისწრაფებაა კოლექტიურობის ფორმისაკენ[60]. აქ არაა ლაპარაკი აწმყო კოლექტივზე ან საზოგადოებაზე, არც მის პოლიტიკურ და რელიგიურ ფორმებზე, არამედ ყურადღება ექცევა იმ მიზნებს, რომლებიც ვარგისი და ღირებულია პიროვნების სრულყოფისათვის. აქ ნაგულისხმევია კაცობრიობის იდეალური კოლექტივი, რევოლუციის იდეის უკანასკნელი განხორციელება. კოლექტიურობის გრძნობა, ვითარცა იდეა კაცობრიობის უკანასკნელი ფორმისა, მდგომარეობისა, რომელშიაც ცხოვრების ყველა საკითხი, ყოველგვარი მიმართება გარე სამყაროსადმი გადაწყვეტილად წარმოიდგინება, არის მიმართულების მიმცემი მიზანი. სრულყოფის მიზანი თავის თავში უნდა ატარებდეს იდეალური კოლექტივის იდეას. ყველაფერი, რაც ცხოვრებაში ჩათვლილი და მიჩნეულია ღირებულების მქონედ, კოლექტიურობის გრძნობის პროდუქტია[61].

კაცობრიობის ისტორია არ იცნობს იზოლირებულ ადამიანს. კაცობრიობის განვითარება შესაძლებელი იყო მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი წარმოადგენდა კოლექტივს და სრულყოფისაკენ საკუთარ მისწრაფებაში ილტვოდა იდეალური კოლექტივისაკენ. ინდივიდუალფსიქოლოგია პრეტენზიას აცხადებს იმაზე, რომ მან ერთ-ერთმა პირველმა მახვილი დაუსვა კოლექტიურობის გრძნობის ფუძემდებლურ მნიშვნელობას, მან მიუთითა კოლექტივისა და კოლექტიურობის გრძნობის ევოლუციურ მომენტზე და პრაქტიკული მნიშვნელობა მოიპოვა იმით, რომ ნათელი გახადა განვითარების საქმეში კოლექტიურობის გრძნობის დიდი წვლილი[62].

ადამიანი მუდამ დგას ამოცანის წინაშე. ეს ამოცანა დაკავშირებულია ადამიანური ერთად ცხოვრების ლოგიკასთან. მასების სულის ყველა დიდი ნაქმობა წარმოსდგება ა დ ა მ ი ა ნ თ ა ე რ თ ა დ ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს აბსოლუტური ლოგიკისაგან. ეს ნაქმობები გამიზნული იყო ყოველთვის თავდაცვის შესაქმნელად, ბუნების შემოტევის ასალაგმავად და ერთად ცხოვრებისათვის ხელის შესაწყობად[63].

როგორც მითითებული იყო, ადლერმა ინდივიდუალფსიქოლოგიის პრაქტიკულ ამოცანად დასახა პიროვნული შაბლონის, ფიქცი-

---

[60] Ursprung, გვ. 261.
[61] ი ქ ვ ე.
[62] ი ქ ვ ე, გვ. 262—263.
[63] Individualpsychologie, Scientia, 1926, vol. 39, № 6, გვ. 148.

ის დარღვევა ინდივიდში. რამდენადაც იგი უვარგისია ადამიანის წინაშე მდგარი ცხოვრებისეული საკითხების გადასაწყვეტად; ინდივიდს უნდა ჩამოშორდეს მცდარი პერსპექტივა და მის ნაცვლად მას უნდა მიეცეს ისეთი, რომელიც ხელს შეუწყობს ერთად ცხოვრების უკეთ განხორციელებას: პიროვნებას კვლავ ეძლევა ფიქცია, მაგრამ ისეთი, რომელშიაც ამიერიდან კოლექტიურობის გრძნობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. რა თქმა უნდა, ეს არაა სულიერი განვითარების იდეალური ჩამოყალიბების განზრახვის სრულყოფილი ცდა, მაგრამ იგი მაინც უკეთესი საშუალებაა ცხოვრებისეული ამოცანების გადაჭრისათვის[64].

ადამიანთა ერთად ცხოვრება ის ძირითადი მდგომარეობაა, რომელიც ცალკეულ ინდივიდზე ახდენს განუწყვეტელ ზემოქმედებას. ადამიანი თანდათანობით უახლოვდება „აბსოლუტურ ჭეშმარიტებას“ (ადამიანთა თანაცხოვრების ლოგიკა). ა. ადლერი თვლის, რომ კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის მიერ ჩამოყალიბებული ისტორიის მატერიალისტურ გაგებაში დადგენილია აღნიშნული ძირითადი ფაქტის მნიშვნელოვანი მომენტი. ამ მოძღვრების მიხედვით, ეკონომიური საფუძველია ის, რითაც ხალხი აღწევს არსებობას (Lebensunterhalten), რაც განაპირობებს „იდეოლოგიურ ზედნაშენს“, ადამიანის აზროვნებასა და ქცევას. ა. ადლერი დასძენს, რომ მარქსისა და ენგელსის აღნიშნული თეზისი ეთანხმება ინდივიდუალფსიქოლოგიურ გაგებას „ადამიანთა თანაცხოვრების ლოგიკის“ შესახებ[65].

საზოგადოებრივი მოთხოვნები აწესრიგებენ ადამიანთა ურთიერთობას. ადამიანი საზოგადოებრივი არსებაა. ადამიანური კულტურა საზოგადოებრივია. ინდივიდის შესახებ მხოლოდ მაშინ შეგვიძლია მივიღოთ ახსნა-განმარტება, როცა იგი შეფასებულია საკუთარ სიტუაციაში. სიტუაცია არის ადამიანის პოზიცია სამყაროში და თავის უახლოეს გარემოში, — პოზიცია საკითხებისადმი, რომლებიც მის წინაშე დგანან მუდამ. ეს საკითხებია: მოღვაწეობა (Betätigung), კავშირი (Anschluß) და სიყვარული, მოყვასთან ურთიერთობა[66]. ინდივიდის მ ო ღ ვ ა წ ე ო ბ ა (პროფესია, პროდუქტული საქმიანობა) აყენებს კითხვას: როგორ შემიძლია სასარგებლო გავხდე, რა გზით შემიძლია ხელი შევუწყო საყოველთაო სიკეთეს. კ ა ვ შ ი-

---

[64] Menschenkenntnis, გვ. 10.
[65] ი ქ ვ ე, გვ. 19.
[66] ი ქ ვ ე, გვ. 32.

რ ი ს (საზოგადოებრივი ურთიერთობა) საკითხი ეხება მე-ს მიმართებას შენ-თან. მ ო ყ ვ ა ს თ ა ნ ურ თ ი ე რ თ ო ბ ი ს (ოჯახური ურთიერთობა) საკითხი დაკავშირებულია სიყვარულთან, სხვა სქესის პიროვნებისადმი ინტერესთან, სხვისთვის ცხოვრების გზის შემსუბუქებასა და მემკვიდრეობის, შთამომავლობის მომენტებთან[67].

ცხოვრების აზრი კოლექტიურობის გრძნობაა, შემოქმედება და წვლილის შეტანაა კაცობრიობის სამსახურში[68].

ა. ადლერის მიხედვით, სოციალური ინტერესი, ანუ კოლექტიურობის გრძნობა თანშობილი შესაძლებლობაა[69]. კოლექტიურობის გრძნობა ცოცხლდება სოციალურ კავშირში; როგორც ცნობილია, არსებობენ თანშობილი უნარები და ფუნქციები, რომლებიც თვითონვე, გარეგანი ბიძგის გარეშე, ამოქმედდებიან. ასეთია, მაგალითად, სუნთქვის ფაქტი. იგივე ბუნება, მართალია, ამჟამად არ მიეწერება სოციალურ ინტერესს, მაგრამ პრინციპში არსებობს კოლექტიურობის გრძნობის სრულყოფის პერსპექტივის საფუძველი, მომავალში კაცობრიობის კოლექტიურობის გრძნობა სუნთქვის ფუნქციის შესატყვისად აღმოცენდება[70]. ა. ადლერი იცავს აზრს კოლექტიურობის გრძნობის კოსმიური ბუნების შესახებ. კოლექტიურობის გრძნობა მას წარმოდგენილი აქვს კოსმიური კავშირის ასახვად ადამიანში[71].

ჩვენი ცხოვრების ყველა პრობლემა სოციალურია და ამიტომ მათი გადაჭრა მოითხოვს კოლექტიურობის გრძნობის მაღალ დონეს: სოციალური ინტერესი არ აქვს მას, ვინც საკუთარ თავზე უფრო მეტად ფიქრობს და ზრუნავს ვიდრე სხვაზე, ვისაც მიზნად დაუსახავს ისე იცხოვროს, თითქოს ამოცანა მხოლოდ მისი კეთილდღეობის უზრუნველყოფაში მდგომარეობს, ვისაც არ გააჩნია საერთო ინტერესებისათვის მოღვაწეობის სურვილი და უნარი. ინდივიდუალფსიქოლოგია დიდ ყურადღებას აქცევს ინდივიდთა შორის თანამშრომლობითი ნაქმობის გაზომვის შესაძლებლობას. აქ ინდივიდის „ცხოვრების ფორმის“ დახასიათებისათვის აღებულია მასშტაბი —

---

[67] Der Sinn des Lebens, გვ. 169—170.

[68] «...der Sinn des Lebens das Gemeinschaftsgefühl ist, die Betragsleistung, Schöpfung im Dienste der Allgemeinheit», იქვე, გვ. 170.

[69] Symptomwahl, გვ. 73.

[70] Über den Ursprung, გვ. 263.

[71] Menschenkenntnis, გვ. 47.

კოლექტიურობის გრძნობის გავრცელების არე, უნდა გაირკვეს, სად იწყება და მთავრდება პიროვნების ქცევაში სოციალური ინტერესის მამოძრავებელი აქტი. ინდივიდუალფსიქოლოგიის მოთხოვნაა: ყველა უნარი შეიძლება განვითარდეს და უნდა განვითარდეს კიდევაც კოლექტიურობის გრძნობის საფუძველზე. ეს, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს, თავის მხრივ კოლექტიურობის გრძნობის განვითარების საჭიროებას[72], პიროვნების აღზრდა არსებითად უნდა დაუკავშირდეს კულტურის საკითხებსა და მოთხოვნებს. აღზრდის წყალობით ადამიანი უნდა გახდეს ნამდვილი მოყვასი[73].

ჩვენი ამოცანათაგანია, როგორც აღნიშნული იყო, სილრმის ფსიქოლოგიური თეორიების ფუძემდებლური მნიშვნელობის მქონე ცნებების ანალიზი, მათი შინაარსის ჩვენება. ამ მიზნის მიღწევა ინდივიდუალფსიქოლოგიის ფარგლებში სიძნელეს აწყდება იმ მხრივ, რომ ამ კონცეფციის ავტორი ა. ადლერი არ ზრუნავს ცნებების შინაარსის ერთმნიშვნელოვან დადგენაზე. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ა. ადლერის კონცეფციის ძირითადი ცნებები განსხვავებულადაა გაგებული მისი თეორიის მომხრე და მოწინააღმდეგე ბანაკებს შიგნითაც კი. ამის ერთ-ერთ მაგალითად შეიძლება დავასახელოთ კოლექტიურობის გრძნობის ცნება. კითხვაზე—რა არის კოლექტიურობის გრძნობა? — სხვადასხვა პასუხი ამოიკითხეს ა. ადლერის ნაწერებიდან. იგი გაიგეს, როგორც შემეცნების და არა როგორც ლტოლვის ძალა. კოლექტიურობის გრძნობა მიღრეკილებაა, რომელიც გარკვეულ პირობებში შეიძლება მზაობად განვითარდეს[74]. იგი ნიშნავს ობიექტურობას, მოვლენათა და მიმართებათა ისეთ ხედვას, როგორადაც ისინი თავისთავად არიან; იგია აზროვნებაში ლოგიკა, ნაქმობისათვის, ბუნებისა და ხელოვნების განცდისათვის მზაობა, ყველა მოქმედების, წარმოდგენისა და აზროვნების პასუხისმგებლობისათვის მზაობა[75]. ამასთანავე იგი ბიოლოგიური მიზნობრიობის ფაქტიცაა[76]. კოლექტიურობის გრძნობა არის კოლექტივის, როგორც იდეის, მიზნისაკენ სწრაფვის თანშობილი პიროვნული პოტენცია. ესაა პიროვნული განცდა ურთიერთობისა, დაკავშირე-

---

[72] Persönlichkeit, გვ. 86.

[73] Symptomwahl, გვ. 69.

[74] Heinz L. Ansbacher. Der Wandlung der Adlerschen Individualpsychologie, Psychologische Rundschau, 1961, H. 4, გვ. 266.

[75] E. Wexberg, Individualpsychologie, გვ. 83—84.

[76] იქვე.

ბისა, მოვალეობისა, პასუხისმგებლობისა. იგია ადამიანთა თანაცხოვრების იმანენტური ლოგიკის პიროვნული კონკრეტიზაცია[77]. კოლექტიურობის გრძნობა არის ლტოლვა, ლოგიკა და ეთიკა[78]. იგი საყოველთაო ღირებულების გამაერთიანებელი ცნებაა[79]. კოლექტიურობის გრძნობა მორალურ-ნორმატიული იდეაა[80].

ადამიანის სტრუქტურული მომენტების — ნაკლოვანებისა და კოლექტიურობის გრძნობების, სრულყოფისაკენ სწრაფვის, ცხოვრების სტილის, კომპენსაციის — ურთიერთშიმართება, რომელთა ფარგლებში იშლება ადამიანური ბუნება, ადლერთან შემდეგნაირად ხასიათდება: ნაკლოვანების გრძნობა განაპირობებს სრულყოფისაკენ სწრაფვას, რაცაა ე. წ. უარყოფითი სიტუაციიდან დადებით სიტუაციაში გადასვლა, სხვაგვარად, პიროვნების არასაიმედობის, სისუსტის დაძლევისაკენ მიმართული აქტივობა. მე-ს მიერ შექმნილი ცხოვრების სტილი პიროვნული სისუსტის გადალახვისაკენ მიმართული კონკრეტული კომპენსატორული აქტია. ცხოვრების სტილის კონკრეტული შინაარსი ზოგიერთ შემთხვევაში რეალობისაგან მეტისმეტად დაშორებულია და ფიქცია ხდება. კოლექტიურობის გრძნობა ზღვარს უდებს მე-ს სუბიექტივისტურ განზრახვას, იგი ინდივიდს ჩართავს სოციალურ ურთიერთობაში, გარემოში და ამით ადამიანს ჭეშმარიტ საბყოფელს მიუჩენს, სადაც უნდა გაიშალოს მისი ადამიანური შემოქმედება, მოღვაწეობა..

რა არის პიროვნება? როგორ შეიძლება პიროვნების წვდომა, შემეცნება? ინდივიდუალფსიქოლოგიას, ადლერის მიხედვით, ცნობიერად მიღებული აქვს წანამძღვარი, რის საფუძველზედაც იგი ცდილობს ააგოს მეცნიერული შენობა. ეს წანამძღვარია კონცეფცია სიცოცხლის შესახებ, რომელიც უმაღლეს განსახიერებას პოულობს პიროვნების სახით. ინდივიდუალფსიქოლოგიის ამოსავალი დებულებაა პ ი რ ო ვ ნ ე ბ ი ს ე რ თ ი ა ნ ო ბ ა[81]. პიროვნების მთლიანობაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა და წინა პლანზე წამო-

---

[77] Oskar S p i e l, Die Individualpsychologie als Beziehungslehre წიგნში «Alfred Adler. Zum Gedenken», Wien, 1957, გვ. 142.

[78] M. A d l e r, Erkenntniskritische Bemerkungen zur Individualpsychologie, Int. Z. f. indps. 1925, H. 5.

[79] E. R i n g e l, Der Wertbergiff in der Individualpsychologie, Int. Z. f. Indps. 1950, H. 3, გვ. 126.

[80] H. K u n z, Zur grundsätzlichen Kritik der Individualpsychologie Adlers, გვ. 765.

[81] Ist der Fortschrit der Menschheit möglich? Int. Z. f. Indps. 1937, H. I, გვ. 1.

იწევა პიროვნების მიმართება ცხოვრებისეული საკითხებისადმი, საერთოდ, სოციალურისადმი. პიროვნებაში ძევს საზრისი. პიროვნება თვითონ საზრისის განხორციელებაა, რამდენადაც ის მიზნობრივ ერთიანობას წარმოადგენს. აღნიშნული მიზნობრიობა იმანენტურია პიროვნებისათვის. პიროვნების არსი იმანენტური ტელეოლოგიაა. პიროვნების გაგება ნიშნავს პიროვნების წვდომას იმანენტურ მიზანმიმართულ ერთიანობაში; აღნიშნულს ეწოდება ინდივიდუალფსიქოლოგიის უმაღლესი თეზისი.

პიროვნებას საფუძველი აქვს ბუნებაში, მაგრამ იგი აღიმართება იმავდროულად ღირებულებათა სამყაროში. პიროვნებაში სხეულისული-გონი სტრუქტურული ნაწილებია; ადლერის პასუხი კითხვაზე ინდივიდუალფსიქოლოგიაში ითქვა თუ არა რაიმე ახალი სულიერი მთლიანობის შესახებ? — ასეთია: სულიერი მთლიანობის შესახებ არაფერი ვიცით იმაზე მეტი, რაც მოპოვებულია ღრმა ინტუიციით ადამიანის შესახებ ესქილესთან, სოფოკლესთან, ევრიპიდესთან, მოლიერთან, შექსპირთან, შილერთან, გოეთესთან, ტოლსტოისთან და დოსტოევსკისთან. თუკი ვინმეს სურს უფრო მეტი ცოდნის მიღება ადამიანის სულის მთლიანობის შესახებ, ის უნდა დაელოდოს ახალი შექსპირისა და დოსტოევსკის გამოჩენას. ის, რაც მათ დასრულებული ენობრივი ხელოვნებით წარმოადგინეს, მან, ა. ადლერმა, მარტივი და გასაგები გახადა, უფრო ზუსტად თქვა მეცნიერულ ენაზე[82].

ინდივიდუალფსიქოლოგიის მიზანია მთლიანი პიროვნების შემეცნება. მთლიანი პიროვნების წვდომის გზა იწყება ცალკეული შოვლენების აღქმით, რომელმაც შემდეგ უნდა მოგვიყვანოს პიროვნების მთლიანობამდე. პიროვნების მიზნის მოცემულობით მოცემულია ცხოვრების ფორმაც. ცხოვრების სტილში ჩართულია სულიერი სამყაროს ყოველი ნაწილი. ადლერის სიტყვებით რომ ვთქვათ, ყოველი ნაწილი მთლიანის „ნატეხს“ წარმოადგენს. ინდივიდუალური მოძრაობის კანონი ჩვენ უშუალოდ არ გვეძლევა. მისი წვდომა შეიძლება გამოსახვის ფორმებში. ადამიანის მიზანი მის მოქმედებაში, ნაქმობაში ჩანს და იგი მასშივე უნდა იქნეს ამოკითხული. სულიერი ცხოვრების ცალკეული მოვლენის წვდომა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა იგი გაგებულია, როგორც ნაწილი განუყოფელი მთელისა. როცა ვიცით ადამიანის მიზანი, მაშინ ჩვენთვის ისიც გასაგებია, თუ რას ნიშნავს მისი გამოსახულებითი მოძრაობები. შემეცნების გარან-

---

[82] Ist der Fortschrit der Menschheit möglich? Int. z. I. Indps, 1937, H. I, ss. 1.

ტიის პირობაა ის, რომ ინდივიდში მიზნის არსებობა აუცილებლობით განაპირობებს სულის მოძრაობას ამ მიზნის მიმართულებით. იმის გასაგებად, რაც ხდება კონკრეტულ ადამიანში, საჭიროა მხედველობაში მივიღოთ მოყვასთან მისი ურთიერთობა. პიროვნების გასაგებად გათვალისწინებული უნდა იქნეს სიტუაცია. სიტუაცია არის ადამიანის ადგილი სამყაროში და მის უახლოეს გარემოში, მისი პოზიცია საკითხებისადმი, რაც მის წინაშე აუცილებლობით წამოიჭრება[83].

გარეგანი მსგავსება სიმპტომებისა საკმაო საფუძველს არ იძლევა გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ისინი ერთი და იგივე შინაგანი საქმის ვითარების გამოვლინებაა. ორი პიროვნების მიერ ერთნაირი საქმის კეთება არ ნიშნავს ერთსა და იმავეს. რადგანაც სულიერი კავშირები ინდივიდში იქმნება შემოქმედი მე-ს მიერ, არ არსებობს იმის გარანტია, რომ სიმპტომის უკან არსებული სულიერი რეალობა ერთნაირ შინაარსს წარმოადგენს. საჭირო ხდება „პიროვნების გულში" შელწევა და იქ „ფსიქიკური კონსტიტუციის" ხილვა[84].

პიროვნება, როგოც ითქვა, გაგებული უნდა იქნეს. პიროვნების გაგების საქმეში არსებითი როლი ენიჭება შ თ ა გ რ ძ ნ ო ბ ა ს, ი დ ე ნ ტ ი ფ ი კ ა ც ი ა ს[85]. იდენტიფიკაციით ხერხდება ადამიანის სიმპტომის არჩევანის თავისებურების წვდომა. იდენტიფიკაცია ადლერთან ამ შემთხვევაში გაგებულია, როგორც სხვისი სულიერი ვითარების მიმდინარეობის გადმოტანა შემმეცნებელ სუბიექტში იმ აზრით, რომ შემმეცნებელი თუკი აღმოჩნდებოდა იმავე პირობებში და სიტუაციაში, მას თუკი ექნებოდა იგივე სულიერი მოტივაცია, იმავეს ჩაიდენდა, რაც შესამეცნებელმა პიროვნებამ განახორციელა[86]. იდენტიფიკაცია არის სხვისი თვალით ყურება, ე. ი. ისეთი სულიერი ცხოვრების ქონა, როგორიც სხვას აქვს. ადლერისათვის, მაგ., თანამწუხარება (Mitleid) იდენტიფიკაციის ფაქტადაა ჩათვლილი. აქ საქმე გვაქვს იმის სრულიად საპირისპიროსთან, რასაც ეხება შთაგრძნობის გავრცელებული გაგება — ჩვენი სულიერი მდგომარეობის გადატანა სხვაში, საკუთარის შეტანა ჩემს გარეთ არსებულში (მეორე სუბიექტში ან ობიექტში); თუმცა ადლერი მიუთითებს,

---

[83] Menschenkenntnis, გვ. 3—32.

[84] Symptomwahl, გვ. 76.

[85] «Wir können nur verstehen, wenn wir identifizieren», Kurze Bemerkungen, გვ. 270.

[86] Symptomwahl, გვ. 65.

რომ იდენტიფიკაციის საკუთარი ცნება და შთაგრძნობის თ. ლიპსისეული ცნება იგივეობრივეიაო[87]. ადლერი იყენებს შთაგრძნობის ცნებას, მაგრამ მასში იდენტიფიკაციის გარდა სხვა შინაარსსაც დებს. სახელდობრ აქ იგი გულისხმობს იმის წინასწარ გრძნობას და მიხვედრას, რაც მომავალში იქნება[88]. ინდივიდის გაგების საქმეს ინდივიდუალფსიქოლოგიაში ემსახურება აგრეთვე მ ი ხ ვ ე დ რ ა ც (Erraten), რაც ადლერისათვის იგივე ინტუიციაა[89]. მაგრამ მიხვედრის (ინტუიციის) ცნების შინაარსის განმარტებას ადლერის ნაწერებში ვერ ვნახულობთ, ეს კი აუცილებელი იყო, რადგანაც ინტუიციის ცნება საერთოდ მრავალი შინაარსითაა წარმოდგენილი.

კლასიკური სიღრმის თეორიების ავტორები ერთმანეთისადმი უარყოფით დამოკიდებულებაში არიან, მათ არ აკმაყოფილებთ ე. წ. მოწინააღმდეგის თეორიული წანამძღვარი, და მის შეფასებას ზოგჯერ უსიამოვნო ეპითეტებითაც გვთავაზობენ. ბურჟუაზიულ სამყაროში ცალკეულ სიღრმისფსიქოლოგიურ თეორიას თავის ქომაგი ჰყავს. მაგალითად, ადლერის ინდივიდუალფსიქოლოგიას ვილიამ შტერნი სიმპათიით ეკიდება. ვ. შტერნმა პერსონალისტური ფსიქოლოგიის პრობლემაზე მსჯელობის დროს თავისი დამოკიდებულება გამოთქვა საერთოდ სიღრმის ფსიქოლოგიაზე და მის ცალკეულ მიმდინარეობებზეც. ვ. შტერნი თვლის, რომ სიღრმის ფსიქოლოგიამ სწორი ნაბიჯი გადადგა პიროვნების ბუნების დადგენის საქმეში, როცა მან პიროვნების არსი არაცნობიერში, პიროვნების სიღრმეში მოათავსა და ცნობიერებას სიმბოლურობის ნიშანი დაუტოვა. ეს იმიტომ მოხდა, რომ ცნობიერებას არ შესწევს უნარი, ზუსტად და სანდოდ ასახოს „მე". მაგრამ, მეორე მხრივ, იმავე სიღრმის ფსიქოლოგიამ (ფსიქოანალიზმა) მნიშვნელობა დაუკარგა თავისსავე თეზისს იმით, რომ მან ს ი ღ რ მ ი ს ცალმხრივი გაგებით დაამახინჯა პიროვნების მთლიანი სურათი. ფსიქოანალიზმა პიროვნების სიღრმე ფ ს ი ქ ი კ ა დ ჩათვალა და ის ბიოლოგიურზე (ლტოლვაზე) დაიყვანა[90]. ფსიქოანალიზის ამ გაგებას ვ. შტერნმა დაუპირისპირა პერ-

---

[87] Kurze Bemerkungen, გვ. 267.

[88] «...zu fühlen, zu erraten, was etwa in der Zukunft wird». Menschenkenntnis, გვ. 46.

[89] Der Sinn des Lebens, გვ. 164.

[90] ვ. შტერნმა ფსიქოანალიზის მიმართ ის საყვედურიც გამოთქვა, რომ ადამიანის პერსონის დაყოფას გულად და ნაჭუჭად, ე. ი. საწყისისეულად და იქიდან გამოყვანილად, მოჰყვა დუალიზმის მკაცრი გატარება იმ მნიშვნელობით, რომ არაცნობიერისა და ცნობიერის განსხვავებას არა მარტო ხარისხობრივი, რანგობრივი „ზრი მი-

სონალისტური თეზისი: „სიღრმე აქვს ფსიქიკას კი არა, პერსონს"[91].

ფსიქოანალიზმა, ვ. შტერნის მიხედვით და ამაში მას დაეთანხმებიან, მოგვცა პიროვნების მექანისტური გაგება, რომელიც გვაგონებს მე-16 საუკუნის ასტროლოგიას. ასტროლოგიიდან ისტორიულად თანდათანობით აღმოცენდა ნამდვილი მეცნიერება — ასტრონომია. ვ. შტერნი ფიქრობს, რომ შესაძლებელია ფსიქოანალიზსაც იგივე გზა ჰქონდეს გასავლელი. ფსიქოანალიზის წიაღიდან გამოსული ა. ადლერის ინდივიდუალფსიქოლოგია ჩვენს ავტორს მიაჩნია არამეცნიერებიდან მეცნიერების დაბადებად. ვ. შტერნისთვის ინდივიდუალფსიქოლოგიაში მიმზიდველი და მისაღები ჩანს ის, რომ აქ ლაპარაკია პიროვნებაზე, როგორც ტელეოლოგიურ არსებაზე, ცნობიერების პროცესების გაგების შესაძლებლობაზე პიროვნულ მიზანთა სისტემიდან, პიროვნების ფსიქო-ფიზიკურ ნეიტრალობაზე, ცნობიერების გააბსოლუტურების წინააღმდეგ ბრძოლაზე და სხვ[92]. განსხვავებაც დიდია ა. ადლერისა და ვ. შტერნის პერსონალისტურ კონცეფციებს შორის. მაგ., შტერნთან პერსონი სუბსტანციურია, ამიტომ არ დაისმის საკითხი მისი გენეზისის შესახებ. ა. ადლერთან პიროვნება უნდა გაჩნდეს, წარმოიშვას, რადგანაც იგი სიცოცხლის კონკრეტული გამოვლენაა და სხვ.

§ 8. **არაცნობიერის პრობლემა.** სიღრმის ფსიქოლოგიას განმარტავენ, როგორც ფსიქოლოგიას არაცნობიერის შესახებ. ზ. ფროიდის ფსიქოანალიზსა და კ. გ. იუნგის ანალიზურ ფსიქოლოგიაში პრინციპულადაა დასმული და გადაწყვეტილი არაცნობიერი ფსიქიკის საკითხი. ამიტომ ამ კონცეფციების მიკუთვნება სიღრმის ფსიქოლოგიური მიმართულებისადმი ბუნებრივი და გასაგები ჩანს. სხვაგვარი დამოკიდებულებაა ა. ადლერის ინდივიდუალფსიქოლოგიის შიმართ. ზოგიერთის შეხედულებით, აღნიშნული კონცეფციის მოთავსება სიღრმისფსიქოლოგიურ მიმდინარეობაში დამოკიდებული უნდა იყოს იმაზე, თუ როგორ გადაწყდება საკითხი ინდივიდუალ-

---

ეცა, არამედ პიროვნების შიგნით მათ შორის დაპირისპირება, ოდითგანვე მტრობადააკანონა.

[91] W. Stern, Person und Sache, 1923, გვ. 240.

[92] ვ. შტერნის ფსიქოლოგიისა და ფილოსოფიის შესახებ ქართულ ენაზე იხ. ერ. აბაშიძე, პერსონალისტური ფსიქოლოგია, თბილისი, 1962; გ. ცინცაძე, ადამიანის პრობლემა პერსონალისტურ ფილოსოფიაში (ვ. შტერნი), მოთავსებულია კრებულში „ფილოსოფიური ანთროპოლოგიის საკითხები", ნაწ. II, თბ., 1971.

ფსიქოლოგიის ფარგლებში არაცნობიერი ფსიქიკის მნიშვნელობისა და ადგილის შესახებ[93].

ა. ადლერი მოიხმარს არაცნობიერის ცნებას, მაგარმ გასარკვევია მისი შინაარსი, არსებობის რა ფორმაზეა აქ ლაპარაკი: ფსიქიკურ არაცნობიერზე თუ სხვა სახის არაცნობიერზე. ავტორს საკუთარი შეხედულება აღნიშნულ საკითხზე შეეძლო გამოეთქვა შრომაში" «Menschenkenntnis», რომლის ერთ-ერთ პარაგრაფს ეწოდება „არაცნობიერი", მაგრამ აქ არაფერი ითქვა ამომწურავი ამ საკითხთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, მაინც შეიძლება სავსებით გარკვეული აზრი შევიმუშაოთ არაცნობიერის ცნების შესახებ, თუ გათვალისწინებული იქნება ა. ადლერის მიერ სხვადასხვა დროს გამოთქმული მსჯელობები აღნიშნულ ცნებასთან დაკავშირებით.

ა. ადლერი გარკვევით ამბობს, რომ ცნობიერება არ შეიძლება გაიგივდეს ცნებით ასახვასთან. ცნობიერად ვერ ჩაითვლება მხოლოდ ის, რაც ცნებაშია გამოხატული, ცნებითაა ხორცშესხმული[94]. ჩვენი ავტორი იცავს აზრს ცხოველებში ცნობიერების არსებობის შესახებ, თუმცა მათ არ მიაწერს ცნებითი აზროვნების უნარს. ცნობიერებაში ამ შემთხვევაში იგულისხმება უშუალო, ე. წ. პირველადი ცნობიერება, ცნობიერების შინაარსების უბრალო დადასტურება, განცდა. ეს რომ ასეა, ამას მოწმობს მისივე სიტყვები: „არაცნებითი აზროვნება, რომლითაც ჩვენ აღვსილნი ვართ ცხოვრების ყოველ მომენტში, ცნობიერია ცნობიერების აზრით, რადგანაც ის ყოველთვის დასტურდება, არასოდეს არ ქრება"[95]. მაშასადამე, ა. ადლერის გაგებით, ურეფლექსიო ფსიქიკური შინაარსი, როგორც ასეთი, არაცნობიერ ფსიქიკად არ ჩაითვლება, იგი ცნობიერი ფსიქიკაა. აღნიშნულის გარკვევა ჯერ კიდევ არაფერს ამბობს, არის თუ არა ადლერი არაცნობიერი ფსიქიკის (ცნობიერებისაგან დამოუკიდებელი ფსიქიკის) არსებობის დამცველი ან მოწინააღმდეგე.

ა. ადლერის შრომებში ვხვდებით მსჯელობებს, სადაც იგი არაცნობიერი ფსიქიკის, ე. ი. ცნობიერებაში დადასტურებული ფსიქიკური შინაარსების ცნობიერების გარეთ არსებობის თეზისის დამც-

---

[93] E. Ringel und W. Spiel, Zur Problematik des Unbewußten vom Standpunkt der Individualpsychologie, Psyche, 1952, H. 6, გვ. 378.

[94] Persönlichkeit, გვ. 85. შეად: Der Aufbau der Neurose, გვ. 322, სადაც ავტორი ლაპარაკობს გაუაზრებელ (unbegriffene) ფაქტებზე, რომელთა სიტყვებში მოთავსებით არ ხდება არაცნობიერიდან ცნობიერებაში რაიმეს ამოტანა.

[95] Persönlichkeit, გვ. 85.

ველად გვევლინება, გადაჭრით, მაგრამ ყოველგვარი დასაბუთების გარეშე მსჯელობს აზრებისა და სურვილების არაცნობიერ არსებობაზე[96]. ნაკლოვანების გრძნობაც ხომ, გარკვეული აზრით, ფსიქიკის არაცნობიერი რომელობის აღიარებაა.

ზ. ფროიდმა და კ. გ. იუნგმა ადამიანის ბუნების არსებით და ღირებულ მომენტად ირაციონალური სინამდვილე ჩათვალეს. კვლევა-ძიება ამ მიმართულებით წარიმართა და მათ ფსიქიკისა და პიროვნების სიღრმედ არაცნობიერი ფსიქიკა გამოაცხადეს. არაცნობიერი ფსიქიკა გახდა ახსნისა და გაგების საფუძველი. ა. ადლერს არ აკმაყოფილებს პიროვნების შინაგანი მამოძრავებელი ძალების წარმოდგენა ირაციონალური ბუნების მქონედ. „ინდივიდუალფსიქოლოგიამ, პირველმა ფსიქოლოგიურმა სკოლამ, გაწყვიტა კავშირი შინაგანი ძალების (ინსტინქტები, ლტოლვები, არაცნობიერი და ა. შ.), როგორც ირაციონალური მასალის დაშვებასთან"[97]. ა. ადლერი თვლის, რომ ინდივიდუალფსიქოლოგია ნამდვილად მიუთითებს პიროვნების სიღრმეზე, როცა ცხოვრების სტილს ათავსებს პიროვნების ცენტრში და მისით ხდის გასაგებს განცდებსაც და სხვა მიმართებებსაც. „არაცნობიერი ესაა ცხოვრების სტილი"[98]. არაცნობიერში თავსდებიან ძალები, რომლებიც აფორმებენ, აყალიბებენ ადამიანის მოძრაობის ხაზს, მისი ცხოვრების გეგმას, ინდივიდუალურ აღნაგობას. ცნობიერებაში ასახულია ე. წ. ცხოვრების გეგმის მხოლოდ ანარეკლი, ზოგჯერ საწინააღმდეგოდაც კი[99].

როგორც ჩანს, ა. ადლერის არაცნობიერის ცნების მეორე გაგებაში თავსდება: მ ე, როგორც ცხოვრების სტილის შემოქმედი ძალა, თვითონ ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს ს ტ ი ლ ი, რაც წარმოადგენს პიროვნების გულს და პიროვნების განვითარების წარმმართველს, მ ი ზ ა ნ ი, რაც განხორციელებული უნდა იქნეს ცხოვრების სტილის საშუალებით. ერთი სიტყვით, აქ არაცნობიერში იგულისხმება პიროვნება თავისი სტრუქტურით, რაც ონტიური გარკვეულობით ფსიქიკას არ უნდა წარმოადგენდეს.

ა. ადლერის კონცეფციაში არაცნობიერის ცნებას უკავშირდება კიდევ ერთი, გნოსეოლოგიური ასპექტი. ესაა ის მომენტი, როცა ავტორი მსჯელობს არაცნობიერზე, როგორც ისეთ რაიმეზე, რაც

---

[96] Menschenkenntnis, გვ. 83. Heilen und Bilden, გვ. 56.
[97] Ist Fortschritt der Menschheit möglich? გვ. 1.
[98] Heilen und Bilden, გვ. 130, 133.
[99] Menschenkenntnis, გვ. 76, 78.

გაგებული არაა, რაც შემეცნებას მოკლებულია (Unverstandenes). ზოგი ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს არაცნობიერის ცნების ამ შინაარსს და იცავს შეხედულებას, რომ ა. ადლერთან არაცნობიერის ცნება იგივეობრივია არცოდნის (Ungewußt) ცნებისა[100]. ა. ადლერი მიუთითებს: „არაცნობიერი ნიშნავს იმას, რაც ჩვენ ვერ გაგვიგია, 'რაც არ გვესმის (Unverstandenes)"[101], რისი ცოდნაც არა გვაქვს[102], რაც ქმნის ადამიანის ძირითადი განწყობილების გაუგებარ ნაწილს[103]. აქ მოტანილი მსჯელობები არსებითად გულისხმობს პიროვნების მიზნისა და ცხოვრების სტილის შესახებ მითითებას, რომ თვითონ ეს მომენტები, ერთი მხრივ, მისი მატარებელი და, მეორე მხრივ, დამკვირვებელი პირისათვის შეიძლება მიუწვდომელი, გაუგებარი იყოს, მაშასადამე, ადლერი ამ შემთხვევაში იცავს აზრს, რომლის მიხედვით, არაცნობიერი წარმოა-

---

[100] იხ. რინგელისა და შპილის დასახელებული ნაშრომი, გვ. 365. შეად. ნორმანის მსჯელობა კრებულში «a l f r e d A d l e r. Zum Gedanken», გვ. 8, ავრეთვე A. F a r a u, Die Entwicklung der Individualpsychologie und ihre Stellung in heutigen Amerika. Psyche, XIII Jahrgang, 1960, H. 12, გვ. 862. ცნება Ungewußt-Unbewußte განსხვავებული შინაარსის შემცველია ფ. ლერშთან. იგი ამ ტერმინში გულისხმობს ნოეტური აპერცეფციის განუხორციელებლობის ფაქტს. ფ. ლერში განცდის აქტუალობის შემდეგ სამ საფეხურზე მიუთითებს: უ ბ რ ა ლ ო გ ა ნ ც დ ა (schlichtes Erleben), ეს იგივეა, რაც განცდა შინაგოფის მოდუსში, ც ნ ო ბ ი ე რ ე ბ ა (Bewußtsein), რაც ნიშნავს სუბიექტისა და ობიექტის გათიშვას, მე-ს და არა-მე-ს დაპირისპირებას და აღნიშნული პოლუსების ცნობიერების ქონას. ესაა მე-ს მაკონსტატირებელი ფუნქცია, ც ნ ო ბ ი ე რ ო ბ ა (Bewußtheit), აღნიშნული მე-ს ისეთი ფუნქციაა, რომელიც გამოიხატება პოზიციის დაჭერაში საკუთარი განცდების მიმართ. იგი რეფლექტირებული განცდაა. ფ. ლერში განცდის აქტუალობის საფეხურებისდა შესატყვისად არაცნობიერის სამ სახეს ასახელებს. ესენია: შეუცნობელი-არაცნობიერი (Ungewußt-Unbewußte), ურეფლექსიო-არაცნობიერი (Unreflektiert-Unbewußte), და ცნობიერების გარეშე - არაცნობიერი (Bewußtlos-Unbewußte). შეუცნობელი - არაცნობიერი ესაა უარყოფითი ფორმით გამოთქმული უბრალო განცდის საფეხური, აქ უარყოფილია ცნობიერების დამდგენი ფუნქცია. სამაგიეროდ ამით მითითებულია პირველადი, ანუ უბრალო ცნობიერების არსებობაზე. ურეფლექსიო-არაცნობიერი უარყოფით ფორმაში გამოთქვამს განცდის ცნობიერების საფეხურს, უარყოფს რა რეფლექსირებული განცდის, ცნობიერების დონეს. ცნობიერების გარეშე - არაცნობიერი უარყოფაა უბრალო ცნობიერებისა და მიუთითებს სიცოცხლის აქტუალობის საფეხურზე, იგია სიცოცხლესაფუძველი (ფიზიოლოგიური), იხ. Aufbau der Person, გვ. 529—556.

[101] Neurotisches Weltbild, Int. Z. f. Indps. 1936, H 3. გვ. 133. აქ ასეთი ფრაზა გვხვდება «unbewußt — besser unverstanden».

[102] Heilen und Bilden გვ. 89.

[103] Individualpsychologie, გვ. 413.

დგენს პიროვნებისეული მომენტების — მიზანი, მიზნის აღმოცენება, მიზნის გადაჭრის მიმართულება —არცოდნას, შეუმეცნებლობას, ისეთ ვითარებას, რომლის საზრისი შეიძლება გარკვეულ პირობებში გაგებული, გაცნობიერებული იქნეს.

ზემოალნიშნულიდან ცხადი უნდა იყოს, რომ ა. ადლერთან განსაკუთრებული მნიშვნელობა მიეწერება არაცნობიერის იმ შინაარსს, რომელიც ფსიქიკურის ფარგლებს სცილდება. ეს ასედაც უნდა იყოს, რადგანაც მისი ე. წ. „ფსიქოლოგიური თეორიის" ამოცანა ადამიანის, პიროვნების, ინდივიდის წვდომაა[104]. პიროვნების არსს, ა. ადლერის კონცეფციის მიხედვით, არ ქმნის ფსიქიკა, პიროვნების გულია ცხოვრების სტილი, რომელიც წარმოადგენს პიროვნების ინტენციას სოციალურ გარემოზე.

როგორც აღინიშნა, ა. ადლერთან არაცნობიერის სამი შინაარსი დასტურდება. პირველი: არაცნობიერი ფსიქიკა როგორც ცნობიერების ფსიქიკური შინაარსების არსებობა ცნობიერების გარეშე; მეორე: პერსონის სტრუქტურის არაცნობიერად არსებობა. (პერსონი, როგორც ასეთი, ფსიქიკას არ წარმოადგენს, აქ ლაპარაკია, მაშასადამე, ე. წ. პერსონულ არაცნობიერზე, რაც სავსებით კანონიერი ცნებაა); მესამე ცნება არაცნობიერისა გნოსეოლოგიური შინაარსისაა, რომელიც პირველი ორი (ონტოლოგიური შინაარსის) ცნებისაგან განსხვავებულია და საერთოდ ონტოლოგიურის მიმართ გარკვეულ დამოკიდებულებას გამოთქვამს, სახელდობრ, რომ ონტიური საქმის ვითარება შემეცნებული არაა.

არაა სწორი გაგება, როცა ადლერის არაცნობიერის ცნებას აიგივებენ კ. იასპერსის „შეუმჩნეველის" ცნებასთან[105]. ამ შემთხვევაში ადლერის არაცნობიერის ცნება გაგებულია გნოსელოგიური მნიშვნელობით, როგორც უ ც ო დ ი ნ ა რ ი (Ungewußte), რომელიც პირინციპულად ც ო დ ნ ა დ ი ა (wissbar). ერთმანეთში არ უნდა აირიოს იასპერსის ონტოლოგიური ცნება–შეუმჩნეველისა, ადლერის გნოსეოლოგიურ ცნება–არაცნობიერთან. იასპერსის შეუმჩნეველის (Unbemerkte) ცნება ფსიქოლოგიურია, მასში იგულისხმება ისეთი ფსიქიკური გარკვეულობა, რომელიც დაკავშირებულია ცნობიერე-

---

[104] ა. ადლერთან ერთმანეთისაგან არაა გათიშული ცნებები: ინდივიდი, ადამიანი, პერსონი, პიროვნება, ისინი სინონიმებად იგულისხმებიან, ეს კი გაუგებრობის წყაროდ შეიძლება იქცეს.

[105] Hans S e e l b a c h, Verstehende Psychologie und Individualpsychologie, Int. Z. f. Indps. 1932, H. 5, გვ. 375.

ბასთან. იგი განცდილი სულიერი პროცესია, ხელსაყრელ ვითარებაში მას შეუძლია ცნობიერების საგნობრივ დონესაც მიაღწიოს, მაგრამ გარკვეულ გარემოებათა გამო ცნობიერების პერიფერიაშია. იასპერსი შეუმჩნეველ ფსიქიკურ პროცესს უპირისპირებს ცნობიერების გარეშე (Außerbewußte) პროცესებს, როგორც პრინციპულად ცნობიერებისაგან დამოუკიდებელ გარკვეულობას, რომლებიც ფსიქიკური არაა და ამიტომ არც განიცდებიან[106].

თუკი იასპერსის შეუმჩნეველის ცნებას (რაც იგივე ცნობიერი ფსიქიკურის აღმნიშვნელია) შეეუპირისპირებთ ადლერის არაცნობიერის ცნებას, რომელიც სამ სხვადასხვა მნიშვნელობას მოიცავს, აღმოჩნდება, რომ მათ შორის დიდი განსხვავებაა. სახელდობრ: შეუმჩნეველის ცნება (ცნობიერი ფსიქიკა) არ შეიძლება გაიგივდეს ადლერის არც არაცნობიერ ფსიქიკასთან (ცნობიერის გარეთ არსებული ფსიქიკური შინაარსი), არც პერსონულ არაცნობიერთან (არაფსიქიკური გარკვეულობა), და არც გნოსეოლოგიურ ცნება უცოდინართან (რომელიც ეხება როგორც ფსიქიკურ და ცნობიერ, ისე არაფსიქიკურ და არაცნობიერ სინამდვილეებს).

§ 4. **კრიტიკული ანალიზი.** გავრცელებული შეხედულების მიხედვით, ადლერის ინდივიდუალფსიქოლოგიური თეორია მოთავსებულია ფროიდის ფსიქოანალიზისა და იუნგის ანალიზური ფსიქოლოგიის გვერდით, როგორც ერთ-ერთი კლასიკური სიღრმისფსიქოლოგიური თეორია. მაგრამ გამოთქმულია ეჭვიც იმის თაობაზე, რომ ინდივიდუალფსიქოლოგია ვერ ჩაითვლება საკუთრივ სიღრმისფსიქოლოგიურ თეორიად, რადგანაც აქ ძიება ხწარმოებს არა არაცნობიერი ფსიქიკის ცხადყოფისაკენ, არამედ სხვა მიმართულებით — პიროვნების შემეცნებისაკენ. ადლერის თეორიის სხვადასხვა მომენტის წინ წამოწევით ნაცადი იყო მისი დაკავშირება განსხვავებულ მიმდინარეობებთან. მაგალითად, ინდივიდუალფსიქოლოგიას ათავსებენ ჰ. დრიშის მთლიანობითი ფსიქოლოგიისა და გეშტალტფსიქოლოგიის გვერდით და მათ ყველას ერთად აღნიშნავენ სახელწოდებით „საზრისის მაინტერპრეტირებელი ფსიქოლოგია“ (ა. კრონფელდი). ის ჩათვლილია ვ. შტერნის პერსონალისტური ფსიქოლოგიის პარალელურ მოვლენად (ა. მესერი), ან მიიჩნევენ გაგებით ფსიქოლოგიად (ჰ. ზეელბახი), ან წარმოიდგენენ განცდის ფსიქოლოგიაზე დაფუძნებულ ქარაქტეროლოგიად (კ. ბიულერი). ზოგი უფრო შორ-

---

[106] Karl Jaspers, Allgemeine Psychopathologie, 1959, გვ. 9—10.

საც მიდის და საკითხს ასე აყენებს: ინდივიდუალფსიქოლოგია კი არ უნდა მოთავსდეს ფსიქოლოგიის რომელიმე სისტემის ჩარჩოში, არამედ, პირიქით, სხვა ფსიქოლოგიებმა უნდა მონახონ ლოგიკური ადგილი ინდივიდუალფსიქოლოგიაშიო (ფ. ბირნბაუმი).

ინდივიდუალფსიქოლოგიის ცალკეული მომენტების გათვალისწინებით და მათი წინ წამოწევით, მართლაც, შეიძლება ადლერის თეორიის დაკავშირება ზემოაღნიშნულ მიმდინარეობებთან, მაგრამ ისტორიული ვითარების მხედველობაში მიღება და ინდივიდუალფსიქოლოგიისათვის ამოსავალ მიზანდასახულებაზე მითითება გამართლებას აძლევს ტრადიციულ შეხედულებას, ადლერის თეორია მიჩნეულ იქნეს კლასიკური სიღრმის ფსიქოლოგიურ თეორიად.

ადლერი ადრეულ პერიოდში ფსიქოანალიზური წრის ერთ-ერთ თვალსაჩინო წევრად ითვლებოდა. თვითონ ფროიდი მასზე დიდ იმედებს ამყარებდა, როგორც მომავალში ფსიქოანალიზური საქმის შემდგომ გამგრძელებელზე. ადლერსაც იმ პრობლემის გადაწყვეტა ამოძრავებდა, რაც ფროიდს — როგორ განიკურნოს ადამიანი ე. წ. ფუნქციონალურ ფსიქიკურ დაავადებათაგან. აღნიშნულმა პრობლემამ ადლერის წინაშეც დააყენა საკითხები ფსიქიკისა და ადამიანის რაობის შესახებ. ფროიდმა ადამიანის არსად არაცნობიერი ფსიქიკის ლტოლვითი მხარე გამოაცხადა და აღნიშნულით შეეცადა ადამიანის ქცევის გაგებას. ადლერმა არასაკმარისად ჩათვალა ადამიანის ქცევის ახსნა არაცნობიერი ფსიქიკური ლტოლვებით (resp. არაცნობიერი ლიბიდოთი) და მის ნაცვლად ადამიანის მოქმედება დააფუძნა ე. წ. ცხოვრების სტილზე (და მის განმაპირობებელ სრულყოფისაკენ სწრაფვისა და კოლექტიურობის გრძნობის გარკვეულობებზე), რაც მან წარმოადგინა ადამიანში ღრმად მდებარე არსობრივი საქმის ვითარებად. ცხოვრების სტილს ადლერი არაცნობიერ ფსიქიკად თვლიდა და თავისი თეორიაც მას ფსიქოლოგიურ თეორიად მიაჩნდა. მართალია, ადლერმა პრობლემის გადაწყვეტის სხვა, ფსიქოანალიზისა და ანალიზური ფსიქოლოგიისაგან განსხვავებული გზა აირჩია, ფსიქიკისა და ადამიანის (პიროვნების) თავისებური გაგება მოგვცა, მაგრამ ეს ვითარება არ უნდა აუქმებდეს სიღრმის ფსიქოლოგიის ფარგლებში ინდივიდუალფსიქოლოგიის მოთავსებას.

როცა მსჯელობენ ადლერის ინდივიდუალფსიქოლოგიური თეორიის შესახებ, მიუთითებენ ხოლმე ფრ. ნიცშესა და ჰ. ფაიჰინგერზე, როგორც მოაზროვნეებზე, რომელთა ფილოსოფიურმა იდეებმა გავლენა მოახდინეს ადლერის კონცეფციის საბოლოო ჩამოყალი-

ბებაზე. ფრ. ნიცშე ზოგიერთის მიერ ჩათვლილია ინდივიდუალფსიქოლოგიის წინამორბედად იმ აზრით, რომ ნიცშეს ცნება და პრინციპი „ძალაუფლებისაკენ ნება“ (Wille zur Macht) წარმოდგენილია დებულებად, რომელიც ამოსავალი გახდა ინდივიდუალფსიქოლოგიური თეორიის შენობისა, რომ ადლერის „ძალაუფლებისაკენ სწრაფვა“ ეს იგივე ნიცშეს „ძალაუფლებისაკენ ნებაა“; აქ იგივეობასთან გვაქვს საქმე.

ნიცშეს „ძალაუფლებისაკენ ნებისა“ და ადლერის „ძალაუფლებისაკენ სწრაფვის“ ცნებების შინაარსების ანალიზი გვიჩვენებს, რომ აქ იდენტობაზე ლაპარაკი გაუმართლებელია, რადგანაც მათში განსხვავებული საქმის ვითარებანი იგულისხმება. ცნობილია, რომ ფრ. ნიცშეს მეტაფიზიკური მსოფლმხედველობის ამოსავალია აგნოსტიკური თვალსაზრისი: თავისთავად არსებული ყოფიერების რაობის შესახებ ჭეშმარიტი ცოდნა მიუწვდომელია ადამიანური შემეცნებისათვის. ადამიანებს შეუძლიათ ყოფიერების მხოლოდ ინტერპრეტაცია, საზრისის შეტანა ყოფიერებაში გარედან. ამიტომაა, რომ ნივთებში ვერაფერს სხვას ვერ ვნახულობთ, თუ არა მათში ჩვენ მიერ შეტანილისა, ჩადებულისა. სამყაროს მთლიანობის ინტერპრეტაცია ნიცშესთან შემდეგ სურათს იძლევა: მას, რაც ყველაფერს მოიცავს და ნამდვილია, ეწოდება სიცოცხლე, ხოლო სადაცაა სიცოცხლე, იქაა ძალაუფლებისაკენ ნება. ძალაუფლებისაკენ ნება „ყოფიერების უშინაგნესი არსია“, სამყაროს ესენციაა. ამიტომაც აბსურდია კითხვის დასმა — ვის ნებავს ძალაუფლება? ძალაუფლებისაკენ ნება უკანასკნელი ფაქტია. მთელი სამყაროს პროცესი სხვა არაფერია, ვიდრე ეს ნება თავისი გეშტალტების მრავალფეროვნებაში. ადამიანიც, მაშასადამე, ძალაუფლებისაკენ ნების გამოვლენაა და მისი ქცევაც ამ შინაარსით უნდა იქნეს ინტერპრეტირებული[107].

ადლერის ადრეულ ნაწერებში გემოყენებულია ტერმინი „ძალაუფლებისაკენ ნება“ (იხ. წიგნი „ნერვოზული ხასიათის შესახებ“), რომელიც ინდივიდუალფსიქოლოგიური თეორიის ჩამოყალიბების ადრეულ ეტაპზე ნიშნავდა ადამიანის ძირითად ლტოლვას, რაც უპირისპირდებოდა და იჭერდა ამ ადგილს, რომელიც ზ. ფროიდის დახასიათებით ეკავა სექსუალურ ლტოლვას ადამიანის სტრუქტურაში და რასაც მინიჭებული ჰქონდა ამხსნელის მნიშვნელობა. მოგვიანებით ადლერი ძალაუფლებისაკენ ნების მაგივრად ხმარობს ტერ-

---

[107] იხ. Karl Jaspers, Nietzsche, Berlin, 1950.

მინს „ძალაუფლებისაკენ მისწრაფება“ (Machtstreben). 1933 წლიდან კი, როცა გამოქვეყნდა მისი შრომა „ცხოვრების აზრი“, ადლერს შემოაქვს ტერმინი „სწრაფვა სრულყოფისაკენ, დასრულებულობისაკენ“ (Streben nach Vollkommenheit, Vollendung). ტერმინოლოგიურ ცვლილებას საფუძვლად დაედო თეორიული ხასიათის მოსაზრება. ძალაუფლებისაკენ სწრაფვა ახლა მოგვეჩვენა, როგორც სრულყოფისაკენ სწრაფვის ერთ-ერთი რომელობა.

ვიცით, რომ ნაკლოვანების გრძნობა, ადლერის გაგებით, ადამიანში ის ვითარებაა, რომელიც დაძლეული უნდა იქნეს. აქტივობა, რომელიც განაპირობებს არსებული ნაკლოვანების გადალახვას, აღკვეთას; ეს საერთოდ პიროვნების სრულყოფისაკენ მისწრაფებაა. ცხოვრების სტილი სრულყოფისაკენ მისწრაფების განხორციელების პიროვნული და ინდივიდუალური წარმმართველია. ამიტომაა, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში პიროვნების სრულყოფისაკენ მისწრაფება სპეციალური შინაარსით ხორციელდება, მიიღწევა. ერთ-ერთ ასეთ შინაარსს (ცხოვრების სტილის შინაარსს) ადლერისათვის წარმოადგენს სწორედ „ძალაუფლებისაკენ სწრაფვა“.

დამოკიდებულებაც განსხვავებულია ნიცშესთან და ადლერთან ძალაუფლებისაკენ ნებისადმი. ნიცშეს კონცეფციის მიხედვით, ძალაუფლებისაკენ ნება ადამიანში მაქსიმალურად უნდა გამოვლინდეს, ამისთვის მას ყოველგვარი პირობა უნდა შეექმნას, იგი ზრუნვის საგანი უნდა გახდეს, იდეალი — ზ ე ა დ ა მ ი ა ნ ი ძალაუფლებისაკენ ნების განხორციელების მაღალი საფეხურია.

ადლერთან ძალაუფლებისაკენ სწრაფვა, როგორც პიროვნული ფიქცია და არანორმალური ინდივიდუალური მდგომარეობა, სპეციალური მზრუნველობის ობიექტი ხდება იმ აზრით, რომ ის მრავალი სხვა დაავადების მსგავსად უნდა განიდევნოს, მოისპოს. ინდივიდუალფსიქოლოგია ამ მიზნის მიღწევის საკუთარ საშუალებებს გვთავაზობს.

ნიცშესთან ძალაუფლებისაკენ ნება უმაღლესად ღირებულის — ინდივიდად გახდომის — საფუძველია, რითაც ადამიანი ჩამოიშორებს ჯოგურ ინსტინქტს, კოლექტივს და ამით ის მაღლა დგება ჯოგურ ცხოველზე, საზოგადოებრივ არსებაზე.

ადლერთან, პირიქით, უმაღლესად ღირებული კოლექტიურობის გრძნობაა, სოციალურია. პიროვნების ჩართვა კოლექტივში ეს მისი ნამდვილ სამყაროში, გარემოში მოთავსებაა. ადამიანი მოყვასია (Mitmensch) და ამიტომ ხელი უნდა შეეწყოს მასში კოლე-

ქტიურობის გრძნობის მაქსიმალურად განვითარებასა და გამოვლენას, მის კოლექტიურ არსებად გახდომას.

ადლერის კონცეფციაში სრულყოფისაკენ სწრაფვის სტრუქტურული ადგილიც გასარკვევი ჩანს, რადგანაც არაა საბოლოო პასუხი გაცემული ნაკლოვანების გრძნობისა და სრულყოფისაკენ სწრაფვის ურთიერთმიმართებაზე: ნაკლოვანების გრძნობა რომ არსებობს, ესაა საფუძველი და განმაპირობებელი სრულყოფისაკენ სწრაფვისა, თუ პირიქით — სრულყოფისაკენ სწრაფვა რომ არის, ამიტომ ეჩვენება ინდივიდს თავისი თავი არასრულფასოვანი, ის აპირობებს ნაკლოვანების გრძნობას? ერთი სიტყვით, რომელია ამ ურთიერთმიმართებაში მფუძვნელი?

ადლერმა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული შეხედულება გამოთქვა. პირველად ის იცავდა აზრს ნაკლოვანების გრძნობის მფუძვნელი მნიშვნელობის შესახებ, რომ ნაკლოვანების გრძნობა განაპირობებს სრულყოფისაკენ სწრაფვას, ხოლო ბოლო პერიოდში სრულყოფისაკენ სწრაფვა ჩათვალა ამოსავლად და მასთან მიმართებაში განხილვით არსებული ვითარება წარმოადგინა ნაკლოვან მდგომარეობად: „ინდივიდუუმი მიულწეველ იდეალურ სრულყოფასთან მარად შედარებაში მუდამ აღსავსეა ნაკლოვანების გრძნობით და მისით ამოქმედებული“[108].

აღსანიშნავია ისიც, რომ თვითონ სრულყოფისაკენ სწრაფვის ცნება ადლერთან ერთი მნიშვნელობით არ იხმარება. მასში იგულისხმება როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მომენტები. სრულყოფისაკენ სწრაფვა ზოგჯერ რეალურ ობიექტურ საქმის ვითარებას აღნიშნავს, ზოგჯერ კი მასში ინდივიდის მიერ სრულყოფილად განცდილი მდგომარეობა გაიაზრება. მაგალითად, ცხოვრების სტილი ინდივიდის მიერ სრულყოფისაკენ მიმართულ მოძრაობად განიცდება, მაგრამ იგი სინამდვილეში ფიქციაა, ობიექტურ-რეალურისაგან გადახვევაა.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ ბურჟუაზიულ მეცნიერებაში ხშირად ანგარიში არ ეწევა ადლერის კონცეფციის ევოლუციას. მისი თეორიის ანალიზისა და შეფასების დროს მხედველობაში აქვთ მისი მხოლოდ ადრინდელი შეხედულებები, თითქოს ინდივიდუალფსიქოლოგია განსხვავდებოდეს ფსიქოანალიზისაგან მხო-

---

[108] Der Sinn des Lebens, gg. 29.

ლოდ იმით, რომ ძალაუფლებისაკენ ლტოლვამ დაიკავა ლიბიდოს ადგილი.

მითითებული იყო, რომ ა. ადლერმა ჰ. ფაიჰინგერის კრიტიკული პოზიტივიზმის მოძღვრება ფიქციის შესახებ იმის თეორიულ დამოწმებად ჩათვალა, რაშიც ის ემპირიულად გამოცდილებით დარწმუნდა და თეორიაც შეიმუშავა, რომელიც საბოლოოდ პრაქტიკულ საქმიანობას ემსახურება. ადლერი წერს: „ნევროტული ფენომენების ფაქტებიდან ამოზიდული აღნიშნული შედეგები ნახულობენ თეორიულ დამოწმებას დასკვნაში, რომელიც... გამომდინარეობს ფაიჰინგერის ფუნდამენტური მოძღვრებიდან ფიქციის არსის შესახებ. ეს გენიალური მკვლევარი გრანდიოზულ სინთეზში წვდება აზროვნების არსს, როგორც ცხოვრების დაძლევის საშუალებას, რომელიც ფიქციის ხერხით, თეორიულად არაღირებულ, მაგრამ პრაქტიკულად საჭირო იდეით ცდილობს მიაღწიოს მის მიზნებს“[109].

ბურჟუაზიულ მეცნიერებაში ადლერისა და ფაიჰინგერის ფიქციის ცნების შესახებ გამოთქმულია საწინააღმდეგო თვალსაზრისები. ზოგი მათ იგივეობრივად თვლის, ზოგი კი — განსხვავებული შინაარსების მქონედ[110].

როგორია ის ფაქტიური ვითარება, რომელიც ადლერთან წოდებულია ფიქციად, და რა როლი ეკისრება მას ადამიანის სამყაროში? ვიცით, რომ პიროვნების სრულყოფისაკენ სწრაფვა დაკავშირებულია ნაკლოვანების გრძნობასთან. ნაკლოვანების გრძნობის დაძლევა მრავალი მიმართულებით შეიძლება წარიმართოს, მაგრამ კონკრეტულად რა გეზი მიეცემა მას, ეს არსებითად დამოკიდებულია მეზე. „მე“ პიროვნების არასაიმედობის, სისუსტის დაძლევას ახორციელებს სუბიექტურად. „მე“ ქმნის ცხოვრების სტილს, ანუ გეგმას, რომელიც წარმოადგენს მთლიანი პიროვნების ქცევის წარმმართველს (მოტივს). ზოგჯერ ხდება ხოლმე, რომ მე-ს მიერ შექმნილი ცხოვრების სტილი და მისით განპირობებული პიროვნული აქტივობა საგრძნობლად შორდება რეალურ ცხოვრებას, ობიექტურ სინამდვილეს და მასთან წინააღმდეგობრივიც აღმოჩნდება. ეს ვითარება ადლერთან წოდებულია ფიქციად. ადლერის მიზანია ადამიანის

---

[109] Praxis und Theorie... გვ. 157.

[110] A. Kronfeld, Individualpsychologie als Wissenschaft, Handbuch der Individualpsychologie, I. J. Wandler, Die Individualpsychologie A. Adlers in ihrer Beziehung zur Philosophie des Als-Ob Hans Vaihingers, Dissertation, 1932.

ამგვარი, რეალობას დაშორებული და ამიტომ ფიქციად წოდებული, მდგომარეობის (რაც არანორმალური ვითარებაა, ნევროზია) აღკვეთა. ინდივიდუალფსიქოლოგია არის ადამიანში ამ არანორმალური მდგომარეობის გენეზისისა და აღკვეთის თეორია.

ფაიჰინგერის პრობლემა გნოსეოლოგიურია: როგორ ხდება, რომ ჩვენ ცნობიერად ყალბი წარმოდგენებით მაინც სისწორეს ვაღწევთ? ავტორის ამოსავალი დებულებაა — თეორიულად გაუმართლებელი ცნებები არიან არა მარტო პრაქტიკულ, არამედ თეორიულ სფეროშიც; გაცნობიერებული ფიქციები აუცილებელი საფუძველია როგორც მეცნიერული კვლევის, ასევე პრაქტიკული მოქმედებისაც.

ფაიჰინგერი ერთმანეთისაგან თიშავს ფიქციას და ჰიპოთეზს. მართალია, ჰიპოთეზიცა და ფიქციაც შეუცნობელი სინამდვილის მიმართ გამოიყენებიან, მაგრამ შემეცნების თეორიულად მათ შორის პრინციპული განსხვავებაა. ჰიპოთეზას ევალება სინამდვილის ასახვა, შემეცნება აქ თვითმიზნადაა ქცეული. გამართლებულ ჰიპოთეზას პრეტენზია აქვს მუდმივობაზე. ფიქციას შემეცნება არ ევალება, მისი ღირებულება მიზანშეწონილობაში, პრაქტიკულ ვარგისობაშია; გამოყენების შემდეგ იგი გადასაგდები ხდება. თეორიულად ის არაფერს იძლევა. ფაიჰინგერისათვის ფიქცია აზროვნების ფორმაა, სადაც იგულისხმება ნებისმიერი დებულების დაშვება, რომელიც პრაქტიკულ შედეგს იძლევა და მას თან ახლავს ცნობიერება, რომ იგი ან შინაგან წინააღმდეგობაშია საკუთარ თავთან, ან შეუსაბამოა სინამდვილესთან[111].

ადლერის კონცეფციის გაცნობა გვარწმუნებს, რომ აქ ერთმანეთისაგან მკაცრად არაა გათიშული ფიქცია და ჰიპოთეზი. ადლერთან უნდა განსხვავდეს ორი მომენტი: ემპირიულად არსებული ვითარება და თეორიული თვალსაზრისი, რომლითაც ვუდგებით ემპირიულ სინამდვილეს. თვითონ ობიექტურ ვითარებას, რომ ადამიანის ცხოვრების სტილით არაცნობიერად წარმართული მოქმედება და საერთოდ ადამიანის მიზანდასახულება არაშესატყვისი ხდება ცხოვრებისეული მოთხოვნილებისა, ფიქცია ვერ ეწოდება იმის გამო, რომ ფიქცია გაცნობიერებული მეთოდოლოგიური გზაა და არა გაუცნობიერებელი ობიექტურ-რეალური არსებობა. რაც შეეხება მოელენათა ინდივიდუალფსიქოლოგიური განზილვის წესს, უნდა აღინიშ-

---

111 ფაიჰინგერის კონცეფციის დაწვრილებითი ანალიზი იხ. წიგნში, გ. თევზაძე, გერმანული ნეოკანტიანელობის შემეცნების თეორია, თბ., 1963, ნაწ. V, ჰანს ფაიჰინგერის ფიქციონალიზმი და მისი კრიტიკა.

ნოს შემდეგი: პიროვნების არსებითი მომენტის — ცხოვრების სტილის — წვდომისათვის და ამ გზით პიროვნების გაგებისათვის ადლერი გვთავაზობს ასეთ ვარიანტს: — თუკი პიროვნებას განვიხილავთ კონკრეტული მიზნისაკენ სწრაფვად არსებად, ამით გასაგები გახდება მისი ქცევა, ვინაიდან ეს უკანასკნელი მოგვეევლინება საშუალებად ცხოვრების სტილით წარმართული აქტივობის განხორციელებისაკენ. წინასწარი დაშვებაა პიროვნებისადმი მიზნობრიობის მომენტის მიწერა (ტელოსის განზომილებაში პიროვნების მოთავსება) და რეალობიდან ცხოვრების სტილის გადახრის მასშტაბიც. ამ ასპექტით განხილული ადლერის ნააზრევი ფიქციად ჩაითვლება, ვინაიდან ის ამ დაშვებით პრაქტიკულად სასარგებლო შედეგების (განკურნება) მიღებას ვარაუდობს; ამით მითითებულია შეგნებული მიზანშეწონილობის მომენტი. მაგრამ მაინც, როცა ადლერის „თითქოს-განხილვის“ მეთოდი თეორიული დოქტრინის როლს კისრულობს, როცა ის პიროვნების შემეცნების პრეტენზიის მქონედ წარმოგვიდგება, აქ ის ჰიპოთეზის ფარგლებში უნდა მოთავსდეს.

ჩვენი ავტორი არათანმიმდევრულ პოზიციაზე დგას, როცა საკითხი ისმის საგნობრივი და მეთოდოლოგიური თვალსაზრისების გატარების თაობაზე. იგი ფსიქიკას, პიროვნებას ხან მიზნობრიობას მიაწერს, ე. ი. მიზნობრიობას თვლის ფსიქიკის, პიროვნების ონტოლოგიურ ნიშნად, ხან კი მას — ტელეოლოგიურ პრინციპს — გონების ჭვრეტის ფორმად აცხადებს. უკანასკნელმა განაპირობა ადლერის მიერ ფიქციონალიზმის გნოსეოლოგიური კონცეფციისადმი დადებითი გამოხმაურება.

სიღრმის ფსიქოლოგია არის ფსიქოლოგია, ე. ი. კერძო მეცნიერება არაცნობიერად წარმოდგენილი ფსიქიკური გარკვეულობის შესახებ. ფსიქოანალიზი და ანალიზური ფსიქოლოგია რომ სიღრმისფსიქოლოგიური თეორიებია, ამას ამართლებს ის, რომ მათი შესწავლის საგანი არაცნობიერი ფსიქიკის სფეროს განეკუთვნება, ე. წ. „პიროვნული არაცნობიერი ფსიქიკა“ და „კოლექტიური არაცნობიერი ფსიქიკა“ ფსიქიკურ სინამდვილედაა წარმოდგენილი და მათი ბუნების ცხადყოფისა და შემეცნების ამოცანა ფსიქოლოგიურმა თეორიებმა: ფსიქოანალიზმა და ანალიზურმა ფსიქოლოგიამ უნდა იკისრონ. აქ ფორმალური სისწორე დაცულია და ამ მხრივ გასარკვევიც არაფერია: ფსიქიკას შეისწავლის ფსიქოლოგიური დისციპლინა. სხვაგვარი ვითარებაა ინდივიდუალფსიქოლოგიის შემთხვევაში. ადლერმა თავის კონცეფციას უწოდა „ინდივიდუალფსიქოლოგია“, მაგ-

რამ მიზნები, რაც მან დაუსახა თეორიას, რეალურად სცილდება ფსიქოლოგიის ფარგლებს. საქმე იმაშია, რომ ის, რასაც ავტორი ფსიქიკად სახავს (პიროვნება), ნამდვილად ფსიქიკას არ წარმოადგენს, ამიტომ ამ არაფსიქიკური გარკვეულობის შემსწავლელ დისციპლინას გაუმართლებელია ეწოდოს ფსიქოლოგია, ინდივიდუალფსიქოლოგია. ადლერის განზრახვაა მთლიანი პიროვნების შემეცნება, ამდენად ინდივიდუალფსიქოლოგია წარმოადგენს მოძღვრებას პიროვნების შესახებ. ადლერის მიხედვით, პიროვნების საწყისს, გულს ქმნის ცხოვრების სტილი. ცხოვრების სტილი, ანუ პიროვნების „მამოძრავებელი კანონი" ინდივიდუალფსიქოლოგიური კვლევა-ძიების ობიექტია. ცხოვრების სტილი ინდივიდის პოზიციაა, დამოკიდებულებაა ცხოვრების ამოცანებისადმი (საზოგადოება, პროფესია სიყვარული). ეს ისეთი პოზიციაა, რომელშიც გამოვლენილია ერთეული პიროვნება და წარმოადგენს სოციალური ამოცანებისადმი კონკრეტული ინდივიდის მიმართების, დამოკიდებულების ბუნების ცხადყოფას. ცხოვრების სტილი, მართალია, წარმოადგენს პიროვნების ე. წ. სიღრმისეულ ფენას, მაგრამ აღნიშნული არაცნობიერი სიღრმე არაა ფსიქიკა (resp. არაცნობიერი ფსიქიკა). იგი სოციალური განზრომილებაა. ადლერის მიხედვით, მართალია, ცხოვრების სტილის აღმოცენება-ჩამოყალიბებისა და მისი პიროვნული მიზნების განხორციელების პროცესში მონაწილეობას ღებულობენ რთული გარკვეულობანი, რომლებიც ფსიქიკურ მომენტებსაც შეიცავენ, მაგრამ ეს გარემოება ცხოვრების სტილის ონტიურ ბუნებას ვერ ცვლის, მას ფსიქიკად ვერ აქცევს.

ეს ვითარება გვიკარნახებს, შეუსაბამობა დავინახოთ ინდივიდუალფსიქოლოგიის ფარგლებში შესასწავლ საგანსა და მის შესახებ თეორიის კვალიფიკაციაში. არაფსიქიკურის (პიროვნების) შესახებ გაუმართლებელია ფსიქოლოგიური თეორიის მოცემა. „ინდივიდუალფსიქოლოგია" ამიტომ არაადეკვატური ტერმინია ადლერის პერსონალისტური კონცეპტის აღსანიშნავად.

ადლერის კონცეფციაში წინა პლანზეა წამოწეული ინდივიდუალურის შემეცნება. პიროვნება, მართალია, მთლიანია, დაუნაწევრებელი გარკვეულობაა, მაგრამ ეს არ გამორიცხავს ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მის განუმეორებლობას, ინდივიდუალობას. ინდივიდუალფსიქოლოგიის თემა არის: „თავისებურად სტილიზებული ინდივიდის გარემოსადმი მიმართულ აქტებში განხორციელებული დამოკიდებულება". ინდივიდის გარემოსადმი ორიგინალურ დამოკიდებუ-

ლებას განსაზღვრავს ცხოვრების სტილი, ანუ წამყვანი ხაზი, რაც ხასიათდება როგორც „ინდივიდუალური პლანგობა“. როგორ ვწვდეთ ცხოვრების სტილის კონკრეტულ შინაარსს? რა გზით უნდა მოხდეს მისი ერთხელადი შინაარსის შემეცნება-გაგება?

ა. ადლერი პიროვნების გულში შეღწევასა და იქ ე. წ. ფსიქიკური კონსტიტუციის ხილვას აკისრებს იდენტიფიკაციას (შთაგრძნობას) და მიხვედრას (ინტუიციას). ჩვენს ავტორს დაეთანხმებიან მასში, რომ თუკი ცნობილია პიროვნების მიზანი, მაშინ ისიც ცხადია, თუ რას ნიშნავს მისი გამოსახულებითი ფორმები, მიზნით გასაგები ხდება ქცევა; მაგრამ საკითხი ეხება სწორედ მიზნის შინაარსის წვდომას. შეუძლია თუ არა აღნიშნულის განხორციელება იდენტიფიკაციის (შთაგრძნობის) აქტს? ავტორმა იდენტიფიკაციის ფაქტად მოიყვანა თანამწუხარების ვითარება და მსგავს პროცესად წარმოიდგინა სხვისი პიროვნების ცხოვრების სტილის არაცნობიერ შინაარსთან თანაზიარება. იდენტიფიკაციას, ადლერის მიხედვით, შემმეცნებელში გადმოაქვს სხვისი სულიერი ვითარების მიმდინარეობა. სხვაგვარად, ეს იმას ნიშნავს, რომ შემმეცნებელი თუკი აღმოჩნდებოდა იმავე პირობებში და სიტუაციაში, ამავე დროს მას თუ ექნებოდა იგივე სულიერი მოტივაცია, იმავეს მოიმოქმედებდა, რაც შესამეცნებელმა პიროვნებამ განახორციელა. მაგრამ აღნიშნული განმარტება არაა პასუხი იმაზე, რეალურად როგორ განხორციელდა არაცნობიერი ერთხელადი შინაარსის მქონე ცხოვრების სტილის წვდომა. როგორ დაეადგინოთ, რომ ჩემი სულიერი მოტივაცია იგივეა, რაც სხვისი? ამ საქმისთვის იგივეობრივი ობიექტურ გამოსახვით საშუალებათა გამოყენება გამორიცხულია, რადგანაც, ადლერის მიხედვით, არ არსებობს ერთმნიშვნელოვანი კავშირი გამოვლენილსა და მის საფუძველში მდებარე განმაპირობებელს შორის, „მე“ ინდივიდუალურის შემოქმედია მუდამ.

გასაგებია შთაგრძნობის ცნების ის შინაარსი, როცა საქმე ეხება ჩემი ცნობიერი ფსიქიკური ვითარების შეტანას, გადატანას სხვაზე და ამ გზით „სხვის“ ფსიქიკურ ვითარებაზე, როგორც ნაცნობზე, მითითება. მაგრამ გაუგებარია, ჩემი ცნობიერი ფსიქიკური ვითარება წარმოვიდგინო სხვისი არაცნობიერი ვითარების ანალოგად, მასზე ვილაპარაკო, როგორც გადმოტანილზე.

არ უნდა იყოს გამართლებული, იდენტურად ჩაითვალოს: ერთი მხრით, თანამწუხარება, როგორც ორი პიროვნების ცნობიერი ემოციური ვითარების თანაზიარება და, მეორე მხრით, ორი პიროვნების

ისეთი შინაგანი მდგომარეობა (ასეთი რამ განხორციელებადიც რომ იყოს), როცა გარკვეული საქმის ვითარება ცნობიერად ეძლევა ერთს, ხოლო მეორემ მის შესახებ არაფერი იცის, იგი მისთვის არაცნობიერია.

ავტორი სხვისი პიროვნების გულში შეჭრას და იქ ფსიქიკური კონსტიტუციის ხილვის საქმეს აკისრებს მიხვედრის აქტსაც (ინტუიციას), მაგრამ ამ აქტის ანალიზი, მისი შინაგანი სტრუქტურისა და განხორციელების შესაძლებლობის ცხადყოფა მასთან მოცემული არაა.

ადლერის მოსაზრება ინდივიდუალურის წვდომის გზების შესახებ ანალიზსა და დასაბუთებას მოითხოვს იმდენად, რამდენადაც ფაქტიურად ავტორი სხვისი ცხოვრების სტილის ხილვის პირველ წყაროდ, ამოსავლად მაინც გამოსახულებათა ემპირიულ მოცემულობას მიიჩნევს; სენსუალურმა მასალამ, აღქმამ უნდა მოგვცეს პირველი ცნობა სხვისი პიროვნული მიზნის შინაარსის გაგებაზე. ეს სადავო არაა. მაგრამ რაც შეეხება ინდივიდუალური მიზნის შემეცნების საბოლოო საქმეს აღნიშნულის შესახებ ავტორის მოსაზრება დამაჯერებელი არაა.

მითითებული იყო, რომ ადლერი დადებით მნიშვნელობას ანიჭებს მარქსიზმთან მისი თეორიის ახლო დგომას, რაც უკავშირდება საზოგადოების ისტორიის მატერიალისტურად გაგების საკითხს. იგი წერს: „ამ მოძღვრების მიხედვით ეკონომიური საფუძველი, ტექნიკური ფორმა, რომლითაც ხალხი არსებობის საშუალებას მოიპოვებს, განაპირობებს „იდეოლოგიურ ზედნაშენს", ადამიანის აზროვნებასა და ქცევას. რაოდენ შეესატყვისება ეს ჩვენს გაგებას ზემოქმედი „ადამიანური ერთად ცხოვრების ლოგიკის" შესახებ, „აბსოლუტური ჭეშმარიტების" შესახებ"[112]. შემდეგ, „ისტორიის კოლექტივისტური გაგების აზრს, რომელსაც წარმოგვიდგენს ჩვენ მარქსისტული პროგრამა და აგრეთვე, აზრს ადამიანის დაკავშირებულობისა ეკონომიურ საწარმოო ძალებთან და წარმოების პირობებთან, შეიცავს ინდივიდუალფსიქოლოგიის სახელმძღვანელო პრინციპებს, რომ ცალკეულის ცხოვრება შეიძლება გაგებული იქნეს მხოლოდ, როგორც კოლექტიური განცდის ფუნქციის ნაწილი და მხოლოდ რეალურად მოცემული ადამიანი — დედამიწის მიმართების სისტემის შიგნით"[113].

---

[112] Menschenkenntnis, 1947, გვ. 19.

[113] Handbuch der Individualpsychologie, II, 1926, გვ. 12.

ინდივიდუალფსიქოლოგიის ზოგი მიმდევარი უფრო შორსაც მიდის, ცდილობს, დაასაბუთოს მარქსიზმისა და ინდივიდუალფსიქოლოგიის შინაარსობრივი იგივეობა. ა. რულე-გერსტელი აღნიშნავს: „მარქსიზმი ესაა ინდივიდუალფსიქოლოგია, რომელიც გამოყენებულია საზოგადოებრივი ცხოვრების მიმართ"[114].

ა. რულე-გერსტელის თეზისი მარქსიზმისა და ინდივიდუალფსიქოლოგიის იგივეობის შესახებ არ შეიძლება ჩაითვალოს სერიოზულ მტკიცებად, რადგანაც არ არსებობს საფუძველი მარქსიზმის, როგორც მსოფლმხედველობისა და იდეოლოგიის, კერძო მეცნიერებასთან, ერთ-ერთ პერსონალისტურ თეორიასთან გაიგივებისა. ამიტომ ძასზე საგანგებო შეჩერების საჭიროებაც არაა. რაც შეეხება თვითონ ადლერის მოსაზრებას, მის შესახებ უნდა ითქვას ის, რომ მარქსიზმი არ იქნება წინააღმდეგი, რომელიმე თეორიამ გაიზიაროს პრინციპული მნიშვნელობის დებულება საზოგადოებრივი ყოფიერების განმსაზღვრელი როლის შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების მიმართ. მაგრამ რაც შეეხება ადამიანის, პიროვნების სტრუქტურულ მთლიანობასა და მისი არსის ცხადყოფას, ამ საკითხში ინდივიდუალფსიქოლოგიური კონცეფცია შორს დგას ადამიანის შესახებ მარქსისტული გაგებისაგან. პიროვნების მარქსისტული გაგება შეუთავსებელია ადამიანის იმ კონცეფციასთან, რომელსაც პიროვნება წარმოუდგენია არაცნობიერად აღმოცენებული ე. წ. ცხოვრების სტილის ფატალურ განსაზღვრულობად, რაც პრინციპულად გამორიცხავს შეგნებულ და ობიექტურ აუცილებლობათა ჭეშმარიტ ცოდნაზე დამყარებულ მიზანშეწონილ მოქმედებას, უმაღლეს საზოგადოებრივ ღირებულებათა ცნობიერ განხორციელებას.

ბევრის მიერ სწორადაა მითითებული სიძნელე, რომელიც საერთოდ ახლავს ადლერის კონცეფციის გაგებას. ეს ვითარება იმითაა გამოწვეული, რომ ადლერი აზროვნების ისეთ ტიპს მიეკუთვნება, რომელიც მოიხმარს ტერმინებს მათი შინაარსის დადგენაზე საგანგებო ზრუნვის გარეშე. თეორიის ძირითადი ცნებები მოკლებულნი არიან ზუსტ მნიშვნელობას. აღნიშნული განაპირობებს ტერმინების არაერთმნიშვნელოვან გაგებას და ბევრ შემთხვევაში ინდივიდუალფსიქოლოგიური კონცეპტის არასწორ გააზრებას (იხილეთ, მაგალითად, ნაკლოვანებისა და კოლექტიურობის გრძნობების ანალიზი).

---

[114] A. Rühle-Gerstel, der Weg zum Wir; მოგვყავს ი. დონატის მიხედვით Über Psychoanalyse und Individualpsychologie, Innsbruck, 1932, გვ. 266.

ამ სიძნელეს თან ერთვის ავტორის არასისტემატურობა და ფრაგმენტულობა პრინციპული მნიშვნელობის საკითხებზე. ადლერის აზროვნება უფრო თხრობას ემსახურება, ვიდრე არგუმენტაციას. მისი თხრობა აფორიზმულია. ამან განაპირობა გარკვეულად ჩვენი მუშაობის თავისებურებაც. ჩვენ ვეძებდით ავტორის არც თუ მცირე მოცულობის ნაწერებში, რომლებიც უმთავრესად სტატიების სახითაა დაბეჭდილი, გამონათქვამებს ცალკეულ ცნებებთან დაკავშირებით, ვინაიდან, როგორც ითქვა, მას არ გადმოუცია საკუთარი შეხედულება ჩვენთვის საინტერესო საგანზე სისტემის ფორმით. მისი მრავალრიცხოვანი მოწაფეებიდან ზოგი შეეცადა აღნიშნული ხარვეზის გამოსწორებას, მაგ., შეიძლება დასახელდეს ერვ. ვექსბერგი[115], მაგრამ აქაც იგრძნობა წინასწარი განწყობის კვალი, თეორიის ზოგიერთი ასპექტის მიჩქმალვა.

ადლერის პრეტენზია, — რომ მან მარტივი და გასაგები გახადა, მეცნიერულ ენაზე უფრო ზუსტად ეთქვა ის, რაც ადამიანის მთლიანობის შესახებ ინტუიციით მოპოვებულ იქნა ლიტერატურის დიდ კლასიკოსებთან, ინდივიდუალფსიქოლოგიური თეორიის ძირითადი ცნებების გაცნობისას ეჭვს ბადებს განზრახვის სისრულეში მოყვანის შესახებ.

---

[115] E. Wexberg, Individualpsychologie, Leipzig, 1931.

თავი V

სიღრმის ფსიქოლოგია როგორც პროგლემა

§ 1. ფსიქიკა და ადამიანი. ცალკეული სიღრმისფსიქოლოგიური თეორიის გადმოცემის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა არაცნობიერი ფსიქიკისა და ადამიანის ცნებების შინაარსების ცხადყოფას, მათი ანალიზისა და დასაბუთების ჩვენებას, ვინაიდან ფროიდის, იუნგისა და ადლერის კონცეფციები წარმოადგენენ არაცნობიერი ფსიქიკისა და მისით ადამიანის რაობის გაგების თავისებურ ცდას. ფსიქოლოგიაში სიღრმისფსიქოლოგიური მიმართულების სპეციფიკურ მომენტად ასახელებენ თეორიისა და პრაქტიკის მჭიდრო კავშირს. მართლაც, ფსიქოანალიზი, ანალიზური ფსიქოლოგია და ინდივიდუალფსიქოლოგია არსებითად არიან დაკავშირებულნი თერაპევტულ და პედაგოგიურ სფეროსთან, პრეტენზია აქვთ წარმოადგენდნენ ახალი თვალსაზრისის გამტარებლებს ფსიქოთერაპიისა და აღზრდის განზომილებით. დღეს ბურჟუაზიულ სამყაროში ბევრი იწერება ფსიქიკური დაავადების მკურნალობის სიღრმისფსიქოლოგიურ მეთოდზე, ასევე სიღრმისფსიქოლოგიურ დოქტრინაზე აღზრდის დაფუძნების შესახებ. მაგრამ აღნიშნული ასპექტი, სიღრმისფსიქოლოგიური თეორიის პრაქტიკული გამოყენების საკითხი, ამჟამად განხილვის ობიექტი ვერ იქნება, რადგანაც სცილდება ჩვენი მიზანდასახულების ფარგლებს. განხილული სიღრმისფსიქოლოგიური კონცეფციები ჩვენ გვაინტერესებს როგორც ფსიქოლოგიური თეორიები, რომლებიც ეხებიან ფსიქიკის ბუნების გარკვევის საქმეს, ფსიქიკით ადამიანის რაობის გაგების შესაძლებლობას.

არაცნობიერი ფსიქიკის შინაგანი ბუნების ჩვენება და დასაბუთება სიღრმის ფსიქოლოგიის უპირველესი ამოცანაა. სიღრმის ფსიქოლოგიამ, როგორც თეორიამ არაცნობიერი ფსიქიკის შესახებ, პასუხი უნდა გასცეს არაცნობიერი ფსიქიკის ონტიური სახის, შინაგანი გარკვეულობის კითხვაზე.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ? კლასიკურ სიღრმისფსიქოლოგიურ თეორიებში არაცნობიერი ფსიქიკა სამი მნიშვნელობითაა წარმოდგენილი: ა) ფსიქიკური ენერგია, ბ) გარკვეულობა, რომლის ფსიქიკურ რომელობაში დარწმუნებული ვართ, მაგრამ მის ონტიურ სახეზე არაფერი ვიცით, ვ) ცნობიერი ფსიქიკური შინაარსების ცნობიერების გარეშე არსებობა.

ა) ფსიქიკური ენერგიის შესახებ განსაკუთრებით იზრუნა ანალიზურმა ფსიქოლოგიამ. კ. იუნგი შეეცადა ფსიქიკური ენერგიის ცნების გამართლებას ზოგადთეორიული თვალსაზრისის მომარჯვებით. კ. გ. იუნგის მიხედვით, ფსიქიკური ენერგიის დაშვებას განაპირობებს ფსიქიკური სინამდვილის განხილვა ენერგეტიკული ასპექტით, რომელიც უნდა ემყარებოდეს რაოდენობრივ მიმართებათა არსებობას ფსიქიკაში. ასეთად ავტორი თვლის ე. წ. გული-ელემენტის" დისპოზიციური ბუნების შინაგან ინდივიდუალურ კომპონენტს, რომელსაც აქვს „მაკონსტელირებელი ძალა". „გული-ელემენტის" გრძნობითი ტონის, იგივე აფექტური მახვილის, ინტენსივობა რაოდენობით განზომილებადაა წარმოდგენილი და ის კომპლექსისა და შეფერვების სიხშირის, ასევე კონსტელაციის რაოდენობასთან ერთად აღიარებულია ფსიქიკური ენერგიის რაოდენობრივ მაჩვენებლად.

ანალიზური ფსიქოლოგიის ავტორი შეგნებულად დგას პოზიციაზე, რომლის მიხედვითაც ფსიქიკის მიმართ ენერგეტიკული თვალსაზრისის გატარება არაა განპირობებული თვით ფსიქიკური სინამდვილის სფეროში რეალურად არსებული ობიექტური საქმის ვითარებით. ფსიქიკა თვითონ არის თუ არა ენერგია, ამაზე შემმეცნებელ გონებას არ შეუძლია პასუხი გასცეს, ამიტომ საერთოდ უნდა მოიხსნას საკითხი ფსიქიკური ენერგიის რეალურად არსებობის თაობაზე. ფსიქიკური ენერგიის დაშვება საჭიროა მეცნიერული ინტერესებიდან გამომდინარე, ფსიქოლოგიის როგორც ბუნებისმეტყველური მეცნიერების აგებისათვის. „ენერგია ჰიპოთეზური ცნებაა, რომელიც, ბუნებრივია, საკუთარი ფსიქოლოგიურია და მას არაფერი ესაქმება ეგრეთწოდებულ ობიექტურ რეალობასთან". „ენერგია ისევე, როგორც მისი კორელატი დროის ცნება, წარმოადგენს უშუალო ჭვრეტის აპრიორულად მოცემულ ფორმას". ამიტომაა, რომ ენერგია წარმოადგენს „არა მხოლოდ არაკონკრეტულ ან არაცნობილ, არამედ უბრალოდ X-ს, წმინდა ჰიპოთეზს, სურათს ან საანგარიშო ნიშანს".

ფსიქოანალიზურ თეორიაში, მიუხედავად ფსიქიკური ენერგიის ცნებისათვის ცენტრალური ადგილის მიჩენისა, ზ. ფროიდს სპეციალურად არ დაუსვამს და მსჯელობის საგნად არ გაუხდია ფსიქიკური ენერგიის რაობის საკითხი. ის დაკმაყოფილდა მხოლოდ შემდეგზე მითითებით: „ჩვენ ვუშვებთ, როგორც ეს სხვა ბუნებისმეტყველურნა მეცნიერებებმა მიგვაჩვიეს, რომ სულიერ ცხოვრებაში მოქმედებს გარკვეული სახის ენერგია, მაგრამ არ გაგვაჩნია არავითარი დასაყრდენი, ენერგიის სხვა ფორმებთან ანალიზის გზით მივუახლოვდეთ მის შემეცნებას, ცოდნას“.

არაცნობიერი ფსიქიკური ენერგიის ცნება ფსიქოანალიზსა და ანალიზურ ფსიქოლოგიაში ჰიპოთეზია. იმ დახასიათებით, როგორაცაა წარმოდგენილი არაცნობიერი ფსიქიკური ენერგია აღნიშნულ თეორიებში, არ ისმის მისი რეალურად არსებობის საკითხი.

ბ) არაცნობიერი ფსიქიკის იმ ცნებაში, რომელიც გააზრებულია ისეთი გარკვეულობის სახით, რომლის ფსიქიკურ რომელობაში დარწმუნებული ვართ, მაგრამ მის ონტიურ სახეზე კონკრეტულად არაფერი ვიცით, თავსდებიან ზ. ფროიდის „არაცნობიერი პროცესები“ და კ. გ. იუნგის „თავისთავადი არქეტიპი“.

ზ. ფროიდის არაცნობიერი ფსიქიკის მოცულობაში შედის ოთხი რომელობა. ესენია: წინაცნობიერი, განდევნილი, არქაული მემკვიდრეობა და საკუთრივ არაცნობიერი. ფსიქოანალიზში არაცნობიერი ფსიქიკის დასახელებული რომელობები მიღებულია ფსიქიკის ფუნქციონალური თვალსაზრისით განხილვის მეთხებით, რომელიც უშვებს ფსიქიკის ფენობრივი აღნაგობის შესაძლებლობას, რომელთა შორის ინსტანციური ურთიერთდამოკიდებულება უნდა განხორციელდეს და გამოვლინდეს არაცნობიერი ფსიქიკის განსხვავებული რომელობების საშუალებით. თუკი გათვალისწინებული იქნება არაცნობიერი ფსიქიკის რომელობათა გენეზისი, ისინი შეიძლება დაჯგუფდნენ ორად. ერთ ჯგუფში მოთავსდება არაცნობიერი ფსიქიკის ის პროცესები, რომელთათვისაც არაცნობიერობა მეორეულია, შეძენილი თვისებაა, არაცნობიერი ფსიქიკის სახით არსებობა მათი შინაგანი ბუნებიდან არ გამომდინარეობს. ერთ დროს ისინი ცნობიერების ნიშანს ფლობდნენ და შემდეგ, გარკვეული ვითარების გამო, იქცნენ არაცნობიერად. ამ ჯგუფში თავსდებიან: წინაცნობიერი, განდევნილი და არქაული მემკვიდრეობა. მეორე ჯგუფში მოთავსდება საკუთრივ არაცნობიერი, რომელიც საწყისისეულია, როგორც არაცნობიერი თვითმყოფადია. ის არასოდეს არ ვლინდება ცნობიერე-

ბაში თავისი საკუთარი სახით. ამიტომაა, რომ მას ჩვენ უშუალოდ ვერ ვწვდებით. ცნობიერებაში შემოიჭრება ხოლმე მისი წარმომადგენელი.

ფუნქციონალური და გენეტური დახასიათება არაცნობიერი ფსიქიკური პროცესებისა ჯერ კიდევ გადამწყვეტს არაფერს ამბობს თვითონ არაცნობიერი ფსიქიკური პროცესების ონტოლოგიური სახის შესახებ.

ფსიქოანალიზში გარკვეულია, რომ განსხვავება არაცნობიერ ფსიქიკასა და ცნობიერ ფსიქიკას შორის ეხება ფსიქიკისადმი ცნობიერების ნიშნის მიწერას, ეს კი იმას გულისხმობს, რომ ერთმანეთისაგანაა გათიშული ფსიქიკა და ცნობიერება. ცნობიერებას კი არ მიეწერება არაცნობიერობის ნიშანი, არამედ ფსიქიკის მიმართ ისმის საკითხი ცნობიერებისგან დამოუკიდებლად მისი არსებობის თაობაზე. აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, არაცნობიერ ფსიქიკად ველარ ჩაითვლება ისეთი ფსიქიკა, რომელსაც თან ახლავს ცნობიერების მინიმუმი, ვინაიდან ამ შემთხვევაშიც ფსიქიკის დახასიათება მოხდებოდა ისევ ცნობიერების ნიშნით.

რას წარმოადგენს ფსიქიკა მაშინ, როცა მას თან არ ახლავს ცნობიერება? ზ. ფროიდის ღრმა რწმენით ცნობიერების გარეშე არსებული ფსიქიკის გარკვეულობაზე არაფრის თქმა არ შეგვიძლია. „ჩვენ არ შეგვიძლია გვქონდეს არავითარი ვარაუდი იმის შესახებ, თუ რა ფორმით არსებობს წარმოდგენა სულში, როცა ის ცნობიერებისათვის ლატენტურია იმავდროულად“.

გულუბრყვილო იქნებოდა, ფროიდის მსჯელობაში წინააღმდეგობა დაგვენახა იმის გამო, რომ, ერთი მხრივ, ავტორი უარყოფს არაცნობიერი ფსიქიკის შინაგანი სახის (მისი ტერმინით — „არსებობის ფორმის“) დახასიათების შესაძლებლობას, ვინაიდან გამორიცხულია გამოცდილებაში მისი უშუალოდ მოცემულობა, და, მეორე მხრივ, არაცნობიერს ის ახასიათებს როგორც: დისპოზიციას, ლატენტურს, კვალს, უნარს, მიდრეკილებას და მისთ. არაცნობიერის დახასიათება როგორც: დისპოზიციისა, კვალისა და ა. შ. არაა არაცნობიერის არც ფსიქიკურობის დამადასტურებელი და არც მისი, როგორც ფსიქიკურის, რომელობითი ბუნების მაჩვენებელი. ამგვარი დახასიათება არაფერს სპეციფიკურს არ მიათითებს საერთოდ არაცნობიერის ონტოლოგიური სახის შესახებ.

კ. გ. იუნგის თავისთავადი არქეტიპი არაცნობიერი ფსიქიკური გარკვეულობაა. არქეტიპი, ანუ კოლექტიური არაცნობიერი ფსიქი-

კის ობიექტურ ფენადაა წარმოდგენილი და უპირისპირდება სუბიექტურ ფენას, რომელსაც პიროვნული არაცნობიერი ეწოდება. ანალიზურ ფსიქოლოგიაში პრინციპული მნიშვნელობა აქვს არქეტიპის ორი რომელობის გათიშვას: თავისთავად არქეტიპს და არქეტიპულ წარმოდგენას. თავისთავადი არქეტიპი არაცნობიერი ფსიქიკის სტრუქტურის პოტენციური არსებობის, სტრუქტურული დომინანტის აღმნიშვნელია. არქეტიპული წარმოდგენა კი — ცნობიერებაში გამოვლენილი ფსიქიკური შინაარსის ან პროცესისა, რომელიც სიმბოლოს წარმოადგენს. თავისთავადი არქეტიპი ფსიქიკური წყობის აპრიორი ფორმაა.

ვ) არაცნობიერი ფსიქიკის გაგება როგორც ცნობიერების ფსიქიკური შინაარსისა, რომელიც ცნობიერების გარეთ არსებულად წარმოიდგინება, ცნობიერებასთან კავშირს არ მოითხოვს, მოცემულია კ. გ. იუნგთან და ა. ა. ადლერთან. ანალიზური ფსიქოლოგიის პიროვნული არაცნობიერი ფსიქიკა არაცნობიერი ფსიქიკის ზედაპირული ფენაა, რომელიც უპირისპირდება თავისთავად არქეტიპს. აქ არაცნობიერი ფსიქიკური შინაარსი ის მასალაა, რომელიც დაკავშირებულია პიროვნების ინდივიდუალურ ცხოვრებასთან, გამოცდილებასთან. ესაა: ცნობიერების დავიწყებული ფსიქიკური შინაარსები, ცნობიერების ქვეზღურბლური, სუსტი ინტენსივობის მქონე შთაბეჭდილებანი, პერცეფციები, ყველა ის ფსიქიკური შინაარსი, რომელიც ცნობიერ განწყობასთან ერთიანობას ვერ პოულობს და ამიტომ განდევნილია. ინდივიდუალფსიქოლოგიაში შეწყნარებულია აზრი ფსიქიკური შინაარსების ისეთი არსებობისა, როცა ისინი არ საჭიროებენ ცნობიერებასთან კავშირს. ამიტომ აქ არაცნობიერი აზროვნება, არაცნობიერი სურვილი, არაცნობიერი გრძნობა კანონიერ ტერმინებადაა ჩათვლილი[1].

სიღრმის ფსიქოლოგიაში ზოგჯერ არაცნობიერი ფსიქიკის ტერმინს იყენებენ ცნობიერი ფსიქიკური შინაარსების აღსანიშნავად. მაგრამ ამან არ უნდა გვაფიქრებინოს, თითქოს აქ აღრევა იყოს ცნობიერ და არაცნობიერ ფსიქიკის ცნებებს შორის. საქმე იმაშია, რომ ცნობიერი ფსიქიკური შინაარსი, რომელსაც არაცნობიერი ფსიქიკის

---

[1] ინდივიდუალფსიქოლოგიაში არაცნობიერი ფსიქიკის ცნებაში, როგორც ითქვა, გნოსეოლოგიური შინაარსიცაა ჩადებული. ამ შემთხვევაში არაცნობიერი ნიშნავს ა რ ც ო დ ნ ა ს, გ ა უ გ ე ბ ა რ ს, რომელიც თანაბრად ეხება როგორც ცნობიერ, ისე არაცნობიერ ფსიქიკასაც. არაცნობიერის გნოსეოლოგიური შინაარსი არაცნობიერის ფსიქოლოგიურ პრობლემას არ ეხება.

სახელწოდებით აღნიშნავენ, გარკვეულ შემთხვევაში გაგებულია არაცნობიერი ფსიქიკური პროცესის პროდუქტად და ეს კონკრეტული შინაარსი-პროდუქტი, ე. წ. „არაცნობიერი ფსიქიკა", ფუნქციური ასპექტით დაპირისპირებულია ისეთ ცნობიერ შინაარსებთან, რომლებიც არ არიან, მაგალითად, განდევნილის ან თავისთავადი არქეტიპის სიმბოლური გამოვლენანი ცნობიერებაში.

ზემოაღნიშნულის მხედველობაში მიღება გასაგებს ხდის სიღრმის ფსიქოლოგიის მსჯელობას ცნობიერი ფსიქიკის ამხსნელი ფაქტორის პრინციპულად „ცნობიერებით დადასტურების" შესახებ. ცნობიერი ფსიქიკის არაცნობიერი საფუძვლის, როგორც არაცნობიერი ფსიქიკის, პირდაპირი დადასტურება იმთავითვე გამორიცხულია. ამ შემთხვევაში ლაპარაკია არაცნობიერი ფსიქიკის პროდუქტზე, ცნობიერ ფსიქიკა-შინაარსზე, რომელიც წინდაწინვე ჩათვლილია რა სწორედ რომ არაცნობიერი ფსიქიკისა და არა სხვა რაიმეს პროდუქტად, მასზე მსჯელობენ როგორც ცნობიერი ფსიქიკის „დადასტურებად არაცნობიერ ფსიქიკურ საფუძველზე". მაშასადამე, აქ არაცნობიერ ფსიქიკაში იგულისხმება ა რ ა პ ი რ დ ა პ ი რ ი მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა, ის ნიშნავს, ე. წ. არაცნობიერი ფსიქიკურიდან მიღებულ ცნობიერ ფსიქიკურ შინაარსს.

საერთოდ, თუ დადგება საკითხი არაცნობიერი ფსიქიკის სიღრმისფსიქოლოგიური შინაარსის შესახებ ზოგადობის ნიშნის მიხედვით, ასეთ ვითარებას მივიღებთ — კოლექტიური არაცნობიერის ჯგუფში მოთავსდება: თავისთავადი არქეტიპი, არქაული მემკვიდრეობა და საკუთრივ არაცნობიერი, ხოლო პიროვნული არაცნობიერი ფსიქიკის სფეროში შემოვა: წინაცნობიერი, განდევნილი (ფროიდთან) და ე. წ. არაცნობიერი ფსიქიკის ზედაპირული ფენა (იუნგთან).

არაცნობიერი ფსიქიკის სიღრმისფსიქოლოგიური ცნებები — ფსიქიკური ენერგია, უცნობი ფსიქიკური პროცესი და ფსიქიკური შინაარსების ცნობიერებისაგან დამოუკიდებელი არსებობა — ფსიქიკის სხვადასხვა ასპექტით განხილვის შედეგადაა მიღებული. ფსიქიკურ ენერგიაზე მსჯელობა ფსიქიკისადმი დინამიკური თვალსაზრისით მიდგომიდანაა გამომდინარე: მთლიანად აღებული ფსიქიკა ჩათვლილია ცნობიერი და არაცნობიერი ძალების ურთიერთობის ასპარეზად და ამით აღდგენილია სულის მექანიკის ისტორიულად ცნობილი პრინციპი, რომლის არადამაკმაყოფილებელი შედეგები, როგორც მექანიცისტური თვალსაზრისისა, კარგადაა ცნობილი. ფსიქიკის არაცნობიერი სფეროს უცნობ პროცესად გამოცხადება, გარ-

კვეული აზრით, შემეცნების თეორიული კუთხით დახასიათებაა. ფსიქიკის ის ნაწილი, რომელიც გამოცდილებაში დადასტურებას არ ექვემდებარება, ჩვენთვის ემპირიულად ცდაში მოცემული არ შეიძლება იყოს, სხვაგვარად შეუძლებელია დახასიათდეს თუ არა როგორც „უცნობი", თუმცა წინდაწინვეა მიღებული გარკვეულად ონტოლოგიური რაობა, რომ ის ფსიქიკაა და არა სხვა რამ. ფსიქიკური შინაარსების ცნობიერების გარეშე არსებობის დაშვება, მაგალითად, ინდივიდუალფსიქოლოგიაში დოგმატურია. ის იქ ანალიზის ობიექტიც არ გამხდარა. რაც შეეხება ანალიზურ ფსიქოლოგიას, რომლის ამოსავალია — „არაცნობიერის შესახებ ჩვენ არაფერი ვიცით"[2], არაცნობიერი ფსიქიკის პიროვნული ფენის დახასიათება ცნობიერი ფსიქიკური შინაარსების რომელობით პ ი რ ო ბ ი თ ი ა, „თითქოს ეს ასე იყოს"[3].

ცნობილია, რომ ფსიქოლოგიაში არაცნობიერი ფსიქიკის შემოტანის ერთ-ერთი მოტივი ცნობიერი ფსიქიკის ახსნის მიზანდასახულებასთანაა დაკავშირებული. სიღრმის ფსიქოლოგია პრინციპულ პოზიციაზე დგას ცნობიერი ფსიქიკის არაცნობიერი ფსიქიკით განპირობებულობის საკითხში. ცნობიერი ფსიქიკა უნდა აიხსნას არაცნობიერი ფსიქიკით. ისიც ცნობილია, რომ არაცნობიერი ფსიქიკის რაობის საკითხმა სხვადასხვა კვალიფიკაცია მიიღო. ლაპარაკობენ არაცნობიერ ფსიქიკაზე, როგორც რეალურ გარკვეულობაზე და არაცნობიერ ფსიქიკაზე, როგორც ფიქციაზე. ერთ შემთხვევაში, ცნობიერი ფსიქიკა აიხსნება რეალური არაცნობიერი პროცესით, მეორე შემთხვევაში, ცნობიერი ფსიქიკის საფუძვლად ცხადდება ისეთი რამ, რის მიმართაც არსებობა-არარსებობის განზომილება არ გამოიყენება.

როგორია სიღრმისფსიქოლოგიური ასპექტი არაცნობიერი ფსიქიკის ონტოლოგიური პრობლემის მიმართ? არაცნობიერი ფსიქიკა რეალობადაა წარმოდგენილი, თუ იგი ჰიპოთეზურ ვითარებადაა დასახული? ამ კითხვაზე სიღრმისფსიქოლოგიური თეორიების ავტორებს პრინციპული პასუხი არა აქვთ. არაცნობიერი ფსიქიკა ერთსა და იმავე თეორიაში ხან რეალობად ცხადდება, ხან კი — მხოლოდ ჰიპოთეზური ღირებულების მქონედ. ამიტომ არაცნობიერი ფსიქი-

---

[2] «Wir nichts vom Unbewußten wissen...» Über Grundlagen der analytischen Psychologie, Zürich-Stuttgart, 1969, გვ. 16.

[3] «Es geht immer um ein «als-ob», und ich bitte Sie, das im Auge zu behalten», იქვე, გვ. 17.

ის სიღრმისფსიქოლოგიური კონცეფტი იმის მიხედვით, თუ მასში რა შინაარსი იგულისხმება, განსხვავებულ შეფასებას იმსახურებს. თვითონ სიღრმის ფსიქოლოგიის პრინციპული პოზიცია მოითხოვს არაცნობიერის რეალობის სახით წარმოდგენას.

სიღრმის ფსიქოლოგიაში გაცნობიერებულია, რომ არაცნობიერი ფსიქიკა პირდაპირ, უშუალოდ ხილვადი არაა. შემმეცნებელს თვითონ ის არ ეძლევა ცნობიერებაში, რადგანაც არაცნობიერი ფსიქიკის ბუნება სწორედ ისაა, რომ ის ცნობიერების მიღმა არსებულია და ამით ცნობიერებასთან მისი უშუალო შეხების საკითხი პრინციპულადაა მოხსნილი. ეს ვითარებაა გათვალისწინებული სიღრმის ფსიქოლოგიაში, როცა მითითებულია: „არ შეგვიძლია პირდაპირი ურთიერთობა გვქონდეს არაცნობიერ პროცესებთან, რადგანაც ისინი ჩვენთვის მიუწვდომელნი არიან: ისინი პირდაპირ არ აღიქმებიან, ვლინდებიან მხოლოდ მათ პროდუქტებში და აღნიშნული პროდუქტების სპეციფიკური თავისებურებებიდან გამოგვყავს დასკვნა, რომ მათ უკან რაღაც უნდა იყოს, საიდანაც ისინი წარმოიშობიან. ამ ბნელ სფეროს ვუწოდებთ არაცნობიერ ფსიქიკას"[4]. „ჩვენ არაცნობიერს ვუწოდებთ ფსიქიკურ პროცესს, რომლის არსებობა უნდა დავუშვათ, მის შესახებ არაფერი ვიცით, მაგრამ ვასკვნით შედეგის მიხედვით"[5].

თუკი არაცნობიერი ფსიქიკა, როგორც რეალობა, უშუალოდ არ გვეძლევა გამოცდილებაში, რა საფუძველი გაგვაჩნია იმისა, რომ დავუშვათ მისი არსებობა, რა გვაძლევს იმის რწმენას, რომ ის, რაც გავლენას ახდენს ცნობიერებაზე, უცილობლად ფსიქიკაა (resp. არაცნობიერი ფსიქიკაა) და არა სხვა რამ?

ამ კითხვაზე პასუხი მოცემულია ფსიქოანალიზში. ესაა თეორიული მოსაზრება, რომლიდანაც გამომდინარეობს საკითხის დადებითად გადაწყვეტა, კერძოდ — ფ ს ი ქ ი კ ი ს წ ა რ მ ო დ გ ე ნ ა უ წ ყ ვ ე ტ ი რ ე ა ლ ო ბ ი ს ს ა ხ ი თ. თუკი ფსიქიკას უწყვეტობის სუბსტანციონალური თვისება მიეწერება, მაშინ ცნობიერება არ გამოდგება ფსიქიკის ონტოლოგიური პრობლემის გადასაჭრელად იმდენად, რამდენადაც მისი ჩვენება არ იქნება საკმარისი ფსიქიკის გავრცელების ფარგლების დასადგენად. ამდენად, როცა ცნობიერება ხარვეზს ამჩნევს ფსიქიკურში, სინამდვილეში ხარვეზი არაა, იქ არა-

---

[4] იქვე, გვ. 49—50.
[5] S. F r e u d, Neue Folge der Vorlesungen... XV, 77.

ცნობიერი ფსიქიკაა. არაცნობიერი ფსიქიკა ცნობიერი ფსიქიკის წინასაფეხური და გამგრძელებელია. საერთოდ ფსიქიკა არაცნობიერი და ცნობიერი პროცესების უწყვეტი თანამიმდევრობა და მონაცვლეობაა. ამიტომ ყოველი სახის ცვლილების საფუძველი ფსიქიკაში არ შეიძლება იმყოფებოდეს ფსიქიკის ფარგლებს გარეთ, ის აუცილებლობით ისევ ფსიქიკაში უნდა იყოს.

იგივე პრინციპული თვალსაზრისია გატარებული ანალიზურ ფსიქოლოგიაშიც. ფსიქიკური რეალიზმის თვალსაზრისზე დგომა განსაზღვრავს სიღრმის ფსიქოლოგიის მხრიდან უარყოფით დამოკიდებულებას ფსიქიკის ეპიფენომენალური გაგების მიმართ. თუ ფსიქიკა გააზრებულია მატერიალურის პროდუქტად და ამავე დროს აღიარებულია, რომ ფსიქიკას მართავს არაფსიქიკური გარკვეულობა, ფუქი ოცნებაა, თავი დავაღწიოთ ფსიქიკის ეპიფენომენად გამოცხადებას. ამგვარი დამოკიდებულება ფსიქიკისადმი განაპირობა ე. წ. „უსულო ფსიქოლოგიის“ («Psychologie ohne Seele») ლოზუნგმა. „უსულო ფსიქოლოგიამ“, რომლის პირინციპების დამცველი და გამტარებულია ცნობიერების ფსიქოლოგია, ფსიქიკას წაართვა თავისთავადი არსებობა, ის ფიზიკური სუბსტრატის უბრალო გამოსახვად ჩათვალა და მისი გავრცელების არე ცნობიერებით ამოწურა. მან წამოაყენა თეზისი ცნობიერი ფსიქიკის არაფსიქიკურზე დაფუძნების საჭიროებისა და ფსიქიკის შემეცნების ცნობიერების განზომილებით შემოფარგვლის შესახებ. „უსულო ფსიქოლოგიის“ თვალსაზრისს სიღრმის ფსიქოლოგია უპირისპირებს ლოზუნგს — „ფსიქოლოგია სულით“ («Psychologie mit Seele»). „ფსიქოლოგია სულით“ თვალსაზრისი არის ფსიქიკის სუბსტანციურად გააზრების მოთხოვნის დაცვა. მართალია, ჩვენთვის მიუწვდომელია პირველადი არსობრიობანი, უცნობია მატერიაცა და გონიც, მაგრამ ფსიქიკიდან ფსიქიკის აღმოცენების აზრი უფრო ფანტასტური არაა, ვიდრე ფსიქიკის წარმოშობისა არაფსიქიკიდან (ფიზიკურიდან). ფსიქიკური რეალობის იდეის დაცვა უნდა ჩაითვალოს ფსიქოლოგიის ყველაზე არსებით მიღწევად[6].

ფსიქიკის უწყვეტი რეალობის სახით წარმოდგენას, მის სუბსტანციურად გაგებას ემყარება არაცნობიერი ფსიქიკის დასაბუთების ეხვა არგუმენტები, რომლებიც სიღრმის ფსიქოლოგიაში მოტანილია არაცნობიერი ფსიქიკის თეზისის დასაბუთებისათვის. სახელ-

---

[6] C. G. Jung, Wirklichkeit der Seele, Zürich-Stuttgart, 1969, გვ. 13—15.

დობრ, საზრისის ნიშნით ფსიქიკის დახასიათება და შედეგიდან მიზეზზე ერთმნიშვნელოვნად დასკვნა.

არსებითად იგივე ითქმის არაცნობიერი ფსიქიკის ექსპერიმენტული დასაბუთების შესახებაც. ზ. ფროიდის პოსტჰიპნოზური მდგომარეობის ანალიზი და კ. გ. იუნგის ასოციაციის მეთოდით მოპოვებული შედეგების ინტერპრეტაცია ეფუძნება ზოგადთეორიულ წანამძღვარს, ფსიქიკის უწყვეტობის პრინციპის მიღებას, ფსიქიკის თვითკმარ და დამოუკიდებელ რეალობად წარმოდგენას. იმავე შეფასებას იმსახურებს სიღრმის ფსიქოლოგიაში არაცნობიერი ფსიქიკის სხვა „ემპირიული არგუმენტებიც", რამდენადაც საქმე ეხება დასაბუთების იმ მცდარ გზას, რომელიც წინდაწინვე გულისხმობს დასაბუთებულად იმას, რაც უნდა დასაბუთდეს. დასასაბუთებელია თვითონ ფსიქიკის უწყვეტობა, რომელიც გამოყენებულია არაცნობიერი ფსიქიკის გამართლებისათვის.

არაცნობიერი ფსიქიკის აღიარებაში და ფსიქოლოგიური მეცნიერების ახალ პრინციპზე აგების ცდაში სიღრმის ფსიქოლოგია, გარკვეული აზრით, თანამოაზრეა და თანამგრძნობელს ნახულობს მ. გაიგერის იმანენტურ რეალიზმზე დაფუძნებულ რეალისტური ფსიქოლოგიის სახით, რომელიც ემიჯნება განცდის ფსიქოლოგიას.

მ. გაიგერის იმანენტური რეალიზმის თვალსაზრისიდან განხილული სიღრმის ფსიქოლოგია განცდის ფსიქოლოგიის ტიპის მეცნიერებად ჩაითვლებოდა, თუკი აქ დაშვებული არაგანცდითი ფსიქიკურის არსებობა მოემსახურებოდა განცდის მიმდინარეობაში შემჩნეული ხარვეზის მხოლოდ შევსებასა და ფსიქიკის მთლიანობის სახით წარმოდგენას, არაგანცდითი სინამდვილე გამოიყენებოდა შემეცნების საშუალებად. შემეცნების ერთადერთ საბოლოო მიზნად ისევ განცდითი სფერო დარჩებოდა.

რეალისტური ფსიქოლოგია იმით უნდა განსხვავდეს განცდის ფსიქოლოგიისაგან, რომ პირველი აღიარებს „ობიექტურ ფსიქიკურ არსებობას", რომლის ცნობიერებაში მოვლინების ფაქტს ის შემთხვევითად მიიჩნევს. ამ ფსიქოლოგიის ამოცანაა განცდის მიღმა არსებული რეალური ფსიქიკურის შემეცნება. განცდითი ფსიქიკა გამოყენებულია საშუალებად რეალური, ობიექტურ-ფსიქიკურის წვდომისათვის. როგორც ბუნებისმეტყველება მოიხმარს ბუნების აღქმას თვითონ ბუნების შესწავლისათვის, ისე რეალისტური ფსიქოლოგია განცდას, რეალურ-ფსიქიკურის შემთხვევით გამოვლენას მოიხმარს იმანენტური რეალობის, არაცნობიერი ფსიქიკის

შესასწავლად. განცდის ფსიქოლოგიის მიზანი საშუალებაა რეალისტური ფსიქოლოგიისათვის. განცდის ფსიქოლოგია უგულებელყოფს ფსიქიკურ ცხოვრებაში „მე"-ს მნიშვნელობას, სულიერი პროცესების პერსონალურ ხასიათს, მათი კონცენტრირების ფაქტს ერთიანი რეალური მე-ს გარშემო. განცდის ფსიქოლოგია განცდების კავშირს ეძებს ან ნატურალურ სუბსტრატში, ან დასკვნის გზით მიღებულ არაცნობიერ მექანიზმებში. რეალისტური ფსიქოლოგია კი ემყარება მე-სა და სამყაროს კორელაციას. აქ ლაპარაკია რეალურ ფსიქიკურ მე-ზე, რომელიც წარმოადგენს ცენტრს, საიდანაც ხორციელდება ფსიქიკური აქტები[7].

სიღრმის ფსიქოლოგია რეალისტური ფსიქოლოგიაა. ის იმიტომ ჩაითვლება იმანენტური რეალიზმის ტიპის ფსიქოლოგიად, რომ სიღრმის ფსიქოლოგიის ამოსავალია ფსიქიკის არაცნობიერად არსებობა, რომელიც უნდა შემეცნებული იქნეს ცნობიერი ფსიქიკის საშუალებით; „მე" (ფროიდი, ადლერი) და „თვითონ" (იუნგი) ფსიქიკური სინამდვილის სხვა ინსტანციებთან მიმართებაში და მათთან ერთად ფსიქიკის პერსონალურ ბუნებას აფუძნებს. მაგრამ განსხვავებულია ფსიქიკის, როგორც რეალური დინამიკური მთლიანობის, მოქმედების პრინციპი; მ. გაიგერის რეალისტური ფსიქოლოგიისათვის უცხოა ყოველი სახის მექანიკურ-კაუზალური კავშირები. ხოლო სიღრმის ფსიქოლოგია ფსიქიკის დინამიკურ სურათს კაუზალურ მიმართებათა ფუნქციის სახით წარმოგვიდგენს. მ. გაიგერი სიღრმის ფსიქოლოგიას მოუწონებდა ონტოლოგიურ თეზისს — ფსიქიკის ახსნის საკითხში არაფსიქიკურის პრინციპული უარყოფის თაობაზე, მაგრამ ის დაიწუნებდა სიღრმის ფსიქოლოგიურ მეთოდოლოგიას, რომელმაც ბოლომდე ვერ დაძლია განცდის ფსიქოლოგიის ბუნებისმეტყველური ტენდენცია — შეინარჩუნა კაუზალური განხილვის წესი ფსიქიკის ფარგლებში, ნაცვლად იმისა, რომ ფსიქიკური განეხილა, როგორც გარე სამყაროსთან პიროვნების დამოკიდებულება-პოზიცია.

იქ, სადაც ერთმანეთისაგანაა გათიშული ცნობიერი და არაცნობიერი ფსიქიკა, როგორც ესაა სიღრმის ფსიქოლოგიაში, დგება სა-

---

[7] Moritz Geiger, Fragment über den Begriff des Unbewußten und die psychische Realität, Jahrbuch f. Philos. u. phänom. Forschung, IV, 1921.

მ. გაიგერის თვალსაზრისი გარჩეული წიგნში: ა. ბოჭორიშვილი, ფსიქოლოგიის პრინციპული საკითხები, ნაწ. II, თავი XVI, ფსიქოლოგიის პრობლემა იმანენტურ რეალიზმში, გვ. 249—277.

კითხი საერთოდ ფსიქიკის ჩვენთვის მოცემულობის შესახებ. რომ ცნობიერი ფსიქიკა უშუალოდ გვეძლევა შინაგანი ევიდენტობით, ეს არ ითვლება საგანგებო დასაბუთების ობიექტად. არაცნობიერი ფსიქიკის მიმართ, რომელიც არ უკავშირდება ცნობიერებას, მის ფარგლებს მიღმაა მოთავსებული, ისმის საკითხი მისი ცნობიერებასთან შეხებისა, ცნობიერებით მისი ხილვისა, ერთი სიტყვით, არაცნობიერი ფსიქიკის გაცნობიერების შესახებ. იმის მიხედვით, თუ რა იგულისხმება არაცნობიერ ფსიქიკაში, გაცნობიერებაც განსხვავებულ შინაარსს ღებულობს. არაცნობიერი ფსიქიკა, თუ შინაარსობრივად არ განსხვავდება ცნობილი ცნობიერი ფსიქიკისაგან, მაშინ არაცნობიერი ფსიქიკის გაცნობიერებას მხოლოდ ის მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს, რომ ხდება იმის განცდა-დადასტურება, რაც მანამდე არაგანცდადი იყო; არაცნობიერი ფსიქიკის შინაარსს დაემატა ის, რის გარეშეც ეს შინაარსი თავისთავად კი არსებობდა, მაგრამ ჩვენი განცდის, უშუალო ცოდნის ობიექტი არ იყო. გაცნობიერება არაცნობიერი ფსიქიკისა, მაშასადამე, არის ფსიქიკური შინაარსის ადგილის გადანაცვლება — მისი არაცნობიერიდან ცნობიერში მოთავსება, უხილავის ხილვა. სხვაგვარად დგას საკითხი იმ შემთხვევაში, როცა გაცნობიერება უკავშირდება არაცნობიერი ფსიქიკის იმ მნიშვნელობას, სადაც არაცნობიერობა ფსიქიკისა წარმოდგენილია უცნობი რეალობის სახით. რას უნდა ნიშნავდეს ასეთ ვითარებაში არაცნობიერი ფსიქიკის დაკავშირება ცნობიერებასთან? თუ არაცნობიერი ფსიქიკის უცნობი რეალობა გულისხმობს იმ პროცესს, რომლის აღმოცენება და მიმდინარეობა საბოლოო ჯამში გვაძლევს ფსიქიკის ცნობიერ შინაარსებს, მაშინ არაცნობიერი ფსიქიკის გაცნობიერება ნიშნავს არა თვითონ არაცნობიერი ფსიქიკური პროცესის, როგორც ასეთის, ცნობიერებაში ამოსვლას, არამედ ამ უცნობი პროცესის საბოლოო პროდუქტის, ფსიქიკური შინაარსების ცნობიერებასთან შეხების მომენტს; რომ ამ უცნობი ფსიქიკური პროცესის განხორციელების ბუნებრივი შედეგი ჩვენთვის ფსიქიკური შინაარსების სახით არსებობს, მას განცდის სახით ვადასტურებთ.

აღნიშნული იყო, რომ ზ. ფროიდი თავის მოღვაწეობას ი. კანტის საქმის გაგრძელებად მიიჩნევს, ისე, როგორც ი. კანტი თავისთავადი ობიექტური სინამდვილის არაადეკვატურ ასახვაზე ლაპარაკობს, ასევე ზ. ფროიდიც არაცნობიერი ფსიქიკის არაზუსტ აღქმაზე მიუთითებს. კ. იუნგი ცნობიერებაში არაცნობიერი ფსიქიკის სიმბოლურ ფორმების გამოვლენაზე მსჯელობს. მაშასადამე, საკითხი

არაცნობიერი ფსიქიკის მოცემულობას ეხება. სილრმის ფსიქოლოგიაში ერთმანეთისაგან განსხვავდება არაცნობიერი ფსიქიკის „მოცემულობა“, უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით გ ა მ ო ვ ლ ე ნ ა, და არაცნობიერი ფსიქიკის შ ე მ ე ც ნ ე ბ ა. სილრმის ფსიქოლოგიაში ცნობიერი ფსიქიკის უშუალოდ მოცემულობის საკითხი ეჭვის ქვეშ არ დგას[8]. ცნობიერი ფსიქიკა ადეკვატურად მოცემულია. ფსიქიკის არაადეკვატურად მოცემულობის საკითხი დაისმის არაცნობიერ ფსიქიკასთან დაკავშირებით. გვეძლევა თუ არა არაცნობიერი ფსიქიკა ცნობიერებით ისე, როგორადაც ის არის ცნობიერების გარეთ? საკითხის ამგვარი დასმა გამორიცხულია იმ შემთხვევაში, როდესაც საერთოდ უარყოფილია ცნობიერების გარეთ არსებული ფსიქიკის შინაგანი გარკვეულობის შესახებ წარმოდგენა-ცოდნა. ამდენად, ასეთ ვითარებაში არც უნდა დაისვას საკითხი არაცნობიერი ფსიქიკის ცნობიერ ფსიქიკაში ადეკვატურად თუ არაადეკვატურად გამოვლენის თაობაზე. მაგრამ მაინც თუ ლაპარაკია ზოგჯერ ცნობიერების შინაარსებისა და პროცესების სახით არაცნობიერის არაზუსტ, არაადეკვატურ, სიმბოლურ მოცემულობაზე, ეს უკავშირდება არა თვითონ არაცნობიერი ფსიქიკის ონტიურ გარკვეულობას, არამედ იმ ფუნქციის, სილრმისფსიქოლოგიური ტერმინებით რომ ვთქვათ, „ტენდენციის“, „მიზნის“, „მნიშვნელობის“, „შინაარსის“, „განზრახვის“ არაპირდაპირ, სახეშეცვლილ ასახვას, გამოვლენას ცნობიერებაში, რაც არაცნობიერ ფსიქიკურ მოქმედებას მიეწერება. ფსიქიკის წვდომის, შემეცნების გნოსეოლოგიური შინაარსი — შეცდომაჰეშმარიტება — ეხება როგორც ცნობიერ ფსიქიკას, ასევე ე. წ. არაცნობიერი „ტენდენციის“, „მიზნის“, „განზრახვის“ და ა. შ. ასახვის მომენტს, რომელიც შეიძლება სწორიც იყოს და არასწორიც.

სილრმის ფსიქოლოგიას, როგორც ირკვევა, არ აქვს უფლება იმსჯელოს არაცნობიერი ფსიქიკის შემეცნების შესახებ, რადგანაც გნოსეოლოგიური პრობლემის დასმას წინ უნდა უძღოდეს არაცნობიერი ფსიქიკის ონტოლოგიური პრობლემის დადებითად გადაჭრა მისი შინაგანი ბუნების გათვალისწინებით. წინააღმდეგობაა, როცა,

---

[8] ფსიქოლოგიაში ცნობილია ფსიქიკის არაადეკვატურად მოცემულობის თეზისის დაცვა ცნობიერი ფსიქიკის განზომილებითაც. იხ. მაგალითად, მ. შელერის თვალსაზრისი ფსიქიკური იდოლების შესახებ ე. წ. „შინაგანი გრძნობის“ რაობის საკითხთან დაკავშირებით. «Die Idole der Selbsterkenntnis», Vom Umsturz der Werte, II, Leipzig, 1919. ამ საკითხზე დაწვრილებითაა მსჯელობა ა. ბოჭორიშვილის „ფსიქოლოგიის პრინციპული საკითხების“ მეორე ნაწილში, გვ. 277—324.

ერთი მხრით, მტკიცდება არაცნობიერის რაობის მიუწვდომლობა და, მეორე მხრით, ცნობიერებით არაცნობიერის წვდომის შესაძლებლობა. თუ არაცნობიერი ფსიქიკა წინასწარდაშვებულის მეტს არაფერს წარმოადგენს, ისაა ე. წ. „კონსტრუირებადი გამოცდილება", უნდა გამოირიცხოს თვითონ მისი შემეცნების საკითხი. სიმძიმის ცენტრი გადატანილია დაშვებულით ცნობიერების შინაარსის ახსნაზე.

ფსიქოანალიზი, ფროიდის განცხადებით, არაა „სულიერი ცხოვრების ამომწურავი თეორია". ის ცნობიერების ფსიქოლოგიას კი არ უპირისპირდება, არამედ წარმოდგენილია როგორც მისი შესავალი და შემავსებელი. ანალიზური ფსიქოლოგიაც, იუნგის რწმენით, არაა ფსიქიკის სისტემატური თეორია. ის მხოლოდ ორიენტაციის მომცემია ფსიქიკური სინამდვილის სფეროში. მაგრამ ეს მოკრძალებული კვალიფიკაცია არ შეესაბამება იმ ფაქტიურ ვითარებას, რაც სიღრმისფსიქოლოგიურ თეორიებში განხორციელდა ფსიქიკის ერთიანი და მთლიანი სურათის მოცემის ცდის სახით. სწორია სიღრმისფსიქოლოგიური თეორიების მისამართით გამოთქმული შენიშვნა, რომელიც ეხება ფსიქიკის მთლიან სურათში ცნობიერების მნიშვნელობის მინიმუმამდე დაყვანას, ფსიქიკის ერთიან სტრუქტურაში ცნობიერების როლის გაუფასურებას. სიღრმის ფსიქოლოგიის ბრძოლა ფსიქიკაში ირაციონალურის სასარგებლოდ, მისი თითქოსდა წართმეული უფლებების აღდგენისათვის, სინამდვილეში წარმოადგენს ცნობიერების ფუნქციის ხარჯზე არაცნობიერის აღზევებას: „მე"-მ (ცნობიერებამ) დაკარგა ბატონპატრონის უფლებები საკუთარ სახლში. ლტოლვა „სულიერ ფუძედ" იქცა (ფროიდი), „თვითონ"-მა მოიპოვა ფსიქიკური ცხოვრების ცენტრისა და მართვის უფლება (იუნგი), „მე"-დან აღმოცენებული ცხოვრების სტილი განაპირობებს ქცევას (ადლერი). საერთოდ ფსიქიკის ეპიფენომენალური გაგების წინააღმდეგ ბრძოლაში სიღრმის ფსიქოლოგიამ ცნობიერების მიმართ ეპიფენომენალური თვალსაზრისი გაიზიარა. „ფსიქოლოგია სულით" თეზისის წამოყენებამ და დაცვამ არაცნობიერ ფსიქიკას სუბსტანციური მნიშვნელობა მიანიჭა.

სიღრმის ფსიქოლოგიამ წინ წამოსწია ფსიქიკის მთლიანობის იდეა, მის პრობლემასაც ფსიქიკა, როგორც მთელი, წარმოადგენს, რაც განსხვავებულია მთლიანობის განცდისა და განცდის მთლიანობისაგან. სიღრმის ფსიქოლოგიას ფსიქიკა, როგორც ასეთი (ცნობიერი და არაცნობიერი სფეროების ერთობლიობა) ესახება უმაღლეს

რთულ წარმონაქმნად, რომლის, როგორც მთელის, წვდომა ცალკეული მომენტიდან მიუღწევლად მიაჩნია. სიღრმის ფსიქოლოგია ფსიქიკის მთლიანობის დახასიათებას შეეცადა ორი თვალსაზრისით — ენერგეტიკული და ტელეოლოგიური თვალსაზრისების მომარჯვებით. ენერგეტიკული ასპექტით ფსიქიკის განხილვამ ფსიქიკა კომპენსატორული, შემავსებელი თვისების მქონედ წარმოგვიდგინა, ფსიქიკა ძალთა პოლარული ურთიერთმიმართების ფორმით მოგვევლინა. ტელეოლოგიურმა თვალსაზრისმა ფსიქიკა მიზანმსწრაფ პროცესად დასახა, რომელშიდაც კომპენსატორულ ფუნქციას მნიშვნელობა არ დაუკარგავს.

საგანგებო დასაბუთებას არ მოითხოვს ის, რომ სიღრმის ფსიქოლოგიამ ენერგეტიკული და ტელეოლოგიური თვალსაზრისებით ფსიქიკის დახასიათებისას სპეციფიკურ ფსიქიკურზე ვერ მიანიშნა და ვერც მიანიშნებდა, რადგანაც ტელეოლოგია და ენერგეტიკა სიღრმის ფსიქოლოგიაში აპრიორული მეთოდოლოგიური ხერხია, რომლის მაშტაბებშიც უნდა მოთავსდეს ფსიქიკურიცა და არაფსიქიკურიც. ამიტომაა, რომ სიღრმის ფსიქოლოგიას განიხილავენ როგორც ფიზიციზმისა და მეთოდოლოგიური აპრიორიზმის არტახებში მოქცეულ თეორიას.

სიღრმის ფსიქოლოგიას დადებითად ჩაეთვლება ფსიქიკის ეპიფენომენალური გაგების წინააღმდეგ ბრძოლა და ფსიქოლოგიის მეცნიერების აგების კონსტიტუციონალური უფლებისათვის ზრუნვა. ფსიქიკა სხვაზე დაუყვანადი რეალობაა, მეცნიერებაც მის შესახებ ფსიქიკის თავისებურებას უნდა დაეფუძნოს. ფსიქიკა ერთიანი და მთლიანი ბუნებისაა, ამიტომ მისი წვდომისათვის უნდა განხორციელდეს სპეციფიკური მეთოდოლოგიური მიდგომა. ამ თეორიაში პოზიტიური და მისაღებია ისიც, რომ აქ ადამიანის გასაგებად არაა საკმარისი მხოლოდ ცნობიერების გათვალისწინება. პიროვნება არ დაიყვანება ცნობიერ ფსიქიკაზე.

მაგრამ აღსანიშნავია სწორედ ის, რომ ის გზა, რომელიც დასახა სიღრმის ფსიქოლოგიამ აღნიშნული პრინციპული პოზიციის დასაბუთებისათვის და ის პასუხი, რაც მან მოგვცა საკითხის დადებითად გადაჭრის სახით, სწორი არაა და მცდარ წანამძღვრებს ეფუძნება. ლაპარაკია არაცნობიერ ფსიქიკაზე. სიღრმის ფსიქოლოგიამ არაცნობიერ ფსიქიკას დააკისრა მთელი სიმძიმე ფსიქიკის შესახებ მეცნიერების დაფუძნების, საგნობრივი და მეთოდოლოგიური ასპექტით მისი გამართლების საქმეში. თავდაპირველად სიღრმისფსი-

ქოლოგიურმა თეორიებმა არაცნობიერი ფსიქიკის ცნება მოიხმარეს ამხსნელ ცნებად ცნობიერი ფსიქიკის მიმართ, შემდეგ კი არაცნობიერი ფსიქიკა, როგორც რეალობა, კელევა-ძიების საგნად დასახეს და ამ მიზნისათვის ცნობიერი ფსიქიკა საშუალებად გამოიყენეს. სიღრმის ფსიქოლოგიის, როგორც ფსიქოლოგიური მეცნიერების, არსებობის უფლება დამოკიდებულია არაცნობიერი ფსიქიკის რეალიზმის დასაბუთებასთან. რამდენადაც არაცნობიერი ფსიქიკის რეალური არსებობა კითხვის ქვეშ დგას, მისი ემპირიული მოცემულობა პრინციპულადაა გამორიცხული, შეუძლებელია მის შესახებ მეცნიერების — სიღრმის ფსიქოლოგიის, ბუნებისმეტყველური დისციპლინის, არსებობაც. უკეთეს შემთხვევაში, არაცნობიერი ფსიქიკის ჰიპოთეზური ცნება შეიძლება ფსიქოლოგიაში გამოყენებულ იქნეს ამხსნელად (თუკი გაზიარებულია აზრი ამხსნელის როლში ფიქტიურის, არარეალურის დაშვების სასარგებლოდ), მაგრამ გაუმართლებელია პრინციპულად ჰიპოთეზურის ცალკე მეცნიერების საგნად გამოცხადება. ეს იმის საფუძველს იძლევა, რომ დადგეს საკითხი სიღრმის ფსიქოლოგიის — არაცნობიერი ფსიქიკის შემსწავლელი მეცნიერების — უარყოფის შესახებ. თუკი ფილოსოფიური წანამძღვრები, ამოსავალი პოსტულატები არ ამართლებენ არაცნობიერი ფსიქიკის დაშვების შესაძლებლობას, საკვლევით ბუნებრივია, უარყოფითი პოზიცია იქნეს დაჭერილი იმ ფსიქოლოგიის მიმართაც, რომელსაც მიზნად დაუსახავს ფიქტიური არაცნობიერი ფსიქიკის შემეცნება. სიღრმის ფსიქოლოგია არარსებულის (არაცნობიერი ფსიქიკის) შესახებ მეცნიერების კვალიფიკაციას იღებს.

მითითებული იყო, რომ კლასიკურ სიღრმის ფსიქოლოგიაში ადამიანის პრობლემა არსებითადაა დაკავშირებული არაცნობიერი ფსიქიკის ცნებასთან, რადგანაც არაცნობიერი ფსიქიკა ემსახურება ადამიანის რაობის დადგენის საქმეს. სიღრმის ფსიქოლოგიის კლასიკურ თეორიებში ადამიანის ცნებაც, მსგავსად არაცნობიერი ფსიქიკის ცნებისა, ერთი შინაარსით არაა წარმოდგენილი. ფსიქოანალიზში, ანალიზურ ფსიქოლოგიასა და ინდივიდუალფსიქოლოგიაში ადამიანის დახასიათება არა მარტო განსხვავდებიან, არამედ გარკვეული შიმართებით უპირისპირდებიან კიდევაც ერთმანეთს.

ადამიანის სპეციფიკის შესახებ სიღრმისფსიქოლოგიურ თეორიებს ასეთი პასუხი აქვთ: ადამიანის თავისებურებას ქმნის **გონი**, რომელიც ლტოლვის სუბლიმაციაა (ფროიდი), ადამიანის სპეციფიკას **სოციალური** მხარე აპირობებს, მას ცხოვრების სტილი გააჩ-

ნია (ადლერი), ადამიანი რ ე ფ ლ ე ქ ს უ რ ი ცნობიერების მატარებელია, მისი ინდივიდად გახდომა ხვედრისადმი მორჩილებაა (იუნგი).

ფსიქოანალიზის მიხედვით, ადამიანის შინაგანი ბუნება ფსიქიკის სამი ფენის — ი გ ი, მ ე, ზ ე-მ ე, რაც იგივე პიროვნული ფენებია — ურთიერთობაზე დაიყვანება. ადამიანის სტრუქტურაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ი გ ი-ს, რომელიც ლტოლვათა სამყაროს უძველესი და უღრმესი ფენაა. ის პიროვნების ბნელი და შეუღწეველი სფეროა. ფროიდი ფსიქოანალიზის ერთ-ერთ დამსახურებად იმას მიიჩნევს, რომ მან კაცობრიობას გაუცნობიერა ლტოლვათა მნიშვნელობა, რადგანაც აღნიშნული „სულიერი ფუძე" ადამიანში მიჩქმალული აღმოჩნდა გონითი სფეროს წარმატებით. აღმოჩნდა, რომ კაცობრიობის თავმოყვარეობის შელახვას კოსმოლოგიური, ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური მხრიდან რეალური საფუძველი აქვს. ადამიანი არაა არც სამყაროს ცენტრი, არც სიცოცხლის განსაკუთრებული წარმონაქმნი და არც ცნობიერებით განსაზღვრული. ადამიანი „არსების გულს ქმნის ბნელი ი გ ი". ამ უკანასკნელს უპირისპირდებიან, ერთი მხრით, მ ე და, მეორე მხრით, ზ ე-მე, ადამიანი როგორც კონფლიქტური არსება ეფუძნება აღნიშნულ სამ ფენას, რომლებიც სისტემატურად აწარმოებენ ბრძოლას საკუთარი ინტერესების განხორციელებისათვის. ადამიანის კონფლიქტური ბუნება განპირობებულია პიროვნული ფენების ურთიერთსაპირისპირო და კონფლიქტური დამოკიდებულებით. ადამიანის ფსიქოანალიზურმა გაგებამ, როგორც ლტოლვითი არსებისა, წაშალა განსხვავება ცხოველსა და ადამიანს შორის. გონითი სამყარო მთელი თავისი შედეგებით დაყვანილი იქნა ბრმა და სტიქიურ სიცოცხლის ძალაზე. გონითი სინამდვილე ეპიფენომენი გახდა. არაცნობიერი ლტოლვა, მიუხედავად იმისა, რომ საფუძვლად ედება გონითს, მოქიშპე გახდა ცნობიერებისა, მათ შორის ანტაგონიზმმა დაისადგურა. ადამიანი ირაციონალურს დაექვემდებარა. ადამიანი გახდა ისეთი „ბუნებითი არსება", რომელშიაც ბატონობს ბრმა ძალები — ლტოლვები და ყველაფერი ამ ძალების კაუზალურ-ენერგეტიკულ ურთიერთობაზე დაიყვანება, მისით აიხსნება.

ადამიანის განსხვავებული გაგებაა წარმოდგენილი ადლერის კონცეფციაში. აქ ადამიანი სოციალურია. სოციალურში და სოციალურით ხორციელდება ყველაფერი ადამიანური. ადამიანი მ ო ყ ვ ა ს ი ა. ადამიანის არსებითი მხარე — ცხოვრების სტილი — მისი ინ-

დივიდუალობის საფუძველია. ადამიანი ინდივიდია, ე. ი. მთლიანია, სოციალური არსებაა და ამავე დროს ერთიც, განუმეორებელი, სხვებისაგან განსხვავებული ისევ სოციალური შინაარსის წყალობით. იგი სხვებისაგან საკუთარი მიზნისა და მისი განხორციელების გზით განსხვავდება. მთლიანობა და ინდივიდუალობა პიროვნების ის გარკვეულობაა, რომელთაც საფუძვლად ედება იმანენტური ტელეოლოგია.

ა. ადლერი ტელეოლოგიზმის დამცველია. მისთვის სამყარო ტელოსის განხორციელებაა. ადამიანიც, როგორც სიცოცხლის ნაწილი, მიზნის მოქმედების სფეროა. ინდივიდუალფსიქოლოგიაში ხაზი ესმება იმ ვითარებას, რომ ინდივიდი გაუცნობიერებელ მიზანს ემორჩილება. ცხოვრების სტილი პიროვნებაში მე-დან აღმოცენდება არაცნობიერად და როგორც პროექტი არაცნობიერადვე წარმართავს მთელ მის შემდგომ მოღვაწეობას. ადამიანი, როგორც შეგნებითა და ცნობიერებით პრინციპულად ადამიანურის შემქმნელი და განმახორციელებელი, ადლერთან ყურადღებით ვერ სარგებლობს. ამიტომაა, რომ ინდივიდუალფსიქოლოგიაში ადამიანის გაგებას უკავშირდება ფატალურობის მომენტი. ადამიანის ცხოვრება და მოღვაწეობა შეუგნებელი მიზნის განხორციელებაა.

მართალია, ა. ადლერმა ადამიანის არსებობაში მართებულად მიუთითა სოციალურის მნიშვნელობაზე, მაგრამ ძნელია გავიზიაროთ მის მიერ წარმოდგენილი ადამიანის მთლიან-სტრუქტურული სურათი, მასში სტრუქტურული მომენტების — ნაკლოვანების გრძნობის, ცხოვრების სტილის, კომპენსაციის და სხვ. — ურთიერთმიმართებისა და იერარქიული მნიშვნელობის ბუნება. ასევე მართებულად ვერ ჩაითვლება ადამიანის არსის სოციალურზე დაყვანა, მასთან გაიგივება.

იუნგის ანალიზური ფსიქოლოგიის განსაკუთრებული ზრუნვის საგანია ინდივიდუალური ადამიანში. კოლექტიური ცნობიერება და კოლექტიური არაცნობიერი (არქეტიპი) ადამიანის არსებობის რეალური ფაქტორებია, მაგრამ ისინი მიუთითებენ ადამიანების საერთო განზომილებაზე. ინდივიდუალობა უკავშირდება მთლიანი პიროვნების „თვითონს", რაც განპირობებულია ინდივიდუაციის პროცესით. სოციალური ადამიანური არსებობის აუცილებელი პირობა-თაგანია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის ნამდვილ ინდივიდუალურს ახშობს. ინდივიდი ცდილობს გარეგან იძულებით მხარეს როგორმე ანგარიში გაუწიოს და მას შეეგუოს. პერსონა ამ შეგუების პროდუ-

ქტია, მოჩვენებითი ინდივიდუალობაა, რომლისგანაც განსხვავდება ნამდვილი ინდივიდუალობა — პიროვნება. პიროვნება არაცნობიერისადმი შეუგნებელი მორჩილება კი არაა, არამედ ხვედრის მიერ მითითებული მიმართულების შეგნებული განხორციელება.

სიღრმისფსიქოლოგიურ თეორიებში სხვადასხვაგვარადაა წარმოდგენილი სოციალურის მნიშვნელობა და ღირებულება ადამიანთან მიმართებაში. თუკი ინდივიდუალფსიქოლოგიაში სოციალური ადამიანის არსადაა ჩათვლილი, რომელსაც ყოველმხრივ ხელი უნდა შეეწყოს, ვინაიდან ადამიანი ვითარცა მოყვასი მასში ჰპოვებს ჭეშმარიტ სასუფეველს, ფსიქოანალიზი და ანალიზური ფსიქოლოგია სოციალურს სახავენ ნამდვილი ადამიანურის გამოვლინების ხელისშემშლელ ფაქტორად. ზ ე-მ ე და კოლექტიური ცნობიერება ადამიანური არსებობის აუცილებელ პირობად კი ითვლებიან, მაგრამ ისინი ადამიანში არსებითს — ინდივიდუალურს, უნიკალურს — უბრალოდ კი არ უპირისპირდებიან, არამედ რყვნიან კიდევაც მას.

სავსებით კანონიერია სიღრმეზე მსჯელობა ადამიანის განზომილებით. მაგრამ ადამიანის სიღრმის ონტიური დახასიათება განსხვავებულ კვალიფიკაციას იმსახურებს იმის მიხედვით, თუ რა იგულისხმება მასში. სიღრმის ფსიქოლოგიურ თეორიებს ბურჟუაზიულ სამყაროში განსაკუთრებული მოწონებით შეხვდნენ იმ მხრივ, რომ მათ ადამიანი ცნობიერებით არ ამოსწურეს, მასთან არ გააიგივეს. მათ ადამიანის სიღრმის მომენტზე მიუთითეს. ადამიანის სიღრმითი მომენტი სიღრმისფსიქოლოგიურმა თეორიებმა ფსიქიკად (resp. არაცნობიერ ფსიქიკად) გამოაცხადეს (ფროიდი, იუნგი). ადამიანის სიღრმის ფსიქიკად გაგებას უკავშირდება ფსიქოლოგიზმი და ირაციონალიზმი ადამიანის სიღრმისფსიქოლოგიური კონცეფციისა. ადამიანის სიღრმეზე მითითება — ეს იგივე მისი არსის, რაობის დახასიათებაა. თუ ადამიანის სიღრმე, მისი რაობა არაცნობიერი ფსიქიკაა, ადამიანი ფსიქიკური არსებობის მქონე გარკვეულობა ყოფილა და მას, როგორც ასეთს, ირაციონალურობის ნიშანი მიეწერება.

ადამიანის სიღრმის ფსიქოლოგიური კონცეფციები ემპირისტულ თვალსაზრისზე დგანან. საქმე ისაა, რომ აღნიშნული თეორიები ერთმანეთისაგან ვერ თიშავენ ადამიანის არსსა და ადამიანის ემპირიულ მოცემულობას, მის მოვლენას. ადამიანზე დაკვირვებამ სიღრმის ფსიქოლოგიას მდიდარი მასალა მისცა ადამიანის ლტოლვითი ბუნების გამოვლენიდან, ეს კი საფუძველი გახდა ადამიანი ლტოლვით არსებად გამოცხადებულიყო, არაცნობიერი ლტოლვა ადამიანის სიღრმედ და არსებით მხარედ ჩათვლილიყო.

მნიშვნელოვანი, რაც სიღრმის ფსიქოლოგიაში მოცემულია ადამიანის გაგებასთან დაკავშირებით, ეხება ადამიანის ინდივიდუალობისა და ადამიანთა კონტაქტის საკითხს, მე-სა და შენ-ის ურთიერთობას. სიღრმის ფსიქოლოგიის პრაქტიკულმა ასპექტმა, ე. წ. ქმედითმა ფსიქოლოგიამ წინ წამოსწია და რეალურ გადასაწყვეტ საკითხად დასვა მკურნალისა (სიღრმის ფსიქოლოგისა) და ფსიქიკურად დაავადებულის კონტაქტის თემა, ურთიერთობა ორ პიროვნებას შორის. მე-სა და შენ-ს შორის „კომუნიკაციის", „შეხვედრის", „გადატანის" და ა. შ. ცნებები, როგორც სპეციფიკურ ადამიანურზე მიუთითებლები და მასთან თანაზიარების წყარო, სიღრმისფსიქოლოგიური კვლევა-ძიებიდან იღებენ სათავეს. მართალია, თვითონ კლასიკურ სიღრმის ფსიქოლოგიაში მე და შენ-ის პრობლემა განსაკუთრებული რეფლექსიის ობიექტი არ გამხდარა, მაგრამ ის, როგორც მიუთითებენ, სიღრმის ფსიქოლოგიიდანაა წამოღებული და საგანგებო ძიების საგნად გამხდარი ფილოსოფიური ანთროპოლოგიისა და ეგზისტენციალიზმის წარმომადგენლებთან.

სიღრმის ფსიქოლოგიაში ინდივიდუალობის თემა აქტუალური გახდა ადამიანის ონტოლოგიურ პრობლემასთან დაკავშირებით. ანალიზური ფსიქოლოგია და ინდივიდუალფსიქოლოგია ადამიანის, პიროვნების არსებობასა და ღირებულებას მის განუმეორებლობაში ჰვრეტენ. ინდივიდი აქ ეგზემპლარულს კი არ ნიშნავს, მხოლოდ დროში და სივრცეში არსებობით შემოფარგლულს (ზოგადის ცალკეულ ილუსტრაციას) ან თვისებათა რაოდენობრივ-ინტენსივობითი ასპექტით განსხვავებულს სხვისაგან, არამედ უნიკალურ-შეუნაცვლებელს, განუმეორებელ-ერთჯერადს. სიღრმის ფსიქოლოგიაში ადამიანის არსებითი ნიშანი მართებულადაა დანახული სხვისგან განსხვავებულობაში, მისეულობაში, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელში. შეიძლება, სადავო გახდეს ადამიანის უნიკალობის ფენომენის საფუძვლის გაგება ცალკეული სიღრმისფსიქოლოგიური თეორიის ფარგლებში, რომ ადამიანის მისეულობა ემყარება ხვედრს, ცხოვრების სტილს და ა. შ., ანდა დაუსაბუთებელი და მიუღებელი აღმოჩნდეს ინდივიდუალობის გამაპირობებელი საფუძვლის ფსიქიკურობის კვალიფიკაცია, ასევე მისი წვდომის სიღრმის ფსიქოლოგიური მეთოდოლოგია, მაგრამ ეს არ ეხება თვითონ ადამიანის ინდივიდუალობის ფაქტიური ვითარების კონსტატაციას.

სიღრმის ფსიქოლოგიის მიზანდასახულება, არსებითი თქვას ადამიანზე, პიროვნებაზე, სცილდება ფსიქოლოგიური მეცნიერების

ფარგლებს. ადამიანის სპეციფიკის ჩვენება მუდამ იდგა მეცნიერებისა და ფილოსოფიის წინაშე ამოცანად, მაგრამ ის განსაკუთრებით აქტუალური და პრინციპული გახდა მაშინ, როცა ფილოსოფიურმა ანთროპოლოგიამ — ადამიანის რაობის შესახებ ფილოსოფიურმა დისციპლინამ — მთელი სიმძვინლით დააყენა ადამიანის არსის საკითხი. ფილოსოფიური ანთროპოლოგია დაუპირისპირდა შეხედულებას, რომ ადამიანის შესახებ გადამწყვეტის თქმა უნდა ყოფილიყო კერძო მეცნიერების კომპეტენცია: ფსიქიკური სინამდვილის შემეცნებით, თითქოს, ადამიანის შემეცნებაც უნდა განხორციელებულიყო, რადგანაც ფსიქიკა მოჩანდა ადამიანის ბუნებასთან შეხების უახლოეს წერტილად. მაგრამ გაირკვა, რომ ცნებები — ფსიქიკა და ადამიანი — არ ფარავენ შინაარსეულად ერთმანეთს. ფსიქიკა მხოლოდ ერთ-ერთი სტრუქტურული მომენტი აღმოჩნდა უაღრესად რთული და მრავალმხრივი სინამდვილისა, რომელსაც ადამიანი ჰქვია. ფილოსოფიური ანთროპოლოგიის ერთ-ერთ დამსახურებას სწორედ აღნიშნულის გაცნობიერება წარმოადგენს. ადამიანის მთლიანობითი ბუნების შემეცნება ცალკეული მხრიდან მიდგომით არ ხორციელდება. უნდა მოხდეს ადამიანის წვდომა იმ მხრივ, რომ ის გაგებული იქნეს სხვაზე დაუყვანად სინამდვილედ.

სიღრმისფსიქოლოგიური თეორიები ადამიანის გაგების საკითხში ფსიქოლოგისტურ და სოციოლოგისტურ თვალსაზრისზე დგანან. ადამიანის მთლიანობის პრობლემის ადგილს საბოლოო ჯამში ფსიქიკის მთლიანობისა და ადამიანის, როგორც სოციალური მთელის, პრობლემა იჭერს, ადამიანი დაყვანილია ფსიქიკა-სტრუქტურაზე (ფსიქოანალიზი, ანალიზური ფსიქოლოგია) და სოციალურზე (ინდივიდუალფსიქოლოგია). ამით, ერთი მხრით, უქმდება თვითონ პრობლემა ადამიანის მთლიანობისა, მეორე მხრით, გამართლება ეძლევა ე. წ. ნაწილ-ანთროპოლოგიის იდეას, ადამიანის რაობაზე პასუხის გაცემა ფაქტიურად ევალება ადამიანის შესახებ ცალკეულ მეცნიერებას: ფსიქოლოგიას (ანალიზური ფსიქოლოგია, ფსიქოანალიზი), სოციოლოგიას (ინდივიდუალფსიქოლოგია). ადამიანის ფსიქოლოგისტური და სოციოლოგისტური გაგებები განაპირობებენ იმას, რომ კლასიკური სიღრმის ფსიქოლოგიები შორს დგანან ადამიანის მთლიანობითი ბუნების გათვალისწინებისაგან. ამ თეორიებს, როგორც ფსიქოლოგიურ თეორიებს არც ევალებოდათ ადამიანის მთლიანობის ფილოსოფიური პრობლემის გადაჭრა. მაგრამ მსჯელობები ადამიანზე, რაც მოცემულია ფროიდთან, იუნგთან, ადლერთან ადამიანის ბუნების ცალმხრივ და არასწორ გაგებაზე მიუთითე-

ბენ. სადავო და ჩვენთვის მიუღებელია როგორც ადამიანის ცალკეული მხარის — არაცნობიერი ფსიქიკის — სიღრმისფსიქოლოგიური დასაბუთების ცდა, ისე ამ ირაციონალური ვითარებისა და სოციალურის ადამიანის არსად გამოცხადება.

ცდილობენ სიღრმის ფსიქოლოგია დააკავშირონ ეგზისტენციალიზმთან; შეხების მომენტებად ადამიანის ბუნების გაგების ზოგიერთ ასპექტს ასახელებენ, რომ აქაც და იქაც წინა პლანზეა წამოწეული ინდივიდუალურზე ზრუნვა, ადამიანში ხილული და დაფარული მხარეების გათიშვა და უკანასკნელის ძიება-ანალიზი, ადამიანის სპეციფიკის ჩვენება იმ მხრივ, რომ ადამიანის მიერ საკუთარი თავის შეშეცნება-გაცნობიერებით იცვლება თვითონ მისი მე, პიროვნება და სხვ. გამოითქვა რადიკალური შეხედულებაც სიღრმის ფსიქოლოგიისა და ეგზისტენციალური ფილოსოფიის ონტოლოგიური პრობლემატიკის იგივეობის შესახებ. მაგალითად, საბჭოთა მკვლევარი სოლოვიოვის მიხედვით, დიდი განსხვავებაა კლასიკურ ფილოსოფიასა (კერძოდ, ი. კანტის მოძღვრება „ნივთი თავისთავად" შესახებ) და ფსიქოანალიზს შორის „ცნობიერების გარეშე არსებობის" გაგებაში. ფსიქოანალიზს ცნობიერების ცნებაში ესმის მხოლოდ „ნათელი ცნობიერება" და ყველაფერი ის, რაც კი ბუნდოვანი, ანგარიშმიუცემელი, გაუცნობიერებელია, თავსდება ცნობიერების მიღმა. ფსიქოანალიზის ეს დაუდევრობა და ორაზროვნება ფილოსოფიურ პრინციპად იქცევა ფენომენოლოგიაში: „გაუცნობიერებლად ყოფნა", „ცნობიერების გარეშე და მისგან დამოუკიდებლად არსებობა" — ფენომენოლოგიური მოძღვრების ფორმულაა. ცნებათა აღრევის ამ უპრეცენდენტო საფუძველზე შემდეგ ვითარდება ეგზისტენციალური ონტოლოგია, რომლის წარმომადგენლები „ყოფიერებას" უწოდებენ არსებითად იმას, რასაც ფროიდი აღნიშნავდა უბრალოდ „არაცნობიერი წარმოდგენით".

ამიტომ ეგზისტენციალისტური მოთხოვნა „ყოფიერებისადმი ღიად ყოფნის", შეიძლება განიხილოს როგორც ფილოსოფიური აბსოლუტიზაცია სიღრმის ფსიქოლოგიის ძირითადი პრინციპისა — ყურადღებით ვიყოთ არაცნობიერი ცხოვრების გამოვლენებისადმი, იმ მდგომარეობათადმი, სადაც აღრინდელი ბუნდოვანი და ანგარიშმიუცემელი შემოდის ნათელი ცნობიერების სივრცეში და ღებულობს საგნობრივად-არსებულის ფორმას[9].

---

[9] Э. Ю. Соловьев, Экзистенциализм и научное познание, М., 1966, с. 122.

ვ. სოლოვიოვის ზემოალნიშნული მოსაზრებები რეალურ ვითარებას სწორად არ ასახავენ. ავტორს ჰგონია, რომ ცნობიერების ფსიქოანალიზური შინაარსი შოიცავს ცნობიერების მხოლოდ მაღალ საფეხურს, „ნათელ ცნობიერებას". ფსიქოანალიზური თეორიის ანალიზის დროს ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ ცნობიერების ცნებაში თავსდება ცნობიერების მინიმუმის მქონე ფსიქიკაც — ე. წ. ბუნდოვანი, ანგარიშმიუცემელი და გაუცნობიერებელი (ცნობიერების ნათელ ველში შეუღწეველი) ცნობიერების დაბალი საფეხურია. მაშასადამე, ბუნდოვანი, ანგარიშმიუცემელი და გაუცნობიერებელი ფსიქიკური შინაარსები ფსიქოანალიზში არაა არაცნობიერი ფსიქიკა. არაცნობიერი ფსიქიკა ფსიქოანალიზურ თეორიაში წარმოადგენს პროცესს, რომელსაც ცნობიერი ფსიქიკური შინაარსის არსებობის ფორმა არ აქვს.

მართლაც რომ უპრეცენდენტო დაუდევრობად, და არა მხოლოდ დაუდევრობად, შეიძლება ჩაითვალოს სოლოვიოვის მიერ ფენომენოლოგიის პრინციპად და ფორმულად „გაუცნობიერებლად ყოფნის" გამოცხადება, ასევე ეგზისტენციალიზმის ფუნდამენტალური კატეგორიის — ყოფიერების არაცნობიერ ფსიქიკასთან გაიგივება.

„ცნობიერების გარეშე და მისგან დამოუკიდებლად არსებობას" ფენომენოლოგია საერთოდ არ ეხება. ედ. ჰუსერლის ფენომენოლოგიას საქმე არ აქვს არსებულთან, რეალურთან. მისი თემაა წმინდა ცნობიერება (წმინდა ფენომენი), რომლის მისაღებად აუცილებელია განხორციელდეს ტრანსცენტდენტალურ-ფენომენოლოგიური რედუქცია: ემპირიული ცნობიერების შინაარსის დაყვანა ფენომენზე. ფენომენოლოგიური აქტი რედუქციისა არსიდან (Wesen) არსებობის ასპექტის ჩამოშორებაა, არსის მოპოვების, ხილვის მეთოდია. ტრანსცენდენტალობა რედუქციისა ნიშნავს ყოველივე არსებულისათვის არსის კანონზომიერების მნიშვნელობაზე მითითებას[10].

ეგზისტენციალიზმის ცნება ყოფიერებისა სრულიადაც არაა არა-

---

[10] ედ. ჰუსერლის ფენომენოლოგიის შესახებ დაწვრილებით იხ. ა. ბ ო ქ ო რ ი შ ვ ი ლ ი, ფსიქოლოგიის პრობლემა ტრანსცენდენტალურ ფენომენოლოგიაში, „ფსიქოლოგიის პრინციპული საკითხები", ნაწ. II. თბ., 1959, თავი I—XV, მ ი ს ი ვ ე ადამიანის პრობლემა ედ. ჰუსერლის ფენომენოლოგიაში, — „ფილოსოფიური ანთროპოლოგიის საკითხები", ნაწ. II, თბ., 1971, აგრეთვე, З. М. Какабадзе, Проблема «экзистенциального кризиса», и трансцендентальная феноменология Э. Гуссерля, Тб., 1966.

ცნობიერი ფსიქიკა („არაცნობიერი წარმოდგენა"); არ ხდება მათი გაიგივების არც შეგნებული დაცვა და ის არ გამომდინარეობს არც ზოგადი კონცეფციიდან. მართალია, ეგზისტენციალისტებთან (ჰაიდეგერი, იასპერსი, სარტრი) ყოფიერება განსხვავებული შინაარსის შემცველია, მაგრამ აქ საერთოდ გამორიცხულია არაცნობიერი ფსიქიკის სახით მისი გააზრება.

ჟ. პ. სარტრი მოითხოვს არაცნობიერი ფსიქიკის უარყოფას, ის ფსიქიკას მხოლოდ ცნობიერ არსებობას მიაწერს. წინააღმდეგ ფროიდის ფსიქოანალიზისა, სარტრის ეგზისტენციალური ფსიქოანალიზის ობიექტი ცნობიერების ფარგლებშია მოქცეული; ეგზისტენციალური ფსიქოანალიზის მეთოდი პიროვნების ცნობიერი არჩევის ძიების ობიექტურ მეთოდად ცხადდება. სარტრისთვის ადამიანის არსებობა — ეგზისტენცი იგივე „ყოფიერებაა-თავისთვის", ანუ ცნობიერებაა. ადამიანური ყოფიერება მიზნის ცნობიერად არჩევისა (პირველადი პროექტი) და მისი რეალიზაციის პროცესია.

კ. იასპერსისათვის პრინციპულად მიუღებელია ფსიქოანალიზი ინიტომ, რომ აქ ამოსავლადაა აღებული ფსიქიკის არაცნობიერად არსებობა. იასპერსი ფსიქიკის აუცილებელ თვისებად ასახელებს ცნობიერებას (განცდის შინაგნობას)[11]. ამიტომ ე. წ. „ცნობიერების გარეშე", ის, რაც არსებობს ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად, შეუძლებელია ფსიქიკა იყოს. იასპერსთან „ყოფიერება თავისთავად" საზღვრითი ცნებაა, რომელიც ეხება ყველა საგნობრივ მატარებელსა და მომცველს. ყოფიერება თავისთავად ესაა სამყარო და ტრანსცენდენტი (ღვთაება), რისგანაც განსხვავდება ადამიანური ყოფიერება, ანუ ეგზისტენცი.

იასპერსის გაგებით, ეგზისტენცი ადამიანის არსების საწყისია, იგი ემპირიული, საგნობრივი შემეცნების (ეს კი მეცნიერების, ფსიქოლოგიის საქმეა) ფარგლებს გარეთ ძევს და „მისაწვდომია" მხოლოდ ფილოსოფიური თვითგანათებისათვის. ამიტომ შეუძლებელია ეგზისტენცი ფსიქიკურ რეალობად წარმოვიდგინოთ. „საზღვარი მეცნიერულ ცოდნასა და ფილოსოფიურ განათებას შორის იქ ძევს, სადაც საგანი უკვე აღარაა მოაზრებული ფსიქოლოგიური რეალობის სახით, არამედ არასაგნობრივადაა ქცეული ტრანსცენდირების პროცესის მედიუმი"[12]. „ჩვენი შემეცნების ძირითადი შეცდომაა ფილოსოფიური აზრების დამახინჯება რაიმეს შესახებ მოჩვენებითად

---

[11] K. Jaspers, Allgemeine Psychopathologie, 1959, გვ. 9, 254.
[12] იასპერსი, დასახ. ნაშრომი, გვ. 641.

საგნობრივი ცოდნით, ერთ-ერთი ასეთთაგანია ეგზისტენციალური განათების ფსიქოლოგიური ცოდნით დამახინჯება, თავისუფლების ემპირიული მუნყოფის ფაქტორით დამახინჯება, ესაა მცდარი თემატიზირება ადამიანის ყოფიერებისა მთლიანად[13]. ავტორის მიხედვით, აღრევა და აქედან გამომდინარე დამახინჯებაა, როცა ასეთი განათება ჩათვლილია ზოგადსავალდებულო ფსიქოლოგიად, როცა ეგზისტენცის განათების ფილოსოფიური ცნების ქვეშ თავსდება მოქმედებები, ქცევები, სტიმულები და მას იღებენ როგორც ბუნების ფაქტს[14].

მ. ჰაიდეგერის ფუნდამენტალურ-ონტოლოგიური თვალსაზრისი ეხება ყოველგვარი არსებულის, ყოფიერის (Seiende) და ყოფიერთა მთლიანობის საფუძველს, რომელიც თვითონ არაა არსებული. არსებულის არარსებული საფუძველი ყ ო ფ ი ე რ ე ბ ა ა (Sein). ეგზისტენცი ადამიანის (Dasein) ყოფიერებაა. ჰაიდეგერის პრინციპული პოზიცია მოითხოვს ყოფიერისა და ყოფიერების გათიშვას. ფსიქიკა (resp. არაცნობიერი ფსიქიკა) ერთ-ერთი ყოფიერია სხვათა გვერდით, ამიტომ იგი არ შეიძლება გაიგივდეს ყოფიერებასთან. ავტორის მიხედვით „ადამიანის სუბსტანციაა ეგზისტენცი", რომელიც არ წარმოადგენს სულისა და სხეულის სინთეზს, გონს[15]. ამიტომ მოითხოვს ავტორი ეგზისტენციალური ანალიტიკის შემოსაზღვრას ფსიქოლოგიისაგან, ბიოლოგიისაგან და ა. შ.[16].

§ 2. სილრმის ფსიქოლოგიის ფილოსოფიური საფუძვლები. როცა საკითხი ისმის ფსიქოლოგიური თეორიის ფილოსოფიური საფუძვლების შესახებ, უნდა ცხადიყოს ონტოლოგიური და გნოსეოლოგიური წანამძღვრები, რომლებიც არსებითად განსაზღვრავენ თეორიის რაობას, მის მეცნიერულ სახეს. ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, განსაკუთრებით ეს ითქმის ბურჟუაზიულ მეცნიერებაზე, რომ ფსიქოლოგიური თეორიის აგებას წინ არ უძღვის თეორიული მუშაობის ასპექტი, უფრო მეტიც, ფილოსოფიური წანამძღვრების გაცნობიერებას ზოგჯერ შეგნებულად ზურგსაც აქცევენ, თითქოს ამას მოითხოვდეს თვითონ კერძო მეცნიერების ინტერესები, სილრმის ფსიქოლოგიის ერთ-ერთმა აპოლოგეტმა გადაჭრით მოითხოვა: „ფილოსოფია საშიშია მეცნიერებისათვის, ჩვენი

---

[13] ი ბ ე ვ ე, გვ. 644.
[14] ი ბ ე ვ ე, გვ. 256—257, შეად. გვ. 302.
[15] M. H e i d e g g e r, Sein und Zeit, Tübingen, 1957, გვ. 117.
[16] ი ბ ე ვ ე, გვ. 45, 50.

უახლოესი ამოცანაა, ვაშენოთ ფსიქოანალიტიკა ფილოსოფიური სისტემებისდა დამოუკიდებლად"[17]. ბურჟუაზიული მეცნიერების ამგვარ პოზიციაზე ჯერ კიდევ ადრე მართებულად შენიშნავდა ფრ. ენგელსი: „ბუნების მკვლევარებს ჰგონიათ, რომ ფილოსოფიისაგან თავისუფლდებიან, რაკიღა მას უგულებელყოფენ ან აგინებენ. მაგრამ ვინაიდან ისინი აზროვნების გარეშე ერთ ნაბიჯსაც ვერ გადადგამენ წინ, ხოლო აზროვნებისათვის ლოგიკური კატეგორიები არის საჭირო და ამ კატეგორიებს კი წინდაუხედავად, უკრიტიკოდ იღებენ... ამიტომ ისინი საბოლოო ანგარიშით ფილოსოფიის არა ნაკლებ მონობაში იმყოფებიან, მაგრამ სამწუხაროდ და უმეტესად ყველაზე ცუდი ფილოსოფიის მონობაში, და სწორედ ისინი, ვინც ყველაზე უფრო მეტად აგინებს ფილოსოფიას, სწორედ ყველაზე ცუდი ვულგარიზებული ნარჩენების მონებს წარმოადგენენ", „თეორიის შეუფასებლობა... წარმოადგენს ნატურალისტურად და, მაშასადამე, ყალბად აზროვნების უდავო გზას"[18].

სიღრმის ფსიქოლოგიამ თავიდანვე განიზრახა ბუნებისმეტყველური მეთოდოლოგიის მომარჯვებით „ახალი ფსიქოლოგიის" იდეა, რაც ნიშნავდა ე. წ. ფსიქიკის ახალი განზომილების, არაცნობიერი ფსიქიკის კვლევა-ძიებას, უფლებამოსილად და კანონიერად გამოეცხადებინა. „ახალი ფსიქოლოგიის" იდეის დაცვა პოზიტივისტურ-თვალსაზრისზე დგომით ხდებოდა: წმინდა ფაქტობრიობა მეცნიერების ამოსავალიცა და საბოლოო მიზანიც უნდა ყოფილიყო. ანალიზურმა ფსიქოლოგიამ ძირითად მიზნად ფაქტების კვლევა დაისახა, ფაქტის აღმოჩენას უპირატესობა მიანიჭა თეორიასთან შედარებით. ფსიქოანალიზმა მხოლოდ ემპირიული მასალით, წმინდა გამოცდილებით მოინდომა ფსიქოლოგიური თეორიის აგება. მაგრამ სიღრმის ფსიქოლოგიის ემპირისტულმა თვალსაზრისმა იმთავითვე მარცხი განიცადა. „ახალი ფსიქოლოგიის", ანუ „არაცნობიერის ფსიქოლოგიის" ცნება ეფუძნებოდა წინააღმდეგობრივ ამოსავალ დებულებას — არაცნობიერი ფსიქიკის ფაქტობრიობის შესახებ. სიღრმის ფსიქოლოგიურმა თეორიებმა წმინდა, უშუალო გამოცდილების ადგილზე არაცნობიერი ფსიქიკის სახით დასვეს, ისეთი რამ, რაც პრინციპულად შეუთავსებელია და უკუაგდებს წმინდა გამოცდილების ცნებას. ანალიზური ფსიქოლოგია, ფსიქოანალიზი და ინდივიდუალ-

---

[17] S. Ferenczi, Philosophie und Psychoanalyse, ob. Populäre Vorträge über Psychoanalyse, Zürich, 1922, გვ. 127.

[18] ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, თბ., 1950, გვ. 214, 49.

ფსიქოლოგია ფსიქოლოგიური თეორიებია, რომლებმაც ნებსით თუ უნებლიეთ აჩვენეს საკუთარი შინაგანი ბუნება იმით, რომ თეორიულ წანამძღვრებს მათში გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭათ, გამოყენებულმა ონტოლოგიურმა და გნოსეოლოგიურმა თვალსაზრისებმა თეორიების სავსებით კონკრეტული სურათი დაგვიხატეს.

სიღრმის ფსიქოლოგიაც ისევე, როგორც ყოველი ფსიქოლოგია, თეორიულ წანამძღვრებს გულისხმობს. დავინახეთ, რომ არაცნობიერი ფსიქიკის ცნება არ წარმოადგენს ემპირიული შინაარსის მქონე ცნებას, იგი თეორიული ცნებაა, რომელიც ეფუძნება ფსიქოფიზიკური პრობლემის გადაჭრის დუალისტურ ცდას. სიღრმის ფსიქოლოგიას აქვს გნოსეოლოგიური თვალსაზრისი, რომელიც აპრიორიზმსა და ფიქციონალიზმს ემყარება. საკითხი სიღრმის ფსიქოლოგიის მიკუთვნების შესახებ ბუნებისმეტყველური თუ გონისმეცნიერული ტიპის თეორიისადმი ისევ მეცნიერების სტრუქტურის საგნობრივსა და მეთოდოლოგიურ ასპექტებს ითვალისწინებს, რომლებიც მეცნიერების რაობის ფილოსოფიურ საკითხებს უკავშირდება. ისტორიულადაც ისე მოხდა, რომ კლასიკური სიღრმის ფსიქოლოგიის ავტორებმა ბოლოს და ბოლოს გააცნობიერეს მეცნიერების აუცილებელი კავშირის საჭიროება ფილოსოფიასთან, აშკარად იწყეს მეცნიერების თეორიული საკითხების ფილოსოფიური კუთხით გააზრება.

ბურჟუაზიული ფსიქოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი ნაკლი ისაა, რომ ფსიქოლოგიური თეორიები ეკლექტიზმის ტყვეობაში იმყოფებიან. აქედან გამონაკლისს არც კლასიკური სიღრმის ფსიქოლოგია წარმოადგენს. ამ ფსიქოლოგიის ფილოსოფიური ძირები იდეალისტური ფილოსოფიის სხვადასხვა მიმართულებას უკავშირდება. კლასიკურ სიღრმის ფსიქოლოგიაზე შეიმჩნევა სიცოცხლის ფილოსოფიის გავლენა. თვითონ ფროიდი, იუნგი და ადლერი საკუთარ მსოფმხედველობაზე შოპენჰაუერის, ნიცშესა და ბერგსონის იდეების ნაყოფიერ გავლენას ადასტურებენ. ბრძოლა ინტელექტუალიზმისა და რაციონალიზმის წინააღმდეგ ირაციონალიზმის სახელით წარმოადგენს სიცოცხლის ფილოსოფიის იდეის დაცვას. ისიც ცნობილია, რომ სიცოცხლის ფილოსოფიის ირაციონალისტური ტენდენციის მჭიდრო კავშირშია არაცნობიერის ცნებასთან, რომელმაც გასაგები უნდა გახადოს ფსიქიკური ცხოვრების შინაგანი მოძრაობა და განვითარება, ადამიანური არსებობა. სიღრმის ფსიქოლოგიაში, როგორც ნაჩვენები იყო, სწორედ ეს ასპექტია განსაკუთრებული ყურადღების

ობიექტი. არაცნობიერის შემოქმედებითობა, ადამიანში სიღრმისეული ძალების აქტივობისადმი ღირებულების მიწერა ნიშნავს ადამიანისათვის გარეგანი ობიექტური აგენტის მნიშვნელობის უარყოფას, გაუფასურებას. ადამიანის, როგორც იმანენტური რაობის, დაპირისპირება ობიექტურთან, რომლითაც არ მიიღწევა მისი ცხადყოფა, სიცოცხლის ფილოსოფიის თეორიული განწყობის პოზიციაზე დგომაა: ადამიანი-სიცოცხლე ობიექტურ-არაადამიანით, „გარედან ხედვით" ვერ გაიგება. პირიქით, ადამიანი იმანენტობა „შიგნით ხედვით" მიიწვდომება, იმანენტურითვე უნდა მოხდეს სამყაროსეული არსებობის გააზრება, კულტურის გენეზისი და გაგება ინტიმურ ძალებს უკავშირდება. სიღრმის ფსიქოლოგიის ფარგლებში კაუზალობის ცნების გამოყენებისა და მისი მნიშვნელობის თანდათანობითი შეზღუდვა გაგების ცნების სასარგებლოდ სიცოცხლის ფილოსოფიის მეთოდოლოგიური პოზიციის აღიარებაა.

კ. გ. იუნგმა ლიბიდო საბოლოოდ სიცოცხლის ენერგიად წარმოსახა. სული სიცოცხლეა. ფსიქიკის ბუნებრივი გეშტალტი სიცოცხლის კერძო მოვლენაა. იუნგი არაცნობიერს უკავშირებს ბერგსონის «élen vital» და «durée créatrice» ცნებებს. ე. წ. „შემოქმედი არაცნობიერი" შოპენჰაუერის „ნებისყოფის" პარალელად ცხადდება.[19].

ადლერი სულს ახასიათებს სიცოცხლის ნაწილად, რომელიც თავის თავში ატარებს სიცოცხლის ყველა დინამიკურ სტრუქტურას, ტელოსი-სიცოცხლის იმანენტური ნიშანია. სულიც, ფსიქიკაც მიზნის რეალიზაციის ასპარეზია. სიცოცხლე თვითგანვითარებაა, ადამიანიც ცხოვრების სტილით მიზანსწრაფული არსებაა, რომელიც თვითგანვითარების შინაგანი ტენდენციის მე-ობრივი გამოვლენაა. სიცოცხლის ძალა და სულიერი ცხოვრების შემოქმედი ძალა იდენტურნი არიან. ფროიდის მიხედვით, ადამიანის „სულიერი ფუძე" ლტოლვაა, რომელიც განაპირობებს სულიერი და გონითი სამყაროს მოძრაობასა და შემოქმედებით მისწრაფებას; არაცნობიერი ლტოლვა ადამი-

---

[19] «Man kann das Unbewußte auch als eine Äußerung des Lebenstriebes überhaupt auffassen und die lebensschaffende und — erhaltende Kraft in Beziehung zu Bergsons Begriff des «élan vital» oder sogar zu dem der «durée créatrice» setzen. Eine andere Parallele wäre der Schopenhauer sche «Wille». Jung, Wirklichkeit der Seele, ვ. 43.

ანური ნაქმობის წყაროა, იგი ფროიდისათვის შოპენჰაუერის „არაცნობიერი ნებისყოფის“ ეკვივალენტურია[20].

სიცოცხლის ფილოსოფიის განწყობამ — შიგნით მიმართულმა ხედვამ — ადამიანური არსებობის სპეციფიკა დაადასტურა, ი ნ დ ი ვ ი დ უ ა ლ ო ბ ა გახადა დასანახი. ადამიანი იმიტომაა ღირებული, რომ ის თავისი შინაარსით განუმეორებელი მთლიანობაა, ერთნაირობისა და შენაცვლებადობის საწინააღმდეგოა. მისი უნიკალობის ხილვის გზა არც დაიყვანება და არც გამოიყვანება უბრალო მექანიკურმიზეზ-შედეგობრივი მიმართულებებიდან. ადამიან-ინდივიდთან თანაზიარება საზრისის ხედვის მიმართულებაა, გაგების ვითარებაა, რომელიც გარკვეული ასპექტით ინტუიციას უკავშირდება.

სიღრმის ფსიქოლოგიურ თეორიებში, როგორც ნაჩვენები იყო ცალკეული თეორიის ანალიზის დროს, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ინდივიდუალურის ცნებას. ადამიანში ინდივიდუალურის არა უბრალო კონსტატაცია ხდება, არამედ ინდივიდუალობა ადამიანური არსებობის ფორმად ცხადდება, ღირებულება მას ენიჭება. ინდივიდუალფსიქოლოგიამ შემეცნების ობიექტად ინდივიდუალური ადამიანი გაიხადა, ეს თეორია მიუთითებს ინდივიდუალურის წვდომის თავისებურებაზეც: იდენტიფიკაცია და ინტუიცია მოწოდებულია ინდივიდუალურის ხილვისათვის. ანალიზურ ფსიქოლოგიაში უმაღლეს ღირებულებად ადამიანის განუმეორებლობაა ჩათვლილი. ობიექტურ-ფსიქიკური (არქეტიპი) არ უპირისპირდება და არ გამორიცხავს ინდივიდუალურ-პიროვნულს, რომელიც „ხვედრის“ შინაგანი იმპულსით ადამიანის პიროვნებად ქცევის უმაღლესი აქტია. ფსიქოანალიზის მთელი ცდა სულის ინდივიდუალური დინამიკის ცხადყოფისაკენ არის მიმართული. ქცევის საზრისის წვდომა გაშუალებული გაგების გზით მიიღწევა.

მითითებული იყო, რომ სიღრმის ფსიქოლოგიის ონტოლოგიური თვალსაზრისი დუალიზმია, არაცნობიერი ფსიქიკის დაფუძნების ცდიდან აუცილებლობით გამომდინარეობს ფსიქოფიზიკური პა-

---

[20] ფროიდი წერს: „შეიძლება მივუთითოთ ცნობილ ფილოსოფოსებზე, როგორც წინამორბედებზე, უპირველეს ყოვლისა დიდ მოაზროვნე შოპენჰაუერზე, რომლის არაცნობიერი ნებისყოფა შეიძლება გაიგივდეს ფსიქოანალიზის სულიერ ლტოლვებთან. სიტყვამ მოიტანა და, ეს ის მოაზროვნეა, რომელმაც ადამიანებს მოაგონა ჯერ კიდევ არასათანადოდ შეფასებული მათი სექსუალური მისწრაფებათა მნიშვნელობა„

„ნიცშეს წარმოდგენები და შეხედულებები ხშირად განსაცვიფრებლად ემთხვევიან ფსიქოანალიზის ძნელად მოპოვებულ შედეგებს„, Selbstdarstellung, XIV, გვ. 86.

რალელიზმის იდეის მიღება. სიღრმის ფსიქოლოგიამ არაცნობიერი ფსიქიკის გამართლებისათვის სინამდვილის (resp. ფსიქიკური სინამდვილის) უწყვეტობის არგუმენტი მოიშველია. თავის დროზე ლაიბნიციც ცდილობდა უწყვეტობის პრინციპის (lex continui) გამოყენებით ფსიქიკის არაცნობიერად არსებობის აზრის დაცვას. მონადოლოგიის მიხედვით, ცნობიერი „მცირე აღქმა“, ანუ არაცნობიერი ფსიქიკა ფსიქიკის მოჩვენებითი წყვეტილობის შემავსებელია, ის ფსიქიკის მთლიანი და უწყვეტი თანამიმდევრობის განმაპირობებელია. ფსიქიკის უწყვეტობა მონადოლოგიაში გააზრებულია სუბსტანციური არსებობიდან გამომდინარე. მონადა სულიერი სუბსტანციაა, რომელიც ვერ იქნება წყვეტილი არსებობის მქონე.

სიღრმის ფსიქოლოგიაში ფსიქიკის უწყვეტობის პრინციპის გამოყენება არაცნობიერი ფსიქიკის დასაბუთებისათვის ფსიქოფიზიკური პარალელიზმის მოთხოვნას ეფუძნება. ეხლოდ ამ შემთხვევაში იქმნება საკმაო საფუძველი ფსიქიკის დაბშული და თვითკმარი რეალობის სახით წარმოდგენისათვის, სადაც ფსიქიკის მიმდინარეობაში ყოველი მომენტი შეიძლება გააზრებული იყოს ისევ ფსიქიკური პროცესიდან მიღებულად, ფსიქიკურმა ხომ საკუთარი უწყვეტობა უნდა უზრუნველყოს იმანენტური საშუალებებით! აღნიშნულმა ვითარებამ განაპირობა სიღრმის ფსიქოლოგიის შეფასება როგორც „ფსიქოლოგია სულით“ იდეის დამცველისა, რისგანაც გამომდინარეობს ამ ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიური კრედო. ფსიქოლოგიამ ფსიქიკის შემეცნებითი საქმიანობა უნდა მოათავსოს სულის ფარგლებში, ფსიქიკა ახსნას ფსიქიკით. სიღრმის ფსიქოლოგიის ტენდენცია და პოზიცია, ცნობიერი ფსიქიკის ახსნის საკითხში მიმართოს არაცნობიერ ფსიქიკას და უარი თქვას ფიზიოლოგიური სინამდვილის გამოყენებაზე, ემყარება ფსიქიკის სუბსტანციალურ გაგებას[21].

---

[21] სიღრმის ფსიქოლოგიის ონტოლოგიური საფუძველი დუალიზმია, მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში შეიმჩნევა არათანმიმდევრობა და გადახრა ამ თვალსაზრისიდან, კომპრომისული ტენდენცია საპირისპირო თვალსაზრისის მიმართ. ამიტომაა, რომ არაცნობიერი ფსიქიკის გარკვეულობას მიეწერება ხოლმე ისეთი ფუნქცია ან ხასიათდება ისე, რომ ის არ გამომდინარეობს პარალელისტური თვალსაზრისიდან. ფსიქოანალიზში ასეთია ფსიქიკური ენერგიის წყაროდ სხეულებრივი ორგანოს ჩათვლა (ე. წ. ეროგენული ზონა), არაცნობიერი ფსიქიკის გამოცხადება შუამავლად სხეულსა და ცნობიერ ფსიქიკას შორის (იხ. S. Freud, Briefe, 1873—1939, გვ. 317), წერილი გ. გროდეკისადმი: («Gewiß ist das Ubw die richtige Vermittlung zwischen dem Körperlichen und dem Seelischen, villeicht das langentbehrte «missing link»). ანალიზურ ფსიქოლოგიაში გამოყენებას ნახულობს ფსიქიკური და ფიზიკუ-

სიღრმის ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიური პოზიცია არსებითად ონტოლოგიური დუალიზმის თვალსაზრისზე დგომის გამოვლენაა. მეთოდოლოგიური დუალიზმი ონტოლოგიური დუალიზმის ლოგიკური შედეგია.

აღინიშნა, რომ კლასიკური სიღრმის ფსიქოლოგიური თეორიები სუბიექტივიზმისა და აპრიორიზმის გნოსეოლოგიურ თვალსაზრისზე დგანან. ერთი მხრით, შემეცნების ორგანოდ ფსიქიკა ცხადდება, მეორე მხრით, შემეცნების ორგანოს წარმოდგენილი აქვს სინამდვილის ადეკვატურად ასახვის უნარი, აღიარებულია გნოსეოლოგიური სკეპტიციზმი და აგნოსტიციზმი.

სიღრმის ფსიქოლოგიის ამოსავალი შემეცნების თეორიული პოზიცია აგნოსტიციზმია. ის, რაც ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად და რეალურად არსებობს, მის შესახებ ჩვენ არ შეგვიძლია გვქონდეს ჭეშმარიტი ცოდნა: „რეალური მუდამ შეუმეცნებელი რჩება" (ფროიდი)[22], „ჩვენს გარეთ არსებულ ნივთთა არსამდე საერთოდ არ შეგვიძლია შევაღწიოთ" (იუნგი)[23], „რაც ჩვენ უნდა განვახორციელოთ, ესაა აპრიორი წვდომა" (ადლერი)[24]. აღნიშნული ვითარება განაპირობებს იმას, რომ სიღრმის ფსიქოლოგიაში მეთოდოლოგიური თვალსაზრისი გადამწყვეტ როლს თამაშობს საგნობრივთან შედარებით, აპრიორი მეთოდოლოგიური პოზიციის ჩარჩოებში ხდება ფსიქიკური რეალობის მოთავსება, მისი გადამუშავება. ფსიქოანალიზმა და ანალიზურმა ფსიქოლოგიამ ფსიქიკური ენერგიის ცნება წარმოადგინა, როგორც ფსიქიკური სინამდვილის მიმართ ენერგეტიკული თვალსაზრისის მომარჯვების შედეგი. ფსიქიკური ენერგია ე. წ. „განხილვის წესის" პროდუქტია და არა რეალობა. არაცნობიერის ფსიქიკურ რომელობად კვალიფიკაცია, გარკვეული აზრით, ზოგადმეთოდოლოგიური თვალსაზრისიდან გამომდინარეა. „მუდამ მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ მიუხედავად ჩვენს თვალსაზ-

---

რი ენერგიების ურთიერთში გადასვლის თვალსაზრისიც (ფსიქო-ფიზიკური ურთიერთგავლენის თეორია). ასევე აქ ზოგ შემთხვევაში უარყოფილი არაა არაცნობიერი ფსიქიკის ფიზიოლოგიურთან კავშირი, ტვინის სტრუქტურის ფუნქციად მისი გამოცხადება და სხვ.

[22] «Das Reale wird immer unerkennbar bleiben». Abriß der Psychoanalyse, გვ. 127, შეად. გვ. 80.

[23] «...wir zum Wesen der Dinge außer uns überhaupt nicht vordringen können». Wirklichkeit des Seele, გვ. 24.

[24] «Es ist eine Auffassung a priori, die wir machen müssen». Persönlichkeit als geschlossene Einheit, Int. Z. F. Indps. 1932, H. 2, გვ. 82.

რისზე ფაქტების დამთხვევისა, ახსნის პრინციპები სწორედ რომ განხილვის წესებია, ე. ი. ფსიქოლოგიური განწყობის ფენომენებია, საერთოდ აზროვნების აპრიორისტული პირობებია"[25]. „ისევე, როგორც ყოველი მეცნიერება, ინდივიდუალფსიქოლოგიაც ჩართულია მეტაფიზიკაში... აქ ლაპარაკია ჩვენი შემეცნების სფეროზე, რომელიც წინდაწინ უნდა დავუშვათ, ვინაიდან სხვაგვარად არ შეგვიძლია ვიმუშაოთ, ვინაიდან შთაბეჭდილებებს ვაწესრიგებთ და მას აღვნიშნავთ როგორც სულიერს... რაც ჩვენ უნდა განვახორციელოთ, ესაა აპრიორი წვდომა, რომელიც გვემსახურება პროცესების მოწესრიგებასა და მათი საერთო შუქის ქვეშ მოთავსებაში"[26]. ინდივიდუალფსიქოლოგიამ ტელეოლოგიზმის პრინციპი საბოლოოდ ფიქციონალიზმის პოზიციაზე დაამყარა.

სილრმის ფსიქოლოგიური თეორიები უკიდურესად ფსიქოლოგისტურია. მათ ფსიქიკაზე დაიყვანეს, მასთან გააიგივეს შემეცნების საბოლოო ობიექტი — ადამიანი, ფსიქიკით მოინდომეს მთელი გონითი სამყაროს ახსნა-გაგება, ფსიქიკად გამოაცხადეს გნოსეოლოგიური აქტი. მართალია, სილრმის ფსიქოლოგიაში მოხდა გათიშვა ფსიქიკისა ცნობიერებისაგან, მაგრამ ამ გათიშვის მიზანი ვიწრო ჩარჩოებით შემოიფარგლა; ეს გაკეთდა იმისთვის, რომ არაცნობიერი ფსიქიკის — ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებული ფსიქიკის — თეზისი დასაბუთებულიყო. როცა საკითხი დადგა შემეცნების თეორიული კუთხით, უნდა გარკვეულიყო შემეცნების ორგანოს რაობა, მაშინ სილრმის ფსიქოლოგიამ გნოსეოლოგიურ აქტად ისევ ფსიქიკა გამოაცხადა. ეს თვალსაზრისი — შემმეცნებლად ფსიქიკის მიჩნევა — სილრმის ფსიქოლოგიას აყენებს იმ ცნობილი სიძნელეების წინაშე, რომელიც საერთოდ დაკავშირებულია გნოსეოლოგიურის გაიგივებასთან ფსიქიკურთან. იუნგი მიუთითებს: „უფლება არ გვაქვს დაივიწყოთ, რომ ფსიქოლოგიაში „ს ა შ უ ა ლ ე ბ ა, რომლითაც ფსიქიკას განიხილავენ და აკვირდებიან, თვითონვე ფსიქიკაა. ფსიქოლოგიაში დამკვირვებელი დასაკვირვებელია. ფსიქიკა მარტო ო ბ ი ე ქ ტ ი კი არაა, არამედ აგრეთვე ჩვენი მეცნიერების ს უ ბ ი ე ქ ტ ი ც"[27]. „არსებითად ჩვენ იმგვარად ვართ ფსიქიკურ ხატებში გახვეული, რომ არ შეგვიძლია შევაღწიოთ ჩვენს გარეთ

---

[25] J u n g, Über psychische Energetik, გვ. 13.
[26] A d l e r, იქვე, გვ. 81—82.
[27] J u n g, Über Grundlagen der analytischen Psychologie, გვ. 150.

არსებულ ნივთთა არსამდე. ყველაფერი რის შესახებაც შეიძლება ვიცოდეთ ოდესმე, შესდგება ფსიქიკური მასალისაგან“;[28]. „ყველა წვდომა (Begreifen) და ყველა ნაწვდომი ფსიქიკურია თავისთავად და ამდენად ჩვენ! უიმედოდ ჩაკეტილი ვართ ერთადერთ! ფსიქიკურ სამყაროში“[29]. შემეცნების აქტის ფსიქოლოგიურ პროცესად წარმოდგენა არსებითადაა დაკავშირებული სილრმის ფსიქოლოგიის აგნოსტიკურ თვალსაზრისთან; თავისთავად არსებული სინამდვილის ხილვა საკუთარი შინაარსის მქონე საშუალებით (ფსიქიკით) განუხორციელებელია. საშუალება საკუთარი შინაარსით ყოველთვის დაამახინჯებს ასასახავ გარკვეულობას და აქედან თავის დაღწევის გზა ასეთ ვითარებაში არ ჩანს.

სილრმის ფსიქოლოგია, ანუ ფსიქოლოგია არაცნობიერი ფსიქიკის შესახებ, კლასიკური სილრმის ფსიქოლოგიური თეორიების ავტორების რწმენით, უნდა ყოფილიყო ბუნებისმეტყველური ტიპის მეცნიერება. ბუნებისმეტყველების მეთოდი, მუშაობის პრინციპი — მოვლენათა მიზეზშედეგობრივი დამოკიდებულების განხილვის წესი — უნდა გავრცელებულიყო ფსიქიკის მთელ მოცულობაზე, მკაცრ დეტერმინიზმს უნდა დაქვემდებარებოდა ფსიქიკური მოქმედება. ფსიქიკურ ფენომენთა კაუზალური განხილვის წესი უცხო არ იყო ე. წ. ცნობიერების ფსიქოლოგიისათვის. სიახლეს სილრმის ფსიქოლოგია ხედავდა დეტერმინიზმის დაცვაში საკუთრივ ფსიქიკურ ფარგლებში. ფსიქოლოგიური აზროვნების წესის მოთხოვნის დაცვაც სწორედ რომ ამას ნიშნავდა: ფსიქიკის მიზეზი ისევ ფსიქიკა უნდა ყოფილიყო, არაცნობიერი ფსიქიკით უნდა მომხდარიყო ცნობიერი ფსიქიკის ახსნა. ფსიქიკის მექანისტური და ენერგეტიკული განხილვის წესმა ფსიქიკური ენერგიის ცნების საჭიროება წარმოშვა. აღნიშნული მეთოდოლოგიური პრინციპების მოთხოვნით ფსიქიკა გააზრებული იქნა დაზუსტებულ და თვითკმარ რეალობად. სილრმის ფსიქოლოგიამ, როგორც ბუნებისმეტყველურმა დისციპლინამ, კლასიკური ბუნებისმეტყველური დისციპლინების (ფიზიკა, ქიმია)

---

[28] J u n g, Wirklichkeit der Seele, გვ. 24.

[29] J u n g, Erinnerungen, გვ. 354, შეად. Freud, Abriß der Psychoanalyse, გვ. 127. [ავტორი] აღნიშნავს: „თვითონ აღნიშნულს (რეალურ საქმის ვითარებას—Sachverhalt — ვ. კ.) არ უნდა ვიმედოვნებდეთ მივაღწიოთ, რადგან ვხედავთ, რომ ყველაფერი... უნდა ითარგმნოს ჩვენი აღქმების ენაზე, რომლისგანაც არ შეგვიძლია განვთავისუფლდეთ“. გავიხსენოთ ფროიდის შეფასება ფსიქოანალიზისა, როგორც ი. კანტის გნოსეოლოგიური დოქტრინის გავრცელება ფსიქიკურ სინამდვილეზე.

მსგავსად მიზნად დაისახა უშუალოდ მოცემულის საფუძვლების ძიება. ეს საფუძველი „მოძებნილი“ იქნა არაცნობიერი ფსიქიკის სახით. ბუნებისმეტყველური ფსიქოლოგია არსებითად დაუკავშირდა არაცნობიერი ფსიქიკის ცნებას. მაგრამ მთავარი და აღსანიშნავი ისაა, რომ სიღრმის ფსიქოლოგიამ საკუთარი თეორიული პრინციპი — ბუნებისმეტყველური თვალსაზრისი — ბოლომდე თანამიმდევრულად ვერ გაატარა. აღმოჩნდა, რომ თურმე ფსიქიკა ვერ თავსდება დეტერმინიზმის ჩარჩოებში, მას სხვა ბუნებაც აქვს, რომელსაც საზრისი ჰქვია. ამ განზომილების ხილვისათვის მოწოდებულია გაგების თვალსაზრისი. სიამოვნების პრინციპი (ფსიქოანალიზი), შემოქმედებითობა ფსიქიკისა (ანალიზური ფსიქოლოგია) და სრულყოფისაკენ სწრაფვა (ინდივიდუალფსიქოლოგია) ფსიქიკაში მიზნის არსებობის აღმნიშვნელია. ყოველი ქცევისა და ნაქმობის ახსნა მიზნის ფაქტორის გამოყენებას მოითხოვს, ამდენად ქცევისა და ნაქმობის ახსნა ნამდვილად მათ გაგებას ნიშნავს.

ბურჟუაზიულ მეცნიერებაში დღეს ბევრი იზიარებს იმ აზრს, რომ სიღრმის ფსიქოლოგია გაგებითი ფსიქოლოგიის ტიპის მეცნიერებაა, რომ იქაც კი, სადაც ლაპარაკია ფსიქიკის ფარგლებში პროცესების კაუზალურ კავშირზე, ფაქტიურად გაგებითი კავშირის მოვლენასთან გვაქვს საქმე.

გაგებისა და გაგებითი ფსიქოლოგიის ცნებები ბურჟუაზიულ მეცნიერებაში მრავალი მნიშვნელობის მქონეა. გაგების პრობლემის აქტუალობა და გაგებითი ფსიქოლოგიის დასაბუთების მიმართებით ძიება ვ. დილთაის სახელთანაა დაკავშირებული. ისტორიულად ცნობილი დაკა ბუნებისმეტყველური და გაგებითი ორიენტაციის ფსიქოლოგებს შორის ეხება საკუთრივ ფსიქიკის რაობის გარკვევას, ფსიქიკისადმი საზრისის ნიშნის მიწერის შესაძლებლობის ჩვენებას. სიღრმის ფსიქოლოგიაში გაგების ვითარება საზრისის ცნებას უკავშირდება. აქ ფსიქიკა დახასიათებულია საზრისის, მიზნის ნიშნით. მაგრამ საქმე ისაა, რომ თვითონ ფსიქიკის ცნება სიღრმის ფსიქოლოგიაში, ისევე როგორც გაგებით ფსიქოლოგიაში, ადამიანის ცნებასთან იგივდება და ვღებულობთ ისეთ ვითარებას, როცა ადამიანისადმი მართებულად მიწერილი თვისება არამართებულად ვრცელდება ფსიქიკაზეც. კანონიერი და საფუძვლიანი ადამიანის მიზანზე ლაპარაკი, მაგრამ იგივე მიზნის მიწერა ადამიანის სტრუქტურის ერთერთი მომენტის ფსიქიკისადმი საფუძველს მოკლებულია. ფსიქიკის ცალკეული პროცესის მიზნის ნიშნით დახასიათებას ფსიქიკური ატო-

მიზმის თვალსაზრისის დაცვამდე მივყავართ; საფუძელის მქონეა და აუცილებელიც, ფსიქიკა განხილული იქნეს ფუნქციონალური თვალსაზრისით, დაისვას საკითხი ადამიანისათვის, როგორც გონითი არსებისათვის ან როგორც სიცოცხლისათვის ფსიქიკის მნიშვნელობის, ღირებულების შესახებ. ამ განზომილებაში ფსიქიკა თავის ასპექტს გამოაცალენს, რომლის წვდომა-გაგებაზე შეიძლება ვიმსჯელოთ. მაგრამ როცა საკითხი დგას თვითონ ფსიქიკის შინაგანი ბუნების, რაობის, არსის თაობაზე, მაშინ აქ უნდა დატოვებული იქნეს ფუნქციონალური განხილვის წესი და ამოცანად დადგეს ფსიქიკის, როგორც ასეთის, წვდომა. ფსიქიკა რაობის კუთხით დანახული არაა მიზნის, საზრისის მატარებელი. ფსიქიკა, როგორც ბუნებრივი ფაქტი, ტვინის პროდუქტი, საზრისის განზომილების ფარგლებს გარეთ მდგომია, იგივე ფსიქიკა ჩართული რთულ სტრუქტურაში და შეფასებული ამ სტრუქტურისათვის მნიშვნელობისა და ღირებულების კუთხით, საზრისის ნიშანს იძენს. რა არის მეხსიერება? რა მნიშვნელობა აქვს მეხსიერებას ადამიანისათვის? — განსხვავებული კითხვებია, რომლებიც მოითხოვენ სხვადასხვა ასპექტის გათვალისწინებას: პირველი მეხსიერების არსის, რაობის გარკვევას მოითხოვს, მეორე — მისი ფუნქციისას. სიღრმის ფსიქოლოგიაში ამ ვითარებას საკმაოდ ყურადღება არ ექცევა. სიღრმის ფსიქოლოგიაში არსებითად ფსიქიკის ადგილზე დასმულია ქცევის ფენომენი, ფსიქიკა დაყვანილია ქცევაზე. ეს ქმნის მრავალ გაუგებრობას. როცა სიღრმის ფსიქოლოგია შეფასებულია, როგორც გაგებითი ფსიქოლოგია, სწორედ რომ მხედველობაში აქვთ ქცევის მოტივის გაგების ვითარება. ვინაიდან ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ცნობილი არ არის ქცევის წარმმართველი მოტივი, ამოცანად დგას მისი ინტერპრეტაცია და გაგება. ქცევა საზრისის მატარებელია და კანონიერია მის გაგებაზე მსჯელობა, ქცევის საზრისის ხილვის, წვდომის ამოცანის მოთხოვნა, რაც არ ითქმის ფსიქიკაზე. მაგრამ თუკი სიღრმის ფსიქოლოგია კვლევის ობიექტად გაიხდის არა ფსიქიკას, არამედ ქცევას, მაშინ ლოგიკურია მას ეწოდოს არა სიღრმის ფ ს ი ქ ო ლ ო გ ი ა, არამედ ქ ც ე ვ ა თ მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა. —

В. Л. КАКАБАДЗЕ

ФИЛОСОФСКИЕ ОСНОВЫ ГЛУБИННОЙ ПСИХОЛОГИИ

(Резюме)

В классическую глубинную психологию объединяют психологические концепции З. Фрейда, А. Адлера и К. Г. Юнга — психоанализ, индивидуалпсихологию и аналитическую психологию.

Перед классической глубинной психологией стоят два теоретических вопроса: что такое бессознательная психика и что такое личность? (Конечная проблема глубинной психологии практическая — освобождение личности от психических нарушений). Проблемы бессознательной психики и личности здесь органически связаны друг с другом. Содержание бессознательного психического играет решающую роль в выяснении сущности личности.

В классических глубиннопсихологических теориях бессознательная психика представлена в трех значениях: 1) психической энергии, 2) определенности, в психическом качестве которой мы убеждены, но нам ничего не известно о ее онтологическом лице, 3) внесознательного существования сознательных психических содержаний.

Названные глубиннопсихологические понятия бессознательной психики получены в результате рассмотрения психики в различных аспектах. Суждение о психической энергии основано на подходе к психике с динамической точки зрения: психика, взятая в целом, считается ареной взаимоотношений сознательных и бессознательных сил. Объявление психики неизвестным процессом бессознательной сферы в определенном смысле есть характеристика с гносеологической точки зрения. Ту часть психики, которая в опыте не находит подтверждения, иначе невозможно характеризовать как «неизвестное», хотя заранее принято, что это неизвестное есть психика, а не нечто иное. Допущение психических содержаний вне сознания, с одной стороны, догматично (у Адлера), с другой — условно, «как бы это так» (у Юнга).

Известно, что один из мотивов введения в психологию понятия бессознательной психики связан с объяснением сознательной психики. В вопросе об обусловленности сознательной психики бессознательной глубинная психология занимает принципиальную позицию — сознательная психика должна быть объяснена бессознательной психикой. Но каков глубиннопсихологический аспект бессознательной психики по отношению к онтологической проблеме? Представлена ли бессознательная психика как реальность или как фикция? На эти вопросы глубиннопсихологические теории не дают принципиального ответа — в одной и той же теории бессознательная психика то представляется как реальность, то как имеющая только гипотетическую ценность.

Если бессознательная психика непосредственно нам не дана в опыте как реальность, то какое у нас имеется основание, чтобы допустить ее существование? Что вселяет в нас веру в то, что воздействующее на сознание обязательно бессознательная психика, а не что-либо другое? Ответ на это дает теория, в частности представление психики в виде непрерывной реальности. Если психике приписывается субстанциональное свойство непрерывности, то основа всякого рода изменений в психике не может находиться за пределами психики, она по необходимости должна быть опять же в психике.

На представление психики в виде непрерывной реальности опираются другие аргументы обоснования бессознательной психики, в частности характеристика психики при помощи признака смысла и однозначное умозаключение от следствия к причине. По существу, то же самое можно сказать и об экспериментальном обосновании бессознательной психики. Анализ постгипностического состояния и интерпретация результатов, полученных методом ассоциации, опираются на общетеоретическую предпосылку — представление психики как самодовлеющей реальности. Такой же оценки заслуживают и другие т. н. эмпирические аргументы в пользу бессознательной психики в глубинной психологии, поскольку дело касается того ложного пути обоснования, который заранее подразумевает обоснованным то, что должно быть обосновано.

Правильно и замечание, высказанное в адрес глубиннопсихологических теорий, которое касается сведения к минимуму значения сознания, обесценивания роли сознания в единой структуре психики. Борьба глубинной психологии за иррациональное в психике, за т. н. восстановление прав ее, в действительности представляет возвеличение бессознательно-

го за счет функции сознания. «Я» (сознание) утратило права хозяина в собственном доме; бессознательное влечение стало «душевной основой» (Фрейд). «Само» обрело право центра и управления психической жизни (Юнг). Бессознательный стиль жизни определяет поведение (Адлер). В борьбе против эпифеноменального понимания психики вообще глубинная психология разделила эпифеноменальную точку зрения по отношению к сознанию.

Не вызывают возражения тезисы глубинной психологии — о конституциональном праве построения психологической науки и о несводимости личности к сознательной психике. Однако следует отметить, что путь, намеченный глубинной психологией для обоснования указанной принципиальной позиции, и ответ, который она дала как положительное решение вопроса, неправильны и опираются на ложные предпосылки.

В классических теориях глубинной психологии понятие человека не представлено одним содержанием.

Вполне закономерно суждение о глубине человека. Но онтологическая природа глубины личности заслуживает отличной квалификации зависимости от того, что подразумевается под нею. Глубинный момент человека глубиннопсихологические теории объявили бессознательной психикой. Понимание глубины человека как бессознательной психики связывается с психологизмом и иррационализмом.

В теориях глубинной психологии значение и ценность социального для человека представлены различно. Если в индивидуалпсихологии социальное считается сущностью человека, которой всесторонне надо способствовать, то психоанализ и аналитическая психология в социальном усматривают фактор, мешающий действительно человеческому проявлению.

Целеустремленность глубинной психологии, направленная на раскрытие существенного в человеке, выходит за пределы психологии. Показать специфику человека всегда было задачей науки, но особенно актуальной и принципиальной она стала тогда, когда философия со всей остротой поставила вопрос о сущности человека. Философия человека была противопоставлена взгляду, согласно которому решающее слово к разрешении проблемы человека принадлежит частной науке. Познанием психической действительности будто бы должно было осуществиться и познание человека, поскольку психика выглядела ближайшей точкой соприкосновения с природой человека. Однако выяснилось, что понятия «психика» и «человек» по содержанию не покрывают друг

друга. Психика оказалась лишь одним из структурных моментов чрезвычайно сложной и многосторонней действительности, называемой человеком. Одной из заслуг философской дисциплины о человеке является именно осмысление указанного.

Когда ставится вопрос о философских основах психологической науки, должны быть выяснены онтологические и гносеологические предпосылки, которые определяют сущность теории, ее научное лицо.

Глубинная психология объявила законной идею «новой психологии», т. е исследование бессознательной психики. Защита идеи «новой психологии» осуществлялась с позитивистской точки зрения: т. н. чистые факты должны были быть и исходной точкой, и конечной целью. Но эмпиристическая точка зрения глубинной психологии с самого же начала потерпела неудачу. Понятие «новая психология», или «психология бессознательного», опиралось на противоречивое исходное положение о бессознательной психики. Глубиннопсихологические теории на место чистого, непосредственного опыта поставили в виде бессознательного нечто такое, что принципиально несовместимо с понятием чистого опыта.

Понятие бессознательной психики не является понятием с эмпирическим содержанием, это теоретическое понятие, опирающееся на дуалистическую попытку решения психофизической проблемы.

Философские корни глубинной психологии связаны с различными направлениями идеалистической философии, в том числе и с философией жизни. Сами Фрейд, Юнг и Адлер подтвреждают благотворное влияние идей Шопенгауэра, Ницше и Бергсона на их мировоззрение. Борьба против интеллектуализма и рационализма с позиций иррационализма есть защита идей философии жизни.

Исходной познавательно-теоретической позицией глубинной психологии является агностицизм — о том, что существует независимо от сознания, объективно, мы не можем иметь истинного знания: «Реальное всегда остается непознанным» (Фрейд)[1], «Мы вообще никогда не сможем проникнуть в сущность вещей вне нас» (Юнг)[2], «То, что мы должны осуществить, это априорное постижение» (Адлер)[3].

Указанное обстоятельство обусловливает то, что по сравнению с предметной решающую роль в глубинной пси-

---

[1] XVII, с. 127.

[2] Wirklichkeit der Seele, Zürich, 1961, с. 24.

[3] Int. Z. f. Indpsych., 1932, H. 2, с. 82.

хологии играет методологическая точка зрения. «Мы должны всегда иметь в виду, — пишет Юнг, — что, несмотря на совпадение фактов с нашей точкой зрения, принципы объяснения суть правила рассмотрения, т. е. феномены психической установки, вообще априористическое условие мышления»[4]. «Также, как всякая наука, — указывает Адлер,— индивидуалпсихология тоже включена в метафизику... Здесь речь идет о форме нашего познания, которую мы заранее должны допустить... То, что мы должны осуществить, это априорное постижение»[5].

Глубиннопсихологические теории крайне психологистичны. Человека, личность они свели к психике, отождествили с ней. Они намеревались объяснить и понять весь духовный мир психикой.

Психология о бессознательной психике, по убеждению авторов глубинной психологии, должна была быть наукой типа естествознания. Но главное то, что глубинная психология не смогла провести последовательно до конца теоретический принцип естествознания. Выяснилось, что психика не вмещается в рамки детерминизма, она обладает и другой природой, называемой смыслом. Принцип удовольствия (психоанализ), созидательность психики (аналитическая психология) и стремление к совершенству (индивидуалпсихология) предполагают существование в психике цели. Для постижения же этого намерения призвана т. н. точка зрения понимания. Итак, объяснение человеческого поведения требует фактора цели, постольку объяснение в действительности означает понимание.

Известно, что понятия понимания и понимающей психологии в буржуазной науке имеют множество значений. В глубинной психологии понимание связывается с понятием смысла; здесь психика охарактеризована признаком смысла, цели. Но дело в том, что само понятие психики в глубинной психологии отождествляется с понятием человека и создается такое положение, когда правильно приписываемое человеку свойство неправомерно распространяется и на психику. Законно говорить о цели человека, но приписывать ту же цель одному из моментов структуры человека — психике — лишено основания.

---

[4] K. G. Jung, Über psychische Energetik..., Zürich, 1928, c. 13.
[5] Int. Z. f. Indpsych., 1932, H. 2, c. 81—82.

На место психики в глубинной психологии, по существу, поставлен феномен поведения. Это порождает множество недоразумений. Поведение — носитель смысла, и рассуждение о его понимании законно; но если глубинная психология объектом исследования сделает не психику, а поведение, то логично назвать ее не психологией, а наукой о поведении.

DIE PHILOSOPHISCHE GRUNDLAGEN DER TIEFENPSYCHOLOGIE

Zusammenfassung

In der vorliegenden Arbeit wird eine Analyse der klassischen tiefenpsychologischen Theorien gegeben (der Psychoanalyse von S. Freud, der analytischen Psychologie von K. G. Jung und der Individualpsychologie von A. Adler) und zwar im Zusammenhang mit den zwei Grundbegriffen der unbewussten Psyche und der Persönlichkeit. Dabei wird festgestellt, daß die Begriffe der unbewussten Psyche und der Persönlichkeit in diesen Theorien einen verschiedenen Inhalt aufweisen. Die undewusste Psyche wird verstanden 1) als psychische Energie, 2) als ausserbewusste Existenz psychischer Inhalte, 3) als unerkannter Sachverhalt, 4) als unbekannte psychische Bestimmtheit.

Das Wesen der Persönlichkeit wird von verschiedenen Seiten beleuchtet. Die Persönlichkeit wird verstanden 1) als Naturwesen (S. Freud), 2) als geistiges Wesen (K. G. Jung) und 3) als soziales Wesen (A. Adler).

Die obenangeführte Auslegung des Unbewussten und der Persönlichkeit beruhen auf verschiedene theoretische Voraussetzungen.

სახელთა საძიებელი

ა

ერ. აბაშიძე—178
ა. ადლერი — 6, 7, 10, 12, 110, 152—196 200, 206, 209, 211—213, 216, 222, 223, 226, 227
ა. აინშტაინი—47
ვ. ანრი—153

ბ

ვ. ბაშიკოვი—59
ფ. ბასინი —72, 85, 86
ა. ბერგსონი — 222, 223
ა. ბინე—153
ფ. ბირნბაუმი—184
ლ.ბინსვანგერი—10. 16, 49, 104
კ. ბიულერი—19, 183
ბ. ბიხოვსკი—62, 64
ე. ბლოილერი—12
ა. ბოვორიშვილი—98, 206 208, 218
ი. ბუალავა—73-79, 82, 84
ო. ბუმკე—87
ლ. ბუსე—114, 118

გ

მ. გაიგიერი—205, 206
გ. გროდეკი—58, 225
ნ. გროტი—114
ჰ. გრულე—87

დ

ჩ. დარვინი—49
ვ. დილთაი—10, 229
ი. დონატი—193
ჰ. დრიში—183

ე

ფრ. ენგელსი—171, 221
ო. ეფენდიევი—59

ვ

პ. ვალდერი—136
ერვ. ვექსბერგი—160, 161, 195
ე. ვიზენპეტერი—12,
დ. ვისი—6
ვ. ვოლოშინოვი—58
ვ. ვუნდტი—152

ზ

ჰ. ზეელბახი—183
გ. თევზაძე—189
კ. იასპერსი—10, 87, 182, 183, 185, 219
კ. გ. იუნგი—6, 7, 10, 12, 60, 106—119, 123—151, 178, 180, 183, 196—207, 209, 211, 213, 214, 216, 222, 223, 226, 228

კ

ვ. კაკაბაძე—69
ი. კანტი—34, 207, 217, 228
კ. გ. კარუსი—6
ო. კიულპე—114
ლ. კლაგესი—88
კოპერნიკი—49
ა. კრონფელდი—183
ჰ. კუნცი—164

ლ

ვ. ლაიბნიცი—6, 69, 70, 71, 90, 225
ფ. ლერში—3, 5, 67, 161, 162, 163, 181
თ. ლიპსი—21, 25, 83, 116, 117, 177

მ

ი. მაგნესი—15
ნ. მანსუროვი—59
კ. მარქსი—171
ა. მესერი—161, 183
კ. მეტე—63
ჩ. მუზატი—65

ნ

ფრ. ნიცშე—184, 186, 222, 224

პ

ი. პავლოვი—91, 97
პფისტერი—58

რ

რანკი—58
ჯ. რემპლაინი—3
ე. რინგელი—181
რ. როლანი—18, 62
ა. რულე-გერსტელი—194

ს

ჟ. პ. სარტრი—219
სოკრატი—140
ე. სოლოვიოვი—217, 218

ტ

დ. უზნაძე—67, 70, 72, 85, 86, 96
ჯ. უელსი—56, 63

ფ

ჰ. ფაიჰინგერი—167, 168, 184, 188, 189
ალ. ფიშერი—67, 68
ვ. ფლისი—20, 21, 66
ვ. ფრანკლი—10, 88
ზ. ფროიდი—6, 7, 10, 12, 13—104, 178; 180, 183—185, 196, 198—207, 209, 211—214, 216, 217, 222—224, 226, 228.

შ

ჟ. შ. შარკო—16
შ. შელერი—104, 136, 208
კ. შეროზია—71, 84
ლ. შოპენჰაუერი—48, 222—224
ო. შპილი—181
ვ. შტერნი—4, 5, 153, 177, 178, 183

ც

ზ. ცინცაძე—178

ჰ

მ. ჰაიდეგერი—219, 220
რ. ჰაისი—11
ი. ჰერბარტი—6, 83
ჰ. ჰოფშტეტერი—11
ედ. ჰუსერლი—218

А. Адлер — 231, 233—235.

В. М. Банщиков — 59.

Ф. В. Бассин 72, 86, 88.

Б. Биховский — 62.

В. Н. Волошинов — 59.

К. Г. Юнг — 231, 233—235.

З. М. Какабадзе — 218.

Н. С. Мансуров — 59.
Ч. Л. Музатти — 65, 88.

И. П. Павлов — 91.

Э. Соловьев — 217.

Г. Уэллс — 63, 88

З. Фрейд — 231, 233, 234.

А. Шерозия — 84.
Е. В. Шорохова — 88.

M. Adler — 174
H. Ansbacher — 173

A. Bergson — 223
L. Binswanger — 49,104
D. Brinkmann — 65,69
B. Busse — 114

I. A. Caruso — 7

A. Farau — 181
S. Ferenczi — 221
F. Fordham — 109
v. Frisch — 131
K. Furtmüller 160

M. Geiger 206
R. Guardini — 52

D. Hart — 161
M. Heidegger — 220
I. Fr. Herbart — 83
P. R. Hofstätter — 7

K. Jaspers — 10,209

E. Kris — 65
A. Kronfeld — 188

O. Külpe — 114
H. Kunz — 164,174

M. Landmann — 52
Ph. Lersch — 3,4,161
Th. Lipps — 20,22

A. Mette — 63

H. Remplein — 3,153
E. Ringel — 174.179

M. Scheler — 104
A. Schopenhauer — 223
H. Seelbach — 182
Fr. Seifert — 7,42
O. Spiel — 174,179
W. Stern — 4,178

A. Tumarkin — 3

P. Walder — 136
J. Wandeler — 19,32
W. Wensel — 83
Erw. Wexberg — 161, 164, 173, 195
E. Wiesenhütter — 6
D. Wyss — 6

შინაარსი

თავი I — სიღრმის ფსიქოლოგიის პრობლემა . . . 3
1. სიღრმის ცნება ფსიქოლოგიაში და სიღრმის ფსიქოლოგია 3
2. ცნობიერების ფსიქოლოგია და სიღრმის ფსიქოლოგია 5
3. სიღრმის ფსიქოლოგიის პრობლემა 11
თავი II — ფსიქოანალიზი (ზ. ფროიდი) 13
1. ფსიქოანალიზის ზოგადი დახასიათება 13
2. არაცნობიერი ფსიქიკის პრობლემა 20
3. პიროვნების პრობლემა 44
4. ინტერპრეტაციები 57
5. კრიტიკული ანალიზი 87
თავი III — ანალიზური ფსიქოლოგია (კ. გ. იუნგი) 106
1. ანალიზური ფსიქოლოგიის ზოგადი დახასიათება 106
2. არაცნობიერი ფსიქიკის ცნება 123
3. ადამიანის პრობლემა 135
4. კრიტიკული შეფასება 141
თავი IV — ინდივიდუალფსიქოლოგია (ა. ადლერი) . . . 152
1. ინდივიდუალფსიქოლოგ ის ზოგადი დახასიათება 152
2. პიროვნების პრობლემა 159
3. არაცნობიერის პრობლემა 178
4. კრიტიკული ანალიზი 183
თავი V — სიღრმის ფსიქოლოგია როგორც პრობლემა 196
1. ფსიქიკა და ადამიანი 196
2. სიღრმის ფსიქოლოგიის ფილოსოფიური საფუძვლები 220
რეზიუმე რუსულ ენაზე 231
რეზიუმე გერმანულ ენაზე 236
სახელთა საძიებელი 237

СОДЕРЖАНИЕ

Глава I — Проблема глубинной психологии 3
1. Понятие глубины в психологии и глубинная психология . 3
2. Психология сознания и глубинная психология . . . 5
3. Проблема глубинной психологии 11
Глава II — Психоанализ (З. Фрейд) 13
1. Общая характеристика психоанализа 13
2. Проблема бессознательной психики 20
3. Проблема личности 44
4. Интерпретации 57
5. Критический анализ 87
Глава III — Аналитическая психология (К. Г. Юнг) . . . 106
1. Общая характеристика аналитической психологии . . 106
2. Понятие бессознательной психики 123
3. Проблема человека 135
4. Критическая оценка 141
Глава IV — Индивидуалпсихология (А. Адлер) 152
1. Общая характеристика индивидуалпсихологии . . . 152
2. Проблема личности 159
3. Проблема бессознательного 178
4. Критический анализ 183
Глава V — Глубинная психология как проблема 196
1. Психика и человек 196
2. Философские основы глубинной психологии 220
Резюме на русском языке 231
Резюме на немецком языке 236
Указатель имен 237

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

რედაქტორი ა. ბოჭორიშვილი
გამომცემლობის რედაქტორი ე. ფარქოსაძე
ტექრედაქტორი ც. ქამუშაძე
მხატვარი ლ. ფავლენიშვილი
კორექტორი ც. დევდარიანი

გადაეცა წარმოებას 27.4.1978; ხელმოწერილია დასაბეჭდად 24.1.1979;
ქაღალდის ზომა 60×90 1/16; ქაღალდი № 1; ნაბეჭდი თაბახი 15.25;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 13.3;

უე 01020; ტირაჟი 1500; შეკვეთა № 1504;

ფასი 1 მან. 60 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

Виталий Лаврентьевич Какабадзе

ФИЛОСОФСКИЕ ОСНОВЫ ГЛУБИННОЙ ПСИХОЛОГИИ

(На грузинском языке)